ეკონომიკური & სოციალური საკითხები

# ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები 2008



ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი
სტატისტიკის განყოფილება

მეთოდოლოგიური კვლევები სერია M ნომერი 83/გადახედვა1

# ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები 2008

პუბლიკაცია თარგმნილია საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაკვეთით

გაერო ნიუ იორკი, 2010

ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა დეპარტამენტი წარმოადგენს მნიშვნელოვან დამაკავშირებელ რგოლს ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ სფეროებში გლობალურ პოლიტიკასა და ეროვნულ სამოქმედო გეგმას შორის. დეპარტამენტი მუშაობს სამ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ სფეროში: (i) იგი ადგენს, ქმნის და აანალიზებს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით მონაცემების ფართო სპექტრს და ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც გაეროს წევრი ქვეყნები იხილავენ საყოველთაო პრობლემებს და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ; (ii) დეპარტამენტი ერთობლივი კურსის ასარჩევად მოლაპარაკებებს აწარმოებს მრავალი წევრი ქვეყნების მთავრობათაშორის ორგანოსთან, რომელიც მიმართულია მიმდინარე და წარმოქმნილი გლობალური გამოწვევების დასაძლევად; და (iii) იგი რჩევას აძლევს დაინტერესებულ მთავრობებს, იმ გზებისა და საშუალებების შესახებ, რომლებმაც გაეროს კონფერენციებსა და სამიტებზე შემუშავებული პოლიტიკის სახელმძღვანელოები სამოქმედო პროგრამებად უნდა გადააქციონ ქვეყნის დონეზე, და ტექნიკური მხარდაჭერით ხელს უწყობს ეროვნული შესაძლებლობების ამაღლებას.

შენიშვნა

ამ გამოცემაში გამოყენებული განმარტებები და წარმოდგენილი მასალა არ გამოხატავს გაერთიანებული ერების ორგანიზაცის სამდივნოს რაიმე შეხედულებას რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან ადგილის თუ მისი ხელისუფლების სამართლებრივ სტატუსთან ან მისი სასაზღვრო ზოლებისა და საზღვრების დელიმიტაციასთან დაკავშირებით.

ტერმინი “ქვეყანა”, როგორც ამ პუბლიკაციაშია გამოყენებული ასევე, ეხება, შესაბამისად, ტერიტორიებს ან ადგილებს.

განმარტებები როგორიცაა “განვითარებული რეგიონები” და “განვითარებადი რეგიონები”, გამიზნულია სტატისტიკური მიზნებისათვის და არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს კონკრეტული ქვეყნის ან ტერიტორიის განვითარების პროცესის შეფასებას.

გაეროს დოკუმენტის სიმბოლოები შედგენილია სპეციალურად გამოყოფილი შრიფტისა და ციფრების კომბინაციით

ST/ESA/STAT/SER.M/83/გადახედვა 1
გაეროს გამომცემლობა
გაყიდვის ნომერი E.08.XVII.28
ISBN 978-92-1-161521-0
საავტორო უფლება © გაერო, 2010
ყველა უფლება დაცულია



# წინასიტყვაობა

*„ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები 2008“* მომზადდა გაეროს სტატისტიკური კომისიის გადაწყვეტილებით, გაეროს 2004[1] წლის 2-5 მარტს გამართულ ოცდამეთხუთმეტე სხდომაზე და წარმოადგენს *ტურიზმის სტატისტიკის რეკომენდაციების* გადამუშავებულ ვარიანტს, რომელიც კომისიამ 1993 წელს მიიღო და 1994 წელს[2] გამოაქვეყნა.

საერთაშორისო რეკომენდაციების პროექტი მომზადდა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მჭიდრო თანამშრომლობით გაეროს სტატისტიკის განყოფილებასთან, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ILO) და ტურიზმის სტატისტიკის უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფის წევრებთან. ჯგუფი შეიქმნა 2004 წელს, კომისიის მოთხოვნით და მოიცავს გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციას (UNWTO), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამმართველოს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას (ILO), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას (OECD), „ევროსტატს“, საერთაშორისო სავალუტო ფონდს (IMF) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას (WTO). მასში შედის მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) სტატისტიკისა და ტურიზმის სატელიტური ანგარიშების კომიტეტის კვლევის შედეგები და დასკვნები, ასევე ეროვნული სტატისტიკური ოფისებიდან, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მსოფლიოში კონსულტაციების დროს მიღებული მასალა რეკომენდაციების შინაარსის შესახებ. რეკომენდაციების პროექტი განიხილა და მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტურიზმის სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფმა, რომელიც შეიკრიბა ნიუ-იორკში 2007 წლის 25-28 ივნისს. კანადის სტატისტიკის სამსახურმა კომისიისთვის დასამტკიცებლად საბოლოო მიწოდებამდე ტექსტს ძირეულად გადახედა.

საერთაშორისო ტურიზმის რეკომენდაციების მომზადება არის გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) და გაეროს სტატისტიკური განყოფილების ძალისხმევის ნაწილი, გააძლიერონ ქვეყნების ტურიზმის სტატისტიკის მეთოდოლოგიური და ოპერატიული საფუძვლები ინტეგრირებული ფორმით, მათ შორის, გააუმჯობესონ ტურიზმის სტატისტიკის თანხვედრა სხვა ოფიციალურ სტატისტიკასთან და სამომავლოდ განავითარონ ტურიზმის სატელიტური ანგარიშები.

წინამდებარე გამოცემა, *„ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები 2008“* წარმოადგენს სრულყოფილ მეთოდოლოგიურ საფუძველს ტურიზმის სტატისტიკის შეგროვებასა და დამუშავებაზე ყველა ქვეყანაში, მათი სტატისტიკური სისტემების განვითარების დონის მიუხედავად. მისი მთავარი მიზნობრივი სეგმენტი არის ტურიზმის სტატისტიკის შეგროვებაში ჩართული ეროვნული სტატისტიკური ოფისების და ეროვნული ტურისტული ადმინისტრაციების თანამშრომლები. პუბლიკაცია, ასევე, შეიცავს მდიდარ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა საინტერესო იყოს მონაცემთა მომხმარებლებისათვის, ვისაც სურს, უკეთ გაიგოს ტურიზმის მონაცემთა არსი. გარდა ამისა, მოცემულია მონაცემთა წყაროებისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდების ზოგადი გზამკვლევი, რომელსაც 2010 წელს დაემატა სახელმძღვანელო მონაცემთა შეგროვების შესახებ.

*1 ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ოფიციალური ჩანაწერები 2004 წ. დანართი № 4 (E / 2004/24), თავი 3გ, პარ. 6 („გ“ და „დ“).*

*2 რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკაზე, სტატისტიკური კრებული, სერია „მ“, #83 გაეროს გამომცემლობა გაყიდვის # ე.94.XVII.6).*

# მადლობა

*ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები 2008* მომზადდა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO), ტურიზმის სტატისტიკისა და ტურიზმის სატელიტური ანგარიშის დეპარტამენტის და გაეროს სტატისტიკური განყოფილების მიერ, გაეროს ტურიზმის სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან და გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) სტატისტიკისა და ტურიზმის სატელიტური ანგარიშის კომიტეტის მე-8 სხდომის მონაწილეებთან თანამშრომლობით. ეს სხდომა, სპეციალურად, დაეთმო წინასწარი პროექტის განხილვას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტურიზმის სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფის წევრები არიან: ვეინ კალდერი (ავსტრალია), აგუსტინ კანადა (ესპანეთი), იგორ ჩერნიშევი (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ILO), ფერნანდო კორტინა (ესპანეთი), იოჰანეს დე ბიირი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), კრისტოფ დემუნტერი („ევროსტატი"), ვივიანა დეპინო დე ავილესი (არგენტინა), კიტლალინ დურან ფუენტესი (მექსიკა), ჩაბალა ევარისტო (ზამბია), მარგარეტ ფიცგიბონი (საერთაშორისო სავალუტო ფონდი IMF), ალან გაუგრისი (გაეროს სტატისტიკის სამმართველო), ივან გილერმო გონსალეს დე ალბა (მექსიკა ), ფრანსისკო გილენ-მარტინი (მექსიკა), კრისტოფერ ჯექსონი (კანადა), ზირკ იანსენი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), კატარინ კემპი (გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია), ალექსანდერ ქევეში (რუსეთის ფედერაცია), პიტერ ლაიმერი (ავსტრია), მარიონ ლიბრეროსი (გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია UNWTO), პამელა ლოუ (ბაჰამის კუნძულები), სტივ მაკფიილი (ირლანდია), მოჰდ უზირ მაჰიდინი (მალაიზია), ვლადიმერ მარკჰონკო (გაეროს სტატისტიკის სამმართველო), ანტონიო მასიეუ (გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია UNWTO), ლიდია მბონდე (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), კაროლინ მაკდონალდ რილეი (იამაიკა), ნილ მაკკინისი (კანადა), სკოტ მეისი (გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია UNWTO), შაილა ნიჭჰოუნე (გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია UNWTO), მიგელ ოლივა (არგენტინა), ფლორანდე პოლისტიკო (ფილიპინები), იზაბელ პერეს ვარელა (ესპანეთი), მარია გაბრიელა რემბადო თომა (ესპანეთი), მილაგროს იანოს სეი (ფილიპინები), ულრიხ სპოერელი („ევროსტატი"), სინტია ვარშაუ (ამერიკის შეერთებული შტატები), ტომ ილკუნენი (ფინეთი) და ჩონგ იოკ ჰარი (მალაიზია).

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სტატისტიკისა და ტურიზმის სატელიტური ანგარიშის (UNWTO) კომიტეტის მონაწილეები არიან: აბდულაზიზ ალრაშიიდი (საუდის არაბეთში), მიშელ ბარგე (საფრანგეთი), დენის ბედეროფი (შვედეთი), ალისია ბოლო (ესპანეთი), ნტობეკო ბუსო (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), აგუსტინ კანადა (ესპანეთი), ლუიჯი კიპრიანი (ევროკომისია), ხოსე ფრანსისკო დე სალესი (ბრაზილია), ლიდია დიასი (ესპანეთი), ვანდა მარია დორესი (პორტუგალია), ჯორჯ დრაკოპოულოსი (საბერძნეთი), ნეივა დუარტე (ბრაზილია), ტერესინჰა დუარტე (პორტუგალია), დუგლას ფრეჩთლინგი (ამერიკის შეერთებული შტატები), ინმაკულადა გალეგო (ესპანეთი), ალფრედო გარსია (ესპანეთი), კონსტანტინოს გიასაფაკისი (საბერძნეთი), ივან გონსალესი (მექსიკა), რიაან გრობლერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), ტერეზა ჰილარიო (პორტუგალია), კრის ჯექსონი (კანადა), კალვინ ჯონსი (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო), ტილდა ჰაიტი (ისრაელი), პიტერ ლაიმერი (ავსტრია), ხოსე ლეიტი (პორტუგალია), ტემალო მეგი ლესეტლი (ბოცვანა), მარიონ ლიბრეროსი (გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია), პამელა ლოუ (ბაჰამის კუნძულები), სტივ მაკფიილი (ირლანდია), მარა მანენტე (იტალია), სალვადორ მარკონი (გაეროს ეკონომიკური კომისია ლათინური ამერიკისთვის), ბატონი ვლადიმერ მარკჰონკო (გაეროს სტატისტიკის სამმართველო), ანტონიო მასიეუ (გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია



UNWTO), ანტონიო მასიეუ (გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია UNWTO), ლიდია მბონდე (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), სკოტ მეისი (გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია), ანა მონიხი (ესპანეთი), მარია ხოსე მუნიოზი (ესპანეთი), ბაშნი მუტაია (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), აზარიას ნჰანზიმო (მოზამბიკი), ჯოვანი ჯუზეპე ორტოლანი (იტალია), ედუარდო პერეირა (ბრაზილია), კარლოს პროანო (ეკვადორი), ხოსე კეველო (გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია), მარია ისაბელ ქუინტელა (პორტუგალია), ადლა რაგაბი (ეგვიპტე), გაბრიელა რემბადო (ესპანეთი), ტენიელ როლე (ბაჰამას კუნძულები), მონა საკჰი (ეგვიპტე), ულრიხ სპოერელი („ევროსტატი") ესტერ სულთანი (ისრაელი), დინა ტავა (მოზამბიკი), ანტონიო ტომე (მოზამბიკი), პაველ ვანკურა (ჩეხეთის რესპუბლიკა), ლორენ ვასილე (საფრანგეთი) და პაულო ვიეირა (პორტუგალია).

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) და გაეროს სტატისტიკური განყოფილება მადლობას უხდის გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) სტატისტიკისა და ტურიზმის სატელიტური ანგარიშის კომიტეტის და გაეროს ტურიზმის სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მათი მნიშვნელოვანი წვლილი რეკომენდაციების პროექტის შემუშავების პროცესში, მათ შორის UNWTO სტატისტიკისა და ტურიზმის სატელიტური ანგარიშების და გაეროს ექსპერტების შეხვედრების პერიოდში.

„ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები 2008-ის პროექტის შედგენის პარალელურად, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ და ტურიზმის სტატისტიკის უწყებათშორისმა საკოორდინაციო ჯგუფმა იმუშავა *„ტურიზმის სატელიტური ანგარიშების რეკომენდირებული მეთოდოლოგიური საფუძვლები 2000"-ის* განახლებაზე. უწყებათშორისი საკოორდინაციო ჯგუფი შეიქმნა 2004 წელს, იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც მიღწეულ იქნა დაინტერესებულ ორგანიზაციებს („ევროსტატი", შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), ლათინური ამერიკისა და კარიბიის ზღვის ეკონომიკურ კომისია (ECLAC), გაეროს სტატისტიკის განყოფილება, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) შორის, სტატისტიკური საქმიანობის საკოორდინაციო კომიტეტის მე-4 სხდომაზე. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ტურიზმის სატელიტურ ანგარიშებში კონცეფტუალური განსხვავებების დაახლოებაზე და სხვა მასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების (როგორიცაა საგადამხდელო ბალანსის სახელმძღვანელო, მეხუთე გამოცემა; ეროვნული ანგარიშების სისტემა 1993, საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობის სტატისტიკის სახელმძღვანელო და მიგრაციის სტატისტიკა) გადამუშავების პროცესებზე;

საერთაშორისო რეკომენდაციები მომზადდა ანტონიო მასიეუს (გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია UNWTO) და ვლადიმირ მარკჰონკოს (გაეროს სტატისტიკის განყოფილება) ხელმძღვანელობით და ზედამხედველობით. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა პროექტებზე პასუხისმგებელ პირად დანიშნულ მარიონ ლიბრეროსს (გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის კონსულტანტი), ასევე კრისტოფერ ჯექსონს და ჯოსელინ ლაპიერს (კანადის სტატისტიკა) გაეროს სტატისტიკურ კომისიაში წარდგენამდე ტექსტის წინასწარი საფუძვლიანი გადახედვისთვის.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) და სტატისტიკური განყოფილება ასევე მადლობას უხდის ეროვნულ სტატისტიკურ ბიუროებს, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და ინდივიდუალურ ექსპერტებს, მათი კომენტარებისთვის რეკომენდაციების შინაასთან დაკავშირებით რომლებიც მსოფლიოში კონსულტაციების დროს იყო მიღებული, რამაც ხელი შეუწყო მათ წარმატებით დასრულებას.

## შემოკლებების და აკრონიმების სია

| | |
|---|---|
| BOP | საგადამხდელო ბალანსი |
| BPM6 | საგადამხდელო ბალანსი და საერთაშორისო პოზიციის სახელმძღვანელო, VI გამოცემა |
| COICOP | კლასიფიკაცია ინდივიდუალური მოხმარების მიზნობრიობის მიხედვით |
| CPC | მთავარი პროდუქტების კლასიფიკაცია |
| CTO | კარიბის ზღვის ტურიზმის ორგანიზაცია |
| ECLAC | ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ეკონომიკური კომისია |
| GATS | გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ |
| GDP | მთლიანი შიდა პროდუქტი |
| ICLS | შრომის სტატისტიკოსების საერთაშორისო კონფერენცია |
| ICSE | დასაქმებაში სტატუსის საერთაშორისო კლასიფიკაცია |
| ILO | შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია |
| IMF | საერთაშორისო სავალუტო ფონდი |
| IRTS 2008 | ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები 2008 |
| ISCED | განათლების საერთაშორისო სტანდარტების კლასიფიკაცია |
| ISCO | სამსახურებრივი პოზიციების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია |
| ISIC | ყველა ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაცია |
| IUOTO | ოფიციალური სამოგზაურო ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირი |
| n.e.c. | სხვაგან კლასიფიცირებული არ არის |
| n.i.e. | სხვაგან არ შედის |
| OECD | ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია |
| PATA | აზია-წყნარი ოკეანის სამოგზაურო ასოციაცია |
| SDMX | სტატისტიკური მონაცემების და მეტამონაცემების გაცვლა |
| SEEA | ეკოლოგიური და ეკონომიკური ანგარიშების სისტემა |
| SICTA | ტურიზმით საქმიანობის სტანდარტული საერთაშორისო კლასიფიკაცია |
| SNA | ეროვნული ანგარიშების სისტემა |
| UNESCO | გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია |
| UNWTO | მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია |
| VAT | დამატებული ღირებულების გადასახადი |
| WTO | ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია |
| WTTC | მსოფლიო მოგზაურობის და ტურიზმის საბჭო |



# სარჩევი

*პარაგრაფები გვერდები*

წინასიტყვაობა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . iii
მადლობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . iv
შემოკლებების და აკრონიმების სია . . . . . . . . . . . . . . . . . . vi

თავი 1. ტურიზმის სტატისტიკის საჭიროებები და განვითარება …….. 1.1-1.47 1

ა. ისტორიული განვითარება. . . . . . . . . . . . . . . . . . 1.13-1.29 2
ბ. 2008 წლის ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო
რეკომენდაციების - შემუშავების პროცესი. . . . . . . . . . . 1.30-1.38 5

თავი 2. მოთხოვნის პერსპექტივა: ძირითადი კონცეფციები და
განმარტებები …. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.1-2.78 9

ა. მოგზაურობა და ტურიზმი. . . . . . . . . . . . . . . . . . 2.4-2.13 9
ბ. კონცეპტუალური საფუძველი. . . . . . . . . . . . . . . . . 2.14-2.38 10
ბ.1. ეკონომიკური ტერიტორია და ეკონომიკა. . . . . . . . . . 2.15 10
ბ.2. რეზიდენტობა: რეზიდენტობის ქვეყანა, ჩვეული
რეზიდენტობის ადგილი (ქვეყნის შიგნით). . . . . . . . . . . 2.16-2.18 11
ბ.3. ეროვნება და მოქალაქეობა. . . . . . . . . . . . . . . . 2.19-2.20 11
ბ.4. ინდივიდის ჩვეული გარემო . . . . . . . . . . . . . . . 2.21-2.28 12
ბ.5. ტურისტული მგზავრობები და ვიზიტები. . . . . . . . . . 2.29-2.34 13
ბ.6. ტურიზმი და ვიზიტის განხორციელების ქვეყნაში არსებულ
რეზიდენტ დაწესებულებაში დასაქმება. . . . . . . . . . . . 2.35-2.38 13

გ. ტურიზმის ფორმები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.39-2.40 15
დ. საერთაშორისო და შიდა ვიზიტორები. . . . . . . . . . . . 2.41-2.49 16
დ.1. საერთაშორისო ვიზიტორები . . . . . . . . . . . . . . . 2.41-2.48 16
დ.2. შიდა ვიზიტორები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.49 16
ე. ვიზიტორთა ნაკადის გაზომვა . . . . . . . . . . . . . . . 2.50-2.78 17
ე.1. ჩვეული გარემო: შემოთავაზებული კრიტერიუმები. . . . . . 2.50-2.53 17
ე.2. შემომყვანი ვიზიტორების ნაკადები. . . . . . . . . . . . 2.54-2.69 18
ე.3. შიდა ვიზიტორების ნაკადი.. . . . . . . . . . . . . . . . 2.70-2.77 21
ე.4. გამყვანი ვიზიტორების ნაკადი. . . . . . . . . . . . . . 2.78 22

თავი 3. მოთხოვნის პერსპექტივა: ვიზიტორისა და ტურისტული
მოგზაურობის დახასიათება. . . . . . . . . . . . . . . . . . 3.1-3.49 23

ა. ვიზიტორის დამახასიათებელი ნიშნები. . . . . . . . . . . 3.6-3.8 23
ბ. ტურისტული მგზავრობის მახასიათებლები. . . . . . . . . 3.9-3.38 24
ბ.1. ტურისტული მგზავრობის ძირითადი მიზანი. . . . . . . . 3.10-3.21 24
ბ.2. ტურისტული პროდუქტის სახეობები . . . . . . . . . . . . 3.22-3.24 26

*პარაგრაფები გვერდები*

ბ.3. ვიზიტის ან მგზავრობის ხანგძლივობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3.25-3.28 27
ბ.4. წარმოშობის და დანიშნულების ადგილები. . . . . . . . . . . . . . . . . . 3.29-3.31 27
ბ.5. სატრანსპორტო საშუალებების სახეობები . . . . . .. . . . . . . . . . . . 3.32-3.34 27
ბ.6. განთავსების ტიპები. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3.35-3.38 28

გ. ტურისტული მგზავრობებისა და ვიზიტორების
მახასიათებლების გაზომვა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3.39-3.49 29

თავი 4. მოთხოვნის პერსპექტივა: ტურისტული დანახარჯი . . . . . . . . . . 4.1-4.36 31

ა. ტურისტული დანახარჯის შემადგენლობა . . . . . . . . . . . . . . . . . . .. . . 4.2-4.7 31
ბ. ტურისტული დანახარჯის დროის განსაზღვრა და მასთან
დაკავშირებული ეკონომიკური საკითხები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4.8-4.14 32
ბ.1. დროის განსაზღვრა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .4.8-4.11 32
ბ.2. ტურისტული დანახარჯების სარგებელი ეკონომიკისათვის. . . . .4.12-4.14 33

გ. ტურისტული დანახარჯების კატეგორიები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4.15-4.22 34
დ. კლასიფიკაცია. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4.23-4.27 35
ე. ტურისტული დანახარჯების გაზომვა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4.28-4.36 36

თავი 5. ტურიზმის პროდუქტიული აქტივობებისა და პროდუქტების
კლასიფიკაცია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5.1-5.43 39

ა. ძირითადი პრინციპები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5.7-5.13 40
ბ. ტურისტული პროდუქტებისა და აქტივობების კლასიფიკაცია . . . . . . 5.14-5.18 41
გ. ტურისტულ დანახარჯებში შემავალი პროდუქტებისა და
აქტივობების იდენტიფიცირება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .. . . . . 5.19-5.36 42
გ.1. საერთაშორისო დონეზე შედარებადი ტურიზმთან
ასოცირებული პროდუქტები და აქტივობები . . . . . . . . . . . . . . . 5.25-5.30 43
გ.2. ქვეყნისათვის დამახასიათებელი ტურიზმთან ასოცირებული
და მასთან დაკავშირებული პროდუქტების სიის დადგენა. . . . . 5.31-5.36 45
დ. საქონელთან დაკავშირებული შემთხვევები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5.37-5.43 46

თავი 6. მიწოდების პერსპექტივა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6.1-6.63 49
ა. სტატისტიკური დეპარტამენტი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6.4-6.13 49
ბ. კლასიფიკაციები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6.14-6.20 50
გ. ტურიზმის ინდუსტრიის დახასიათება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6.21 51
დ. რჩეული ტურისტული ინდუსტრიები: ძირითადი ცნობარი. . . . . . . . . 6.41-6.45 52
დ.1. ვიზიტორებისგანთავსება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6.22-6.34 52
დ.2. საკვებისა და სასმელის მიწოდებასთან დაკავშირებული
აქტივობები. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6.35-6.40 54
დ.3. მგზავრების ტრანსპორტირება. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .6.41-6.45 55
დ.4. ტურისტული სააგენტოები და სხვა დაჯავშნის სერვისები . . . . .6.46-6.54 56
ე. ტურისტული ინდუსტრიების სერვისების მიწოდების გაზომვა.. . . . . . 6.55-6.58 57
ვ. ტუროპერატორებისა და ტურისტული პაკეტების განსაკუთრებული
შემთხვევა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6.59-6.63 58



*პარაგრაფები გვერდები*

თავი 7. ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმება .................................. 7.1-7.35.......................... 61
ა. განმარტებები და კონცეფციები ................................................ 7.6-7.16.......................... 61
ბ. დასაქმება, როგორც შრომის მიწოდება და მოთხოვნა ........ 7.17-7.23.......................... 65
გ. დასაქმების დამახასიათებელი ნიშნები .................................. 7.24-7.28.......................... 67
დ. დასაქმების გაზომვა .................................................................. 7.29-7.35.......................... 68

თავი 8. ტურიზმის სხვა მაკროეკონომიკურ ჩარჩოებთან
მიმართებაში გაგება. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 8.1-8.35 69

ა. ტურიზმის სატელიტური ანგარიშების მიდგომა. . . . . . . . . . . . . . . . . . 8.2-8.9 69
ბ. ტურიზმი და საგადამხდელო ბალანსი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .8.10-8.25 70
გ. ტურიზმის შეფასება ადგილობრივ დონეზე. . . . . . . . . . . . . . . . . . . . 8.26-8.32 76
დ. ტურიზმი და მდგრადობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 8.33-8.45 77

თავი 9. დამატებითი თემები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 9.1-9.36 79
ა. ხარისხი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 9.2-9.9 79
ბ. მეტამონაცემები. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 9.10-9.13 83
გ. გავრცელება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 9.14-9.27 84
დ. უწყებათაშორისი თანამშრომლობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .9.28-9.33 87
ე. პროექტის განხორციელების პროგრამა და განახლების
პოლიტიკა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 9.34-9.36 88

ბიბლიოგრაფია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 89
საძიებელი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 91
ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 95

*დანართები*
დანართი 1. ძირითადი განსხვავებები 2008 წლის ტურიზმის სტატისტიკის
საერთაშორისო რეკომენდაციებსა და ტურიზმის სტატისტიკის
1993 წლის რეკომენდაციებს შორის . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 101
დანართი 2. სამომხმარებლო პროდუქტები, რომლებიც მიზნობრივად არის
დაჯგუფებული საერთაშორისოდ შესადარებელ ტურიზმთან
ასოცირებული პროდუქტებისთვის მინიჭებული
კატეგორიის შესაბამისად . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 105
დანართი 3. ტურიზმთან ასოცირებული აქტივობების ჩამონათვალი
(ტურიზმის ინდუსტრია) და ძირითადი კატეგორიების დაჯგუფება
გაეროს ეროვნული სტატისტიკის დეპარტამენტის მე-4 ცვლილების
(ISIC Rev. 4 ) მიხედვით. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 111
დანართი 4. ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტების ჩამონათვალი და
დაჯგუფება ძირითადი კატეგორიების მიხედვით, ცენტრალური
პროდუქტის კლასიფიკაციის (CPC) მე-2 ვერსიის შესაბამისად. .. . . 121

*გვერდი*

*ცხრილები*

ცხრილი 2.1. შემომყვანი მოგზაურების კლასიფიკაცია . . . . . . . . . . . . . . . . . . . 17
ცხრილი 2.2. ურთიერთდამოკიდებულება საერთაშორისო შემოსვლებს, სხვადასხვა კატეგორიის ვიზიტორებსა და სხვა მოგზაურებს შორის . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 19
ცხრილი 3.1. ტურისტული მგზავრობების კლასიფიკაცია ძირითადი მიზნების მიხედვით . . . . . . . . .. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .. . . . . . . . . . . . . . 24
ცხრილი 3.2. სატრანსპორტო საშუალებების სტანდარტული კლასიფიკაცია. . . 28
ცხრილი 5.1. ტურიზმთან ასოცირებული სამომხმარებლო პროდუქტების და მისთვის დამახასიათებელი აქტივობების (ტურიზმის ინდუსტრიაში) კატეგორიების ჩამონათვალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 42
ცხრილი 6.1. კავშირი ტურიზმის ინდუსტრიებს, სხვა ინდუსტრიებსა და პროდუქტებს შორის. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 51
ცხრილი 7.1. ტურიზმის ინდუსტრიაში ერთ და რამდენიმე ადგილზე დასაქმებულები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 63
ცხრილი 7.2. ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმება : დასაქმებული პირების ძირითადი კატეგორიები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 65
ცხრილი 7.3. დროის მოცემულ მონაკვეთში ტურიზმში დასაქმების საზომი ერთეულების ურთიერთკავშირი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 66

ცხრილი 8.1. საგადამხდელო ბალანსსა და შემომყვანი/გამყვანი ტურისტული დანახარჯების „მოგზაურობისა“ და „მგზავრების საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების“ პუნქტების დამაკავშირებელი ცხრილი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 72

*ჩანართები*

ჩანართი 1.1. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის კომპეტენციები სტატისტიკის კუთხით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5
ჩანართი 2.1. ეკონომიკური ტერიტორია და ეკონომიკა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 10
ჩანართი 2.2. შინამეურნეობების რეზიდენტობის ადგილი. . . . . . . . . . . . . . . . . . . 11
ჩანართი 2.3. ჩვეული რეზიდენტობის ადგილი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 12
ჩანართი 2.4. დასაქმებულისა და დამსაქმებლის ურთიერთობა . . . . . . . . . . . . 14
ჩანართი 2.5. შიდა ტურიზმის მასშტაბები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 15
ჩანართი 2.6. გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ (GATS) მოლაპარაკებების და 4 რეჟიმის თაობაზე . . . . . . . . . . . . . . . . . . . 21
ჩანართი 4.1. დანახარჯების დროის განსაზღვრა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 33
ჩანართი4.2. ექვივალენტობის მასშტაბი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 38
ჩანართი5.1. სატელიტური ანგარიშები და სხვა დამატებები. . . . . . . . . . . . . . . . . 44
ჩანართი 7.1. სამუშაო ადგილი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 62
ჩანართი 7.2. დასაქმების სტატუსი: საბაზისო განმარტებები . . . . . . . . . . . . . . . . . 64
ჩანართი 8.1. „მოგზაურობის“ პუნქტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 71
ჩანართი 8.2. მზავრთა მომსახურება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 75
ჩანართი 9.1. ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპები. . . . . . . . 86



# თავი 1
# ტურიზმის სტატისტიკის საჭიროებები და განვითარება

1.1. ტურიზმი არის სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ფენომენი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანების გადაადგილებასთან სხვადასხვა ადგილებში თავიანთი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, რისი ძირითადი მოტივაციაც სიამოვნების მიღებაა.

1.2. ვიზიტორის მიერ განხორციელებული აქტივობები შესაძლებელია (თუმცა არ არის აუცილებელი) მოიცავდეს საბაზრო ტრანზაქციას და იყოს განსხვავებული ან მსგავსი იმ აქტივობების, რომელსაც იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში რუტინულად ახორციელებს. თუ აქტივობები მსგავსია, მათი სიხშირე ან ინტენსივობა განსხვავებულია პიროვნების მოგზაურობის დროს. ეს აქტივობები მოიცავს ადამიანების, როგორც მომხმარებლების, ქმედებებს და ქცევებს, მოგზაურობის მოსამზადებელ პერიოდში ან მოგზაურობის დროს.

1.3. ტურიზმი გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, ბუნებრივ და ადამიანის შექმნილ გარემოზე, ვიზიტის დროს მონახულებულ ადგილებზე მცხოვრებ მოსახლეობაზე და თვით ვიზიტორებზე.

1.4. ასეთი მრავალმხრივი გავლენის და დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის გათვალისწინებით, აუცილებელია ტურიზმის განვითარების, მენეჯმენტისა და მონიტორინგისადმი ერთიანი მიდგომა. ამ მიდგომას მხარს უჭერს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) იმისთვის რომ ჩამოყალიბდეს და განხორციელდეს ეროვნული და შიდა ტურიზმის პოლიტიკა.

1.5. სანდო და მრავალფეროვანი სტატისტიკის არსებობა აუცილებელია პოლიტიკოსებისთვის ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად. ტურიზმის სფეროში სხვადასხვა ტიპის ანალიზის ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ საკმარისი და ადეკვატური მონაცემებით, რაც სანდო სტატისტიკის საფუძველია. ეს კი აუცილებელია ტურიზმის სხვადასხვა ასპექტების შეფასებისთვის, ასევე პოლიტიკის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებისთვის.

1.6. ტურიზმის სტატისტიკა აუცილებელია მარკეტინგული სტრატეგიების შექმნის, ინსტიტუტებს შორის ურთიერთობების გაძლიერების, მმართველობითი გადაწყვეტილებების ეფექტიანობისა და ეფექტურობის შეფასებისა და ეროვნულ ეკონომიკაში ტურიზმის როლის გასაზომად.

1.7. *ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები 2008 (საერთაშორისო რეკომენდაციები 2008)* ყურადღებას ამახვილებს ვიზიტორების მიერ განხორციელებულ აქტივობებზე და მათ შეფასებაზე, როგორც მონეტარული, ისე არამონეტარული ინდიკატორებით. მისი მიზანია საერთო ნორმატიული ჩარჩოს შექმნა, რომლითაც ისარგებლებენ ქვეყნები ტურიზმის სტატისტიკის შეგროვების პროცესში.

1.8. *საერთაშორისო რეკომენდაციები 2008-ის* ძირითადი მიზანია წარმოადგინოს განმარტებების, კონცეფციების, კლასიფიკაციების და ინდიკატორების სისტემა, რომელიც შინაგანად თანმიმდევრულია და ამარტივებს კავშირს ტურიზმის სატელიტური ანგარიშების, ეროვნული ანგარიშების და შრომის სტატისტიკის კონცეფტუალურ სახელმძღვანელოებს შორის. გარდა ამისა, მონაცემების წყაროებთან და მონაცემების შეგროვების მეთოდებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები ასევე ხელმისაწვდომია. მას ახლო მომავალში დაემატება გზამკვლევი მონაცემების შეგროვებაზე.

1.9. ამჟამად ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკურ პერსპექტივაზე და ამ პერსპექტივიდან ტურიზმი განისაზღვრება, როგორც ვიზიტორებად მიჩნეული პიროვნებების აქტივობები. ვიზიტორი არის ადამიანი, რომელიც მოგზაურობს გარკვეული პირობებით (იხილეთ პარაგრაფი 2.9), მაგალითად დასვენების, გართობის და რეკრეაციის, ბიზნესის, ჯანმრთელობის, განათლების ან სხვა მიზნებით (იხილეთ პარაგრაფი 3.14).

1.10. ტურიზმი მოიცავს ამ ყველა კატეგორიის ვიზიტორის აქტივობებს. აქტივო-ბების მასშტაბი გაცილებით ფართოა, ვიდრე ტურისტის ტრადიციული აღქმა, რომელიც გულისხმობს მოგზაურობას მხოლოდ დასვენების მიზნით.

1.11. აქტივობები მოიცავს ყველა იმ ქმედებას, რომელსაც ახორციელებენ ვიზიტორები მოგზაურობისათვის მზადების ან თვით მოგზაურობის პროცესში. აქტივობები არ შემოიფარგლება მხოლოდ ისეთი „ტიპიური“ ტურისტული აქტივობებით, როგორიცაა ღირშესანიშნაობების მონახულებება, მზეზე გარუჯვა, ადგილების მონახულება, სპორტულ-ღონისძიებებზე დასწრება ან მასში მონაწილეობა (იხილეთ პარაგრაფი 3.17). ვიზიტორად ყოფნა დროებითი მდგომარეობაა: როგორც კი მგზავრობა სრულდება, პიროვნება კარგავს ვიზიტორის სტატუსს.

1.12. ტურიზმის ეკონომიკური კონტრიბუცია, როგორც მოთხოვნის მხარესთან დაკავშირებული ფენომენი, უნდა გაიზომოს ვიზიტორების საქმიანობიდან და მათ მიერ საქონლისა და მომსახურეობის შესყიდვაზე გავლენიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, ჩვენ მას შეიძლება მიწოდების კუთხიდანაც შევხედოთ და მაშინ ტურიზმი შეიძლება გაგებული იქნას, როგორც პროდუქტიული საქმიანობების ნაკრები, რომელიც ძირითადად ვიზიტორებზეა გათვლილი ან რომელთა ძირითადი პროდუქციის მნიშვნელოვანი წილი მოიხმარება ვიზიტორების მიერ. ეს ორი ასპექტი, ისევე როგორც ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმება, წინამდებარე ნაშრომში განხილვის საგანი იქნება.

## ა. ისტორიული განვითარება

1.13 საერთაშორისო რეკომენდაციების შექმნის პროცესს, რომელიც შეეხება ტურიზმთან დაკავშირებულ კონცეფციებსა და განსაზღვრებებს, ხანგრძლივი ისტორია აქვს. 1937 წელს ერთა ლიგის საბჭომ რეკომენდაცია გაუწია „საერთაშორისო ტურისტის“ განსაზღვრებას სტატისტიკური მიზნებისათვის. 1950 წელს დუბლინში შეხვედრის დროს ეს განსაზღვრება უმნიშვნელოდ შეიცვალა ოფიციალურ მოგზაურობის ორგანიზაციების საერთაშორისო გაერთიანების მიერ (IUOTO). ბოლოს, 1953 წელს, გაერთიანებული ერების სტატისტიკურმა კომისიამ „საერთაშორისო ვიზიტორის“ კონცეფცია განსაზღვრა.

1.14. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციაზე სახელწოდებით საერთაშორისო მოგზაურობა და ტურიზმი (რომი,1963) რეკომენდაცია გაეწია შემდეგი ტერმინების განსაზღვრებას „ვიზიტორი“, „ტურისტი“, და „ექსკურსიონისტი“ IUOTO-ს რეკომენდაციების შემდგომ. 1967 წელს ეს განსაზღვრებები გადაისინჯა გაეროს საერთაშორისო მოგზაურობის სტატისტიკის ექსპერთა ჯგუფის მხრიდან და 1968 წელს გადაეცა გაეროს სტატისტიკის კომისიას. 1976 წელს საერთაშორისო ტურიზმის სტატისტიკის წინასწარი სახელმძღვანელო დამტკიცდა კომისიის მიერ და გავრცელდა 1978 წელს.

1.15. 1980-იან წლებში ტურიზმის მნიშვნელობასა და მის სხვა ეკონომიკურ და სოციალურ საქმიანობებთან კავშირზე ცნობადობა გაიზარდა. UNWTO-მ, გაეროს სტატისტიკის დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, დაიწყო ტურიზმის სტატისტიკაში არსებული დეფინიციებისა და კლასიფიკაციების გადახედვა.



1.16. ეს პროცესი ორი ძირითადი მიმართულებით განვითარდა: პირველი, მოხდა ტურიზმთან დაკავშირებულ კვლევებში გამოყენებული განმარტებების და კლასიფიკაციების მოდიფიცირების შეთავაზება მათი სხვა ეროვნულ თუ საერთაშორისო სტატისტიკურ სისტემებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; მეორე, გადაიდგა ნაბიჯები ტურიზმის ეროვნული ანგარიშების ანალიტიკურ სტრუქტურაში გაერთიანებისათვის.

1.17. 1983 წელს, ნიუ დელიში ჩატარებულ გენერალური ასამბლეის მეხუთე სესიაზე UNWTO-მ გამოსცა ანგარიში, რომელშიც ნათლად ჩანდა თუ როგორ შეიძლებოდა ტურიზმის აღწერა იმ დროისათვის არსებულ ეროვნულ ანგარიშებთან (ეროვნული ანგარიშების სისტემა 1968) დაკავშირებულ რეკომენდაციებში. ანგარიში ხაზს უსვამდა ამ მცდელობის მნიშვნელობას, რადგან ეს იყო ერთიანი და ყოვლისმომცველი გაზომვისა და ეკონომიკის სხვა სექტორებთან შედარების საშუალება. მართალია, ის არ იყო ამ სახით დანერგილი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

1.18. 1991 წელს ოტავაში UNWTO-სა და კანადის მთავრობის მიერ ჩატარებულ მოგზაურობისა და ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო კონფერენციაზე შესაძლებელი გახდა დისკუსია გამართულიყო ამ სფეროში კონკრეტული ქვეყნების, კერძოდ კი საფრანგეთისა და კანადის გამოცდილებაზე. აქვე განიხილეს ტურიზმის ეკონომიკური ანგარიშების სახელმძღვანელო, რომელიც შეიმუშავა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD). შემოთავაზებულ იქნა შიდა და საერთაშორისო ტურიზმთან დაკავშირებული სტატისტიკური და ტურისტული აქტივობების განსაზღვრებები, რომლებიც შესაბამისობაში იყო სხვა საერთაშორისო სტატისტიკურ სტანდარტებთან და რეკომენდაციებთან, ისეთთან როგორიცაა საგადამხდელო ბალანსი, ეროვნული ანგარიშების სისტემა 1993 (მაშინ ჯერ კიდევ განხილვის პროცესში მყოფი) და რეკომენდაციები საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკაზე. გარდა ამისა, ხაზი გაესვა ტურიზმთან დაკავშირებული მონაცემების სისტემის შექმნის საჭიროებას, რომელიც გაერთიანებული იქნებოდა ეროვნული ანგარიშების სისტემასთან.

1.19. 1993 წელს, ეს შემოთავაზებები გადამოწმების და დახვეწის შემდეგ დასამტკიცებლად წარდგენილ იქნა გაეროს სტატისტიკის კომისიის ოცდამეშვიდე სესიაზე ტურისტული აქტივობების სტანდარტულ საერთაშორისო კლასიფიკაციასთან (SICTA) ერთად, რომელიც დამტკიცდა, როგორც წინასწარი კლასიფიკაცია. ტურიზმის სტატისტიკის რეკომენდაციები (კომისიის მიერ 1993 წელს მიღებული და გამოცემული 1994 წელს) წარმოადგენს საერთაშორისო რეკომენდაციების პირველ ნაკრებს, რომელიც შეიქმნა ტურიზმის სტატისტიკის ძირითადი საფუძვლების განსაზღვრისათვის, რაც გულისხმობს კონცეფციებს, განსაზღვრებებს, კლასიფიკაციებსა და ინდიკატორებს.

1.20. განსაზღვრებებისა და კლასიფიკაციების ნაკრები, რომელსაც მოიცავს 1993 წლის რეკომენდაციები, ასახავს სხვა რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეულ სამუშაოს, კერძოდ აღსანიშნავია შემდეგი:

(ა) 1980 წელს გაეროს მიერ გამოცემული რეკომენდაციები საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის თაობაზე, ასევე 1977 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის(IMF)მიერგამოცემულისაგადამხდელობალანსისსახელმძღვანელო და 1993 წლის ეროვნული ანგარიშების სისტემა მაშინ ჯერ კიდევ პირველად ვერსიებს წარმოადგენდა;

(ბ) გაეროს სტატისტიკის დეპარტამენტსა და გაეროს რეგიონულ კომისიებს შორის თანამშრომლობა, ისევე როგორც სხვა რეგიონულ და სუპრანაციონალურ ორგანიზაციებს შორის, როგორიცაა OECD, Eurostat, აზიისა და წყნარი ოკეანის მოგზაურობის ასოციაცია (PATA) და კარიბის ზღვის ტურიზმის ორგანიზაცია (CTO);

(გ) განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების საქმიანობა, გამოცდილება და პრაქტიკა მათი მოსახლეობის მობილობასა და ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მოგზაურობის მახასიათებლებთან დაკავშირებით;

(დ) მაღალგანვითარებული ქვეყნების, მათ შორის ავსტრიის, კანადის, საფრანგეთის, ესპანეთის, შვედეთის, დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის და აშშ-ს საქმიანობები და გამოცდილებები, ტურიზმის ეროვნულ ეკონომიკაში კონტრიბუციასთან დაკავშირებით ადრეული წინადადებების შემუშავება.

1.21. ოტავის კონფერენციის შემდეგ, ტურიზმის სტატისტიკის 1993 წლის რეკომენდაციებში შემოთავაზებული ბევრი ინიციატივა განხორციელდა. გარდა ამისა რიგმა ქვეყნებმა დაიწყეს ან კიდევ უფრო დახვეწეს თავიანთი ტურიზმის სატელიტური ანგარიშები 1993 წლის ეროვნული ანგარიშების სისტემის რეკომენდაციების შესაბამისად. კერძო სექტორში, მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭომ (WTTC) შეიმუშავა საკუთარი ინიციატივები, რომელიც ემსახურებოდა იგივე მიზნებს.

1.22. ზოგიერთმა ქვეყანამ, მათ შორის ავსტრალიამ, კანადამ და აშშ-მ, ჩაატარა ტურიზმის სტატისტიკის არსებული სისტემების შესაბამისობის კვლევა ახალ საერთაშორისო რეკომენდაციებთან, და განახორციელეს ცვლილებები იმისთვის რომ მათი სისტემები უფრო ჰარმონიული ყოფილიყო ახალ სტანდარტებთან.

1.23 ოტავის კონფერენციის შედეგად, UNWTO-მ მიიღო სტატისტიკის პროგრამა იმისთვის რომ ტურიზმის ეროვნული სტატისტიკის განვითარება დაეჩქარებინა 1993 რეკომენდაციების შესაბამისად. შეიქმნა სპეციალური კომისია 36 ქვეყნის წარმომადგენლისაგან და დაინტერესებული საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, რომელსაც ევალებოდა ერთიანი კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავების მონიტორინგი, რომელიც გაერთიანებული იქნებოდა ეროვნული ანგარიშების სისტემასთან, კერძოდ კი ტურიზმის სატელიტურ ანგარიშებთან, ტურიზმის სანდოობის, სხვა ეკონომიკური და სოციალური საქმიანობების შეფასების შედარების უზრუნველსაყოფად.

1.24. მომდევნო წლებში UNWTO-მ გააძლიერა ტურიზმის სტატისტიკის განვითარების პოპულარიზაცია. ორგანიზებულ იქნა ცხრა რეგიონული ფორუმი: პრაღაში (1992) და ვარშავაში (1995) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, დამასკოში (1995) შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის, მოსკოვში (1996) რუსეთის ფედერაციაში შემავალი ქვეყნებისათვის, ჯაკარტაში (1996) წყნარი ოკეანისა და სამხრეთ აზიის ქვეყნებისათვის, კინგსტონში კარიბის ზღვის ქვეყნებისათვის, ქაიროში (1997) აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის, თირუვანანთაფურამში, ინდოეთში (1998) აზიის ქვეყნებისათვის და მექსიკო სითიში (1998) ამერიკის ქვეყნებისათვის. ამასთან, ქვეყნების ტექნიკური დახმარება გაძლიერდა სემინარებისა და რეგიონული სამუშაო ჯგუფების დახმარებით, ორმხრივი მისიების მივლინებით ქვეყნებში და ტექნიკური სახელმძღვანელოების საშუალებით, რომლებიც შეიცავდნენ ინსტრუქციებს 1993 წლის რეკომენდაციების დანერგვასთან დაკავშირებით.

1.25 1980-იანების შუაში OECD-ში დაიწყო მუშაობა ეროვნული ანგარიშების ანალიტიკურ ჩარჩოსთან დაკავშირების მიმართულებით. მონაცემების შეგროვება და ანალიზი ტურიზმის ეკონომიკური ანგარიშების პოლიტიკაზე ორიენტირებული ჩარჩოს ფარგლებში დაიწყო 1991 წელს. ამ მოვლენების საფუძველზე, OECD-მ წევრ ქვეყნებს მიაწოდა მიმდინარე ინსტრუქციები თუ როგორ უნდა მომხდარიყო შესადარისი საერთაშორისო ანგარიშების შექმნა, ეროვნული ანგარიშების პრინციპების გამოყენებით და ტურიზმის დანახარჯის სხვა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ასპექტებთან კავშირის ხაზგაზმით, როგორიცაა დასაქმება. 1997 წელს OECD-ის ტურიზმის კომიტეტმა გააკეთა პირველი შეთავაზება OECD-ის ქვეყნებისათვის ტურიზმის სატელიტური ანგარიშების შექმნის თაობაზე.



1.26. Eurostat-მა ასევე შეიმუშავა პროგრამები და ჩაატარა კვლევები ტურიზმის სტატისტიკაზე ევროკავშირში. მან მოამზადა ტურიზმის სტატისტიკის მეთოდოლოგია, ტურიზმის სტატისტიკის 1993 წლის რეკომენდაციებთან შესაბამისობაში, და ადაპტირება გაუკეთა წევრი ქვეყნების სპეციფიურ საჭიროებებთან და კონტექსთან. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ევროკავშირის საბჭოს 1995 წლის დირექტივა ტურიზმის სფეროში სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვების თაობაზე, რომლის მიზანი იყო წევრი ქვეყნების მიერ მოგროვებული სტატისტიკური მონაცემების ჰარმონიულობა და გაუმჯობესება. ეს ასევე შეიძლება შეფასდეს, როგორც პირველი სამართლებრივი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა ტურიზმის მოთხოვნა/მიწოდებაზე ინფორმაციის გაერთიანებული სისტემის შექმნის მიმართულებით.

1.27.1999წ.ივნისშინიცაშიტურიზმისეკონომიკურიგავლენისშეფასებაზეჩატარებულმა ენცო პაცის მსოფლიო კონფერენციამ UNWTO-ს მისცა შესაძლებლობა ტურიზმის სატელიტურ ანგარიშებზე-ახალ საერთაშორისო რეკომენდაციებზე ჩატარებული შრომა წარმოედგინა. ეს შემოთავაზება განიხილეს UNWTO-OECD-Eurostat-ის სამდივნოთაშორის სამუშაო ჯგუფში კონფერენციის რეზოლუციებთან შესაბამისად. ამან შექმნა საფუძველი იმისთვის, რომ დოკუმენტი მიღებული ყოფილიყო გაეროს სტატისტიკის კომისიის მიერ მის ოცდამეთერთმეტე სესიაზე. ის გამოიცა 2001 წელს სახელწოდებით „ტურიზმის სატელიტური ანგარიშების (TSA) რეკომენდირებული მეთოდოლოგიური ჩარჩო“. ამ პროცესის შედეგად, ყველა ორგანიზაცია შეთანხმდა, რომ ისინი მზად იყვნენ მსგავსი ჩარჩოს დანერგვის ხელშეწყობისათვის თავიანთ წევრ ქვეყნებში.

1.28 ტურიზმის სატელიტური ანგარიშების კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნა, რომელიც დაეფუძნებოდა ტურიზმის განსაზღვრებებს, კონცეფციებს და 1993 წლის ეროვნული ანგარიშების სისტემას შორის მკაფიოდ გამოხატულ სტრუქტურულ კავშირებს, ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის საგადამხდელო ბალანსის მეხუთე გამოცემას, მოითხოვდა ცვლილებებს 1993 წლის ტურიზმის სტატისტიკის რეკომენდაციებში, განსაკუთრებით კი იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა ვიზიტორებისა და ტურიზმის მოხმარების მასშტაბებს.

1.29. თუმცა, იმ დროისათვის როცა დამტკიცდა ტურიზმის სატელიტური ანგარიშები შეუძლებელი იყო 1993 წლის ტურიზმის სტატისტიკის რეკომენდაციების გადასინჯვა ტურიზმის სატელიტურ ანგარიშებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. შედეგად გადაიდო გადასინჯვის პროცესი.

## ბ. 2008 წლის ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციების შემუშავების პროცესი

1.30. საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე, ტურიზმი სულ უფრო და უფრო აღიქმებოდა, როგორც ეკონომიკური საქმიანობის პერსპექტიული სფერო, რომელიც შეიძლებოდა გამხდარიყო სიღარიბის დაძლევისა და მდგრადი განვითარების სტუქტურული ნაწილი, გარდა მისი უკვე აღიარებული როლისა საერთაშორისო ვაჭრობის გლობალური კონკურენტუნარიანობის დაჩქარებაში, ქონების შექმნასა და რეგიონულ განვითარებაში. UNWTO-ის როლი ამ კონტექსტში აღნიშვნის ღირსია. ეს როლი აღიარებულ იქნა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ 2004 წელს, როდესაც ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია გარდაიქმნა გაეროს სპეციალიზებულ სააგენტოდ და დაიწყო საერთაშორისო კოორდინირების მექანიზმში მონაწილეობის მიღება, სადაც ყველა ორგანიზაცია მხარს უჭერდა ტურიზმის სტატისტიკის კრებულის შედგენას. იხილეთ ჩანართი 1.1

1.31. ტურიზმის სტატისტიკასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტატისტი-კური სტანდარტების განახლებისა და მიმოხილვის კონტექსტში (როგორიცაა 1993 ეროვნული ანგარიშების სისტემის საგადამხდელო ბალანსის სახელმძღვანელო, მეხუთე გამოცემა, პროდუქტების ცენტრალური კლასიფიკაცია (CPC, ვერსია. 1) და ყველა ეკონომიკური საქმიანობის ინდუსტრიული კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტი და საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის სახელმძღვანელო) გადაწყდა, რომ გადასინჯულიყო 1993 წლის რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკაზე.

1.32. 1993 წლის რეკომენდაციების რევიზიის პროცესმა მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღო ტურიზმის სტატისტიკის უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად. ეს ჯგუფი შეიქმნა 2004 წელს გაეროს სტატისტიკის კომისიის მოთხოვნით (გაერთიანდა გაეროს სტატისტიკის დეპარტამენტი, OECD, Eurostat, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) და UNWTO). მისი სამუშაო მოიცავდა იმ საკითხების იდენტიფიცირებას, სადაც კოორდინირება იყო საჭირო ტურიზმის სატელიტური ანგარიშების განახლებისა და მაკროეკონომიკური ჩარჩოების კონცეპტუალური ნაკლოვანებების დაძლევისთვის ყველასთვის მისაღები გადაწყვეტის მისაღებად.

ჩანართი 1.1

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის კომპეტენციები სტატისტიკის კუთხით

*მუხლი 13. სტატისტიკური სერვისები*

1. გაერო და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია თანმხდებიან, რომ მაქსი-მალურად ითანამშრომლებენ, აღმოფხვრიან ყველა არასასურველ დუბლირებას და ეფექტურად გამოიყენებენ კადრებს სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის, გამოქვეყნებისა და გავრცელების პროცესებში. ისინი თანხმდებიან რომ გააერთიანებენ მცდელობებს სტატისტიკური ინფორმაციის სარგებლიანობისა და გამოყენების გაზრდისათვის, უზრუნველყოფენ შესაბამის სტატისტიკურ ინიციატივებს შორის მჭიდრო კოორდინაციას და შეამსუბუქებენ ტვირთს იმ მთავრობებსა და ორგანიზაციებზე, რომელთაგანაც ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს შეგროვებული.

2. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია აღიარებს, რომ გაერო არის მთავარი ორგანო, რომელიც აგროვებს, აანალიზებს, აქვეყნებს, სტანდარტებში აქცევს და აუმჯობესებს ტურისტულ სტატისტიკას, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგად მიზნებს ემსახურება.

3. გაერო აღიარებს, რომ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია არის შესაფერისი ორგანიზაცია საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ტურიზმის სტატისტიკის შესაგროვებლად, გასაანალიზებლად, გამოსაქვეყნებლად, სტანდარტიზაციისა და გაუმჯობესებისათვის და იგი ხელს უწყობს ამ სტატისტიკების ინტეგრაციას გაეროს სისტემის სფეროს ფარგლებში.

წყარო: გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 58/232, გაეროსა და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციას შორის ხელშეკრულება



1.33. ასევე შემუშავდა დამატებითი ინიციატივები: პირველი, 2006 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე პერიოდში ელექტრონულ ფორუმზე UNWTO-მ წარმოადგინა რამდენიმე წინადადება სადისკუსიოდ. შემდგომ, 2006 წლის ივლისში მადრიდში ჩატარდა საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა თემაზე ტურიზმის სტატისტიკა, რომელსაც სპონსორობას უწევდა გაეროს სტატისტიკის დეპარტამენტი
და UNWTO. ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 79 მონაწილემ, რომელიც 33 ქვეყანას და 7 საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციას წარმოადგენდა. მისი მიზანი ტურიზმის სტატისტიკის რეკომენდაციების განახლების თაობაზე წინადადებების, რეკომენდაციებისა და შემოთავაზებების შეგროვება იყო. UNWTO-ს სტატისტიკისა და ტურიზმის სატელიტური ანგარიშების კომიტეტი აქტიურად მონაწილეობდა განახლების პროცესში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წერის პროცესში, განსაკუთრებით კი 2007 წლის მარტში ლისაბონში ჩატარებულ სპეციალური სესიის დროს. *საერთაშორისო რეკომენდაციები 2008-ის* პირველადი ვერსია მსოფლიო მასშტაბით მსჯელობის საგნად იქცა 2007 წლის მაის-ივნისში. ეს ვერსია განიხილა და მიიღო ტურიზმის სტატისტიკის გაეროს დროებითმა საექსპერტო ჯგუფმა, რომელიც შეიკრიბა ნიუ იორკში 2007 წლის 25-28 ივნისს.

1.34. ამ პუბლიკაციაში ნახსენები კონცეფციები, კლასიფიკაციები და ინდიკა-ტორები ეფუძნება შემდეგ კრიტერიუმებს:

(ა) დეფინიციები და კლასიფიკაციები უნდა იყოს პრაქტიკაში გამოყენებადი, როგორც განვითარებული ისე განვითარებადი ქვეყნებისათვის;

(ბ) ისინი ასევე უნდა იყვნენ:

- შესაბამისობაში იმ განმარტებებთან და კლასიფიკაციებთან, რომლე-ბიც გამოიყენება ეროვნულ ანგარიშებში, საგადამხდელო ბალანსში, მომსა-ხურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკაში და მიგრაციისა და საყო-ფაცხოვრებო სტატისტიკაში. ამასთან გამოყენებული კლასიფიკაციები უნდა იმოწმებდნენ ორ მნიშვნელოვან საერთაშორისო ეკონომიკურ კლასიფიკა-ციას: ცენტრალური პროდუქტის კლასიფიკაციას (CPC) და ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის ინდუსტრიული კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტს (ISIC);
- გამოყენებადი ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ტურიზმის აღწერისა და ანალიზისათვის;
- კონცეპტუალურად ზუსტი;
- გაზომვადი ვიზიტორებისა და მათი მომსახურების სტატისტიკური აღწერის სირთულეების პირობებში.

1.35. მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის ეროვნული სტატისტიკის განვი-თარება არათანაბარია და რესურსები (როგორც ადამიანური, ისე ფინანსური) განსხვავებულია ქვეყნებს შორის, აუცილებელია საერთაშორისო მასშტაბით შედარებითობის გაძლიერება. შედეგად, ქვეყნებს რეკომენდაცია ეძლევათ, რომ შეაგროვონ მოთხოვნასა და მიწოდების შესახებ ტურისტული სტატისტიკა, რომელიც შესაბამისობაში იქნება *2008 წლის საერთაშორისო რეკომენდაციებთან*, იმისთვის რომ უზრუნველყონ გაუმჯობესებული საინფორმაციო ეროვნული ბაზის შექმნა ტურიზმისა და მისი ეკონომიკური წვლილის ანალიზისათვის.

1.36. *2008 წლის საერთაშორისო რეკომენდაციებში* წარმოდგენილი კონცე-ფციები, კლასიფიკაციები და ინდიკატორები უნდა იყოს აღქმული, როგორც ტურიზმის სტატისტიკის სისტემის მნიშვნელოვანი საფუძველი. ისინი გამოყენებულ უნდა იქნან, როგორც ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის კოორდინაციის, შეთანხმებისა და ინტერპრეტაციის დროს დამოწმებული წყარო. თუმცა ეს ინფორმაცია შეიძლება სცდებოდეს ამ რეკომენდაციების გავრცელების ჯერ კიდევ შეზღუდულ არეალს.

1.37. ტურიზმის სტატისტიკის სისტემის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული მეორე საერთაშორისო რეკომენდაციების განხორციელებასთან, რომელიც დამტკიცებულ იქნა გაეროს სტატისტიკის კომისიის მიერ ტურიზმის სატელიტური ანგარიშების შეგროვების დროს გამოსაყენებლად. ამ მიდგომას მოკლედ გვაცნობს თავი 8. ტურიზმის სატელიტური ანგარიშები გვთავაზობს კონცეპტუალურ ჩარჩოს და ორგანიზაციულ სტრუქტურას ტურიზმის ძირითადი სტატისტიკის შესათანხმებლად სექტორს შიგნით, ისე როგორც სხვა ეკონომიკურ სტატისტიკასთან. აქედან გამომდინარე, ის უნდა განვიხილოთ როგორც ინსტრუმენტი, რომელიც დაეხმარება ქვეყნებს მონაცემებში ხარვეზების იდენტიფიცირებაში და უხელმძღვანელებს მათ როგორც არსებული მონაცემთა წყაროების გადასინჯვაში, ასევე ახალი წყაროების განვითარებაში.

1.38. ტურიზმის სტატისტიკის ძირითადი ცვლადების (მოგზაურობა, ვიზიტორები, ხარჯები, ტურიზმის მიწოდება, დასაქმება და ა.შ.) შეფასების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას ტურიზმის კომპლექსურობა, რაც გამოწვეულია მისი მრავალაზროვანი ბუნებით. ის ასევე უნდა შეესაბამებოდეს ტურიზმის ყველა განსხვავებული ფორმის მახასიათებლებს.

## გ) დოკუმენტის სტრუქტურა

1.39. 2008 წლის საერთაშორისო რეკომენდაციები შემდეგნაირად არის ორგანიზებული: ზოგადი შესავლის შემდეგ (თავი 1), თავი 2 გვაცნობს ტურიზმს, როგორც მოგზაურობის სახეობას, და უფრო დეტალურად განსაზღვრავს მასთან დაკავშირებულ კონცეფციებსა და ტერმინოლოგიას, როგორიცაა რეზიდენტობის ქვეყანა, საცხოვრებელი ადგილი და ჩვეული გარემო. ის ასევე განმარტავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა ტურისტული მგზავრობები და ვიზიტები და გვაცნობს ტურიზმის სხვადასხვა ფორმას.

1.40. თავი 3 ეძღვნება ვიზიტორებისა და ტურისტული მგზავრობების დახა-სიათებას. ეს ორივე ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ვიზიტორთა ნაკადების ანალიტიკური მიდგომისათვის.

1.41. თავი 4 გვაცნობს ვიზიტორთა აქტივობებს ტურისტული დანახარჯების თვალსაზრისით.

1.42. თავი 5 წარმოგვიდგენს პროდუქტებისა და პროდუქტიული საქმიანობის სტანდარტულ კლასიფიკაციას, რომლებიც უნდა იყოს გამოყენებული ეროვნულ დონეზე მოთხოვნისა და მიწოდების მიდგომების კვლევების ჰარმონიზაციისათვის. კლასიფიკაცია ასევე საშუალებას იძლევა შემუშავდეს საერთაშორისო დონეზე შესადარისი ეკონომიკური საზომები და აგრეგატები, ასევე მოხდეს პროდუქტების და პროდუქტიული საქმიანობების გარკვეულ დონეზე ჩაშლა.

1.43 თავი 6 განმარტავს დაწესებულებებს ტურიზმის ინდუსტრიაში, რომელთა ძირითადი საქმიანობა არის ტურიზმთან ასოცირებული აქტივობები და ის გვაწვდის ინფორმაციას ისეთი პროდუქტიული საქმიანობის შესახებ, რომელიც საინტერესო იქნება ტურიზმის ანალიზის პერსპექტივისთვის.

1.44. დასაქმება ეროვნულ ეკონომიკაში ტურიზმის მნიშვნელობის ანალიზი-სათვის გადამწყვეტი ასპექტია. თავი 7 აღწერს ტურისტულ ინდუსტრიებში დასაქმების კონცეფციებსა და დეფინიციებს და მათ საბაზისო კატეგორიებს, ძირითად კლასიფიკაციებსა და საზომებს.

1.45. თავი 8 მოკლედ აღწერს ტურიზმის სატელიტურ ანგარიშს და განიხი-ლავს მის შესაძლო გავრცობას საერთაშორისო რეკომენდაციები 2008 საფუძველზე, მაგალითად გარე ტრანზაქციების (საგადამხდელო ბალანსი) შეფასებასთან დაკავშირება, ტურიზმის სტატისტიკის რეგიონალურ დონეზე გაფართოება და ტურიზმის მდგრადობის საკითხი.



1.46. თავი 9 ეხება დამატებით საკითხებს, რომელთა შორისაა ტურიზმის სტატისტიკის გავრცელება და ხარისხი.

1.47. ბოლოს, დოკუმენტი შეიცავს ინდექსს, ტერმინების განმარტებას და ოთხ დანართს. ტერმინთა განმარტება შეგვახსენებს საერთაშორისო რეკომენდაციებში 2008 გამოყენებულ ძირითად განმარტებებსა და კონცეფციებს და ეფუძნება საგადამხდელო ბალანსის სახელმძღვანელოსა თუ ეროვნული ანგარიშების სისტემაში მიღებულ საერთაშორისო დეფინიციებს, ან ტურიზმის კონცეფციების განმარტებებს, რომლებიც წარმოდგენილია საერთაშორისო რეკომენდაციებში 2008. დანართი 1 აღწერს საერთაშორისო რეკომენდაციები 2008-სა და 1993 წ. რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკას შორის ძირითად განსხვავებებს. მომდევნო დანართები 2-4 წარმოგვიდგენენ საერთაშორისო მასშტაბით შესადარებელ ტურიზმთან ასოცირებულ პროდუქტებსა და ტურიზმთან ასოცირებულ აქტივობებს.

თავი 2

# მოთხოვნის პერსპექტივა: ძირითადი კონცეფციები და განმარტებები

2.1. ტურიზმი არის ფენომენი, რომლის სტატისტიკურ ასახვასაც, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული გამოწვევები ახლავს თან. ტურიზმის ინდიკატორების უმეტესობა ფიზიკური (არა-მონეტარული) ხასიათისაა და ძირითადი აქცენტი შემომყვან ტურიზმთან ასოცირებულ ტურისტული ნაკადების აღწერასა და გაზომვაზე კეთდება. ასეთი ინფორმაციის მნიშვნელოვნების შემცირების გარეშე, წარმოდგენილი რეკომენდაციები ამ მასშტაბს უფრო გააფართოებს.

2.2. ამ თავის მიზანია:

- ტურიზმის, როგორც მოგზაურობის შემადგენელი ნაწილის განსაზღვრა;
- ვიზიტორებისა და ტურისტული მგზავრობების განმარტებისათვის კონცეპტუალური ფონის გაუმჯობესება;
- ტურიზმის სხვადასხვა ფორმების დადგენა;
- რეკომენდაციების წარმოდგენა ვიზიტორთა ნაკადების გაზომვასთან დაკავშირებით.

2.3. ზოგადი დაკვირვების შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ *საერთაშორისო რეკომენდაციები 2008-ში:*

(ა) ტერმინი „ქვეყანა“ შეიძლება ჩანაცვლდეს ახალი გეოგრაფიული ტერმინი „ადგილის“ გამოყენებით (ან რეგიონი, მუნიციპალიტეტი და სხვა ადგილობრივი გეოგრაფიული ლოკაცია);
(ბ) ტერმინი „გრძლევადიანი“ გამოიყენება, როგორც ერთი ან მეტი წლის ექვივალენტად, ხოლო „მოკლევადიანი“ წელიწადზე ნაკლების მნიშვნელობით.

## ა. მოგზაურობა და ტურიზმი

2.4. **მოგზაურობა** არის მოგზაურთა აქტივობა. **მოგზაური** არის პიროვნება, რომელიც გადაადგილდება გეოგრაფიულ ადგილებს შორის სხვადასხვა მიზნითა და ხანგრძლივობით.

2.5. **შიდა მოგზაურობა** ეწოდება ქვეყნის ფარგლებში ამავე ქვეყნის რეზიდენტ-თა გადაადგილებას. არარეზიდენტების მოგზაურობას ქვეყანაში ეწოდება **შემომყვანი მოგზაურობა**, ხოლო რეზიდენტების ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოგზაურობას შესაბამისად ეწოდება **გამყვანი მოგზაურობა.**

2.6. მათ, ვინც მონაწილეობს შიდა, შემომყვან ან გამყვან მოგზაურობაში, შესაბამისად ეწოდებათ შიდა, შემომყვანი და გამყვანი მოგზაურები.

2.7. მგზავრობა ეწოდება პიროვნების მოგზაურობას მისი ჩვეული რეზიდენ-ტობის ადგილიდან უკან დაბრუნებამდე: ამგვარად იგი ორმხრივ მგზავრობას გულისხმობს. მგზავრობა სხვადასხვა ადგილების მონახულებების ერთობლიობაა. (იხ. პარაგრაფი 2.33).

2.8. **შემომყვანი მგზავრობა** ნიშნავს მოგზაურობას ქვეყანაში ჩასვლის მომენ-ტიდან ქვეყნის დატოვებამდე, ხოლო **შიდა ან გამყვანი მგზავრობა** გულისხმობს მოგზაურობას რეზიდენტობის ადგილიდან უკან დაბრუნებამდე. შიდა მგზავრობის დროს მოგზაურის მთავარი დანიშნულების ადგილი რეზიდენტობის ქვეყნის ფარგლებშია, ხოლო გამყვანი მგზავრობისას მთავარი დანიშნულების ადგილი ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთაა (იხილეთ პარაგრაფი 2.31).



2.9. **ვიზიტორი** არის მოგზაური, რომელიც მგზავრობს მთავარი დანიშნულების ადგილისკენ ჩვეული გარემოს გარეთ, ერთ წელზე ნაკლები ვადით, ნებისმიერი მთავარი მიზნით (ბიზნესი, დასვენება, ან პირადი მიზეზები) გარდა დანიშნულების ქვეყანაში ან დანიშნულების ადგილზე არსებულ დაწესებულებაში დასაქმებისა. ვიზიტორების მიერ განხორციელებული მსგავსი მგზავრობები ითვლება ტურისტულ მგზავრობად. ტურიზმი ვიზიტორების აქტივობას ეწოდება.

2.10. შიდა, შემომყვან ან გამყვან მოგზაურს, რომელიც იმყოფება ტურისტულ მგზავრობაში, შესაბამისად ეწოდება შიდა, გამყვანი და შემომყვანი **ვიზიტორი**.

2.11. შიდა, გამყვან ან შემომყვან ვიზიტორების მოგზაურობას შესაბამისად ეწოდება, შიდა, გამყვანი ან შემომყვანი **ტურიზმი**.

2.12. მაშასადამე **ტურიზმი** არის **მოგზაურობის**, ხოლო **ვიზიტორები მოგზა-ურების** განშტოება. ეს განსხვავებები კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს მოგზაურთა და ვიზიტორთა შესახებ მონაცემების შეგროვებისას და ტურიზმის სტატისტიკის სანდოობის უზრუნველყოფისას.

2.13. ვიზიტორი (შიდა , გამყვანი ან შემომყვანი) კლასიფიცირდება როგორც **ტურისტი** (ან **ვიზიტორი ღამისთევით**) თუკი მისი მგზავრობა მოიცავს ღამისთევას, ან როგორც **ერთდღიანი ვიზიტორი** (ანუ **ექსკურსანტი**) სხვა შემთხვევაში.

## ბ. კონცეპტუალური საფუძველი

2.14. ტურიზმის სტატისტიკის ძირითადი კონცეფციები შემდეგია (ასევე იხილეთ სექცია „ ტერმინთა განმარტება“):

- ეკონომიკური მოცემულობა; მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორია;
- რეზიდენტობა: რეზიდენტობის ქვეყანა, ჩვეული რეზიდენტობის ადგილი (ქვეყნის შიგნით);
- მოქალაქეობა და ეროვნება;
- ინდივიდის ჩვეული გარემო;
- ტურისტული მგზავრობები და ვიზიტები;
- ტურიზმი და დასაქმება ვიზიტის განხორციელების ადგილზე მდებარე დაწესებულებაში.

### ბ.1. ეკონომიკური ტერიტორია და ეკონომიკა

2.15. ტურიზმთან დაკავშირებული აქტივობების გეოგრაფიული და ეკონო-მიკური კავშირების ორაზროვნების გარეშე დასადგენად, საჭიროა გამოყენებული ტერმინოლოგიის ზუსტი განსაზღვრება. ტერმინი „ეკონომიკური ტერიტორია“ არის გეოგრაფიული მოცემულობა და მიუთითებს იმ ქვეყანაზე, რომლისთვისაც გაკეთდა გაზომვა (მოცემული ქვეყანა). „ეკონომიკა“ (ან „მოცემული ეკონომიკა“) არის ეკონომიკური ტერმინი, რომელიც განისაზღვრა ისევე, როგორც საგადამხდელო ბალანსში და ეროვნული ანგარიშების სისტემაში. ეს გულისხმობს ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც არიან რეზიდენტები მოცემულ ქვეყანაში.

*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი. საგადამხდელო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციების სახელმძღვანელო, მეექვსე გამოცემა (BPM6), გამოცემის სამუშაო ვერსია (2008 წლის დეკემბერი).*

**ჩანართი 2.1**
**ეკონომიკური ტერიტორია და ეკონომიკა**

4.3. ფართო გაგებით, ეკონომიკური ტერიტორია შეიძლება იყოს ნებისმიერი გეოგრაფიული ადგილი ან იურისდიქცია, რომლისთვისაც საჭიროა სტატისტიკის წარმოება. ორგანიზაციების კავშირი გარკვეულ ეკონომიკურ ტერიტორიასთან განისაზღვრება ისეთი ასპექტებით, როგორიცაა ფიზიკური მდებარეობა და ამ ტერიტორიის მთავრობის იურისდიქციის დაქვემდებარებაში ყოფნა. [...]

4.11. ეკონომიკა შედგება ყველა იმ ინსტიტუციური ერთეულისაგან, რომელიც არსებობს ამ სპეციფიკურ ეკონომიკურ ტერიტორიაზე. [...]

## ბ.2. რეზიდენტობა: რეზიდენტობის ქვეყანა, ჩვეული რეზიდენტობის ადგილი (ქვეყნის შიგნით)

2.16. რეზიდენტობის კონცეფცია შესაძლებლობას გვაძლევს მოვახდინოთ ვიზიტორების მათი წარმოშობის ადგილისა და მათი დანიშნულების ადგილის მახასიათებლების მიხედვით კლასიფიკაცია. ამით საშუალება გვეძლევა განვასხვავოთ ტურიზმის სხვადასხვა ფორმები.

2.17. შინამეურნეობის რეზიდენტობის ქვეყნა განისაზღვრება ანალოგიურად, როგორც საგადამხდელო ბალანსში და ეროვნული ანგარიშების სისტემაში (იხილეთ ჩანართი 2.2). ამ ჩარჩოებში გამოყოფილი ყველა გამონაკლისი და განსაკუთრებული შემთხვევა იგივეა ტურიზმის სტატისტიკისათვისაც. შედეგად, შესაძლებელი ხდება სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების შეჯერება და შეთანხმება და კოორდინირებული მუშაობა ისეთ თემებზე, როგორიცაა ტურისტული ნაკადების გაზომვა და საერთაშორისო ვიზიტორებისა და მოგზაურების ხარჯები.

2.18. კვლევის კონტექსტში და შიდა ტურიზმის რეგიონალურ დონეზე გაზომვისათვის, **რეკომენდირებულია** აღებული ქვეყნის რეზიდენტების კლასიფიცირება მოხდეს მათი ჩვეული რეზიდენტობის ადგილის მიხედვით, როგორც ეს განისაზღვრება შინამეურნეობების კვლევაში. (იხილეთ ჩანართი 2.3) ჩვეული რეზიდენტობის ადგილის განსაზღვრა არ არის ყოველთვის სწორხაზოვანი, რადგანაც ზოგიერთი პიროვნება შეიძლება იმყოფებოდეს დიდი ხნის განმავლობაში ერთდროულად ერთზე მეტ ადგილას (მაგ, პენსიონერები) და ამგვარად ჰქონდეს ძლიერი კავშირი ერთზე მეტ ადგილობრივ ეკონომიკასთან (იხილეთ ჩანართი 2.2).

## ბ.3. ეროვნება და მოქალაქეობა

2.19 მოგზაურის „რეზიდენტობის ქვეყნის“ კონცეფცია განსხვავდება მისი ეროვნებისა და მოქალაქეობისაგან. მოგზაური, როგორც წესი არის იმ ეროვნების ან იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელიც გასცემს მის პასპორტს, ან სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტს, თუნდაც იგი სხვა ქვეყანაში ცხოვრობდეს. მოგზაურს შეიძება ჰქონდეს ერთ პასპორტზე მეტი და მაშასადამე ერთზე მეტი მოქალაქეობა. ზოგიერთ ქვეყანაში, საზღვარზე ან სხვაგან სტატისტიკური ოპერაციების განხორციელებისას, მხოლოდ იმ ეროვნების გათვალისწინება ხდება, რომელიც პასპორტშია აღნიშნული.



**ჩანართი 2.2**
**შინამეურნეობების რეზიდენტობის ადგილი**

4.116. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების უმრავლესობას ძლიერი კავშირები მხოლოდ ერთ ეკონომიკასთან აქვს, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადამიანებს აქვთ მნიშვნელოვანი ინტერესები ორ ან ორზე მეტ ეკონომიკურ ტერიტორიებში. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საცხოვრებლის მდებარეობა, დასაქმება, აქტივების შენახვა, მოქალაქეობა, მიგრაციის სტატუსი, საშემოსავლო გადასახდის სტატუსი, შემოსავლის მიღება, ხარჯვა, ბიზნეს ინტერესები და მასზე დამოკიდებული ოჯახის წევრების ადგილმდებარეობა, შეიძლება სხვადასხვა ეკონომიკებზე მიუთითებდეს[...]

4.117. შინამეურნეობა არის რეზიდენტი იმ ეკონომიკური ტერიტორიისა, სადაც შინამეურნეობების წევრებს აქვთ ან აპირებენ, რომ იქონიონ საცხოვრებელი ან საცხოვრებლები, რომელსაც შინამეურნეობის წევრები აღიქვამენ და იყენებენ, თავიანთ ძირითად საცხოვრებელ ადგილად. ერთი ან მეტი წლის განმავლობაში ერთ ტერიტორიაზე ყოფნა ან განზრახვის ქონა ამ ტერიტორიაზე ერთი ან მეტი წლის განმავლობაში ცხოვრებისა, საკმარისია იმისათვის, რომ ეს ტერიტორია ძირითად საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს. თუკი ბუნდოვანია თუ რომელია ძირითადი საცხოვრებელი ადგილი, მაშინ მისი დადგენა ხდება გატარებული დროის ხანგძლივობით, და არა რაიმე სხვა ფაქტორებით, როგორიცაა სხვა ოჯახის წევრების ყოფნა, ღირებულება, ზომა, ან მიველინების ვადა.

4.118. ინდივიდები, რომლებიც ერთ შინამეურნეობას მიეკუთვნებიან, უნდა იყვნენ ერთიდაიგივე ტერიტორიის რეზიდენტები. თუკი შინამეურნეობის რომელიმე წევრი აღარ ცხოვრობს იმ ტერიტორიაზე, სადაც მისი დანარჩენი ოჯახის წევრები ცხოვრობენ, იგი აღარ არის ამ შინამეურნეობის წევრი. ასეთი მნიშვნელობით შინამეორნეობის გამოყენება, როგორც ინსტიტუციური ერთეულისა არის თავსებადი რეზიდენტობასთან, რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალური შემთხვევებით. 4.119. ძირითადი პრინციპების გარდა, სხვა ფაქტორებიც გამოიყენება გარკვე-ული კატეგორიის რეზიდენტობის განსაზღვრისას. [...]

*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი. საგადამხდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობის სახელმძღვანელო. მეექვსე გამოცემა (BPM6), წინასაგამოცემო ვერსია (2008 წლის დეკემბერი)*

**ჩანართი 2.3**
**ჩვეული რეზიდენტობის ადგილი**

ჩვეული რეზიდენტობის ადგილი არის გეოგრაფიული ადგილი, სადაც კონკრეტული ადამიანიჩვეულებრივცხოვრობს...მიუხედავადიმისა,რომადამიანებისუმეტესობისათვის სირთულეს არ წარმოადგენს ჩვეული რეზიდენტობის ადგილის დასახელება, შეიძლება გარკვეული გაუგებრობა გამოიწვიოს ზოგმა შემთხვევამ, როდესაც ადამიანებს აქვთ ერთზე მეტი ჩვეული რეზიდენტობის ადგილი...

*წყარო: გაეროს მოსახლეობისა და საცხოვრებლის აღწერების პრინციპები და რეკომენდაციები (გაეროს პუბლიკაცია, პარაგრაფი 2.20 და 2.21)*

მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციის სტატისტიკაში ხშირად გამოიყენება, მოქალაქეობის კონცეფცია არ არის ტურიზმის სტატისტიკის დეფინიციისას აუცილებელი ნაწილი.

2.20. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნება მითითებულია მოგზაურის პასპორტში (ან სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტში), რეზიდენტობის ქვეყანა უნდა დადგინდეს კითხვის შედეგად (ხშირად საცხოვრებელი ადგილის მისამართის მითითებით, თუმცა ეს შეიძლება არ იყოს საკმარისი (იხილეთ ჩანართი 2.2)). **რეკომენდირებულია** მოგზაურების (და ვიზიტორების) კლასიფიკაცია მათი რეზიდენტობის ქვეყნის მიხედვით.

## ბ.4. ინდივიდის ჩვეული გარემო

2.21. ინდივიდის **ჩვეული გარემო,** ტურიზმში ძირითადი კონცეფცია, განისაზღვრება, როგორც გეოგრაფიული არეალი (თუმცა არ არის აუცილებელი იყოს მუდმივი), რომლის ფარგლებშიც ინდივიდი აწარმოებს რეგულარულ, რუტინულ ცხოვრებას.

2.22. ეს დახასიათება ექსკლუზიურად ინდივიდს უკავშირდება და ავსებს რეზიდენტობის ქვეყნის კონცეფციას, რომელიც გამოიყენება ეროვნულ ანგარიშებში და საგადამხდელო ბალანსში (იხილეთ ჩანართი 2.2) და ასევე შინამეურნეობების სტატისტიკაში გამოყენებულ ჩვეულ რეზიდენტობის ადგილს.

2.23. ჩვეული გარემოს კონცეფციის შემოტანის მიზანი ვიზიტორებიდან იმ მოგზაურების გამორიცხვაა, რომლებიც რეგულარულად გადაადგილდებიან თავიანთი ჩვეული რეზიდენტობის ადგილიდან სამუშაო ან სასწავლო დაწესებულებამდე, ან ხშირად სტუმრობენ ადგილებს ცხოვრებისეული რუტინიდან გამომდინარე, მაგალითად გადიან მანძილს მეგობრების ან ნათესავების საცხოვრებლამდე, სავაჭრო ცენტრებამდე, რელიგიური თუ ჯანდაცვის ან რამე სხვა დაწესებულებებამდე, რომლებიც შეიძლება საკმაოდ შორ დისტანციაზე ან სულაც სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მდებარეობდეს, მაგრამ ხშირი და რეგულარული ვიზიტების დანიშნულების ადგილი იყოს.

2.24. მოძრაობის სახასიათო ჩვევებიდან გამომდინარე, **რეკომენდირებულია**, რომ თითოეულმა ქვეყანამ განსაზღვროს ზუსტი მნიშვნელობა ხშირისა და რეგულარულისა, ტურიზმის სტატისტიკის კონტექსში.

2.25. ინდივიდის ჩვეული გარემო გულისხმობს იმ შინამეურნეობის მუდმივი რეზიდენტობის ადგილს, რომელსაც იგი მიეკუთვნება, მის სამუშაო ადგილს ან სასწავლო დაწესებულების მდებარეობას და ნებისმიერ ადგილს, რომელსაც ის სტუმრობს რეგულარულად და ხშირად, თუნდაც ეს ადგილი მდებარეობდეს ძალიან შორს მისი ჩვეული რეზიდენტობის ადგილიდან (იხილეთ ჩანართი 2.3) ან სხვა ტერიტორიაზე, გარდა დასასვენებელი სახლებისა, რომლის განსაზღვრებაც ქვემოთ იქნება მოცემული.

2.26. ყველა შინამეურნეობას აქვს ძირითადი საცხოვრებელი ადგილი (ზოგჯერ განსაზღვრული როგორც ძირითადი ან პირველადი სახლი), რომელიც განისაზღვრება იქ გატარებული დროით (იხილეთ ჩანართი 2.2). მისი ადგილმდებარეობა განსაზღვრავს რეზიდენტობის ქვეყანას და შინამეურნეობისა და მისი ყველა წევრის ჩვეულ რეზიდენტობის ადგილს. ყველა სხვა საცხოვრებელი ადგილი (რომელიც ოჯახის საკუთრებაშია ან იჯარით არის აღებული) ითვლება მეორად საცხოვრებელ ადგილად.

2.27. დასასვენებელი სახლი (ზოგჯერ არდადეგების სახლად წოდებეული) არის მეორადი საცხოვრებელი ადგილი, რომელსაც ოჯახის წევრები სტუმრობენ დასვენების, რეკრეაციის ან დროის გატარების სხვა მიზნით. ეს მოგზაურობები არ უნდა იყოს ისეთი ხშირი და ისეთი ხანგრძლივი , რომ მეორადი საცხოვრებელი გადაიქცეს ვიზიტორის ძირითად საცხოვრებელ ადგილად.

2.28. დასასვენებელ სახლებში გამგზავრება, როგორც წესი, არის ტურისტული მგზავრობა. ამ მგზავრობების მნიშვნელობისა და ქვეყნების რაოდენობის ზრდის გამო, ასევე შესაბამისი ხარჯებისა და აქტივობების თავისებურებებიდან გამომდინარე, ტურიზმის სტატისტიკის შემგროვებლებმა ისინი უნდა გაზომონ ცალკე ანალიზისა და ქვეყნებს შორის შედარების განხორციელების მიზნით (იხილეთ პარაგრაფები 2.50 და 2.31). რადგანაც „თაიმშერით" დასასვენებელი სახლების მფლობელობის ნოვატორული ტიპების გამოყენება დამატებით გამოწვევებს ქმნის მათი კლასიფიკაციის, გაზომვისა და ანალიზის თვალსაზრისით, სასურველია, რომ ქვეყნებმა აღრიცხონ დასასვენებელ სახლებში მგზავრობები და დაუმატონ იგი ტურიზმის სტატისტიკის მეტამონაცემებს (იხილეთ პარაგრაფები 9.10-დან 9.13-მდე).

## ბ.5. ტურისტული მგზავრობები და ვიზიტები

2.29. ვიზიტორების მიერ განხორციელებული მგზავრობები არის ტურისტული მგზავრობები (იხილეთ პარაგრაფი 2.9).



2.30. შიდა ან გამყვანი ტურისტული მგზავრობა ეწოდება ვიზიტორის მოგზაურობას თავისი ჩვეული რეზიდენტობის ადგილის დატოვებიდან უკან დაბრუნებამდე. ამგვარად ის ნიშნავს ორი მიმართულებით მგზავრობას. შემომყვანი ტურისტული მგზავროვა ეწოდება ვიზიტორის მოგზაურობას ქვეყანაში შემოსვლიდან მის დატოვებამდე. ტურისტულ მგზავრობას სხვა მახასიათებლებთან ერთად (მაგალითად, ძირითადი მიზანი) ახასიათებს ძირითადი დანიშნულების ადგილი.

2.31. ტურისტული მგზავრობის **ძირითადი დანიშნულების ადგილი** არის ის ადგილი, რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მგზავრობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დროს. მიუხედავად ამისა, თუკი ასეთი ადგილის იდენტიფიცირებას ვერ შეძლებს ვიზიტორი, ძირითადი დანიშნულების ადგილი იქნება ის ადგილი, სადაც ის ყველაზე დიდ დროს გაატარებს მგზავრობის დროს. და კიდევ, თუკი ასეთი ადგილის იდენტიფიცირებას ვერ შეძლებს ვიზიტორი, ძირითადი დანიშნულების ადგილი იქნება ის ადგილი, რომელიც ყველაზე შორს მდებარეობს მისი ჩვეული რეზიდენტობის ადგილიდან.

2.32. **მგზავრობა არის შიდა**, თუ ძირითადი დანიშნულების ადგილი მდებარეობს ვიზიტორის მუდმივი რეზიდენტობის ქვეყანაში. **შემომყვანი ან გამყვანი მგზავრობის** შემთხვევაში ძირითადი დანიშნულების ადგილი ვიზიტორის რეზიდენტობის ქვეყნის გარეთ იმყოფება. გამყვანი ტურისტული მგზავრობა შეიძლება მოიცავდეს ისეთი ადგილების მონახულებას, რომლებიც რეზიდენტობის ქვეყანაში იმყოფება, ისევე როგორც შიდა მგზავრობა შეიძლება მოიცავდეს რეზიდენტობის ქვეყნის გარეთ ვიზიტებს. შემომყვანი მგზავრობა, მოიცავს მხოლოდ მითითებული ქვეყნის ფარგლებში ვიზიტებს.

2.33. ტერმინი **ტურისტული ვიზიტი** ნიშნავს იმ ადგილას გაჩერებას, რომლის მონახულებაც ტურისტული მოგზაურობის დროს მოხდა. არ არის აუცილებელი გაჩერება მოიცავდეს ღამისთევას იმისათვის, რომ განისაზღვროს როგორც ტურისტული ვიზიტი. მიუხედავად ამისა, გაჩერება გულისხმობს მგზავრობის დროებით შეწყვეტას. გეოგრაფიული არეალში შესვლა გაჩერების გარეშე არ ნიშნავს ამ ტერიტორიაზე ვიზიტის განხორციელებას. **რეკომენდირებულია**, რომ ქვეყნებმა განსაზღვრონ მგზავრობის გაჩერების მინიმალური ხანგძლივობა, რათა მგზავრობა განისაზღვროს როგორც ვიზიტი.

2.34. ტურისტული მგზავრობების და ვიზიტების მონიტორინგი არ არის იგივე რაც ტურისტების მონიტორინგი, რადგანაც ინდივიდმა შეიძლება განახორციელოს ერთზე მეტი მგზავრობა ან ვიზიტი მონიტორინგის პერიოდში. ტურიზმის სამი ფორმის სტატისტიკურ მონაცემებში (იხილეთ პარაგრაფები 2.39 და 2.40), ტერმინი ვიზიტორი ხშირად იხმარება ტურისტული ვიზიტის ან ტურისტული მგზავრობის ნაცვლად.რეკომენდირებულია, რომ ქვეყნებმა მკაფიოდ განსაზღვრონ კონცეფციები და განასხვავონ სტატისტიკურ ოპერაციებში და ინფორმაციის პრეზენტაციის დროს.

## ბ.6. ტურიზმი და ვიზიტის განხორციელების ქვეყანაში არსებულ რეზიდენტ დაწესებულებაში დასაქმება

2.35. მგზავრობა, რომლის ძირითადი მიზანი ვიზიტის დროს ქვეყნის რეზიდენტ დაწესებულებაში დასაქმება და გაწეული შრომისათვის ანაზღაურების მიღებაა, არ შეიძლება ჩაითვალოს ტურისტულ მგზავრობად, თუნდაც მას ადგილი ჰქონდეს ინდივიდის ჩვეული გარემოს გარეთ და 12 თვეზე ნაკლებ პერიოდს მოიცავდეს. მიუხედავად ამისა, თუ დასაქმება და საფასურის მიღება შემთხვევით მოხდა მგზავრობის დროს, მოგზაური შეიძლება ჩაითვალოს ვიზიტორად (და მგზავრობა მაინც ჩაითვალოს ტურისტულად).

2.36. დასაქმდება თუ არა ვიზიტორი ვიზიტის განხორციელების ქვეყანაში დამოკიდებულია დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთობაზე რეზიდენტ დაწესებულებაში. მოგზაურსა და ქვეყნის რეზიდენტ დაწესებულებას შორის ტრანზაქცია სცდება მწარმოებელსა (ბიზნესები, მთავრობა და არასამთავრობო ორგანიზაციები) და შრომითი მომსახურების მიმწოდებელს შორის ფორმალურ კონტრაქტს. ის უნდა ემყარებოდეს იმავე კრიტერიუმებს, რაც საგადამხდელო ბალანსში (იხილეთ ჩანართი 2.4) და სამუშაო ძალის სტატისტიკაში გამოიყენება იმ შემთხვევების განსაზღვრისათვის, სადაც შრომის ანაზღაურება როგორც

დასაქმებულის კომპენსაცია ისე უნდა განვიხილოთ.

2.37. ამ კრიტერიუმის გამოყენების შედეგად რეკომენდირებულია ვიზიტორებად არ ჩაითვალონ:

(ა) მოგზაურები, რომლებიც რეგულარულად კვეთენ საერთაშორისო (ან ადმინისტრაციულ) საზღვრებს (იხილეთ პარაგრაფი 2.20) რათა იმუშავონ იმ ქვეყანაში (ან რეგიონში), რომელიც განსხვავდება თავიანთი ჩვეული რეზიდენტობის ადგილისაგან (საზღვრის მუშაკები);

(ბ) მოგზაურები, რომლებიც მოკლევადიანი სამუშაო კონტრაქტების საფუძველზე მუშაობენ იმ ქვეყანაში (ან რეგიონში), რომელიც განსხვავდება თავიანთი რეზიდენტობის ადგილისაგან (სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაზე, სასტუმროებში, რესტორნებში და სხვა სერვისებში დასაქმებული სეზონური მუშები). მათ შეიძლება ჰქონდეთ ფორმალური ან არაფორმალური სამუშაო კონტრაქტები, მაგრამ ეს მოგზაურები უნდა იმყოფებოდნენ რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის დამსაქმებელი-დასაქმებულის ურთიერთობაში.

ჩანართი 2.4

### დასაქმებულისა და დამსაქმებლის ურთიერთობა

11.10. დასაქმებულთა კონპენსაცია წარმოადგენს საწარმოო პროცესში ჩადებული შრომის ანაზღაურებას, რომელსაც მიაწოდებს საწარმოსთან დამსაქმებელი-დასაქმებულის ურთიერთობაში მყოფი ინდივიდი. საერთაშორისო ანგარიშებში დასაქმებულთა კომპენსაცია აღირიცხება მაშინ, როდესაც დამსაქმებელი (მწარმოებელი ერთეული) და დასაქმებულები არიან სხვადასხვა ეკონომიკების რეზიდენტები [...]

11.11. [...] ამიტომ, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, არსებობს თუ არა დამსაქმებელი-დასაქმებულის ურთიერთობა რეზიდენტ ინდივიდსა და არარეზიდენტ დამსაქმებელს შორის ან არარეზიდენტ ინდივიდსა და რეზიდენტ დამსაქმებელს შორის. დამსაქმებელი-დასაქმებულის ურთიერთობა მაშინ არსებობს, როდესაც არის ფორმალური ან არაფორმალური ხელშეკრულება საწარმოო ერთეულსა და ინდივიდს შორის. როგორც წესი, ხელშეკრულებაში მხარეები ნებაყოფლობით მონაწილეობენ და ინდივიდი მუშაობს ერთეულზე გარკვეული მონეტარული ან არამონეტარული ანაზღაურების მისაღებად. ეს ანაზღაურება, როგორც წესი ეფუძნება სამუშაოზე გატარებული საათების რაოდენობას ან რაიმე სხვა შესრულებული სამუშაოს მოცულობის ამსახველ ობიექტურ ინდიკატორს [...]

11.12. როდესაც ინდივიდი ასრულებს სამუშაოს საწარმოო ერთეულისათვის, ყოველ-თვის არ არის ნათელი არსებობს თუ არა მათ შორის დამსაქმებელი-დასაქმებულის ურთიერთობა. გარკვეული ტიპის სერვისების მიწოდება შეიძლება იწვევდეს ასეთი ტიპის პრობლემებს, რადგანაც ერთეულებმა შეიძლება აირჩიონ თვითდასაქმებული მუშისაგან სერვისების შეძენა ან დაიქირავონ თანამშრომელი სამუშაოს შესასრულებლად. საერთაშორისო ანგარიშებში მუშის სტატუსს მნიშვნელოვანი შედეგები აქვს. თუკი საწარმოო ერთეულსა და მუშას შორის არსებობს დამსაქმებელი-დასაქმებულის ურთიერთობა, საფასურის გადახდა შეადგენს დასაქმებულის ანაზღაურებას [...]

11.13. რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი იმის დადგენისათვის არსებობს თუ არა დამსაქმებელი-დასაქმებულის ურთიერთობა. მნიშვნელოვანი ტესტი იმისა, არსებობს თუ არა დამსაქმებელი-დასაქმებულის ურთიერთობა, არის კონტროლი. კონტროლის ან მართვის უფლება იმის თაობაზე თუ რა უნდა გაკეთდეს და როგორ უნდა გაკეთდეს, არის ძლიერი მინიშნება დასაქმებულსა და დამსაქმებლის შორის ურთიერთობაზე [...]

2.38. მეორე მხრივ, **რეკომენდირებულია**, რომ შემდეგი მოგზაურები, რომლე-ბიც კვეთენ საერთაშორისო (ან ადმინისტრაციულ) საზღვრებს სამუშაო ან ბიზნეს მიზნებით თავიათი ჩვეული გარემოს ფარგლებს გარეთ, ჩაითვალონ ვიზიტორებად, თუ ისინი არიან:

(ა) არარეზიდენტი ერთეულების თანამშრომლები (ვიზიტის ქვეყანაში ან რეგიონში), ასევე თვითდასაქმებული პირები, რომლებიც რჩებიან დროის მოკლე პერიოდით (ერთ წელზე ნაკლები) რათა მიაწოდონ ისეთი სერვისები, როგორიცაა აღჭურვილობის დამონტაჟება, შეკეთება, კონსულტირება და ა.შ. როდესაც არ არის მკაფიო



დამსაქმებელი-დასაქმებულის ურთიერთობა რეზიდენტ ერთეულთან;

(ბ) მოგზაურები, რომლებიც შედიან ბიზნეს მოლაპარაკებებში რეზიდენტ ერთეულებთან (ვიზიტის ქვეყანაში ან რეგიონში) ან ეძებენ ბიზნეს შესაძლებლობებს, მათ შორის ყიდვა-გაყიდვისა.

*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი(IMF), საგადამხდელო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციების სახელმძღვანელო, მეექვსე გამოცემა (BPM6), სამუშაო ვერსია (2008 წლის დეკემბერი)*

## გ. ტურიზმის ფორმები

2.39.მოცემულ ქვეყანასთან დაკავშირებით, **რეკომენდირებულია** ტურიზმის შემდეგი სამი ძირითადი ფორმის ხაზგასმა:

(ა) **შიდა ტურიზმი**, რომელიც მოიცავს რეზიდენტი ვიზიტორის საქმიანობას მოცემული ქვეყნის შიგნით, როგორც ქვეყნის შიდა ტურისტული მგზავრობის ნაწილს ან როგორც ქვეყნის გარეთ ტურისტული მგზავრობის (იხ. პარაგრაფი 2.10 და ჩანართი 2.5) ნაწილს;

(ბ) **შემომყვანი ტურიზმი**, რომელიც მოიცავს არარეზიდენტი ვიზიტორის საქმიანობას მოცემული ქვეყნის შიგნით, შემომყვანი ტურისტული მგზავრობისას (იხ. 2.10);

(გ) **გამყვანი ტურიზმი** მოიცავს რეზიდენტი ვიზიტორის მოცემული ქვეყნის ფარგლებს გარეთ აქტივობებს, რომლებიც შეადგენენ ან გამყვანი ტურისტული მგზავრობის ნაწილს ან შიდა ტურისტული მგზავრობის ნაწილს (იხ. პარაგრაფი 2.10).

2.40. ტურიზმის ზემოთ მოცემული სამი ძირითადი ფორმა შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს კომბინირებული, და აქედან გამომდინარე წარმოქმნას სხვა ტურიზმის ფორმები. შესაბამისად, შემდეგი განმარტებები იქნება გამოყენებული:

(ა) **საშინაო ტურიზმი**, რომელიც მოიცავს შიდა ტურიზმს და შემომყვან ტურიზმს, და წარმოადგენს რეზიდენტი და არარეზიდენტი ვიზიტორების საქმიანობას მითითებული ქვეყნის შიგნით, როგორც ნაწილს შიდა ან საერთაშორისო ტურისტული მგზავრობებისა;

(ბ) **ეროვნული ტურიზმი**, რომელიც მოიცავს შიდა და გამყვან ტურიზმს, და წარმოადგენს რეზიდენტი ვიზიტორების საქმიანობას მოცემული ქვეყნის შიგნით და გარეთ, როგორც ნაწილს შიდა ან გამყვანი ტურისტული მგზავრობებისა;

(გ) **საერთაშორისო ტურიზმი**, რომელიც მოიცავს შემომყვან ტურიზმს და გამყვან ტურიზმს, და წარმოადგენს რეზიდენტი ვიზიტორების საქმიანობას მოცემული ქვეყნის გარეთ, ან როგორც ნაწილს შიდა ან გამყვანი ტურისტული მგზავრობისა და არარეზიდენტი ვიზიტორების საქმიანობას მოცემული ქვეყნის შიგნით, შემომყვანი ტურისტული მგზავრობის დროს.

ჩანართი 2.5

### შიდა ტურიზმის მასშტაბები

ტერმინ „შიდა'-ს აქვს სხვადასხვა მნიშვნელობები ტურიზმისა და ეროვნული ანგარიშების კონტექსტში. ტურიზმში „შიდა“ ინარჩუნებს მის თავდაპირველ მარკეტინგულ მნიშვნელობას, რაც გულისხმობს რეზიდენტი ვიზიტორების აქტივობებს მოცემული ქვეყნის შიგნით. ეროვნულ ანგარიშებში და მოთხოვნის პერსპექტივიდან გამომდინარე, ტერმინი „შიდა“ გულისხმობს რეზიდენტი მომხმარებლების აქტივობებს, მოცემული აქტივობის ლოკაციის მიუხედავად. ეროვნული ანგარიშების კონტექსტში „შიდა ტურიზმი“ შეესაბამება იმავეს, რასაც „ეროვნული ტურიზმი“ ტურიზმის სტატისტიკაში.

## დ. საერთაშორისო და შიდა ვიზიტორები

### დ1. საერთაშორისო ვიზიტორები

2.41. **საერთაშორისო მოგზაურობა** შედგება, როგორც შემომყვანი, ისე გამყვანი მოგზაურობებისგან და ეხება ისეთ სიტუაციებს, როცა მოგზაურის რეზიდენტობის ქვეყანა განსხვავდება ვიზიტის ქვეყნის ან ქვეყნებისაგან. ისინი, ვინც ახორციელებენ საერთაშორისო მოგზაურობას,ითვლებიანსაერთაშორისომოგზაურებად.მოცემულიქვეყნისპერსპექტივიდან გამომდინარე, **საერთაშორისო მოგზაურები** არიან ან შემომყვანი ან გამყვანი მოგზაურები.

2.42. **საერთაშორისო მოგზაური** წარმოადგენს საერთაშორისო ვიზიტორს მოცემულ ქვეყანასთან მიმართებაში თუკი: (ა) იგი იმყოფება ტურისტულ მგზავრობაში (იხილეთ პარაგრაფი 2.29) და (ბ) მოგზაურობს მოცემულ ქვეყანაში, როგორც არარეზიდენტი ან როგორც რეზიდენტი მოცემული ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

2.43. ამგვარად, საზღვარზე საერთაშორისო მოგზაურების ორი კატეგორია გამოიყოფა: *საერთაშორისო ვიზიტორები* (დაბრუნებული გამყვანი ვიზიტორი რეზიდენტობის შემთხვევაში და შემოსული შემომყვანი ვიზიტორი, არარეზიდენტის შემთხვევაში) და *სხვა საერთაშორისო მოგზაურები*, რომლებიც არ არიან ჩართულნი ტურიზმში.

2.44. საერთაშორისო ვიზიტორები ხასიათდებიან მათი მოგზაურობის ძირითადი მიზნის მიხედვით (იხილეთ პარაგრაფი 3.10), ხოლო სხვა საერთაშორისო მოგზაურები ხასიათდებიან იმ მიზეზით, რის გამოც ისინი არ შედიან ვიზიტორების რიცხვში: ან (ა) იმყოფებიან დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობებში (საზღვრის, სეზონური ან მოკლევადიანი მუშახელი) ან (ბ) იმყოფებიან ჩვეულ გარემოში (სხვა დანარჩენი სიტუაციები). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ინდივიდები, რომლებიც იცვლიან რეზიდენტობის ქვეყანას: ისინი არ უნდა შედიოდნენ ტურიზმში. პრინციპში, ეს ეხება, როგორც ლეგალურ ისე არალეგალურ პირებს, თუმცა არალეგალების აღმოჩენა თითქმის შეუძლებელია.

2.45. საგადამხდელო ბალანსისა და ეროვნული ანგარიშების პრინციპების მიხედვით, დიპლომატები, საკონსულოს თანამშრომლები, უცხო სახელმწიფოების სამხედრო პერსონალი (გარდა ადგილობრივად ჩართული კადრებისა) ასევე მათი თანმხლები პირები, არ უნდა შევიდნენ მათი დანიშნულების ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე, რადგანაც ისინი ითვლებიან ექსტერიტორიალური ანკლავის რეზიდენტებად, რომელიც არის იმ ქვეყნის ნაწილი, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. შედეგად, ისინი არ ითვლებიან თავიანთი სამსახურეობრივი მივლინების ქვეყანაში ვიზიტორებად.

2.46. ლტოლვილებისა და მომთაბარეების შემთხვევაში, განსაკუთრებული მითითებები არსებობს. კონვენციის მიხედვით, ყველა ის ადგილი, რომელსაც მომთაბარეები სტუმრობენ, არის მათი ჩვეული გარემო. ამიტომ, ისინი არ არიან ვიზიტორები, თუნდაც გარკვეულ შემთხვევაში ძნელი იყოს მათი რეზიდენტობის დადგენა. ლტოლვილების ან იძულებით გადაადგილებული პირების შემთხვევაში, ის ადგილი სადაც ისინი იმყოფებიან არის მათი ჩვეული გარემო და ამგვარად არც ისინი ითვლებიან ვიზიტორებად.

2.47. საგადამხდელო ბალანსის კრიტერიუმების შესაბამისად, ასევე უნდა გამოირიცხოს მანევრებზე მყოფი შეიარაღებული ძალებიც.

2.48. ფიგურა 2.1 აჩვენებს შემომყვანი მოგზაურების კლასიფიკაციას შემომყვან ვიზიტორებად ან სხვა შემომყვანი მოგზაურებად მოცემულ ქვეყანასთან მიმართებაში. შემომყვანი ვიზიტორები კლასიფიცირდებიან, როგორც ტურისტები ან ექსკურსანტები, ტურისტები ამას გარდა კლასიფიცირდებიან, როგორც საზღვარგარეთ მცხოვრებნი, რომლებიც მოცემულ ქვეყანაში ვიზიტით იმყოფებიან და სხვა არარეზიდენტები, რომლებიც ამ ქვეყანაში ვიზიტით იმყოფებიან და ბოლოს, ყველა შემომყვანი ვიზიტორი კლასიფიცირდება, თავისი მოგზაურობის მიზნიდან გამომდინარე.

### დ.2. შიდა ვიზიტორები

2.49. რეზიდენტობის ქვეყნის პერსპექტივიდან გამომდინარე, შიდა მოგზაური განისაზღვრება, როგორც შიდა ვიზიტორი თუ: (ა) ის იმყოფება ტურისტულ მგზავრობაში (იხილეთ პარაგრაფი 2.29) და (ბ) ის არის რეზიდენტი, რომელიც მოცემულ ქვეყანაში მოგზაურობს.



ცხრილი 2.1
**შემომყვანი მოგზაურების კლასიფიკაცია**




## ე. ვიზიტორთა ნაკადის გაზომვა

### ე.1. ჩვეული გარემო: შემოთავაზებული კრიტერიუმები

2.50. ზოგიერთი ქვეყანა თვით რესპონდეტს ანდობს გადაწყვიტოს განისაზღვრება თუ არა მგზავრობა ტურისტულ მგზავრობად. თუმცა, ქვეყნის შიგნით და დროის განმავლობაში პასუხების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, **რეკომენდირებულია**, რომ ეროვნულმა სტატისტიკურმა დეპარტამენტებმა, ტურიზმზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა და სხვა ორგაზაციებმა, რომლებიც მონაწილეობენ ტურიზმის სტატისტიკის მოგროვებაში, შეიმუშავონ ეროვნული კრიტერიუმები „ჩვეული გარემოს“ კონცეფციის მოქმედებაში მოყვანის მიზნით.

2.51. რადგანაც ვიზიტორთა ნაკადების შეფასება და მასთან ასოცირებული ცვლადები ძალიან მგრძნობიარეა ჩვეული გარემოს განსაზღვრების მიმართ, **რეკომენდირებულია** მეზობელმა ქვეყანამ ან ქვეყნებმა, რომლებიც სუპრანაციონალური ორგანიზაციების წევრები არიან, შედარებითი სტატისტიკის მოგროვებისას დამატებითი კონსულტაციები გაიარონ.

2.52. ქვეყნები ხშირად განსხვავდებიან ერთამანეთისგან მოსახლეობის სიმჭიდროვით, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობით, კულტურული ქცევებით, ადმინისტრაციულ თუ ეროვნულ საზღვრებთან სიახლოვით. ეს განსხვავებები აბრკოლებს ინდივიდის ჩვეული გარემოს მსოფლიო მასშტაბით მისაღები სტატისტიკური განსაზღვრების მიღებას. მიუხედავად ამისა, ჩვეული გარემოს განსაზღვრება შემდეგ კრიტერიუმებს უნდა ეფუძნებოდეს:

(ა) მოგზაურობის სიხშირე (დასასვენებელ სახლებში ვიზიტების გარდა);

(ბ) მოგზაურობის ხანგრძლივობა;

(გ) ადმინისტრაციული თუ ეროვნული საზღვრის გადაკვეთა;

(დ) დისტანცია ჩვეული რეზიდენტობის ადგილიდან.

2.53. ჩვეული გარემოს განსაზღვრისათვის სიხშირისა და ხანგრძლივობის კრიტერიუმების გამოყენებასთან ერთად, რეკომენდირებულია, რომ პრაქტიკაში ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთა გაერთიანდეს დისტანციის კრიტერიუმთან, რათა დადგინდეს ჩვეული გარემოს საზღვრები შემდეგი მიზეზების გამო:

(ა) ადმინისტრაციულ ერთეულებს აქვთ განსხვავებული ზომა ერთი ქვეყნის ფარგლებში;

(ბ) საქალაქო ზონა შეიძლება ვრცელდებოდეს ადმინისტრაციულ საზღვრებზეც, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს კომპაქტურ ან მიმდებარე გეოგრაფიულ არეალს;

(გ) ზოგიერთი ინდივიდის ჩვეული საცხოვრებელი ადგილი შეიძლება ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს მდებარეობდეს და ამდენად მათ მიერ საზღვრის გადაკვეთა არ იყოს რელევანტური ტურიზმის ანალიზისათვის.

## ე. 2. შემომყვანი ვიზიტორების ნაკადები

2.54. შემომყვანი მოგზაურების ნაკადებისა და მათი ზოგიერთი ქვეჯგუფების გაზომვის ინტერესი აქვთ მათ, ვინც საგადამხდელო ბალანსსა და ეროვნულ ანგარიშებზე მუშაობენ. **რეკომენდირებულია**, რომ ქვეყნებმა ხელი შეუწყონ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, ეროვნული სტატისტიკის ოფისების, ცენტრალური ბანკების, საზღვრის კონტროლზე პასუხისმგებელი ორგანოების და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების ერთობლივ მუშაობას ამ გაზომვის მექანიზმების გასაუმჯობელებლად.

2.55. **რეკომენდირებულია**, რომ ინტეგრირების გზით მოხდეს სხვადასხვა მონაცემთა წყაროების (მაგ, ადმინისტრაციული კონტროლი ან გამოკითხვები) გაერთიანება.

2.56. იმ შემთხვევებში როცა საზღვრების ადმინისტრაციული კონტროლი გაუქმებულია და საზღვარზე მოგზაურებზე დაკვირვება არ ხორციელდება, **რეკომენდირებულია** მოგზაურთა გამოკითხვა მათი ღამისთევის ადგილებზე, სხვა წყაროების გამოყენების პარალელურად (მაგალითად, პოპულარულ ტურისტულ ადგილებზე ან სხვაგან) მოხდეს.

2.57. როცა შემომყვანი მოგზაურობის გაზომვა შესაძლებელია საზღვარზე, **რეკომენდირებულია**, რომ ისეთი ადმინისტრაციული კონტროლის საშუალებები, როგორიცაა შემოსვლისა და გასვლის ბარათები, დამატებით გაძლიერდეს (ან შეიცვალოს) მოგზაურთა გამოკითხვით საზღვარზე (ან მის სიახლოვეს), განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მოგზაურები ტოვებენ ქვეყანას.

2.58. ფიგურა 2.2. გვიჩვენებს ვიზიტორების და სხვა მოგზაურების სხვადასხვა კატეგორიას, რომლებიც შეიძლება იდენტიფიცირებულ იყვნენ საერთაშორისო საზღვარზე მისვლისას: ზოგი მათგანი არარეზიდენტია (პირველი ბლოკი) და ზოგი რეზიდენტი (მეორე ბლოკი). და ბოლოს, მომთაბარეებსა და ლტოლვილებს აქვთ განსაკუთრებული სტატუსი და მათ მიმართ ხორცილდება განსაკუთრებული მოპყრობა.

2.59. ტურიზმის სტატისტიკის მთავარი მიზანია განასხვავოს ტურისტები მოგზაურების სხვა



ქვეჯგუფებისაგან.ამიტომ,არარეზიდენტიმოგზაურებისზოგიერთი კატეგორიაგანსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციის შემგროვებლებისა და ანალიტიკოსებისათვის:

- საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეები;
- ტრანზიტული მგზავრები;
- ეკიპაჟები;

ცხრილი 2.2
ურთიერთკავშირი საერთაშორისო შემოსვლებს, ვიზიტორების სხვადასხვა კატეგორიასა და სხვა მოგზაურებს შორის



- საკრუიზო გემებისა და იახტების მგზავრები;
- საზღვრის ხშირი გადამკვეთები;
- სტუდენტები;
- პაციენტები;
- ვიზიტორები ბიზნეს და პროფესიული მიზნით.

2.60. *ქვეყნის გარეთ მცხოვრები ადგილობრივი მოქალაქეები.* რადგანაც საემიგრაციო სამსახურები ხშირად არ არიან დაინტერესებულნი კონკრეტული ჯგუფის-არარეზიდენტების ქვეყანაში შემოსვლის შესახებ ინფორმაციის მოგროვებით, ზოგიერთი ქვეყანა ათავისუფლებს მათ შემოსვლა/გასვლის ბარათების შევსებისაგან ეროვნული პასპორტის ან ეროვნული პირადობის მოწმობის წარდგენის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ეს პირები არიან არარეზიდენტები მოცემულ ქვეყანასთან მიმართებაში და უნდა ითვლებოდნენ არარეზიდენტი მოგზაურების რიცხვში. ამ მოგზაურებიდან შეიძლება ვიზიტორების ქვეჯგუფი ცალკე იყოს ნაჩვენები ანალიტიკური საჭიროებებიდან გამომდინარე.

2.61. *ტრანზიტული მგზავრები.* პრინციპში, მხოლოდ ის პირები

უნდა ჩაითვალონ ტრანზიტის მიზნის მქონე ვიზიტორებად, რომლების აკეთებენ გაჩერებას (იხილეთ პარაგრაფი 2.33) და შედიან სამართლებრივ და ეკონომიკური ტერიტორიაზე (იხილეთ პარაგრაფი 3.17/1.7). ისინი, ვინც ვიზიტის დანიშნულების ქვეყანაში ღამეს არ ათევენ, ითვლებიან ექსკურსანტებად, ხოლო ისინი ვინც ერთ ღამეს მაინც ათევენ, უნდა ჩაითვალონ ტურისტებად. (იხილეთ პარაგრაფი 2.13.).

2.62. საზოგადოებრივი ტრანსპორტის საშუალებების მუდმივი ან არარე-გულარული *ეკიპაჟები* ითვლებიან თავიანთ ჩვეულ გარემოში მყოფებად და ამიტომ არ შედიან ტურისტების სიაში. კერძო ტრანსპორტის ეკიპაჟები (კორპორატიული თვითმფრინავები, იახტები და ა.შ.) ითვლებიან ვიზიტორებად.

2.63. ზოგიერთი ქვეყნებისათვის *გემის და იახტების მგზავრები* წარმოადგენენ ტურიზმის მნიშვნელოვან ბაზარს. მათი ასახვა ტურიზმის სტატისტიკაში დამოკიდებულია ეროვნულ ანგარიშებსა და საგადამხდელო ბალანსში გამოყენებული რეზიდენტობისა და ეკონომიკური ტერიტორიის კონცეფციების მისადაგებაზე იმ საკრუიზო გემისადმი, რომლითაც ისინი ჩამოდიან და გადიან ქვეყნიდან. (იხილეთ პარაგრაფი 2.15. და 2.16).

2.64. *საზღვრის ხშირი გადამკვეთები.* იმ ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ სახმე-ლეთო საზღვარი და სადაც ხდება ხშირი მიმოსვლა ოჯახური ვიზიტების, სამუშაოს, შოპინგის, ბიზნესის ან სხვა მიზნით, ტურისტული აქტივობების ნაკადების გაზომვა და განსაზღვრა დაკავშირებულია, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სიძნელეებთან. **რეკომენდირებულია** ჩვეული გარემოს კონცეფციის გამოყენება იმ ქვეყანასთან შეთანხმებით, რომელიც საზღვრის მეორე მხარეს იმყოფება. პრაქტიკული სიძნელეები დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ საზღვრის ზოლზე მცხოვრები მოსახლეობა განთავისუფლებულია გასვლა/შემოსვლის ბარათების შევსებისაგან და საზღვრის კვეთის დროს საბაჟო და საიმიგრაციო სამსახურებთან შეხება არ აქვს. ამის გამო, ამ მოძრაობების აღნუსხვა სუსტია და შეიძლება გამოიწვიოს შეცდომით კლასიფიცირება. თუ რელევანტური იქნება, მოგზაურების ეს ქვეჯგუფი შეიძლება ცალკე გამოიყოს ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე.

2.65. მოგზაურების ამ ქვეჯგუფის გარდა, სხვა კატეგორიებიც შეიძლება მოითხოვდნენ მოგზაურობის მიზნის დეკლარირების გარდა სხვა დამატებით ინფორმაციას იმისათვის, რომ მოხდეს მათ შორის ტურისტების იდენტიფიცირება. (იხილეთ პარაგრაფი 3.10). ეს ეხება მათ, ვისაც მიზნებში უწერიათ „ განათლება და ტრენინგი“, „ჯანდაცვა და მკურნალობა“ ან „ბიზნესი და პროფესიული“.

2.66. *სტუდენტები.* ისინი, ვინც მოკლევადიან (ერთ წელზე ნაკლები) კურსებზე სწავლობენ არიან ვიზიტორები, მაშინ როდესაც გრძელვადიანი პროგრამის მონაწილეები თავიანთი სწავლის ადგილზე თავიან ჩვეულ გარემოში უნდა ჩაითვალონ და გამოირიცხონ ვიზიტორების რიცხვიდან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ორივე შემთხვევაში არარეზიდენტებად ითვლებიან. თუკი საემიგრაციო სამსახურების მიერ გენერირებული ადმინისტრაციული მონაცემები არ იძლევა უცხოელი სტუდენტების ფაქტობრივი მდგომარეობის იდენტიფიცირების საშუალებას, კერძოდ კი იმ შემთხვევებში, როდესაც მათ აქვთ განახლებადი ერთწლიანი



ვიზა, ინფორმაციის დამატებითი წყარო იქნება საჭირო. დათვლა კიდევ უფრო რთულდება, თუკი სტუდენტები დროებით შეწყვეტენ ქვეყანაში ყოფნას და მოკლევადიანი ვიზიტით გაემგზავრებიან თავიანთი წარმოშობის ქვეყანაში ან სადმე სხვაგან, მაშინ როცა მათი სწავლის ადგილი დარჩება მათი ჩვეული გარემოს ნაწილად.

2.67. *პაციენტები.* იგივე ტიპის პრობლემები ჩნდება გრძელვადიან პაცი-ენტებთან დაკავშირებითაც. საგადამხდელო ბალანსსა და ეროვნულ ანგარიშებში ეს მოგზაურები ითვლებიან მათი წარმოშობის ქვეყნების რეზიდენტებად, მიუხედავად იმისა თუ დროის რა პერიოდს ატარებენ მკურნალობის ქვეყანაში. ტურიზმის სტატისტიკაში, ისინი ვინც რჩებიან ქვეყანაში ერთი ან მეტი წლით, უნდა ჩაითვალონ ჩვეულ გარემოში მყოფებად. ხოლო ისინი, ვინც ერთ წელიწადზე ნაკლებ დროს ატარებენ უნდა ითვლებოდნენ ვიზიტორებად. ასეთი შემთხვევების იდენტიფიცირებისათვის საიმიგრაციო სამსახურების დახმარებაა საჭირო.

2.68. *ვიზიტორები ბიზნეს და პროფესიული მიზნით.* ბიზნეს და პროფესიული მიზნით ვიზიტორების გარჩევა სხვა დანარჩენი მოგზაურებისაგან, რომლებიც დასაქმების მიზნით გადაადგილდებიან, საჭიროებს უფრო მეტი ინფორმაციის მოგროვებას ვიდრე გასვლა/შემოსვლის ბარათებიდან მოიპოვება. საზღვრის მუშაკების იდენტიფიცირება პირველ რიგში მათი საზღვრის კვეთის სიხშირის მიხედვით ხდება. სხვა მოკლევადიანი მუშახელი არის აშკარა ან ფარულ დამსაქმებელ-დასაქმებულის ურთიერთობებში რეზიდენტ დამსაქმებელთან. აშკარა ურთიერთობების დროს სპეციფიკური ვიზა მოითხოვება, ხოლო ფარული ურთიერთობები უფრო ძნელად ამოსაცნობია.

2.69. ტურიზმის სტატისტიკის შეგროვების გარდა, ზოგიერთი მომხმარებლის განსაკუთრებული ინტერესის საგანია მოგზაურთა სპეციფიკური ქვეჯგუფების გაზომვა. მაგალითად, გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ (GATS) მოლაპარაკებების დროს, სერვისის მიწოდების მიზნით საზღვრის გადამკვეთი პირების ნაკადების გაზომვა მჭიდროდ უკავშირდება საზღვარზე მოპოვებულ ინფორმაციას (ადმინისტრაციული კონტროლი, შესვლა/გასვლის ბარათები, სავიზო კონტროლი და ასევე საზღვარზე მიმდინარე დაკვირვება) (GATS, რეჟიმი 4) (იხილეთ ცხრილი 2.6.).

## ე.3. შიდა ვიზიტორების ნაკადები

2.70. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ცნობიერება შიდა ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობის თაობაზე. მიუხედავა იმისა, რომ ბევრი ქვეყანა შიდა ტურიზმის სტატისტიკურ შეფასებას შემდეგი ეტაპისათვის ტოვებს, მისი ეკონომიკური წვლილი ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შემომყვანი ტურიზმისა. ამას ხშირად უჩვენებს ტურიზმის სატელიტური ანგარიშები.

ჩანართი 2.6

**გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ (GATS) მოლაპარაკებების და 4 რეჟიმის თაობაზე**

გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის (GATS) მიხედვით, სერვისებით ვაჭრობა განისაზღვრება, როგორც სერვისის მიწოდება

1. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) ერთი წევრის ტერიტორიიდან მეორე (WTO) წევრის ტერიტორიაზე;

2. (WTO) ერთი წევრის ტერიტორიაზე მეორე (WTO) წევრის სერვისის მომხმარებლისათვის;

3. (WTO) ერთი წევრის სერვისის მიმწოდებლის მიერ სხვა (WTO) წევრის ტერიტორიაზე არსებული კომერციული დაწესებულების საშუალებით;

4. (WTO) ერთი წევრის სერვისის მიმწოდებლის მიერ (WTO) წევრის ფიზი-კური პირების მეშვეობით სხვა (WTO) წევრის ტერიტორიაზე.“

სერვისების მიწოდების ამ რეჟიმებს ეწოდება: რეჟიმი 1, ან საზღვრებს შორის სერვისების მიწოდება; რეჟიმი 2, ან საზღვრებს გარეთ სერვისების მოხმარება; რეჟიმი 3, ან კომერციული დაწესებულების არსებობა და რეჟიმი 4, ან ფიზიკური პირების არსებობა.

*წყარო: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. სამართლებრივი ტექსტი: მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების ურუგვაის რაუნდის შედეგები, ჟენევა 1995*

2.71. შიდა ტურიზმის ნაკადების შესწავლა სხვა სტატისტიკური პროცედურების გამოყენებას მოითხოვს, რადგან ამ შემთხვევაში არ ხდება საერთაშორისო საზღვრის გადაკვეთა. ღამისთევით ტურისტული მოგზაურობის შემთხვევაში, განთავსების სტატისტიკა არის მნიშვნელოვანი სტატისტიკური ინფორმაციის წყარო შიდა და შემომყვან ვიზიტორებზე. ამ სტატისტიკასთან დაკავშირებით პრობლემები წარმოიშობა, როცა ხდება ვიზიტორების სხვა მოგზაურებისაგან გამოყოფა და შიდა ვიზიტორების გამოყოფა შემომყვანი ვიზიტორებისაგან. ინფორმაციის მოპოვება ასევე ხდება შინამეურნეობების გამოკითხვის შედეგად, როდესაც ადამიანებს უტარდებათ ინტერვიუ სპეციფიურ პერიოდში განხორციელებული მგზავრობების შესახებ.

2.72. სტრატიფიცირებულ ნიმუშზე დაფუძნებული შინამეურნეობების გამოკითხვა, რომელიც იყენებს სივრცით, დემოგრაფიულ და სოციო-ეკონომიკურ კრიტერიუმებს, შეიძლება იყოს ეფექტური და შესაბამისი ინსტრუმენტი შიდა ტურისტული აქტივობების და ხარჯების გასაზომად. მას შეუძლია კომპლექსური ინფორმაციის მოწოდება ერთდღიანი და ღამისთევით ვიზიტორების შესახებ (იხილეთ პარაგრაფი 2.13.).

2.73. შერჩევის ზომა და დიზაინი მჭიდროდ უკავშირდება ცვლადების სიზუსტესა და მნიშვნელობას, რომელთა შეფასებაც ტარდება. ტურიზმის ანალიზისათვის ადგილობრივი გამოკითხვის დიზაინის შემუშავების დროს ორი რამ უნდა იყოს გათვალისწინებული: ეროვნულ ტერიტორიაზე ტურიზმის არათანაბარი გადანაწილება და ტურისტული ქცევის თვალსაზრისით მოსახლეობის არაერთგვაროვნება.

2.74. შინამეურნეობების გამოკითხვის პერსპექტივიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ორმხრივ მგზავრობებზე დაკვირვება (იხილეთ პარაგრაფი 2.30) და არა მხოლოდ ვიზიტებზე, როგორც ხდება მგზავრობის დროს ვიზიტორებზე დაკვირვებისას, მათი გადაადგილების გარკვეულ მომენტებში. ეს გვაძლევს ვიზიტორის ტურისტული ქცევის უფრო გლობალური ხედვის შესაძლებლობას.

2.75. ტურიზმთან დაკავშირებული შინამეურნეობების გამოკითხვაში მგზავრობა არის ძირითადი ცვლადი. განთავსების სტატისტიკაში, გატარებული ღამეების რაოდენობა არის გაზომვადი ცვლადი. ის არის კარგი ინდიკატორი ქვეყნის შიგნით მოგზაურობის მასშტაბების შეფასებისათვის, რადგანაც ის მარტო ვიზიტს კი არ ასახავს, არამედ გაჩერების ხანგრძლივობასაც.

2.76. განთავსების სტატისტიკა ხშირად ეფუძნება ფასიანი განთავსების ადგილების აღწერის მონაცემებს, თუმცა ხშირად აწესებს ზღვარს საძინებელი ოთახებისა და საწოლების კონკრეტულ რაოდენობაზე. ღამისთევით მოგზაურობის ნაწილი, რომელიც უფასო განთავსებას (მაგალითად, მეგობრებთან და ნათესავებთან გაჩერება, კერძო საკუთრებაში მყოფ დასასვენებელ სახლებში) მიეკუთვნება არ არის ამ სტატისტიკის ნაწილი.

2.77. განთავსების სტატისტიკა, რომელიც არის სწრაფად ხელმისაწვდომი. გვაძლევს მნიშვნელოვან მოკლევადიან ინდიკატორებს შიდა და შემომყვან მოგზაურობასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს ღამისთევას. რადგანაც ამ სტატისტიკური მონაცემების მიღება ძირითადად აღწერის შედეგად ხდება, ამიტომ შესაძლებელია ამ მონაცემების რეგიონების მიხედვით ჩაშლა. განთავსების ადგილების ლოკაციის შესახებ მონაცემების დაკავშირებით, რომელთა მოპოვებაც არსებული რეესტრებიდან არის შესაძლებელი რესპონდენტების დამატებითი ძალისხმევის გარეშე, შესაძლებელია პირდაპირ მოგროვებული ინფორმაციის გამდიდრება დამატებითი ინფორმაციით, როგორიცაა მოგზაურობის ადგილების ტიპები.



## ე.4. გამყვანი ვიზიტორების ნაკადები

2.78. გამყვანი ვიზიტორების ნაკადების განსაზღვრისათვის რეკომენდირე-ბეულია სამი მეთოდიდან ერთ-ერთის გამოყენება ან მათი კომბინირება: გასვლა/შემოსვლის ბარათის გამოყენება; საზღვარზე გამოკითხვა, ან შინამეურნეობების გამოკითხვის საშუალებით მათზე დაკვირვება, რადგანაც ისინი რეზიდენტ შინამეურნეობებს მიეკუთვნებიან. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, გამყვან მგზავრობებზე ინფორმაციის შეგროვება ჩვეულებრივ იმავე დროს ხდება, როცა შიდა მგზავრობებზე.

# თავი 3
# მოთხოვნის პერსპექტივა: ვიზიტორისა და ტურისტული მგზავრობის დახასიათება

3.1. მგზავრობა შეიძლება კლასიფიცირდეს ვიზიტორის სოციალურ-ეკონომი-კური მახასიათებლებით ან მოგზაურობის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით (იხილეთ თავი 2.) ამ თავში მოცემულია სხვადასხვა რეკომენდაციები ვიზიტორისა და მგზავრობის დამახასიათებელი ნიშნების ინდენტიფიცირებისა და გაზომვისათვის.

3.2. ტურიზმზე დაკვირვების ცენტრს ვიზიტორები წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, ვიზიტორები ყოველთვის მარტო არ მოგზაურობენ. ისინი შეიძლება ჯგუფურად მოგზაურობდნენ, და მონაწილეობდნენ მოგზაურობასთან დაკავშირებულ ყველა ან ნაწილობრივი ხარჯების გაწევაში, აქტივობებსა და ვიზიტებში. მოგზაურთა ჯგუფი მოიცავს ვიზიტორებს, რომლებიც ერთად მოგზაურობენ და რომელთა ხარჯებიც გაერთიანებულია.

3.3. მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტორების ბევრი მახასიათებელი შეიძლება ცალკე იყოს იდენტიფიცირებული ჯგუფის თითოეული წევრისათვის, ზოგი შეიძლება საერთოდ არ იყოს იდენტიფიცირებული, როგორც მაგალითად ეკონომიკური ცვლადების შემთხვევაში. ეს საკითხი იქნება განხილურლი პარაგრაფში 4.36 (ი).

3.4. ამ მიზნით, **რეკომენდირებულია**, რომ დადგინდეს ინდივიდის წევრობა ჯგუფში და ამ ჯგუფის ზომა.

3.5. ვიზიტორები ასევე შეიძლება მოგზაურობდნენ ჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც შედგება ერთად მოგზაურობაში მყოფი ინდივიდების ან ჯგუფებისაგან. მაგალითად, საგზურით მიმავალი ჯგუფები ან საზაფხულო ბანაკის მონაწილე ახალგაზრდები.

## ა. ვიზიტორის დამახასიათებელი ნიშნები

3.6. ვიზიტორის პერსონალური მახასიათებლები შეიძლება მოგროვდეს ან ადმინისტრაციული პროცედურების განხორციელების შედეგად (მაგალითად, შესვლა/გასვლის ბარათები, განთავსების დაწესებულებებში შეგროვებული ინფორმაცია, ა.შ.) ან შინამეურნეობების და საზღვრის კვლევების შედეგად ან სპეციფიკურ გარემოებებში, რომელიც უკავშირდება მგზავრობას. ვიზიტორის მახასიათებლებში იგულისხმება შემდეგი:

- სქესი;
- ასაკი;
- ეკონომიკური აქტივობის სტატუსი;
- საქმიანობა;
- შინამეურნეობის, ოჯახის ან ინდივიდის წლიური შემოსავალი;
- განათლება.

3.7. საჭიროებიდან გამომდინარე, სხვა მახასიათებლებიც უნდა შეგროვდეს, როგორიცაა ჩვეული რეზიდენტობის ადგილის მოსახლეობა (იხილეთ ჩანართი 2.3), დაბადების ადგილი და ადმინისტრაციულ ან ეროვნულ საზღვართან სიახლოვე. ეს ფაქტორები გავლენას ახდენენ მოგზაურობისადმი განწყობაზე.

3.8. რაც შეეხება სოციო-დემოგრაფიულ მახასიათებლებს, გამოყენებული უნდა იქნას ქვეყნებზე მისადაგებული ILO-სა და UNESCO-ს საერთაშორისო სტანდარტები.

## ბ. ტურისტული მგზავრობის მახასიათებლები

3.9. ტურიზმის (იხილეთ პარაგრაფები 2.39 და 2.40) სხვადასხვა ფორმებთან დაკავშირებული მგზავრობები შეიძლება ხასიათდებოდნენ შემდეგი ნიშნებით:



- ძირითადი მიზანი;
- „ტურისტული პროდუქტის“ ტიპები;
- ვიზიტის ან მგზავრობის ხანგრძლივობა;
- წარმოშობისა და დანიშნულების ადგილები;
- სატრანსპორტო საშუალებები;
- განთავსების ტიპები.

### ბ.1. ტურისტული მგზავრობის ძირითადი მიზანი

3.10. ტურისტული მგზავრობის ძირითადი მიზანი განისაზღვრება, როგორც მიზანი, რომლის გარეშეც მგზავრობა არ შედგებოდა;

3.11. მგზავრობის ძირითადი მიზანი გვეხმარება დავადგინოთ ტურისტულია თუ არა მგზავრობა, და ვიზიტორი წარმოადგენს თუ არა ტურისტს. მაგალითად, მგზავრობის დროს ვიზიტორმა შეიძლება შემთხვევით გამოიმუშავოს გარკვეული თანხა (მაგალითად, ქვეითად მოგზაურმა ახალგაზრდამ). მაგრამ, თუკი მგზავრობის მთავარი მიზანი დასაქმებაა, ის აღარ ჩაითვლება ტურისტულ მგზავრობად, ხოლო მოგზაური იქნება არა ვიზიტორი, არამედ „სხვა მოგზაური“ (იხილეთ პარაგრაფი 2.35).

3.12. ინფორმაცია ტურისტული მგზავრობის ძირითადი მიზნის შესახებ ძალიან სასარგებლოა ტურისტული დახარჯების ფორმების დახასიათებისთვის. ტურისტული მოთხოვნის ძირითადი სეგმენტების განსაზღვრა ასევე მნიშვნელოვანია, დაგეგმვის, მარკეტინგისა და რეკლამირების მიზნებიდან გამომდინარე.

3.13. გაერთიანებული ბიუჯეტით მოგზაურობის (travel parties) შემთხვევაში, წევრებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული ინდივიდუალური მიზნები, მაგრამ მოგზაურობის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ის, რაც არის მთავარი მოგზაურობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დროს.

3.14. ქვემოთ მოყვანილი კლასიფიკაცია ეყრდნობა წინა კლასიფიკაციებს და ასევე აერთიანებს ახალ კატეგორიებს, რომელთა მნიშვნელობაც გაიზარდა 1993 წლის *ტურიზმის სტატისტიკის რეკომენდაციების* შემუშავების შემდეგ.

3.15. მგზავრობის კლასიფიცირება მისი ძირითადი მიზნიდან გამომდინარე უნდა უკავშირდებოდეს მგზავრობის დროს განხორციელებულ ძირითად აქტივობებს. ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით, დამსაქმებლების მიერ დასაქმებულთა წახალისების მიზნით ორგანიზებული და დაფინანსებული მგზავრობებიც უნდა შედიოდეს კატეგორია 1.1-ში გართობა, დასვენება და რეკრეაცია. საჭიროების შემთხვევაში, წამახალისებელი მგზავრობები ცალკე უნდა იყოს იდენტიფიცირებული.

ფიგურა 3.1
**ტურისტული მგზავრობების კლასიფიკაცია ძირითადი მიზნების მიხედვით**

| | | |
|---|---|---|
| 1. პირადი | | |
| | 1.1. | გართობა, დასვენება, რეკრეაცია |
| | 1.2. | მეგობრებისა და ნათესავების მონახულება |
| | 1.3. | განათლება და ტრენინგი |
| | 1.4. | მკურნალობა, გაჯანსაღება |
| | 1.5. | რელიგია/პილიგრიმობა |
| | 1.6. | შოპინგი |
| | 1.7. | ტრანზიტი |
| | 1.8. | სხვა |
| 2. | ბიზნესი და პროფესიული საქმიანობა | |

3.16. ყველა ტურისტულ მგზავრობას აქვს მხოლოდ ერთი ძირითადი მიზანი, თუმცა ვიზიტორს შეუძლია დამატებითი აქტივობების განხორციელება მგზავრობის დროს.

3.17. ყველა ძირითადი მიზანი (გარდა 1.7. ტრანზიტისა) ასოცირდება ძირითად აქტივობებთან , რომელთა განხორციელებაც ხდება მგზავრობის დროს:

1. *პირადი.* ეს კატეგორია მოიცავს ყველა იმ მიზნებს, რომლებიც არ ასოცირდე-ბა ბიზნესთან და პროფესიულ საქმიანობასთან (იხილეთ *2. ბიზნესი და პროფესიული საქმიანობა)*:

1.1. *გართობა, დასვენება, რეკრეაცია.* ეს კატეგორია მოიცავს ღირშესა-ნიშნაობების დათვალიერებას, ბუნების ან ადამიანის ქმნილებების მონახულებას, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე დასწრებას, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას (თხილამურებით სრიალი, ცხენით ჯირითი, გოლფისა და ტენისის თამაში, ყვინთვა, სერფინგი, კლდეზე ცოცვა, მთებზე ასვლა და ა.შ.), სანაპიროების, აუზების და სხვა რეკრეაციული და გასართობი საშუალებების გამოყენებას, კრუიზებს, აზარტულ თამაშებს, საზაფხულო ბანაკებს, დასვენებას, საქორწილო მოგზაურობებს, გამაჯანსაღებელ დაწესებულებეში ვიზიტებს, სავარჯიშო დარბაზებს, გარდა სამედიცინო დანიშნულებისა (ამ შემთხვევაში ის იქნებოდა 1.4 მკურნალობა, გაჯანსაღება), საკუთრებაში არსებულ ან იჯარით აღებულ შინამეურნეობების დასასვენებელ სახლში გაჩერებას.

1.2. *მეგობრებისა და ნათესავების მონახულება.* ეს კატეგორია მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა მეგობრებისა და ნათესავების მონახულება, ქორწილზე დასწრება, გასვენებაში წასვლა ან რომელიმე სხვა ოჯახურ ღონისძიებაში მონაწილეობა, ავადმყოფის ან მოხუცის მოვლა ხანმოკლე ვადით და სხვა.

1.3. *განათლება და ტრენინგი.* ეს კატეგორია მოიცავს მაგალითად მოკლევადიან კურ-სებს, რომლებსაც დამსაქმებლები ან სხვები აფინანსებენ (აქ არ იგულისხმება ადგილზე ტრენინგი, რომელიც ბიზნესის და პროფესიული საქმიანობის კატეგორიას მიეკუთვნება), რაც უნდა იყოს ცალკე იდენტიფიცირებული (იხილეთ პარაგრაფი 2.66.); სასწავლო პროგრამაში (ფორმალურ ან არაფორმალურ) მონაწილეობა ან სპეციფიური უნარების მიღება ფორმალური კურსების საშუალებით, მათ შორის დაფინანსებული სწავლა, ენის, პროფესიული ან სხვა სპეციალური კურსები, საუნივერსიტეტო მივლინებები დაა.შ.

1.4. *მკურნალობა, გაჯანსაღება.* ამ კატეგორიაში შედის მომსახურეობის მიღება საავადმყოფოებიდან, კლინიკებიდან, სანატორიუმებიდან და უფრო ზოგადად ჯანდაცვის და სოციალური დახმარების ინსტიტუტებიდან, თალასოთერაპიის, ჯანდაცვის და სპა ცენტრებში ვიზიტები, და სხვა სპეციალიზირებულ ადგილებში ვიზიტი დანიშნულების მიხედვით მკურნალობის მიზნით, მათ შორის კოსმეტიკური ოპერაციები სამედიცინო დაწესებულებების და სერვისების გამოყენებით. ეს კატეგორია მხოლოდ მოკლევადიან მკურნალობას მოიცავს, გრძელვადიანი ანუ ერთზე მეტ წლიანი ტურიზმის ნაწილი უკვე აღარ არის (იხილეთ პარაგრაფი 2.67).

1.5. *რელიგია და პილიგრიმობა.* ამ კატეგორიაში შედის მაგალითად, რელიგიურ შეკრებებსა და ღონისძიებებზე დასწრება, პილიგრიმობა და ა.შ.

1.6. შოპინგი. ეს კატეგორია მოიცავს სამომხმარებლო საქონლის შეძენას პირადი გამოყენებისათვის ან სასაჩუქრედ. აქ არ შედის საქონლის გადაყიდვა ან მომავალ საწარმოო პროცესში გამოყენება (ამ შემთხვევაში მიზანი იქნებოდა ბიზნესი და პროფესიონალური) და ა.შ.

1.7. *ტრანზიტი.* ეს კატეგორია გულისხმობს გაჩერებას ყოველგვარი სხვა მიზნის გარეშე, გარდა დანიშნულების ადგილის მიმართულებით მოძრაობისა.

1.8. *სხვა.* ეს კატეგორია მოიცავს მოხალისეთა სამუშაოსv(რასაც არ ფარავს არცერთი სხვა კატეგორია), საგამოოძიებო საქმიანობას, და მიგრაციის შესაძლებლობებს; სხვა დროებითი არაანაზღაურებადი აქტივობები რაც სხვა კატეგორიებით არ არის დაფარული.

2. *ბიზნესი და პროფესიული საქმიანობა.* ამ კატეგორიაში შედის თვითდასაქმებულთა და დასაქმებულთა აქტივობები, გარდა იმ საქმიანობებისა, რომელიც შეესაბამება დამსაქმებელ-დასაქმებულს შორის ურთიერთობებს ვიზიტის დანიშნულების ადგილზე რეზიდენტ მწარმოებელთან; ასევე ინვესტორების და ბიზნესმენების საქმიანობა და ა.შ. ის ასევე მოიცავს შეხვედრებზე, კონფერენციებზე, კონგრესებზე დასწრებას, ბაზრობებს და გამოფენებს; ლექციებს, კონცერტებს, წარმოდგენებს; შესყიდვას, გავრცელებას, საქონლისა და მომსახურეობის ყიდვა-გაყიდვას არარეზიდენტი მწარმოებლის სახელით (ვიზიტის ქვეყანაში); უცხო ქვეყნის მისიებში მონაწილეობა, დიპლომატიური, სამხედრო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების პერსონალის სახით; სამეცნიერო ან აკადემიურ კვლევებში მონაწილეობა; ტურისტული მოგზაურობის დაგეგვმა, განთავსების თუ სატრანსპორტო სერვისებზე კონტრაქტების გაფორმება, გიდებად ან სხვა ტურისტულ არარეზიდენტ სააგენტოებში პროფესიონალად მუშაობა (ვიზიტის ქვეყანაში ან ადგილზე); პროფესიონალურ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა; სამსახურთან დაკავშირებულ ფორმალურ თუ არაფორმალურ კურსებზე დასწრება; კერძო სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟის შემადგენლობაში ყოფნა (კორპორატიული თვითმფრინავი, იახტა, და ა.შ.)



3.18. ზოგიერთი ქვეყნისათვის სიძნელეს წარმოადგენს ამდენი დეტალის დანერგვა და სურთ მხოლოდ პირადი და ბიზნესი/პროფესიული საქმიანობა კატეგორიებად დაყოფა. პირადის შიგნით ისინი მხოლოდ მკურნალობის და განათლების მიზნის მქონე ვიზიტორებს გამოყოფენ. „ბიზნესისა“ და „პირადის“ განცალკევება და განათლებისა და მკურნალობის მიზნით მოგზაურობების გამოყოფა აკმაყოფილებს საგადამხდელო ბალანსის ანგარიშების მინიმალურ მოთხოვნებს (იხილეთ პარაგრაფები 8.20 და 8.21).

3.19. ზოგიერთ ქვეყანაში, ერთი ან მეტი ამ კატეგორიებიდან შეიძლება ისეთი მნიშვნელოვანი იყოს, რომ კლასიფიკაციის დამატებითი დონის საჭიროება გაჩნდეს. ამ შემთხვევებისათვის, **რეკომენდირებულია** იერარქიული სტრუქტურის შექმნა, სადაც შემოთავაზებულ კატეგორიებს დაემატება ქვეკატეგორიები.

3.20. მაგალითად, ბიზნესი და პროფესიული მიზნები შეიძლება გაიყოს შემდეგნაირად: “შეხვედრებზე, კონფერენციებზე, კონგრესებზე დასწრება, ბაზრობები და გამოფენები“ და ‘სხვა ბიზნესი და პროფესიული მიზნები“, რათა ხაზი გაესვას შეხვედრების ინდუსტრიის მიზნებს (იხილეთ პარაგრაფი 5.23.). რაც შეეხება გართობა, დასვენებას და რეკრეაციის მიზნებს, დასასვენებელ სახლებში ვიზიტები და წამახალისებელი მგზავრობები შეიძლება ცალკე ქვეკატეგორიად გამოიყოს (იხილეთ პარაგ. 2.27 და 2.28).

3.21. მგზავრობის ძირითად მიზანთან ასოცირებული აქტივობების გარდა, ვიზიტორები შეიძლება ჩაერთონ დამატებით-მეორად აქტივობებში, რომელთა იდენტიფიცირება საჭირო იქნება დაგეგმვის, გავრცელების ან ანალიზის მიზნებით. კერძოდ, სასარგებლო იქნება იმის ცოდნა, თუ როგორ რეაგირებენ ვიზიტორები აქტივობების დივერსიფიკაციაზე და ვიზიტის ქვეყანაში, რეგიონსა თუ ადგილზე ყოფნის ვადის გახანგრძლივებაზე.

## ბ.2. „ ტურისტული პროდუქტის“ სახეობები

3.22. „ტურისტული პროდუქტი“ წარმოადგენს სხვადასხვა ასპექტების (ვიზიტის ადგი-ლების მახასიათებლები, ტრანსპორტის საშუალებები, განთავსების ტიპები, დანიშნულების ადგილზე სპეციფიური აქტივობები და ა.შ.) კომბინაციას ინტერესის სპეციფიური ცენტრის გარშემო, მათ შორის ტურები ბუნებაში, ცხოვრება ფერმაში, კულტურული თუ ისტორიული ძეგლების მონახულება, ვიზიტი კონკრეტულ ქალაქებში, სპორტული თამაშები, სანაპიროზე დასვენება და ა.შ. „ტურისტული პროდუქტების“ ცნება არ უკავშირდება ეკონომიკურ სტატისტიკაში გამოყენებულ „პროდუქტის“ კონცეფციას, არამედ ის გამოიყენება ტურისტული ბიზნესის სპეციალისტების მიერ სპეციფიური ტურისტული პაკეტების ან ადგილების მარკეტინგის მიზნით.

3.23. შესაძლებელია საუბარი „ტურისტული პროდუქტების“ სპეციფიკური სახე-ობების შესახებ, როგორიცაა კულინარული ტურიზმი, ეკოტურიზმი, ქალაქის ტურიზმის, მზისა და ქვიშის ტურიზმი, აგროტურიზმი, ჯანმრთელობის ტურიზმი, ზამთრის ტურიზმი და სხვა. ამ კლასიფიკაციაზე არის მზარდი მოთხოვნა და გამოიყენება ტურიზმით დაინტერესებული პირების მიერ როგორც მარკეტინგული საშუალება.

3.24. იმის გამო, რომ ეს „პროდუქტები“ არ არის საკმარისად დახასიათებული ერთიანი მეთოდით, არ არსებოს საერთაშორისო რეკომენდაცია ამ ტიპის კლასიფიკაციის გამოყენების თაობაზე.

## ბ.3. ვიზიტის ან მგზავრობის ხანგძლივობა

3.25. ტურიზმის მოცულობა შეიძლება დავახასიათოთ მგზავრობების და ღამეების რაოდენობით. მგზავრობის ხანგრძლივობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისეთ ტურისტულ სერვისებზე მოთხოვნის შეფასებაში, როგორიცაა მაგალითად ღამისთევით განთავსების სერვისი. მისი ხანგრძლივობის განსაზღვრა მნიშვნელოვანია ვიზიტთან ან მგზავრობასთან დაკავშირებული ხარჯების შეფასებისათვის.

3.26. ვიზიტორის მიერ განსაზღვრული და ანგარიშში მოხსენებული მგზავრობის ხანგრძლივობა შეიძლება განსხვავდებოდეს ვიზიტის ადგილებში გაჩერების ხანგრძლივობისაგან ადგილებს შორის მოგზაურობაში გატარებული დროის გამო. (იხილეთ პარაგრაფი 2.33)

3.27. მგზავრობის ხანგრძლივობა, სადაც შედის ღამისთევა, შეიძლება განი-საზღვროს გატარებული ღამეების ოდენობით. ცვლილებები არ შევა თუნდაც მგზავრობა იწყებოდეს დილით ადრე მგზავრობის პირველ დღეს და მთავრდებოდეს გვიან ღამით მგზავრობის ბოლო დღეს. მგზავრობების, სადაც არ შედის ღამისთევა ითვლება ერთდღიან მოგზაურობად, მიუხედავად მგზავრობაში გატარებული საათებისა (იხილეთ პარაგრაფი 2.13).

3.28. მგზავრობები ღამისთევით შეიძლება დაჯგუფდეს ხანგრძლივობის მიხედვით. თითოეულმა ქვეყანამ (ან რეგიონულმა ორგანიზაციამ) კატეგორიები თავისი კონტექსიდან გამომდინარე უნდა დაადგინოს. მაგალითად, ქვეყნებმა შეიძლება გამოყონ გრძელვადიანი გაჩერება (ოთხი ღამე ან მეტი) მოკლევადიანი გაჩერებისაგან (ოთხ ღამეზე ნაკლები). საერთაშორისო ტურიზმის შემთხვევაში, გრძელვადიანი გაჩერება შეიძლება კიდევ უფრო დეტალურად დაიყოს ქვეკატეგორიებად, რომლებიც შეთანხმებულია საიმიგრაციო სამსახურებთან. ეს ხელს შეუწყოს თანამშრომლობასა და ინფორმაციის გაცვლას. ზოგ ქვეყანაში, განსაკუთრებით შიდა ტურიზმის დროს, რელევანტური იქნება მოკლე და გრძელი უქმე დღეების გამოყოფა, სადაც იგულისხმება ერთი, ორი ან სამი ღამე. იმ ქვეყნებში, სადაც მნიშვნელოვანია პენსიონერების ტურიზმი და მათი ვიზიტი დასასვენებელ სახლებში, ძალიან გრძელი ვიზიტის კატეგორიებიც შეიძლება შეიქმნას.

## ბ.4. წარმოშობის და დანიშნულების ადგილები

3.29. შემომყვანი მგზავრობისთვის აუცილებელია შემომსვლელთა კლასიფიცირება რეზიდენტობის ადგილის და არა მოქალაქეობის მიხედვით (იხილეთ პარაგრაფები 2.16 და 2.27 და პარაგრაფები 2.19 და 2.20). რეზიდენტობის ადგილზე ხდება მგზვარობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება და განხორციელება. გამყვანი მგზავრობების შემთხვევაში, ქვეყნიდან გასვლა უნდა კლასიფიცირდეს მგზავრობის ძირითადი დანიშნულების ადგილის შესაბამისად.

3.30. ქვეყნების და ტერიტორიების კლასიფიკაცია უნდა იქნას გამოყენებული რეზიდენტობისა და გამყვანი დანიშნულების ადგილის მიმართაც. იგი უნდა ეფუძნებოდეს გაეროს სტატისტიკის დეპარტამენტის სტატისტიკაში გამოსაყენებელ სტანდარტულ ქვეყნებისა და ტერიტორიების კოდებს.

3.31. შიდა ტურიზმის ანალიზისათვის (იხილეთ თავი 8)ასევე აუცილებელია მგზავრობების დახასიათება ვიზიტორის რეზიდენტობის ადგილის, მისი პიროვნული თავისებურებების (იხილეთ პარაგრაფი 3.6) და მგზავრობის მთავარი დანიშნულების ადგილის მიხედვით. ეს ინფორმაცია, რომელიც ჩვეულებრივ გროვდება შინამეურნეობების გამოკითხვის მეთოდით, ხშირად წარმოდგენილია მატრიცის ფორმით. მატრიცაში ჩანს მგზავრობების რაოდენობა და ხანგრძლივობა წარმოშობისა და დანიშნულების ადგილების მიხედვით.

## ბ.5. სატრანსპორტო საშუალებების სახეობები

3.32. სატრანსპორტო საშუალებების სახეობებში იგულისხმება ის ძირითადი ტრანსპორტი, რომელსაც იყენებს ვიზიტორი მგზავრობის პერიოდში. ძირითადი სატრანსპორტო საშუალებება დგინდება სხვადასხვა გზით, მაგალითად:



(ა) სატრანსპორტო საშუალებება, რომლითაც გავლილია ყველაზე მეტი მილი ან კილომეტრი;
(ბ) სატრანსპორტო საშუალებება, რომელზედაც გატარებულია ყველაზე მეტი დრო;
(გ) სატრანსპორტო საშუალებება, რომლის წილი სატრანსპორტო ხარჯში არის ყველაზე მაღალი.

3.33.საერთაშორისომოგზაურობისშემთხვევაშიძირითადისატრანსპორტოსაშუალებება შეირჩევა ძირითადი დასაფარი დისტანციიდან ან იმ რეჟიმიდან გამომდინარე, რომელიც უკავშირდება საზღვრების ან მონახულებული ქვეყნების გადაკვეთას, განსაკუთრებით კი კუნძულზე მდებარე ქვეყნების ან ტერიტორიების გადაკვეთას.

3.34. ფიგურა 3.2.-ში წარმოდგენილი კლასიფიკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას თუ ქვეყნებს სურთ მგზავრობების კატეგორიებად დაყოფა მგზავრობის დროს გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით. ამ ტიპის სტანდარტული კლასიფიკაცია შეიქმნა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის UNWTO-ს მიერ და ტრადიციულად გამოიყენება ტურიზმის სტატისტიკაში.

## ბ.6. განთავსების ტიპები

3.35. ვიზიტორებს ღამისთევით სჭირდებათ რაიმე ტიპის განთავსების საშუა- ლება, სადაც ისინი შეძლებენ ღამის გატარებას. ხშირ შემთხვევაში განთავსება მათი მგზავრობის მთლიანი ხარჯების უდიდეს წილს შეადგენს. ტურიზმის პოლიტიკის დიდი ნაწილი სასტუმროებისა და განთავსების სხვა ტიპების განვითარებას ეთმობა. ტურიზმის ხელმძღვანელობა ითხოვს სტატისტიკას მოკლევადიანი ვიზიტორების მიერ გამოყენებული განთავსების საშუალებების შესახებ. ეს ინფორმაცია მათ აძლევს საშუალებას გააკეთოს პროგნოზი იმის თაობაზე თუ რომელ განთავსების ტიპებზეა მოთხოვნა.

3.36. მოკლევადიანი განთავსება შეიძლება მიწოდებულ იქნას კომერციულ (საბაზრო) საფუძველზე ანუ როგორც ფასიანი სერვისი, თუნდაც ის იყოს სუბსიდირებული, ან იყოს არაკომერციულ საფუძველზე, ანუ როგორც სერვისი მიწოდებული ოჯახის წევრების, მეგობრების ან ნათესავების მიერ ყოველგვარი საფასურის გარეშე. ასევე შეიძლება იყოს თვითუზრუნველყოფილი, როგორც საკუთრებაში მყოფი დასასვენებელი სახლის შემთხვევაში. ვიზიტორებს შეუძლია ასევე არ გამოიყენონ არანაირი განთავსების საშუალების მომსახურება და ისევე, როგორც ზურგჩანთით მოგზაურები, მათაც ღია ცის ქვეშ დაიძინონ.

3.37. დასასვენებელი სახლების შეძენა ყოველთვის იყო სხვა ტიპის მოკლე-ვადიანი განთავსების ტიპების გამოყენების ალტერნატივა. ბოლოო დროს გაჩნდა შეძენისა და ქირაობის ახალი ფორმები.

ფიგურა 3.2

**სატრანსპორტო საშუალებების სტანდარტული კლასიფიკაცია**

| მთავარი ჯგუფები | მცირე ჯგუფები |
|---|---|
| 1. საჰაერო | 1.1 დაგეგმილი ფრენა |
| | 1.2 დაუგეგმავი ფრენა |
| | 1.3 კერძო თვითმფრინავი |
| | 1.4 სხვა საფრენი საშუალებები |
| | 2.1 სამგზავრო ხაზი და ბორანი |
| 2. საზღვაო | 2.2 საკრუიზო გემი |
| | 2.3 იახტა |
| | 2.4 სხვა საზღვაო ტრანსპორტი |
| 3. სახმელეთო | 3.1 რკინიგზა |
| | 3.2 ავტობუსი და სხვა საგზაო საზოგადოებრივი ტრანსპორტი |
| | 3.3 მანქანის და მძღოლის დაქირავება |
| | (1) ტაქსი, ლიმუზინი, და კერძო მანქანები მძღოლით |
| | (2) ადამიანის ან ცხოველის ძალით მოძრავი საშუალება |
| | 3.4 საკუთარი მანქანა (ტევადობა - 8 ადამიანი ) |
| | 3.5 დაქირავებული მანქანა (ტევადობა - 8 ადამიანი ) |
| | 3.6. სხვა: ცხენი, ველოსიპედი, მოტოციკლი და ა.შ. |
| | 3.7. ქვეითად მოსიარულე |

აქ იგულისხმება „თაიმშერი“, კონდომინიუმები, კერძო კლუბები და ზიარი საკუთრების სხვა ფორმები, რაც ფასიან განთავსებასა და უძრავ ქონებასა და დასასვენებელ სახლებს შორის გავლებულ ხაზს აბუნდოვნებს. ამ გარიგებების ხასიათიდან და სირთულიდან გამომდინარე, ვიზიტორისათვის რთული ხდება განთავსების ტიპისა თუ უძრავი ქონების სერვისის სწორად განსაზღვრა და ინფორმირება.

3.38. აქტივობებისა და პროდუქტების ახლად შესწორებული საერთაშორისო კლასიფიკაციის (ყველა ეკონომიკური აქტივობების ინდუსტრიული კლასიფიკაციის საერთაშორიოს სტანდარტი (ISIC, მეოთხე შესწორება, მთავარი პროდუქტის კლასიფიკაცია (CPC), ვერსია 2) შესაბამისად ვიზიტორის განთავსების სერვისები 1993 წლის რეკომენდაციებში შეცვლას საჭიროებს. აქტივობებისა და პროდუქტების ახლად შესწორებული საერთაშორისო კლასიფიკაცია ქმნის საფუძველს ტურიზმის მახასიათებელი პროდუქტის და აქტივობების სიის შექმნისათვის, რაც აუცილებელია ვიზიტორთა განთავსების სერვისების ანალიზისათვის (იხილეთ დანართები 3 და 4). ISIC, მეოთხე შესწორებისა და CPC-ის მეორე ვერსიის თანმხლები გზამკვლევის დასრულების შემდეგ დაიწყება საერთაშორისო საკონსულტაციო პროცესი, სადაც ჩართული იქნებიან ეროვნული სტატისტიკის დეპარტამენტები, ეროვნული ტურიზმის ხელმძღვანელები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

## გ. ტურისტული მგზავრობებისა და ვიზიტორების მახასიათებლების გაზომვა

3.39. ვიზიტორებთან და ტურისტულ მგზავრობებთან დაკავშირებულ ყველა პროცედურაში და კვლევის დროს მოგროვებულ მონაცემებში უნდა იყოს ინფორმაცია ვიზიტორებზე, მათი სწორი იდენტიფიკაციისა და ანალიზის მიზნით, რაც აუცილებელია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ან ბაზრების ბუნების და მახასიათებლებლების იდენტიფიცირებისთვის.



3.40. ამ დამატებითი მონაცების მოგროვებისას გამოყენებული კლასიფიკაცია, როგორიცაა განთავსების ტიპები, სატრანსპორტო საშუალებები და წარმოშობის ქვეყანა, იდენტური უნდა იყოს იმისა, რაც გამოიყენება ვიზიტორების დახარჯების კვლევებში და მიწოდების მონიტორინგში. ეს ხელს შეუწყობს კავშირებს, რეფერირებას და ვიზიტორების სფეროს გაფართოებას.

3.41. ბევრ ქვეყანაში ტურისტული მგზავრობებისა და ვიზიტორების მახა-სიათებლების დადგენა ხდება შემოსვლა/გასვლის ბარათების კითხვების მიხედვით, საზღვრებზე ჩატარებული კვლევებით, დანიშნულების ადგილებით (განთავსების კვლევა) ან შინამეურნეობების კვლევით (შიდა ან გამყვანი ტურიზმის შემთხვევებში). შემომყვანი ტურიზმის შემთხვევაში, UNWTO-მ შეიმუშავა საზღვრებზე გამოკითხვის მოდელი, რომელიც შეიძლება გამოიყენონ ქვეყნებმა. აქ ხაზგასმული იქნება გაჩერების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული მხოლოდ რამდენიმე საკითხი.

3.42. შემოსვლა/გასვლის ბარათები, ან საიმიგრაციო სამსახურების ქვეყა-ნაში შემოსვლის და გასვლის ჩანაწერები ხშირად შემომყვანი და გამყვანი ვიზიტორების ნაკადების აღრიცხვის ძირითადი წყაროა. ბარათები, როგორც წესი მოიცავს ძირითად სტატისტიკურ ინფორმაციას, როგორიცაა სახელი, სქესი, ასაკი, ეროვნება, ამჟამინდელი მისამართი, ქვეყანაში შესვლის თარიღი (გასვლის თარიღი გასვლის ბარათში), მგზავრობის მიზანი, ძირითადი მონახულებული დანიშნულების ადგილი და გაჩერების ხარგძლივობა (სავარაუდო შემოსვლისას და ფაქტობრივი გასვლისას შემომყვანი ვიზიტორებისათვის, სავარაუდო გასვლისას და ფაქტობრივი შემოსვლისას გამყვანი ვიზიტორებისათვის).

3.43. ჩვეულებრივ საიმიგრაციო სამსახურები უზრუნველყოფებენ მონა-ცემებს შემოსვლის მიხედვით შემომყვანი მოგზაურებისთვის, რომლის დროსაც მოგროვებული მონაცემები მიუთითებენ დარჩენის მოსალოდნელ ხანრგძლივობაზე. ზოგიერთი ქვეყნები ადარებენ შემოსვლისა და გასვლის ბარათებს საიდენტიფიკაციო ბარათის ნომრის მიხედვით, რათა დაადგინონ დარჩენის ზუსტი ხანგრძლივობა. ამ ოპერაციის დროს შეიძლება გაჩნდეს გარკვეული სიძნელეები, თუკი პროცესში დაშვებული შეცდომების დროს ბარათების ნომრების შედარება არ ხერხდება (მაგალითად, დაკარგული ბარათები, მონაცემების არასწორად ჩაწერა და ა.შ.), ჩანაწერების დროს სტატუსის ცვლილებებაზე კოორდინაციის ნაკლებობის გამო, ან დარჩენის ხანგრძლივობის ცვლილების გამო (არალეგალური ემიგრანტები, რომლებიც ქვეყანაში ტურისტების სტატუსით შედიან, შეიძლება გახდნენ ამ უზუსტობის წყარო).

3.44. ის ქვეყნები, რომლებიც ვერ ახორციელებენ მოგზაურების სრულყოფილ კონტროლს ეროვნულ საზღვარზე, ამის ნაცვლად იყენებენ კოლექტიური განთავსების ადგილებში გაჩერებული სტუმრების აღრიცხვას. ამ აღრიცხვის მონაცემები არ იქნება სრულყოფილი თუ არ დაემატება დამატებითი ღონისძიებები. მაგალითად, უპირველეს ყოვლისა ყველა ვიზიტორი არ სარგებლობს კოლექტიური განთავსების ადგილებით.მათ შეიძლება ქცევის სრულიად განსხვავებული წესები ჰქონდეთ ვიდრე მათ, ვინც იყენებს კოლექტიური განთავსების ადგილებს გასაჩერებლად. მეორე, მოგზაურობაში მყოფი ვიზიტორი შეიძლება იყენებდეს ერთზე მეტ კოლექტიური განთავსების ადგილს, რაც შედეგად იწვევს მგზავრობის ხანგრძლივობის უფრო ნაკლებად, ხოლო ვიზიტორების რიცხვის გადაჭარბებით შეფასებას.

3.45. დარჩენის ხანგრძლივობა არის პირველი კრიტერიუმი (ოღონდ არა ერთადერთი), რომელიც გამოიყენება იმის დასადგენად რეზიდენტი შემოვიდა თუ არარეზიდენტი, და თუკი დადგინდა რომ არარეზიდენტი შემოვიდა, ვიზიტორია ის თუ არა.

3.46. იმ ქვეყნებში, სადაც არიან დიდი რაოდენობით უცხოელი პენსიონერები, გარკვეული ვიზიტორების მუდმივი რეზიდენტობის ადგილი ძალიან ძნელი დასადგენია, რადგანაც ისინი ხშირად გადაადგილდებიან ერთი ადგილიდან მეორეზე (ან ქვეყნიდან ქვეყანაში). თუმცა მათი სხვადასხვა ქვეყნებში ვიზიტის ხანგრძლივობა დიდად არ განსხვავდება. (იხილეთ პარაგრაფი 2.18).

3.47. ამ პირების კლასიფიკაცია გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს, რადგანაც საიმიგრაციო სამსახურების მიერ მოგროვებული ინფორმაცია შეიძლება არ იყოს ამისთვის საკმარისი (ინფორმაცია ერთ წელზე ნაკლები ხანრგძლივობის მგზავრო-ბის თაობაზე, ან სახლის მისამართი, რომელიც განსხვავდება ვიზიტის ქვეყნის მისამართისაგან, არ არის

საკმარისი სიტუაციის გასარკვევად).

3.48. იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი სიტუაციები ხშირად ხდება, დასაშვებია „ნაცრისფერი“ კატეგორიის დამატება, რომელიც ასეთი ინდივიდების მიმართ იქნება გამოყენებული. ეს კლასიფიკაცია და მიდგომა ხარჯების ანალიზის დროსაც უნდა იყოს გამოყენებული (ასევე ინვესტიციების დროს, როცა ხდება საცხოვრებლის შესყიდვა ან დასასვენებელი სახლის, რომელიც სხვების საცხოვრებელი იქნება).

3.49. მსგავს სიტუაციებს ადგილი აქვს სტუდენტების ან პაციენტების მიერ გარკვეული ადგილების ვიზიტის დროს, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მათ ჩვეულ გარემოდ, თუნდაც მათ გაჩერების პერიოდში მოუხდეთ მოკლევადიანი ვიზიტებით გამგზავრება თავიანთი წარმოშობის ან სხვა ადგიებში. ასეთ შემთხვევებში, გრძელვადიანი სტუდენტების ან პაციენტების იდენტიფიცირება უნდა ეფუძნებოდეს მათ მიერ აღებული კურსების ვადის ხანგრძლივობას ან მკურნალობის კურსის ხანგრძლივობას (იხილეთ პარაგრაფები 2.66. და 2.67).



თავი 4.

# მოთხოვნის პერსპექტივა: ტურისტული დანახარჯი

4.1. ვიზიტორების მახასიათებლებისა და მათი აქტივობების ტრადიციული ფიზიკური (არამონეტარული) ინდიკატორების (იხილეთ თავები 2 დ 3) საშუალებით გაზომვის გარდა, ეკონომიკაში ტურიზმის კონტრიბუციის გაზომვა მოითხოვს მონეტარული ცვლადების გამოყენებას. ეს თავი მოიცავს ტურისტული დანახარჯის განმარტებას, მის შემადგენლობას, ვადებს და ადგილებს, ასევე მის სხვადასხვა კატეგორიებსა და კლასიფიკაციებს. ასევე მისი გაზომვისთვის რეკომენდაციებს გვთავაზობს.

## ა. ტურისტული დანახარჯის შემადგენლობა

4.2 ტურისტული დანახარჯი არის თანხა, რომელიც გადახდილია ტურისტუ-ლი მგზავრობის დროს საქონელსა და მომსახურეობაში, ასევე ძვირფას ნივთებში, რომელიც განკუთვნილია პირადი მოხმარებისთვის ან საჩუქრად გასაცემად. აქ იგულისხმება როგორც თვით ვიზიტორების მიერ გაწეული დანახარჯები, ასევე სხვების მიერ დაფარული ან ანაზღაურებული ხარჯები.

4.3. აქ არ შედის გარკვეული საქონელის შეძენა, როგორიცაა ვიზიტორების სასარგებლოდ განხორციელებული სოციალური ტრანსფერები, საკუთარ დასასვენებელ სახლებში განთავსების მომსახურების ხარჯები და არაპირდაპირი გზით გაზომილი ფინანსური შუამავლობის ხარჯები. ისინი შესულია ტურიზმის სატელიტური ანგარიშების ტურიზმის მოხმარების უფრო ფართო კონცეფციაში. სხვა გამორიცხული კატეგორიები ნახსენებია პარაგრაფებში 4.6. და 4.7.

4.4. ყველა ის საქონელი და სერვისი, რომელიც 2008 წლის ეროვნული ანგარიშების სისტემაში აღიარებულია, როგორც სამომხმარებლო საქონელი და სერვისები (რომლებიც მომხმარებლის სურვილებსა და საჭიროებებს აკმაყოფილებენ) პოტენციურად შეიძლება შედიოდეს ტურიზმის დანახარჯებში. აქ შედის ვიზიტორების მიერ შეძენილი ისეთი სერვისები, როგორიცაა ტრანსპორტირება, განთავსება, საკვები და სასმელი და ა.შ. ასევე ძვირფასი ნივთები, (ნახატები, ხელოვნების ნიმუშები, სამკაულები და სხვა) შეძენილი მგზავრობის დროს მათი ღირებულების მიუხედავად (იხილეთ პარაგრაფი 5.16), გრძელვადიანი სამომხმარებლო საქონელი (კომპიუტერები, მანქანები და ა.შ.) შეძენილი მოგზაურობის დროს მათი ღირებულების მიუხედავად, საკვები პროდუქტები, როგორც მზა და ისე მოსამზადებელი, ადგილობრივი წარმოების ან იმპორტირებული ყველა ნივთი, პერსონალური სერვისები და ა.შ.

4.5. სამომხმარებლო საქონელისა და სერვისებზე ვიზიტორების მიერ გაწეული პირდაპირი მონეტარული დანახარჯების გარდა, ტურისტულ დანახარჯებში შედის შემდეგი:

(ა) სამომხმარებლო საქონელსა და სერვისებზე დამსაქმებლის მიერ დასაქმებულებზე გაწეული პირდაპირი მონეტარული დანახარჯები მივლინების დროს;

(ბ) ვიზიტორის მონეტარული დანახარჯები, რომელიც ანაზღაურდება მესამე მხარის მიერ, როგორიცაა დამსაქმებელი (ბიზნესი, მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლების ემსახურებიან შინამეურნეობებს), ან სხვა შინამეურნეობა ან სოციალური დაზღვევის სქემა;

(გ) ინდივიდუალური სერვისების შეძენაზე ვიზიტორების მიერ გაწეული მონეტარული დანახარჯები. ეს ინდივიდუალური სერვისები შეიძლება იყოს მიწოდებული ან სუბსიდირებული მთავრობის ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ემსახურებიან შინამეურნეობებს განათლების, ჯანდაცვის, მუზეუმების, საშემსრულებლო ხელოვნების და სხვა სფეროებში;

(დ) ჯიბიდან გაწეული დანახარჯები იმ სერვისებისათვის, რომლებიც მიეწოდებათ დასაქმებულებს და მათ ოჯახებს დამსაქმებლის მიერ დაფინანსებული ტურისტული მგზავრობის დროს. ასეთ სერვისებს მიეკუთვნება ტრანსპორტი, განთავსება, დამსაქმებლის დასასვენებელ სახლებში გაჩერება და სხვა.

(ე) ვიზიტორების მიერ დამატებით გაწეული გადასახადები სპორტულ ან კულტურულ ღონისძიებებზე დასასწრებად, როდესაც მომწვევი და ძირითადი დამფინანსებელი არის ორგანიზატორი (ბიზნესი, მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ემსახურებიან შინამეურნეობებს).

4.6. ტურისტული დანახარჯი არ მოიცავს ყველა იმ ხარჯებს, რომლებსაც გასწე- ვენ ვიზიტორები მოგზაურობის დროს. აქ არ შედის ის ხარჯები, რომლების საქონლისა და მომსახურეობის შეძენაზე არ არის გაწეული, მაგალითად:

(ა) ბაჟისა და გადასახადების გადახდა, რომლებიც არ შედის ვიზიტორის მიერ შეძენილი პროდუქტის ფასში;

(ბ) სხვადასხვა სახის პროცენტის გადახდა, მათ შორის მგზავრობის დროს ან მგზავრობისთვის გაწეულ დანახარჯებზე;

(გ) ფინანსური და არაფინანსური აქტივების შეძენა, მათ შორის მიწის და უძრავი ქონების. აქ არის შედის ძვირფასეულობა;

(დ) საქონლის შეძენა გადაყიდვის მიზნით, როგორც მესამე მხარის (მწარმოებლის ან სხვისი) სახელით ისე პირადად;

(ე) ფულის ტრანსფერები, როგორიცაა შემოწირულობები ქველმოქმედებისათვის ან სხვა ინდივიდებისათვის (კერძოდ ოჯახისა და ნათესავებისათვის), რაც არ შეესაბამება სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურეობის შეძენას.

4.7. სახლის, უძრავი ქონების შეძენის და რემონტისა და შეკეთების ყველა ხარჯი 2008 ეროვნული ანგარიშების სისტემის და საგადამხდელო ბალანსის მიხედვით ითვლება კაპიტალურ ხარჯებად, თუნდაც ეს ხარჯები გაწეული იყოს შინამეურნეობის მიერ. ამიტომ ეს დანახარჯები ამოღებულია მომხმარების კონცეფციიდან. რეკომენდირებულია, მათი ამოღება ტურისტული დანახარჯებიდანაც. ტურისტული დანახარჯებიდან ასევე ამოღებულია მეპატრონის, როგორც განთავსების სერვისის მიმწოდებლის მიერ დასასვენებელ სახლებთან დაკავშირებული დანახარჯებიც.

## ბ. ტურისტული დანახარჯების დროის განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საკითხები

### ბ.1. დროის განსაზღვრა

4.8. ტურიზმის დანახარჯების დროის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, რადგანაც ხშირად ისეთი შემადგენელი ნაწილები, როგორიცაა ტრანსპორტირება, განთავსება და ა.შ. წინასწარ იჯავშნება და მათი საფასურის გადახდა ხდება „მოხმარებამდე“. შესაბამისი დანახარჯების დაფარვა შეიძლება მოხდეს მოხმარების შემდეგაც, როცა ხდება საკრედიტო ბარათის ან სპეციალური სესხის გამოყენება.

4.9. 2008 ეროვნული ანგარიშების სისტემის წესების შესაბამისად (იხილეთ ჩანართი 4.1.) ინდივიდების ან შინამეურნეობების მიერ საბოლოო მოხმარება ხდება იმ მომენტში, როდესაც ხდება საქონლის მფლობელობის გადაცემა ან სერვისების მიწოდება, და არა საფასურის გადახდის დროს. ტურიზმის ხარჯებიც ამ წესს მიჰყვება. სატრანსპორტო სერვისების მოხმარების დანახარჯების გაწევა ხდება ტრანსპორტირების დროს, განთავსების სერვისების-განთავსების ადგილებში გაჩერების დროს, სამოგზაურო სერვისების - როცა ხდება ინფორმაციის მიწოდება და სამოგზაურო სერვისების დაჯავშნა და ა.შ.

4.10. ტურისტული მგზავრობის დროს შეძენილი ყველა საქონელი და სერვისი ტურისტული დანახარჯების ნაწილია.

4.11. ამასთან, ყველა ის სერვისი, რომლის მიწოდება ხდება ტურისტულ მგზავრობამდე და უკავშირდება მგზავრობას (მაგ; საპასპორტო მომსახურეობა, სამედიცინო შემოწმება, აცრები, სამოგზაურო სააგენტოს სერვისები და ა.შ.) შედის ტურისტულ დანახარჯებში.



ჩანართი 4.1.

**დანახარჯების დროის განსაზღვრა**

დარიცხვის საბუღალტრო ანგარიშების შედგენა ხდება ეკონომიკური ღირებულების შექმნის, ტრანსფორმირების, გადაცემის ან შეწყვეტის დროს. ეს ნიშნავს, რომ მფლობელობის შეცვლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ეს ცვლილება ხდება, სერვისების აღრიცხვა ხდება მიწოდების დროს, პროდუქციისა პროდუქტის შექმნის დროს, და შუალედური მოხმარებისა იმ დროს, როდესაც მასალების გამოყენება ხდება. ეროვნული ანგარიშების სისტემა (SNA) უპირატესობას ანიჭებს დარიცხვის ბუღალტერიას შემდეგი მიზეზების გამო [...] (პარაგრაფი 3.166)

საქონლის შეძენის აღრიცხვა მაშინ ხდება, როდესაც ამ საქონლის ეკონომიკური მფლობელობის შეცვლა ხდება. როდესაც ცვლილება აშკარაა, ტრანზაქციაში მონაწილეთა საბუღალტრო წიგნში შეტანის მომენტი არის ის მომენტი, როდესაც ფიზიკური მფლობელობის და კონტროლის მოპოვება ხდება [...](პარაგრაფი 3.169)

სერვისების აღრიცხვა SNA-ში ხდება მათი მიწოდების დროს. ზოგიერთი სერვისი სპეციფიკურია, რადგანაც მათი მიწოდება ხდება გარკვეული დროის განმავლობაში. მაგ; იჯარა, დაზღვევა და საბინაო სერვისები (მათ შორის მესაკუთრის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ადგილები). ასეთი სერვისების აღრიცხვა ხდება მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც ძალაშია ხელშეკრულება ან ხდება საცხოვრებლით უზრუნველყოფა. (პარაგრაფი 3.170)

*წყარო: ევროპის გაერთიანებათა კომისია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, გაერო და მსოფლიო ბანკი, ეროვნული ანგარიშების სისტემა 2008*

ყველა ის საქონელი, რომლის შეძენა ხდება მგზავრობის დაწყებამდე და რომლის გამოყენებაც უნდა მოხდეს მგზავრობის დროს (სპეციალური ტანსაცმელი, წამლები და ა.შ.) ან შეძენილია საჩუქრად გაცემის მიზნით, ასევე უნდა შედიოდეს ტურისტულ დანახარჯებში.

### ბ. 2. ტურისტული დანახარჯების სარგებელი ეკონომიკისათვის

4.12. ტურიზმის მაკროეკონომიკური ანალიზისათვის და გარკვეულ ტერი-ტორიაზე მისი გავლენის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომელი ეკონომიკის რეზიდენტია ვიზიტორის მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების მწარმოებელი. მიზანი იმ ეკონომიკის იდენტიფიცირებაა, საიდანაც ხდება სერვისის მიწოდება და არა სად ხდება მისი მიწოდება ან მოხმარება. ხშირად ეს იდენტურია, თუმცა არის გამონაკლისებიც. მაგ; საერთაშორისო ტრანსპორტის შემთხვევაში, სერვისის მიმწოდებელი ეკონომიკა იქნება ის, რომლიდანაც არის გადამზიდი და არა ის, სადაც დანახარჯების გაწევა ან მოხმარება ხდება.

4.13. ტურისტული დანახარჯებისაგან ეკონომიკური სარგებლის ნახვა ყო-ველთვის არ ხდება პირდაპირ იმ ადგილებიდან, რომელთა მონახულებაც შედის მგზავრობაში. ყოველთვის არ არის სწორხაზოვანი ურთიერთობა მონახულებულ ადგილებსა და ეკონომიკას შორის, რომელზედაც ის ახდენს გავლენას. მაგალითად, საერთაშორისო მგზავრობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯის გაწევა არ ხდება ვიზიტორის წარმოშობის ეკონომიკის გარეთ. ზოგიერთი სერვისი შეიძლება შეძენილ იქნას წარმოშობის ქვეყნის რეზიდენტი მწარმოებლებისგან ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში (განსაკუთრებით კი საერთაშორისო ტრანსპორტი, ან ნებისმიერი ხარჯი რომელიც გაიწევა გზაში).

4.14. მიუხედავად იმისა, რომ ტურისტული დანახარჯები ყოველთვის უკავშირ-დება ადამიანებს, რომლებიც მოგზაურობენ ან აპირებენ მოგზაურობას თავიანთი ჩვეული გარემოს ფარგლებს გარეთ, სერვისებისა და საქონლის შესყიდვა შეიძლება მოხდეს ვიზიტორის ჩვეულ გარემოში ან მგზავრობის დროს მონახულებულ ნებისმიერ ადგილას. ეს დამოკიდებულია იმ საქონელსა და სერვისზე (საწვავი, ტურისტული სააგენტოს მომსახურება, იმუნიზაცია, რომელიც საჭიროა მოგზაურობისთვის და ა.შ.), რომლის შესყიდვაც ხდება ან ვიზიტორის ქმედებაზე (მაგ; ზოგიერთს ურჩევნია ტანსაცმლის ყიდვა, სპორტული აღჭურვილობის ან მგზავრობის დაწყებამდე საჭირო ნივთების შეძენა, ზოგს კი ურჩევნია ამის გაკეთება მოგზაურობის დროს, როგორც ტურისტული დანახარჯების ნაწილი).

## გ. ტურისტული დანახარჯების კატეგორიები

4.15. პარაგრაფ 2.39-ში იდენტიფიცირებული ტურიზმის სამი ფორმის შესაბა-მისად, შეიძლება განვსაზღვროთ ტურისტული დანახარჯების სამი კატეგორია, რომელიც ეფუძნება ტრანზაქციების განმახორციელებლების წარმოშობის ქვეყანას:

(ა) **შიდა ტურისტული დანახაჯრები** არის ტურისტული დანახარჯი, რომელსაც გასწევს რეზიდენტი ვიზიტორი მოცემული ეკონომიკის ფარგლებში;

(ბ) **შემომყვანი ტურისტული დანახარჯები** არის არარეზიდენტი ვიზიტორის ტურისტული დანახარჯი მოცემული ეკონომიკის ფარგლებში;

(გ) **გამყვანი ტურისტული დანახარჯები** არის რეზიდენტი ვიზიტორის ტურისტული დანახარჯი მოცემული ეკონომიკის ფარგლებს გარეთ;

4.16. სპეციფიურ მგზავრობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი არ იქნება ერთი და იგივე კატეგორიის ქვეშ. შესაძლებელია შიდა და შემომყვან ტურისტულ დანახარჯებში შედიოდეს სხვა ეკონომიკიდან იმპორტირებული საქონელი, მაგრამ ეს საქონელი უნდა იყოს შეძენილი მოცემული ეკონომიკის ფარგლებში რეზიდენტი მიმწოდებლისაგან, იმისთვის რომ გახდეს შიდა ან შემომყვანი ტურისტული დანახარჯის ნაწილი.

4.17. განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს, რეზინდენტის ეკონომიკურ ტერიტორიაზე არარეზიდენტი გადამზიდის მიერ გაწეული სატრანსპორტო სერვისები. ამ სიტუაციას შეიძლება ხშირად ჰქონდეს ადგილი ღია ცის შემთხვევაში, რასაც სპეციალური აღნიშვნა აქვს საგადამხდელო ბალანსში (იხილეთ პარაგრაფი 8.16). მეორე პრობლემური შემთხვევაა შიდა მოგზაურობისათვის შეძენილი საქონელი (ქვეყნის გარეთ ვიზიტის გარეშე) ინტერნეტით საერთაშორისო მომწოდებლისგან. ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს სერვისის შეძენას (სატრანსპორტო ან საბითუმო სავაჭრო სერვისები) არარეზიდენტისაგან რაც ჩაითვლება შიდა ტურისტულ დანახარჯებად, რადგანაც ეკონომიკური ტერიტორიის გარეთ ვიზიტს არ აქვს ადგილი. კონცეპტუალური თანამიმდევრობის გამო, ეს ხარჯები, რომლებიც არის რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის ტრანზაქცია, შედის გამყვან ტურისტულ დანახარჯებში მიუხედავად იმისა, რომ რეზიდენტი არ კვეთს გეოგრაფიულ საზღვრებს.

4.18. შემომყვანი ტურისტული დანახარჯები მოიცავს მხოლოდ მოცემული ეკონომიკის ფარგლებში გაწეულ შესყიდვებს. შემომყვანი ტურისტული დანახარჯების დამატებით იგივე მოგზაურობის დროს სხვა ეკონომიკებში გაწეულ დანახარჯებზე მიღებული მთლიანი დანახარჯები შეიძლება საინტერესო იყოს პოლიტიკის შექმნისათვის, რათა მოხდეს მგზავრობასთან დაკავშირებული მოცემული ეკონომიკის მთლიანი ხარჯების სხვა ქვეყნებთან შედარება.

4.19. გამყვანი ტურისტული დანახარჯები არ მოიცავს გამყვანი ვიზიტორების მიერ შეძენილ ყველა საქონელსა და მომსახურებას. ის მოიცავს მხოლოდ იმას, რისი შეძენაც ხდება მოცემული ეკონომიკის ფარგლებს გარეთ. გამყვანი ვიზიტორების რეზიდენტობის ეკონომიკაში შეძენილი ყველა საქონელი და მომსახურეობა შესულია შიდა ტურისტულ დანახარჯებში.

4.20. ტურისტული დანახარჯების სხვა კატეგორიები შეიძლება შეიქმნას სამი ძირითადი კატეგორიიდან იგივე გზით (იხილეთ პარაგრაფი 2.40).

(ა) საშინაო ტურისტული დანახარჯი მოიცავს რეზიდენტი და არარეზიდენტი ვიზიტორების ყველა ტურისტულ დანახარჯებს მოცემული ეკონომიკის ფარგლებში. ეს არის შიდა ტურიზმისა და შემომყვანი ტურიზმის დანახარჯების ჯამი. ეს მოიცავს მოცემულ ქვეყნაში იმპორტირებული საქონლისა და სერვისების შეძენას და ვიზიტორებზე გაყიდვას. ეს ინდიკატორი იძლევა მოცემულ ეკონომიკაში ტურისტული დანახარჯების ყველაზე უფრო ფართო გაზომვის შესაძლებლობას.

(ბ) ეროვნული ტურისტული დანახარჯები მოიცავს რეზიდენტი ვიზიტორების ყველა ტურისტულ დანახარჯებს მოცემული ეკონომიკის ფარგლებში ან ფარგლებს გარეთ. ეს არის შიდა ტურიზმის დანახარჯების და შემომყვანი ტურიზმის დანახარჯების ჯამი.

4.21. საერთაშორისო ტურისტული დანახარჯები შეიძლება ასევე განიმარტოს, თუმცა მას ნამდვილი ეკონომიკური მნიშვნელობა არ გააჩნია, რადგანაც ის მოცემულ ეკონომიკაში არარეზიდენტი ვიზიტორების ტურისტულ დანახარჯებს (ექსპორტი) ამ ეკონომიკის ფარგლებს



გარეთ (იმპორტი) რეზიდენტების ტურისტულ დანახარჯებთან აერთიანებს.

4.22. ტურისტული დანახარჯების შეფასება დამოკიდებულია საქონლისა და მომსახურების შეძენის ფორმაზე. საბაზრო ტრანზაქციის შემთხვევაში გამოიყენება შემსყიდველის ფასი, რომელიც შეესაბამება ვიზიტორის მიერ გადახდილ საცალო ღირებულებას. ეს ღირებულება უნდა მოიცავდეს ყველა გადასახადს, ნებაყოფლობით თუ სავალდებულო დამატებით გადასახადს, რომელიც განსაკუთრებით გავრცელებულია განთავსებისა და კვების სერვისებში. ფასდაკლება ან ზედმეტი ღირებულების გადასახადის არარეზიდენტებისათვის საზღვარზე დაბრუნება ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული შესაბამის შემთხვევებში, რადგანაც ეს ამცირებს ვიზიტორის მიერ გადახდილ ფასს.

## დ. კლასიფიკაცია

4.23. იმისათვის, რომ შევძლოთ ვიზიტორების მოთხოვნის დაკავშირება ეკონომიკის მიწოდებასთან, **რეკომენდირებულია** ინფორმაციის მოგროვება არა მხოლოდ ტურისტული დანახარჯების სრულ ღირებულებაზე, არამედ მის შემადგენელ კომპონენტებზეც.

4.24. ტურიზმისათვის სპეციფიურ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის დასადგენად და ეკონომიკაში ამ საქონლისა და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირება მოითხოვს მოთხოვნისა და მიწოდების ინტერფეისს. ეს მხოლოდ სტატისტიკის მოთხოვნისა და მიწოდების ნაწილებში გამოყენებული საქონლისა და მომსახურების საერთო კლასიფიკაციის გამოყენებით იქნება შესაძლებელი. სამეწარმეო სტატისტიკასა და ეროვნულ ანგარიშებში პროდუქტების ანალიზი ხდება ცენტრალური პროდუქტის კლასიფიკაციაში (CPC) არსებული კლასიფიკაციის მიხედვით.

4.25. ტურისტული დანახარჯების პროდუქტების ჩაშლა ჩვეულებრივ ეფუძნება ვიზიტორების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და ამიტომ ვიზიტორებისათვის უნდა იყოს ძალიან მარტივად გასაგები და გადმოსაცემი.

4.26. შედეგად, ტურისტული დანახარჯების მონაცემების შეგროვებისათვის რეკომენდირებული კლასიფიკაცია მის მიზანს უნდა შეესაბამებოდეს. ვიზიტორების დანახარჯების შესახებ ინფორმაციის მოგროვების ყველაზე გავრცელებული გზა არის მოვთხოვოთ ხარჯების დაჯგუფება მიზნების მიხედვით. ეს აუცილებელია ინდივიდუალური მოხმარების მიზნების კლასიფიკაციასა (COICOP) და პროდუქტების საერთაშორისო კლასიფიკაციას შორის კავშირების ხელშეწყობისთვის, რომელიც უკავშირდება ცენტრალურ პროდუქტის კლასიფიკაციას (CPC) და ძირითადად გამოიყენება შინამეურნეობებთან დაკავშირებულ გამოკითხვებსა და სტატისტიკაში პირადი მოხმარების აღწერისათვის. ტურიზმის ანალიზისათვის ხშირად გამოიყენება და რეკომენდირებულია შემდეგი კატეგორიები:

I. ტურისტული პაკეტი, დასვენების პაკეტი და ტურები
II. განთავსება
III. საჭმელი და სასმელი
IV. ადგილობრივი ტრანსპორტი
V. საერთაშორისო ტრანსპორტი
VI. სარეკრეაციო, სპორტული და კულტურული აქტივობები
VII. შოპინგი
VIII. სხვა.

4.27. **რეკომენდირებულია**, გამოკითხვის დროს ტურისტული დანახარების ჩაშლას შეძენილ საქონლად და მომსახურებად (იხილეთ პარაგრაფი 5.20 და 5.21). ეს ინფორმაცია უნდა იყოს ჯვარედინად კლასიფიცირებული ვიზიტორების, მოგზაურთა ნაკადის და მგზავრობის (მოგზაურობის მიზანი, გაჩერების ადგილი, მოგზაურობის ორგანიზება, გაჩერების ხანგრძლივობა და ა.შ.) შესაბამის მახასიათებლებთან (იხილეთ პარაგრაფები 3.6. და 3.7). ამან შეიძლება გაამკაცროს შერჩევის ზომასა და დიზაინთან დაკავშირებული მოთხოვნები, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მოგროვებული ინფორმაციის სრულად გამოყენებისათვის.

4.27. **რეკომენდირებულია**, გამოკითხვის დრო ტურისტული დანახარების ჩაშ-ლას შეძენილ საქონლად და მომსახურებად (იხილეთ პარაგრაფი 5.20 და 5.21). ეს ინფორმაცია უნდა იყოს ჯვარედინად კლასიფიცირებული ვიზიტორებთა ან მოგზაურთა ნაკადთა ან მგზავრობის (მოგზაურობის მიზანი, გაჩერების ადგილი, მოგზაურობის ორგანიზება, გაჩერების ხანგრძლივობა და ა.შ.) შესაბამის მახასიათებლებთან (იხილეთ პარაგრაფები 3.6. და 3.7). ამან შეიძლება გაამკაცროს შერჩევის ზომასა და დიზაინთან დაკავშირებული მოთხოვნები, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მოგროვებული ინფორმაციის სრულად გამოყენებისათვის.

## ე. ტურისტული დანახარჯების გაზომვა

4.28. **რეკომენდირებულია**, რომ ქვეყნებმა შეიტანონ სპეციფიკური დანახარჯე-ბის მოდული შემოსული ვიზიტორების გამოკითხვებში საზღვარზე ან ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც მათი მონიტორინგი ხორციელდება.

4.29. საზღვრების მონიტორინგი შეიძლება ტარდებოდეს რეგულარულად (ყოველთვიურად, კვარტალურად, ან წლიურად) ან გარკვეული პერიოდულობით (დატვირთული სეზონის ან არასეზონურ დროს). ზოგიერთმა ქვეყანამ შეიძლება გადაწყვიტოს მონიტორინგის ჩატარება პერიოდულად შესაბამისი შერჩევის ზომისა და დიზაინის გამოყენებით, რაც მათ მოდელირების პროცედურის გამოყენებით განზოგადების და დავიწროების შესაძლებლობას მისცემს. შესაძლებელია, მხოლოდ რამდენიმე წინასწარ შერჩეულ სასაზღვრო პოსტზე დაკვირვება.

4.30. ღია სახმელეთო საზღვრების არსებობის შემთხვევაში, როცა ძნელია საზღვარზე დაკვირვება, ზოგიერთი ქვეყანა იყენებს ფასიანი განთავსების ადგილებში სტუმრების გამოკითხვისა და „სარკისებრი“ სტატისტიკის კომბინაციას. „სარკისებრი“ სტატისტიკა არის გამყვანი ვიზიტორებისა და გამყვანი ტურისტული დანახარჯების სტატისტიკა არარეზიდენტი ვიზიტორების წარმოშობის ქვეყნებიდან. ამას შეიძლება დაემატოს სხვა მონაცემთა წყაროები, როგორიცაა საკრედიტო ბარათებით გადახდები.

4.31. შიდა და გამყვანი ტურისტული დანახარჯების შემთხვევაში, ტურიზმთან დაკავშირებული შინამეურნეობების გამოკითხვა ან შინამეურნეობების დანახარჯების გამოკითხვაში ჩართული პერიოდული მოდული (ყოველთვიური, კვარტალური ან წლიური) შეიძლება იქნას გამოყენებული. გამოკითხვა შეიძლება რეგულარულად ჩატარდეს. თუმცა თუ მოხმარების სტრუქტურა სტაბილურია მოკლე ვადაში, გამოკითხვა შეიძლება ნაკლები სიხშირით ჩატარდეს და ასოცირებული მოდელზე დაფუძნებულ დათვლის პროცედურასთან იყოს, როგორც შემომყვანი ტურისტული დანახარჯების შემთხვევაში.

4.32. შიდა ტურისტული დანახარჯების შეფასებისას რეკომენდირებულია იმ ეკონომიკის იდენტიფიცირება, საიდანაც შეძენილია საქონელი და მიწოდებულია მომსახურება, იმისთვის, რომ ვიზიტორების გადაადგილებასთან დაკავშირებული ეკონომიკური ეფექტები დაუკავშირდეს ადგილობრივ ეკონომიკას.

4.33. ალტერნატიული დათვლის მეთოდებში შეიძლება გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული მონაცემების გამოყენება (როგორიცაა ბანკის საანგარიშო სისტემები, საკრედიტო ბარათებით გადახდები, სამოგზაურო სააგენტოების მიერ მიწოდებული სატრანსპორტო დანახარჯები, ტრანსპორტის მარეგულირებელი სამსახურები და კომპანიები).

4.34. ვიზიტორებისაგან დეტალური მონაცემების მიღება სპეციფიკური მგზავ-რობის ან ვიზიტის დროს გაწეული დანახარჯების შესახებ მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და ექსპერტიზას, რათა უზრუნველყოფილი იყოს სიზუსტის შესაბამისი ხარისხი, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, როცა ეს მოგზაურობა დიდი ხნის წინ შედგა ან ხანგრძლივი იყო.

4.35. ზოგიერთ ქვეყანაში ინფორმაციის მოგროვება ხდება კატეგორიების შეზღუდული რაოდენობის მიხედვით, მიზნის კლასიფიკაციისა (დანახარჯის ზოგადი მიზანი) და გადახდების მიდგომებთან კომბინაციაში. მაგალითად, შეიძლება ვიზიტორებს მოვთხოვოთ ინფორმაცია სასტუმროში გადახდილი მთლიანი თანხის და გადახდის მეთოდის შესახებ.



თუმცა სასტუმროში გადახდილი თანხა განთავსების ხარჯების გარდა შეიძლება მოიცავდეს საკვებს ან სხვა სერვისებს, როგორიცაა სამრეცხაოს მომსახურება, ტელეფონი,ბიზნეს ცენტრის, სპა ცენტრის და გამაჯანსაღებელი ობიექტების გამოყენება. შედეგად, სხვადასხვა პუნქტების ცალცალკე იდენტიფიცირება ვერ მოხერხდება და საჭირო გახდება დამატებითი დათვლის პროცედურების გამოყენება.

4.36. ქვემოთ მოცემულია გაზომვებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების ნუსხა:

(ა) მნიშვნელოვანია ვიზიტორებისა და მათი მგზავრობის დამახასიათებელი ნიშნების მკაფიოდ იდენტიფიცირება, რათა მოხდეს ამ ინფორმაციის დაკავშირება სხვა სტატისტიკურ პროცედურებში აღრიცხულ ვიზიტორებთან და მოგროვებული მონაცემების შესაბამისად გაფართოება;

(ბ) რადგანაც ვიზიტორების მიერ საქონლისა და მომსახურების შეძენის კლასიფიცირება ხდება როგორც შემომყვანი, გამყვანი და შიდა ტურისტული დანახარჯებისა ვიზიტორის და მომწოდებლის რეზიდენტობის ქვეყნის მიხედვით, რეკომენდირებულია მათი რეზიდენტობის ნათლად იდენტიფიცირება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მგზავრობამდე განხორციელებული შესყიდვების შემთხვევაში, განსაკუთრებით კი საერთაშორისო ტრანსპორტის შემთხვევაში.

(გ) ტურისტული პაკეტით მოგზაურობის შემთხვევაში, ინფორმაცია უნდა მოგროვდეს მთლიანი გადახდილი თანხის შესახებ, პაკეტის შემადგენელი კომპონენტების შესახებ, და ტურისტული სააგენტოს რეზიდენტობის ქვეყნის შესახებ ან ტურისტული აგენტი, ვისგანაც პაკეტი შეიძინა. ამასთან უნდა იყოს ინფორმაცია სხვადასხვა პროვაიდერების (განსაკუთრებით კი საერთაშორისო ტრანსპორტის) და ვიზიტორის რეზიდენტობის ქვეყნის შესახებ;

(დ) ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ჩასვლის, ქვეყნის ფარგლებში და ქვეყნიდან გასვლისათვის (ტრანსპორტის იდენტიფიცირება საშუალებას იძლევა მისი რეზიდენტობის ქვეყნის დადგენისა), მათ შორის როცა ეს სერვისი ტურისტულ პაკეტში შედის.

(ე) ტურისტული დანახარჯების დასადგენად ზოგიერთი ქვეყნისათვის შეიძლება მოსახერხებელი იყოს ტურისტული ნაკადებისა და მათი მახასიათებლების ხშირი გაზომვა (მაგალითად ყოველთვიურად), ხოლო მათი დანახარჯების შესწავლა შედარებით ნაკლები სიხშირით (მაგალითად ყოველ 2 ან 5 წელში). ამ შემთხვევაში ტურისტული დანახარჯები შეიძლება შეფასდეს მიმდინარე პერიოდში ვიზიტორების

(ვ) მოდელირებული ხარჯების გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა დეტალური დაკვირვების შედეგებს და შესაბამისი მოცულობის (ვიზიტორთა ნაკადები) და ფასის ინდექსების გამოყენებით ღირებულების ექსტრაპოლაციას.

(ზ) მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმის დადგენა, თუ რა ხარჯები გასწია ვიზიტორმა თავისი რესურსებით, არამედ სხვების მიერ მის სასარგებლოდ გაწეული ხარჯების ზუსტი დათვლაც;

(თ) ტურისტული დანახარჯების ძირითადი პუნქტები შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების შემადგენელი ნაწილია. თუმცა ზოგიერთი ხარჯი, მაგალითად როგორიცაა განთავსების ან საქმიანი ვიზიტის დროს ტრანსპორტირების ხარჯი, არ შედის ეროვნული ანგარიშების სისტემის მიერ უშუალო მოხმარების პუნქტების ჩამონათვალში. ეს ასევე ეხება ძვირფასეულობას, რომელიც არ შედის უშუალო მოხმარების საგნებში, მაგრამ შეესაბამება საბოლოო მოთხოვნის არასამომხმარებლო კატეგორიას (იხილეთ თავი 5).

რეკომენდირებულია ამ ტიპის ტურისტული დანახარჯების ცალკე წარმოდგენა სხვა მაკროეკონომიკურ ჩარჩოებთან შესადარისობისთვის.

ვიზიტორების მიერ მოგზაურობის დროს შეძენილი ძვირფასეულობა და ხანგრძლივი მოხმარების საქონელი ასევე შედის ტურისტულ დანახარჯებში მათი ღირებულების მიუხედავად. თუმცა ის ნივთები, რომლებიც აღემატება საბაჟოს დადგენილ ლიმიტებს, უნდა შევიდეს საქონლით ვაჭრობის ქვეშ საგადამხდელო ბალანსის და ეროვნული ანგარიშების შედგენისას და ამიტომ უნდა გამოირიცხოს

არარეზიდენტების სამოგზაურო ხარჯებიდან ან ქვეყნის გარეთ რეზიდენტებისგან. შედეგად, **რეკომენდირებულია** მათი ცალკე წარმოდგენა, რადგან მათი სხვა შენაძენებზე დამატება ზემოთაღნიშნულ ჩარჩოებთან შედარებას გაართულებს.

(ი) როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (პარაგრაფები 3.2 და 3.4) გაერთიანებული ბიუჯეტით მოგზაურები განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შემდეგი მიზეზების გამო:

- მოგზაურთა ჯგუფის მიერ ხარჯების სრული ან ნაწილობრივი გაზიარება იწვევს იმას, რომ დანახარჯების კვლევაში ასახული სხვადასხვა მონაცემები ხშირად ეხება ჯგუფის და არა მისი ინდივიდუალური წევრების დანახარჯებს;
- ზოგიერთი ქვეყნისთვის შეიძლება მოსახერხებელი იყოს ტურისტული დანახარჯე-ბის ან დანახარჯების ზოგიერთი პუნქტისათვის ექვივალენტობის მასშტაბების დადგენა (იხილეთ ჩანართი 4.2). ეს პრაქტიკა გამოიყენება შინამეურნეობების ბიუჯეტის ანალიზის დროს. აქ გათვალისწინებულია ის ფაქტი, რომ ხარჯების გაზიარებამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო დაბალი დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე, რაც ხდება განთავსების შემთხვევაში (რამდენიმე ადამიანის მიერ ოთახის გაზიარების დროს) ან ტრანსპორტირების დროს (რამდენიმე ადამიანი იყოფს მანქანის ხარჯებს
ან რკინიგზის ან სხვა ტრანსპორტის საშუალების სპეციალური ფასები ჯგუფებისათვის). ეს მნიშვნელოვანია ჯგუფური და ინდივიდუალური მოგზაურობების დროს ერთ სულ მოსახლეზე დანახარჯების შედარებისათვის.

(კ) ინფორმაცია უნდა შეგროვდეს ასევე მონახულებული ადგილებისა და ამ ადგილებზე გაჩერების ხანგრძლივობის შესახებ.

*წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) სოციალური პოლიტიკის განყოფილება. რა არის ექვივალენტობის მასშტაბი? (პარიზი 2005)*

ჩანართი 4.2

### ექვივალენტობის მასშტაბი

შინამეურნეობების საჭიროებები იზრდება ყველა ახალი წევრის დამატებით, მაგრამ მოხმარების მასშტაბის ეკონომიის გამო, ეს ხდება არაპროპორციულად. საცხოვრებელი ფართის, ელექტროენერგიისა და ა.შ. საჭიროება არ იქნება სამჯერ მეტი სამწევრიანი შინამეურნეობისათვის, ვიდრე ერთწევრიანისათვის. ექვივალენტობის მასშტაბის დახმარებით ყველა შინამეურნეობის ტიპს აქვს მინიჭებული ღირებულება მისი საჭიროებებიდან გამომდინარე. ღირებულების მინიჭებაში მონაწილეობს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა შინამეურნეობის ზომა, წევრების ასაკი (მოზრდილები არიან თუ ბავშვები).

თავი 5

# ტურიზმის პროდუქტიული აქტივობებისა და პროდუქტების კლასიფიკაცია

5.1. ამ თავის მიზანია რეკომენდაციების შემოთავაზება პროდუქტებისა და პროდუქტიული აქტივობების კლასიფიკაციისათვის, რაც აუცილებელია ტურიზმის გაზომვისა და ანალიზისათვის და იქნება ეროვნული თვალსაზრისით რელევანტური და საერთაშორისო თვალსაზრისით შედარებადი. კლასიფიკაცია ეხება (ა) პროდუქტებს, ძირითადად რომლებიც მიეკუთვნებიან (თუმცა არა უკლებლივ) ტურისტულ დანახარჯებს (იხილეთ პარაგრაფები 4.2 და 4.7) და (ბ) პროდუქტიულ საქმიანობებს, რომლებიც წარმოადგენენ ტურიზმის ინდუსტრიის განსაზღვრის საფუძველს (იხილეთ პარაგრაფი 6.5).

5.2. ამ თავში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია იმ საქონელსა და სერვისებზე, რომლებიც ვიზიტორების მიერ პირდაპირ არის შეძენილი და შინამეურნეობების მიერ გაწეული ინდივიდუალური მოხმარების ხარჯების ნაწილია (COICOP კლასიფიკაციის ფარგლებში) და ძირითად პროდუცტიულ აქტივობებზე, რომლების მიეწოდებათ ვიზიტორებს მათთან უშუალო კონტაქტის დროს (იხილეთ პარაგრაფი 6.2), მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია ვიზიტორების მიერ შეძენილი ძვირფასი ნივთები, (იხილეთ პარაგრაფი 4.4). აქ არ შედის ის საქონელი, რომელიც ტურისტულ ინვესტიციებს მიეკუთვნება, მწარმოებლების დამხმარე სერვისების ნაწილია ან მჭიდროდ უკავშირდება ტურიზმს, მაგრამ ტურისტების მიერ არ ხდება მათი პირდაპირ შეძენა (მაგალითად, რეკლამა ან ტურიზმის განვითარებისათვის გაწეული ადმინისრაციული და საკონსულტაციო სერვისები).

5.3. ტურიზმის სატელიტური ანგარიშები არის ტურიზმის მონაცემების მოთხოვნა/მიწოდებასთან შეთანხმების კონცეპტუალური ჩარჩო (იხილეთ პარაგრაფი 8.4), რომელიც გვთავაზობს ტურიზმის მოთხოვნის უფრო ფართო მასშტაბს, რომელიც მოიცავს არა მარტო ტურიზმის მოხმარებას, არამედ ასევე ტურიზმის კოლექტიურ მოხმარებას და მთლიანი საწესდებო კაპიტალის ფორმირებას. ამ მიზეზით, შემოთავაზებული კლასიფიკაცია აკმაყოფილებს ორ სხვადასხვა სახის მოთხოვნას: ერთი დაკავშირებულია ტურიზმის მოხმარების გაზომვასთან და მეორე, ტურიზმის მოთხოვნის უფრო ფართო კონცეფციის გაზომვასთან. ამის გათვალისწინებით, მოხმარების გარდა კლასიფიკაცია მოიცავს ყველა სხვა პროდუქტს, რომელიც ტრიალებს ეკონომიკაში ტურიზმთან დაკავშირებით: ამიტომ გამოვყოფთ ორ ძირითად ქვეჯგუფს (სამომხმარებლო პროდუქტები და არასამომხმარებლო პროდუქტები).

5.4. CPC-ის (ცენტრალური პროდუქტის კლასიფიკაცია)კლასიფიკაცია ორივე

ამ საჭიროებას ემსახურება და ამიტომ გამოყენებული იქნება, როგორც მოცემულობა. ამასთან, არსებობს მჭიდრო კავშირი იმ პროდუქტებს შორის, რომლებიც იყენებენ CPC-ის და პროდუქტიულ საქმიანობებს შორის, რომლებიც კლასიფიცირდებიან ISIC-ით (ინდუსტრიული კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტი). ტურიზმის პროდუქტებისა და საქმიანობების კლასიფიკაცია ეფუძნება ამ ორი საერთაშორისო სტანდარტის (CPC, ვერსია 2 და ISIC მეოთხე შესწორება) შესწორებას, რომელიც დამტკიცებულ იქნა გაეროს სტატისტიკის კომისიის მიერ 2006 წელს.

5.5. CPC-ის აქვს ხუთი სხვადასხვა დონე, მაშინ როცა ISIC ორგანიზებულია ოთ-ხი დონის მიხედვით:

| CPC | | ISIC | |
|---|---|---|---|
| სექცია | 1 ციფრი | სექცია | ასო |
| განყოფილება | 2 ციფრი | განყოფილება | 2 ციფრი |
| ჯგუფი | 3 ციფრი | ჯგუფი | 3 ციფრი |
| კლასი | 4 ციფრი | კლასი | 4 ციფრი |
| ქვე კლასი | 5 ციფრი | | |



5.6. ვიზიტორების მიერ შეძენილი საქონელი და ძვირფასი ნივთები და ამ საქონლის წარმოებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული საქმიანობები განსაკუთრებული ნიშნებით ხასიათდება და განხილულია ცალკე სექციაში (სექცია დ).

## ა. ძირითადი პრინციპები

5.7. ტურიზმის სატელიტური ანგარიშები წარმოადგენს კონცეპტუალურ ჩარჩოს და ორგანიზაციულ სტრუქტურას ტურიზმის სტატისტიკის ეროვნული ეკონომიკური სტატისტიკის ფართო ჩარჩოსთან შეთანხმებისათვის (იხილეთ პარაგრაფი 1.37). რადგანაც ტურიზმის სატელიტური ანგარიშები სტრუქტურულად უკავშირდება 2008 წლის ეროვნული ანგარიშების სისტემას, მისი რეკომენდაციები სატელიტური ანგარიშების შექმნის თაობაზე გათვალისწინებული უნდა იყოს.

5.8. 2008 წლის ეროვნული ანგარიშების სისტემის 29-ე თავის თანახმად, რომლის ამონარიდებიც არის ჩანართ 5.1-ში, ტურიზმის სატელიტური ანგარიშების შექმნა უნდა დაიწყოს ტურიზმთან დაკავშირებული პროდუქტების იდენტიფიცირებით. ტურიზმთან დაკავშირებული პროდუქტები ორ ქვეკატეგორიად იყოფა: ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტები და ტურიზმთან დაკავშირებული პროდუქტები, რაც ეფუძნება იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი კავშირი მოცემულ ეკონომიკასთან ან გლობალურ ტურიზმთან. ქვეკატეგორიები მხოლოდ სამომხმარებლო პროდუქტებს გულისხმობს (იხილეთ პარაგრაფი 5.3).

5.9. რაც შეეხება ტურიზმთან ასოცირებულ პროდუქტებს, განსაკუთრებით საინტერესოა იმის ჩვენება, თუ როგორ ხდება მათი წარმოება, ამ პროცესის აღწერა, საჭირო კაპიტალის მოცულობა, მისი შუალედური მოხმარება და საჭირო მუშახელი. ასევე პროდუქტების წარმოების და ტურიზმში გამოყენების შედარება ქვეყნების მიხედვით და გარკვეული დროის განმავლობაში. **რეკომენდირებულია**, რომ ტურიზმის საერთაშორისო დონეზე შედარება ლიმიტირებული იყოს ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტებისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობებით.

5.10. პროდუქტები ითვლება ტურიზმთან ასოცირებულად თუ ის, აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ერთ-ერთ ან ორივე კრიტერიუმს:

(ა) ტურისტული დანახარჯი პროდუქტზე უნდა წარმოადგენდეს მთლიანი ტურისტული დანახარჯის მნიშვნელოვან წილს (დანახარჯის წილი/მოთხოვნის პირობა);

(ბ) ტურისტული დანახარჯი პროდუქტზე უნდა წარმოადგენდეს ეკონომი-კაში პროდუქტის მიწოდების მნიშვნელოვან წილს (მიწოდების წილის პირობა). ეს კრიტერიუმი ნიშნავს, რომ ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტის მნიშვნელოვანი რაოდენობით მიწოდება აღარ მოხდება ვიზიტორების არყოფნის შემთხვევაში.

5.11. საქმიანობები ტურიზმთან ასოცირებულია, თუ ისინი ტურიზმთან ასოცირებულ პროდუქტს ქმნიან. რადგანაც პროდუქტის ინდუსტრიული წარმომავლობა (ISIC ინდუსტრია, რომელიც მას ქმნის) არ არის კრიტერიუმი CPC-ის მსგავსი კატეგორიის ქვეშ პროდუქტების გაერთიანებისთვის, არ არსებობს პირდაპირი ერთი-ერთში ურთიერთობა პროდუქტსა და მის მწარმოებელ ინდუსტრიას შორის. ორი მსგავსი მახასიათებლის მქონე პროდუქტი, რომელსაც აწარმოებს ორი სხვადასხვა ISIC ინდუსტრია, შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც ერთი და იგივე CPC-ის კატეგორია.

5.12. ტურიზმთან დაკავშირებული პროდუქტების შემთხვევაში, მათი მნიშვნელობა მოცემულ ეკონომიკაში ტურიზმის ანალიზისთვის აღიარებულია, თუმცა მათი კავშირი ტურიზმთან მსოფლიო მასშტაბით შეზღუდულია. შესაბამისად, ასეთი პროდუქტების სია იქნება სპეციფიური თითოეული ქვეყნისთვის.

5.13. ზოგიერთი სამომხმარებლო პროდუქტი, მიუხედავად იმისა, რომ შეძენილია ვიზიტორების მიერ, არ არის დაკავშირებული მოგზაურობაში ყოფნასთან და ამიტომ ამ ორი კატეგორიის მიღმა რჩება. შესაბამისად, ისინი „დანარჩენის“ კატეგორიას განეკუთვნებიან.

## ბ. ტურისტული პროდუქტებისა და აქტივობების კლასიფიკაცია

5.14. ქვემოთ მოყვანილი სექცია გ.1 მოიცავს იმ პროდუქტებისა და აქტივობე-ბის ჩამონათვალს, რომელიც გლობალურად ითვლება ტურიზმთან ასცორებულად და რომლის მიხედვითაც ხდება საერთაშორისო შედარება. ქვემოთ მოცემული სექცია გ.2 გვთავაზობს ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა მოხდეს ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტებისა და ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობების იდენტიფიცირება.

5.15. განსხვავება უნდა გაკეთდეს შინამეურნეობების ინდივიდუალურ სამომხმარებლო დანახარჯებს (განსაზღვრული COICOP-ში), რომელსაც ეწოდება სამომხმარებლო პროდუქტები და ყველა სხვა პროდუქტსა და მომსახურებას შორის, რომელსაც ეწოდება არასამომხმარებლო პროდუქტები (იხილეთ პარ. 5.3). მწარმოებლის მიერ შეძენის შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ კლასიფიკაციაში შესული პროდუქტი გახდება შუალედური მოხმარების ან საწარმოო კაპიტალის ფორმირების ნაწილი.

5.16. კლასიფიკაცია შეიქმნა და მისი ძირითადი ელემენტები შემდეგნაირად განისაზღვრა:

ა. სამომხმარებლო პროდუქტები

ა.1. ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტები: მოიცავს ორ ქვეკატეგორიას;

ა.1.i. *საერთაშორისო მასშტაბით შედარებადი ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტები*, რომლებიც ტურისტული დანახარჯების საერთაშორისო შედარების ძირითად პროდუქტებს წარმოადგენს;

ა.1.ii. *ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტები* (უნდა განისაზღვროს ქვეყნის მიერ პარაგრაფ 5.10 მოცემული კრიტერიუმების მიხედვით).
ზემოთ ნახსენები ორივე პროდუქტისათვის, მათი შექმნისათვის განხორციელებული აქტივობები უნდა ჩაითვალოს ტურიზმთან ასოცირებულას, ხოლო ინდუსტრიებს, რომლის ძირითადი საქმიონობა არის ტურიზმთან ასოცირებული, უნდა ეწოდოს ტურიზმის ინდუსტრიები.

ა.2. სხვა სამომხმარებლო პროდუქტები, რომლებიც ამ ორი ქვეკატეგორიისაგან შედგება, უნდა განისაზღვროს თითოეული ქვეყნის მიერ და შესაბამისად უნდა იყოს დამახასიათებელი ამ ქვეყნისათვის:

ა.2.i. *ტურიზმთან დაკავშირებული პროდუქტები,* რომლებიც შეიცავენ სხვა ტურიზმის ანალიზისთვის რელევანტურ პროდუქტებს მაგრამ არ აკმაყოფილებენ პარაგრაფ 5.10 მოცემულ კრიტერიუმებს;

ა.2.ii. *სამომხმარებლო პროდუქტები, რომლებიც არ არიან ტურიზმთან დაკავშირებული* და მოიცავენ ყველა სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებას, რომელიც არ მიეკუთვნება წინა კატეგორიებს.

ბ. არასამომხმარებლო პროდუქტები: ეს კატეგორია მოიცავს ყველა იმ პროდუქტს, რომელიც თავისი ბუნებით არ არის სამომხმარებლო საქონელიდა მომსახურება, ამიტომ ვერ იქნება ვერც ტურისტული დანახარჯებისშემადგენელი ნაწილი და ვერც ტურისტული მოხმარების, გამონაკლისს წარმოადგენს ძვირფასი ნივთები, რომლებსაც შეიძენენ ვიზიტორები მგზავრობისდროს. ორი ქვეკატეგორია შემდეგნაირად განისაზღვრება:

ბ.1. ძვირფასი ნივთები (იხილეთ პარაგრაფი 4.2):

ბ.2. სხვა არასამომხმარებლო პროდუქტი, რომელიც შედგება იმ პროდუქტებისაგან, რომლებიც არიან ასოცირებული კოლექტიურ მოხმარებასა და წარმოების საშუალებების ფორმირებასთან.



5.17. პარაგრაფი 5.11-ის შესაბამისად, ტურიზმთან ასოცირებული აქტივო-ბები ეხება ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტების ორივე ქვეკატეგორიას (ა1.i და ა. 1.ii). სამომხმარებლო პროდუქტების სია იხილეთ დანართ 2-ში. ზემოხსენებული (პარაგრაფი 5.10) კრიტერიუმების გამოყენებით ეს პროდუქტები შეიძლება კატეგორიზებულ იქნას, როგორც დამახასიათებელი პროდუქტები. ამ პროდუქტების და მათთან დაკავშირებული აქტივობების საერთაშორისო მასშტაბით შედარება შესაძლებელია CPC-ის ქვეკლასების და ISIC-ის კლასების საშუალებით.

5.18. ფიგურა 5.1. წარმოგვიდგენს ტურიზმისათვის ასოცირებული სამომხმარებლო პროდუქტების და აქტივობების ტიპოლოგიას, რომელიც დაჯგუფებულია 12 კატეგორიად და გამოიყენება ტურიზმის სატელიტური ანგარიშების ცხრილებში. 1-დან 10-მდე კატეგორიები შეადგენენ საერთაშორისო შედარების საფუძველს (იხილეთ პარაგრაფეგი 5.25. და 5.30) და არიან აღწერილი დანართებში 3 და 4, როგორც CPC-ის ქვეკლასები და ISIC-ის კლასები. დანარჩენი ორი კატეგორია არის ქვეყნისთვის დამახასითებელი, რომელთაგანაც მე-11 ფარავს ტურიზმთან ასოცირებულ პროდუქტებს და შესაბამის საცალო ვაჭრობას,

ფიგურა 5.1
ტურიზმთან ასოცირებული სამომხმარებლო პროდუქტების და საქმიანობების (ტურისტული ინდუსტრია) კატეგორიების ჩამონათვალი

| პროდუქტები | აქტივობები |
|---|---|
| 1. ვიზიტორებისთვის განთავსების სერვისები | 1. ვიზიტორების განთავსება |
| 2. კვების სერვისები | 2. კვების მომსახურეობასთან დაკავშირებული აქტივობები |
| 3. სარკინიგზო სატრანსპორტო სერვისები | 3. სარკინიგზო მგზავრების ტრანსპორტირება |
| 4. საგზაო სატრანსპორტო სერვისები | 4. სახმელეთო მგზავრების ტრანსპორტირება |
| 5. საზღვაო სატრანსპორტო სერვისები | 5. საზღვაო მგზავრების ტრანსპორტირება |
| 6. საჰაერო სატრანსპორტო სერვისები | 6. საჰაერო მგზავრების ტრანსპორტირება |
| 7. სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების სერვისები | 7. სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება |
| 8. სამოგზაურო სააგენტოების და სხვა სარეზერვაციო სერვისები | 8. სამოგზაურო სააგენტოების და სხვა სარეზერვაციო საქმიანობა |
| 9. კულტურული სერვისები | 9. კულტურული აქტივობები |
| 10. სპორტული და სარეკრეაციო სერვისები | 10. სპორტული და სარეკრიაციო აქტივობები |
| 11. ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტურისზმთან ასოცირებული პროდუქტები | 11. ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტებით საცალო ვაჭრობა |
| 12. ქვეყნისთვის დამახასიათებელი ასოცირებული სხვა აქტივობები | 12. ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტურიზმთან ასოცირებული სხვა აქტივობები |

(იხილეთ პარაგრაგი 5.41) და მე-12 კატეგორია ეხება ტურიზმთან ასოცირებულ მომსახურებებს და აქტივობებს (იხილეთ პარაგრაფი 5.34).

## გ. ტურისტულ დანახარჯებში შემავალი პროდუქტებისა და აქტივობების იდენტიფიცირება

5.19. ვიზიტორებისაგან ტურისტული დანახარჯების შესახებ ინფორმაციის მოგროვება რეკომენდირებული კლასიფიკაციის საფუძველზე (იხილეთ პარაგრაფი 4.26) უნდა ხდებოდეს და შემდეგნაირად იყოს დაჯგუფებული:

I. ტურისტული პაკეტი, დასასვენებელი საგზური და ტურები;
II. განთავსება
III. კვება და სასმელი
IV. ადგილობრივი ტრანსპორტი
V. საერთაშორისო ტრანსპორტი
VI. რეკრეაცია, კულტურა და სპორტული აქტივობები
VII. შოპინგი
VIII. სხვა დანარჩენი.

5.20. თითოეულ ჯგუფი მოიცავს პროდუქტებსა და მომსახურებას. დაჯგუფებისას გამოყენებული კლასიფიკაცია ეყრდნობა დანახარჯების მიზნობრიობას, მიუხედავად ფიზიკური ბუნებისა ან წარმოების საშუალებისა.

5.21. საქონელი და მომსახურება დაკავშირებულია მიზნებთან, რის გამოც ხდება მათი შეძენა: მაგალითად, საწვავი, სათადარიგო ნაწილები და სხვა არის დაჯგუფებული სატრანსპორტო სერვისებთან ადგილობრივი და საერთაშორისო ტრანსპორტის ჯგუფებში; სპორტული აღჭურვილობის შეძენა მოგზაურობის დროს უკავშირდება რეკრეაციას, კულტურას და სპორტულ აქტივობებს; საკვებისა და სასმელის ჯგუფი შეიცავს კვების მომსახურებასა და საკვებ პროდუქტებს, რომელსაც იძენს ვიზიტორი საჭმელად ან საჭმლის მოსამზადებლად. ამავე პრინციპით, რეზერვაციის სერვისები შედის გაყიდულ სერვისებში: კრუიზები ტურისტულ პაკეტში, ტრანსპორტი ტრანსპორტში, წარმოდგენები და ღონისძიებები რეკრიაცია, კულტურა და სპორტული აქტივობებში. ბოლო კატეგორია სხვა დანარჩენი (რომლის შინაარსი უკავშირდება კატეგორია 2.ii. არასამომხმარებლო პროდუქტები (იხილეთ პარაგრაფი 5.16) , მოიცავს იმ საქონელსა და მომსახურეობას, რომელიც ვერ იქნება ასოცირებული იმ მიზნებთან, რომლებიც ნახსენებია კატეგორიებში, მაგალითად, გაზეთები და ჟურნალები, ჯანდაცვის პროდუქტები და სერვისები. რეკომენდირებულია ამ კლასიფიკაციის გამოყენება შერჩევის დროს.

5.22. სერვისების ჩამონათვალი CPC-ის ქვეკლასების მიხედვით, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს ტურისტულ დანახარჯებს, ნაჩვენებია ჯგუფების მიხედვით დანართ 2-ში. ტურიზმის სტატისტიკაში სამომხმარებლო საქონლისა და ძვირფასი ნივთებისადმი განსაკუთრებული მიდგომების გამო, რომელიც ახსნილია სექცია გ.2-ში ქვემოთ, ისინი მხოლოდ ზოგადად არიან ნახსენები დანართ 2-ში.

5.23. ის ფაქტი, რომ CPC-ის ქვეკლასები შესულია ჩამონათვალში არ ნიშნავს, რომ ამ ქვეკლასში შემავალი ყველა პროდუქტი უკავშირდება ტურიზმს, არამედ გულისხმობს იმას, რომ ის შეიცავს პროდუქტებს, რომელიც ტურისტულ დანახარჯებს მიეკუთვნება. მაგალითად, CPC 67190 სხვა ტვირთისა და ბარგის მომსახურება, მხოლოდ იმიტომ არის შესული, რომ ვიზიტორები ბარგის გადამზიდავებს ფულით ასაჩუქრებენ; ამ კატეგორიაში შემავალი სხვა დანარჩენი პროდუქტები როგორც წესი მწარმოებლის მიერ არის შეძენილი. ასევე CPC 85962 სავაჭრო გამოფენის დახმარება და საორგანიზაციო სერვისები შესულია იმიტომ, რომ ვიზიტორები და დამსწრეები იხდიან გადასახადს მონაწილეობისათვის; ამ კატეგორიაში შემავალ სხვა დანარჩენ სერვისებს იძენენ მეწარმეები ან სხვა კატეგორიის მონაწილეები (რომლებიც არ არიან ვიზიტორები).



5.24. CPC-ის კლასიფიკაციის ზოგიერთი დონის შეტანა ამ ჩამონათვალში საჭიროებს დამატებით განმარტებას:

(ა) 66 განყოფილება მოიცავს სატრანსპორტო საშუალებების დაქირავებას მძღოლთან ერთად. რადგანაც ტურისტული პაკეტისადმი არის ერთიანი მიდგომა (იხილეთ პარაგრაგი 5.41) და მე-12 კატეგორია ეხება ტურიზმთან ასოცირებულ მომსახურებებს და აქტივობებს (იხილეთ პარაგრაფი 5.34). ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება ავტობუსებისა და ვაგონების დაქირავებას მძღოლებთან ერთად (66011), და რომლებსაც იძენენ ტუროპერატორები, მიეკუთვნება ტურისტულ დანახარჯებს (როგორც პირდაპირ ვიზიტორების მიერ შეძენილი);

(ბ) სერვისები, რომლებიც შედის 67-ე განყოფილებაში სატრანსპორტო მომსახურეობის დახმარება, გულისხმობს იმ სერვისებს, რომლებიც მიეწოდებათ მგზავრებს სარკინიგზო სადგურებზე, ავტობუსის სადგურებზე, აეროპორტებში, ავტობანებზე, ხიდებზე და ა.შ. ან სერვისებს, რომლებიც მიეწოდება ვიზიტორებს, რომლებიც ფლობენ კერძო სატრანსპორტო საშუალებებს, როგორიცაა მანქანა, გემი ან თვითმფრინავი.

(გ) ჯგუფი 859 მოიცავს სხვა დამხმარე სერვისებს, რომლებიც არსებობს ორი სახის: სასტუმროების ბიზნეს ცენტრებისა და ან სხვა დამოუკიდებელი დაწესებულებების მიერ (85954 დოკუმენტების მომზადება და სხვა სპეციალიზებული საოფისე სერვისები) საქმიანი ვიზიტორებისათვის და სხვა ვიზიტორებისათვის მიწოდებული სერვისები. აგრეთვე ვიზიტორების მიერ კონფერენციებზე, სავაჭრო გამოფენებზე და ა.შ. გადახდილი დასასწრები სარეგისტრაციო მოსაკრებელი (8596 კონგრესი და სავაჭრო გამოფენა, დამხმარე და საორგანიზაციო სერვისები);

(დ) განყოფილება 92-ში (საგანმანათლებლო სერვისები) და 93-ში (ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების სერვისები) შესული პუნქტები მიუთითებენ ვიზიტორების მიერ განათლებასა და ჯანდაცვაზე გაწეულ ხარჯებზე, როგორც წესი ასეთი მოკლევადიანი განათლება და მკურნალობა მოგზაურობის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

### გ.1. საერთაშორისო დონეზე შედარებადი ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტები და აქტივობები

5.25. CPC-ის ქვეკლასები, რომლებიც მიეკუთვნება ტურისტული დანახარჯების ჯგუფებს მიზნიდან გამომდინარე (იხილეთ პარაგრაფი 5.19), გარდა მე-8 ჯგუფის სხვა დანარჩენი, უნდა იყოს გათვალისწინებული ტურისტული პროდუქტების მიხედვით დანახარჯების გაზომვისას. 2008 წლის ეროვნული ანგარიშების სისტემის პრინციპების მიხედვით (იხილეთ ჩანართი 5.1) ეს პროდუქტები უნდა იყოს გათვალისწინებული ა.1.i. საერთაშორისო დონეზე შედარებად ტურიზმთან ასოცირებულ პროდუქტებში.

ჩანართი 5.1

**სატელიტური ანგარიშები და სხვა დამატებები**

*იმ პროდუქტების განსაზღვრა, რომლებიც ინტერესის საგანს წარმოადგენენ*

ყველა სფეროსათვის ამოსავალი წერტილი იქნება იმ პროდუქტების იდენტიფიცირება, რომლებიც ამ სფეროსთვის არის დამახასიათებელი. სატელიტური ანგარიშების კონტექსტში, როგორც წესი ხდება მათი იდენტიფიცირება, როგორც ასოცირებული და დაკავშირებული პროდუქტების. ასოცირებული პროდუქტები არის ის პროდუქტები, რომლებიც ტიპიურია კონკრეტული სფეროსათვის, მაგალითად, ჯანდაცვისათვის ასოცირებული პროდუქტებია ჯანდაცვის სერვისები, საჯარო ადმინისტრირების სერვისები, განათლება და კვლევები ჯანდაცვაში (პარაგრაფი 29.59).

მეორე კატეგორია, დაკავშირებული საქონელი და მომსახურება, მოიცავს იმ პროდუქტებს, რომელთა გამოყენება საინტერესოა ვინაიდან ისინი კონკრეტული სფეროს ხარჯების კონცეფციაში შედიან თავიანთი ბუნებით ან იმიტომ, რომ ისინი პროდუქტების უფრო ფართო კატეგორიაში არიან კლასიფიცირებული. ჯანდაცვაში მაგალითად, პაციენტების ტრანსპორტირება შეიძლება იყოს დაკავშირებული სერვისი; ასევე ფარმაკოლოგიური პროდუქტები და სხვა სამედიცინო პროდუქტი, როგორიცაა სათვალე, ხშირად ითვლებიან დაკავშირებულ პროდუქტებად და სერვისებად (პარაგრაფი 29.60).

ასოცირებულ პროდუქტებს და დაკავშირებულ პროდუქტებს ერთად ეწოდება წამახალისებელი პროდუქტები (პარაგრაფი 29.61).

*წარმოების გაზომვა*

ასოცირებული პროდუქტების შემთხვევაში სატელიტურმა ანგარიშმა უნდა უჩვენოს, თუ როგორ იქნა წარმოებული ეს საქონელი და მომსახურება, რა ტიპის მწარმოებლები იყვნენ ჩართულნი, რა სახის სამუშაო ძალა და ძირითადი კაპიტალი იქნა გამოყენებული, როგორი იყო საწარმოო პროცესის ეფექტურობა და აქედან გამომდინარე რესურსების განაწილება (პარაგრაფი 29.62).

დაკავშირებულ პროდუქტებს რაც შეეხება, განსაკუთრებული ინტერესი არ არსებობს მათ წარმოებასთან დაკავშირებით, რადგანაც ისინი ინტერესის სფეროსთვის ტიპიური პროდუქტები არ არიან. თუ წარმოების პირობები მნიშვნელოვანია, მაშინ საუბარია ასოცირებულ პროდუქტებზე და არა დაკავშირებულ პროდუქტებზე. მაგალითად, ფარმაცევტული პროდუქტები შეიძლება იყოს დამახასიათებელი *ქვეყნის ჯანდაცვის ანგარიშისათვის ადგილობრივი წარმოების განვითარების პირველ ეტაპზე*. ზღვარი ასოცირებულ პროდუქტებს და დაკავშირებულ პროდუქტებს შორის დამოკიდებულია მოცემული ქვეყნის ეკონომიკის ორგანიზებაზე და სატელიტური ანგარიშის მიზანზე (პარაგრაფი 29.63).

*წარმოება და პროდუქტები*

კარგი იქნება მიწოდების კომპლექტის შემუშავება და ასოცირებული და დაკავშირებული პროდუქტებისა და ასოცირებული პროდუქტების მწარმოებლებისათვის ცხრილების გამოყენება. ეს შეიძლება გავრცობილ იქნას, რათა მოიცვას შემოსავლების ანგარიში, დასაქმებასთან დაკავშირებულ არამონეტარული მონაცემები და შედეგების ინდიკატორები. (პარაგრაფი 29.83)

*ფიზიკური მონაცემები*

მონაცემები, რომლებიც იზომება ფიზიკურ ან სხვა არამონეტარული ერთეულებით არ უნდა ითვლებოდეს სატელიტური ანგარიშების მეორად ნაწილად. ისინი არიან მნიშვნელოვანი კომპონენტები, რომლებიც პირდაპირ გვაწოდებენ ინფორმაციას რათა მონეტარული მონაცემების ადეკვატური ანალიზი ჩატარდეს (პარაგრაფი 29.84).

*წყარო: ევროპული საზოგადოების კომისია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, გაერო, მსოფლიო ბანკი, 2008 ეროვნული ანგარიშების სისტემა;*



**რეკომენდირებულია**, რომ ქვეყნებმა განასხვაონ ერთმანეთისაგან საქონელი და მომსახურება.

5.26. ტურიზმთან ასოცირებულ სერვისებად მიიჩნევა ის სერვისები, რომლე-ბიც შეესაბამება პარაგრაფ 5.10-ში რეკომენდირებულ კრიტერიუმებს. ის საწარმოები, რომლებისთვისაც ეს სერვისები წარმოების ძირითადი პროდუქტია, არის ჩამოთვლილი დანართ 2-ში. ანალიზისა და შერჩევის პროცესის ხელშემწყობ სერვისებთან ერთად.

5.27. CPC-ის კლასიფიკაციის გარკვეული კატეგორიების შეტანა იმ სიაში, რომელიც მოიცავს საერთაშორიასო დონეზე შედარებად ტურიზმთან ასოცირებულ პროდუქტებს, მოითხოვს დამატებით განმარტებებს:

- *CPC 63399 სხვა საკვებით მომსახურეობის სერვისები* უკავშირდება საკვებს, რომელიც არის შვედურ მაგიდებზე, დახლებზე, სწრაფი კვების ობიექტებში, ნაყინის ჯიხურებში, ყავის და წვენების აპარატებში, და ა.შ.
- განყოფილება 72, *უძრავი ქონების სერვისები* მოიცავს იმ სერვისებს, რომლებიც უკავშირდება დასასვენებელ სახლებს, დაქირავებულ საცხოვრებელ ფართებს და „თაიმშერის" ობიექტებს, როგორიცაა 72111 *დაქირავებისა და ლიზინგის სერვისები*, რომელიც იყენებს საკუთრებაში მყოფ ან დაქირავებულ საცხოვრებელ ფართს, 72123 *„თაიმშერის" ობიექტების სავაჭრო სერვისები* და 7221 *საკუთრების მართვის სერვისები კონტრაქტის საფუძველზე ან გადასახადის საფასურად.*

5.28. ამასთან, გარკვეული CPC-ის ქვეკლასების გამორიცხვას სჭირდება დასაბუთება:

- მაგალითად, ვიზიტორები მოიხმარენ სხვადასხვა პროდუქტს, რომელიც არის ტიპიური ISIC 4921 *ურბანული ან გარეუბნის სახმელეთო სამგზავრო სერვისები*, როგორიცაა CPC 64111 *ურბანული ან გარეუბნის სარკინიგზო სატრანსპორტო სერვისები*, 64112 *ურბანული ან გარეუბნის საგზაო სატრანსპორტო სერვისები*, 64113 *ურბანული ან გარეუბნის შერეული ტიპის სატრანსპორტო სერვისები.* ვიზიტორების მიერ ამ ტიპის სერვისების მოხმარება არ არის დიდი მასშტაბის თუ შევადარებთ ჩვეული გარემოს მთელი მოსახლეობის მოხმარებას და ამ სერვისების შეტანა ტურიზმთან ასოცირებული აქტივობების ჩამონათვალში ინტერესს მოკლებული იქნება. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ეს პროდუქტები არ არის ტურიზმთან ასოცირებული დანართ 2-ში. საპირისპიროდ, ISIC 4922 სხვა სახმელეთო სამგზავრო ტრანსპორტი, მოიხმარება თითქმის ყველა ვიზიტორის მიერ ყველა ქვეყანაში და ამიტომ ითვლება ტურიზმთან ასოცირებულად.
- იგივე არგუმენტებით შეიძლება დასაბუთდეს შემდეგის გამორიცხვა: განყოფილება 68-ის *საფოსტო და კურიერული მომსახურება*, განყოფილება 84-ის *ტელეკომუნიკაციები, საეთერო და საინფორმაციო სერვისები* და განყოფილება 97-ის *სხვა სერვისები*, რომელიც ეხება საქმიან და პერსონალურ სერვისებს, რომელსაც იყენებენ ვიზიტორები და ცალკე იხდიან ქვითრების მიხედვით სასტუმროში ან , რომლებიც მოდის ფოსტით ან სხვა საშუალებით სახლიდან შორს ყოფნისას.

5.29. საერთაშორისო დონეზე შედარებადი ტურიზმთან ასოცირებული აქტივობები ჯგუფდება 10 ძირითადი კატეგორიის მიხედვით, რომელიც უკავშირდება ISIC-ს და წარმოდგენილია ფიგურა 5.1-ში. ეს ფიგურა ასევე წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე შედარებად ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტების შესაბამის კატეგორიებს. ISIC-ის დეტალური კლასები, რომელიც შეესაბამება თითოეულ კატეგორიას წარმოდგენილია დანართ 3-ში. დანართი 4 მოიცავს CPC-ის ქვეკლასების აღწერას.

5.30. CPC-ის კლასიფიკაცია წარმოებისა და მიწოდების ანალიზისათვის უფრო რელევანტურია, ვიდრე რეკომედირებული (იხილეთ პარაგრაფი 5.19) კლასიფიკაცია მიზნების მიხედვით, რადგანაც ის უშუალოდ უკავშირდება მიწოდების ანალიზს. მაგალითად, ნაკრძალთან დაკავშირებული საქმიანობები და პროდუქტები და მსგავსი სერვისები ჯგუფდება სხვა განსაკუთრებულ კატეგორიებთან ერთად (ჯგუფი 8). ამასთან, გრძელი დისტანციის სამგზავრო ტრანსპორტი ჯგუფდება ტრანსპორტირების საშუალების მიხედვით. CPC-ის კლასიფიკაცია ასევე გამოიყენება ტურიზმის სატელიტურ ანგარიშში.

## გ.2. ქვეყნისათვის დამახასიათებელი ტურიზმთან ასოცირებული და დაკავშირებული პროდუქტების სიის დადგენა

5.31. ყველა ქვეყანას შეუძლია შეავსოს საერთაშორისო დონეზე შედარებადი ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტებისა და აქტივობების სია (ფიგურა 5.1, კატეგორიები 1-დან 10-მდე) იმ პროდუქტებისა და აქტივობების ჩამონათვალით, რომელიც ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი (კატეგორია ა.1.ii). რეკომენდირებულია, საქონლისა და მომსახურების ცალცალკე იდენტიფიცირება.

5.32. CPC-ის ქვეკლასები, რომლებიც მოცემულია დანართ 2-ში, პირობითად იდენტიფიცირებულ იქნა როგორც პოტენციური ტურისტული მოხმარების პროდუქტები. რაც წინასწარ არ იყო იდენტიფიცირებული, როგორც საერთაშორისო შედარების საფუძველი (დანართ 2-ში კლასიფიცირებული, როგორც დამახასიათებელი), რომელიც შეადგენს ნაკრებს, რომელსაც ქვეყნებმა შეიძლება უწოდონ ტურიზმთან ასოცირებული და მასთან დაკავშირებული პროდუქტების ეროვნული სიები. UNWTO (გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია) გადახედავს ამ ქვეყნებისათვის დამახასითებელ სიებს, რათა დაადგინოს საჭიროებს თუ არა რევიზიას საერთაშორისო დონოზე შედარებადი ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტებისა და აქტივობების ჩამონათვალი .

5.33. რეკომენდირებული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც უნდა აირჩიო ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტები უკვე ნახსენებია პარაგრაფ 5.10-ში. ეს კრიტერიუმები უნდა მიესადაგებოდეს თითოეულ ქვეყანას და ექვემდებარებოდეს უფრო დეტალურ ჩაშლას.

5.34. ქვეყნისათვის დამახასითებელი ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტები და აქტივობები შეადგენს კატეგორიებს 11-ს და 12-ს ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტების და აქტივობების დეტალურ კლასიფიკაციაში (იხილეთ ფიგურა 5.1). ისინი შეიძლება შეიცავდნენ დანართ 2-ში ჩამოთვლილ ნებისმიერ პროდუქტებსა და აქტივობებს, მიუხედავად მათი მიზნის მიხედვით კლასიფიკაციისა.

5.35. საბოლოოდ, თითოეული ქვეყანა ტურიზმთან დაკავშირებული პროდუქტების სიას (კატეგორია ა.2.i)განსაზღვრავს იმის საფუძველზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ესა თუ ის პროდუქტი ტურიზმისათვის.

5.36. საჭიროებიდან გამომდინარე, ქვეყნებმა შეიძლება გადაწყვიტონ ზოგი-ერთი CPC-ის ქვეკლასისათვის (დანართი 2) სპეციალური კატეგორიების შექმნა. ამით ფოკუსი გაკეთდება იმ პროდუქტის გაზომვაზე, რომელიც განსაკუთრებული ინტერესის საგანია. იგივე მიდგომა შეიძლება გამოვიყენოთ 4-ციფრიანი ISIC-ის კლასების 5 დონეზე დაყოფისას.

## დ. საქონელთან დაკავშირებული შემთხვევები

5.37. *ტურისტული დანახარჯები არ შეიცავს მხოლოდ სერვისებს* - სამომხმარებლო საქონელი და ძვირფასი ნივთები (პარაგრაფი 4.4), შეიძლება შეძენილ იქნას ვიზიტორების მიერ და ტურიზმის კლასიფიკაცია მიზნობრიობის მიხედვით აღიარებს, რომ ზოგიერთი საქონლის შეძენა (შოპინგი) შეიძლება ასევე ტურისტული მოგზაურობის მთავარი მიზანი იყოს (იხილეთ პარაგრაფი 3.17/1.6).

5.38. ზოგიერთ საქონელს, როგორიცაა მაგალითად ხელნაკეთი ნივთები, უფრო ხშირად იძენენ ვიზიტორები, ვიდრე არავიზიტორები. მიუხედავად ამისა, CPC-ში მათთვის არ არის გამოყოფილი სპეციალური კატეგორია, რადგანაც მათი განსაზღვრება როგორც ხელნაკეთი ნივთებისა, ეფუძნება მხოლოდ ტრადიციულ ან დაბალტექნოლოგიურ საწარმოო პროცესს, რომელსაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მრავალი სახეობის პროდუქტის წარმოება. სუვენირებსაც უფრო ხშირად ვიზიტორები იძენენ, ვიდრე არა ვიზიტორები და ისინიც შეიძლება CPC-ის კატეგორიების მთელ სპექტრს შეესაბამებოდეს. ავტომანქანების საწვავი (ან ნავების საწვავი კუნძულოვანი ქვეყნების შემთხვევაში) ასევე წარმოადგენს საქონელზე დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილს. სხვა შესყიდული საქონელი, მათ შორის სპორტული აღჭურვილობა, ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს ვიზიტორების სხვადასხვა საქმიანობას სპეციფიურ ქვეყანაში ან რეგიონში.



5.39. შეუძლებელია ტურიზმთან დაკავშირებული საქონლის სტანდარტული სიის შემუშავება, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამოყენებადი იქნება, რადგანაც საკმარისი ერთგვაროვნება არ არის ვიზიტორების მიერ სხვადასხვა ქვეყნებში შეძენილი საქონლის მხრივ.

5.40. დამატებითი საკითხი ჩნდება იმ საქმიანობებთან დაკავშირებით, რომლე-ბიც ასოცირდება სამომხმარებლო საქონლის და ძვირფასი ნივთების წარმოებასთან. სერვისების შემთხვევაში, წარმოება, შეძენა და მოხმარება ერთდროულად ხდება. მაგრამ საქონლის შემთხვევაში ეს ასე არ არის. საქონლის მწარმოებლები, როგორც წესი პირდაპირ ვიზიტორებს არ ჰყიდიან საქონელს. საქონელი, რომელიც მზადდება ვიზიტორებისათვის, მათ მიეწოდება შუამავლების ან საბითუმო შემსყიდველების მეშვეობით, რომლებიც არიან პასუხისმგებელი ტრანსპორტირებაზე, დასაწყობებაზე, და საბოლოო შემსყიდველისათვის მიწოდებაზე. ამასთან, საქონელი და ძვირფასი ნივთები, ხშირად მათი საბოლოო გაყიდვისაგან განსხვავებულ დროსა და ადგილზე იწარმოება.

ვიზიტორებთან პირდაპირ ურთიერთობასთან დაკავშირებული ერთადერთი აქტივობა არის საცალო ვაჭრობა. ამიტომ (იხილეთ პარაგ. 5.2), სწორედ საცალო ვაჭრობაა ის აქტოვობა, რომელიც ტურიზმის ანალიზის დროს ასოცირებულია სამოხმარებლო საქონელსა და ძვირფას ნივთებთან.

5.41. თითოეულმა ქვეყანამ პარაგრაფ 5.10-ში მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე უნდა დაადგინოს, თუ რომელი სამოხმარებლო საქონელი და ძვირფასი ნივთები უნდა შევიდეს კლასიფიკაციის კატეგორია 11-ში (ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტურიზმთან ასოცირებული საქონელი პროდუქტებისთვის და საცალო ვაჭრობა ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტურიზმთან ასოცირებული საქონლით აქტივობებისთვის) (იხილეთ ფიგურა 5.1 და დანართი 3). თუკი საქონელი არ აკმაყოფილებს პარაგრაფ 5.10-ში მოცემულ კრიტერიუმებს, ქვეყნებმა ეს საქონელი უნდა განსაზღვრონ, როგორც ტურიზმთან დაკავშირებული.

5.42.ვიზიტორებისმიერძვირფასინივთებისშეძენაუნდაიყოსცალკეიდენტიფიცირებული, რათა ის შესაბამისობაში მოვიდეს ფიგურა 5.1-თან (ასევე იხილეთ პარაგრაფი 4.36 (ჰ)) და შევიდეს ბ.1. *ძვირფას ნივთებში.*

5.43. ვიზიტორების მიერ შეძენილი საქონლის წარმოებასა და ტურიზმთან დაკავშირებულ გაზომვებს შორის კავშირი უნდა იყოს განხილული ტურიზმის გავლენასთან დაკავშირებული კომპლექსური ანალიზის დროს. ეს თემა შეადგენს ტურიზმის სატელიტური ანგარიშების ჩარჩოს გაგრძელებას (*იხილეთ ტურიზმის სატელიტური ანგარიშები: რეკომენდირებული მეთოდოლოგიური ჩარჩო, დანართი 5).*

## თავი 6

# მიწოდების პერსპექტივა

6.1. ვიზიტორების მოსაზიდად ქვეყანაში საქონელი და მომსახურება იმ სახით და რაოდენობით უნდა იყოს ხელმისაწვდომი, როგორიც არის ვიზიტორების მოთხოვნა. სწორედ მოთხოვნასთან შესაბამისობაში მყოფი მიწოდების საშუალებით ხდება ტურიზმის ეკონომიკური კონტრიბუციის აღრიცხვა და გაზომვა. ამდენად, ვიზიტორებისათვის განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების შესწავლა საინტერესოა ქვეყანაში ტურიზმის უკეთ გაგებისა და აღწერისათვის.

6.2. ტურიზმის მიწოდება არის ვიზიტორებისათვის იმ საქონლისა და მომსა-ხურების პირდაპირ მიწოდება, რომლებიც ტურისტულ დანახარჯებს შეადგენენ (იხილეთ პარაგრაფი 5.2).

6.3. ტურიზმის მიწოდების ანალიზში შედის: პირველი, როგორ იქმნება ვიზიტორებისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების წარმოების შესაბამისი პირობები და მეორე, წარმოების ღირებულებასა და ტურიზმის ინდუსტრიის მიმწოდებლების ეკონომიკურ საქმიანობაზე პროცესების აღწერა.

## ა. სტატისტიკური დეპარტამენტი

6.4. მიწოდების პერსპექტივისთვის მნიშვნელოვანია იმ საწარმოო აქტივობების აღწერა, რომლის შედეგი ვიზიტორების მიერ შეძენილი საქონელი და მომსახურებაა.

6.5. დასაწყისისათვის უნდა დადგინდეს იმ სტატისტიკური ერთეულის ტიპი, რისთვისაც ინფორმაცია და მონაცემები გროვდება.

6.6. ანალიზის სხვადასხვა ფორმას სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური ერთეული შეესაბამება. ყველაზე გავრცელებული ტიპები არიან ინსტიტუციური ერთეულები და დაწესებულებები.

6.7. *ინსტიტუციური ერთეულები* ეროვნული ანგარიშების სისტემის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია, რის გარშემოც შენდება სისტემა. ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ შინამეურნეობას, სამართლებრივ, სოციალურ, ან ეკონომიკურ ერთეულებს, რომლებიც ფლობენ საქონელსა და ქონებას, აქვთ პასუხისმგებლობები, შედიან საკონტრაქტო ურთიერთობებში და იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებზედაც პასუხს აგებენ. საწარმოო პროცესის შესწავლისას, ინსტიტუციური ერთეულები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არ არის, რადგან ერთი ერთეული შეიძლება მრავალ აქტივობაში იყოს ჩართული.

6.8. ამ ერთგვაროვნების აღიარებისათვის, ეროვნული ანგარიშების სისტემა რეკომენდაციას უწევს *დაწესებულების* გამოყენებას ისეთი მონაცემების შეგროვებისას, რომელიც გამოიყენება წარმოების ანალიზისას. დაწესებულება (ან ადგილობრივი აქტივობის ერთეული ევროკავშირის ლექსიკონში) განისაზღვრება, როგორც „საწარმო, ან საწარმოს ნაწილი რომელიც ერთ ადგილას მდებარეობს, და სადაც ერთი პროდუქტიული საქმიანობა მიმდინარეობს ან სადაც ძირითადი საწარმოო საქმიანობა შეადგენს დამატებული ღირებულების ძირითად ნაწილს“ (ეროვნული ანგარიშების სისტემა 2008, პარაგრაფი 5.14).

6.9. დაწესებულება გამოიყენება წარმოების და საწარმოო პროცესის ანალიზისათვის ტურიზმის სტატისტიკაში და ტურიზმის სატელიტურ ანაგარიშებში, ისევე როგორც ეროვნული ანგარიშების სისტემაში.

6.10. იმ დაწესებულებებს, რომლებიც საკვებით ემსახურებიან ვიზიტორებს, ხშირად აქვთ ერთზე მეტი საწარმოო საქმიანობა. ერთზე მეტი საწარმოო საქმიანობა აქვთ თუ არა (სტატისტიკური თვალსაზრისით) დამოკიდებულია იმაზე, შესაძლებელია თუ არა მათი პროდუქციის განცალკევება. მაგალითად, სასტუმროები, რომლებიც ვიზიტორებს სთავაზობენ კვებით მომსახურებას და ახორციელებენ თავშეყრის ადგილების მენეჯმენტს განთავსების უზრუნველყოფასთან ერთად; მატარებლები, რომლებიც უზრუნველოფენ კვებას და დასაძინებელ ადგილებს მგზავრების ტრანსპორტირებასთან ერთად და ა.შ.



6.11. თითოეული სასტუმრო, რესტორანი ან ტურისტული სააგენტო, რომე-ლიც ქსელს მიეკუთვნება და ოპერირებს სხვადასხვა ადგილებში, ასევე ჩაითვლება ცალკე დაწესებულებად.

6.12. ტურიზმში ბევრი საწარმო ძალიან მცირე მასშტაბით ოპერირებს, მაგა-

ლითად როგორც ოჯახური ბიზნესი, ან წარმოების არაფორმალური ერთეული (ზოგჯერ ასევე შედის ჩრდილოვან ეკონომიკაში), რომელსაც აქვს მხოლოდ ერთი სახის საქმიანობა, მაგალითად, საკვებისა და სასმელის მიწოდების სერვისები, სასტუმროები ან სხვა პერსონალური სერვისები. ორგანიზაციის ფორმის განურჩევლად, თითოეული ეს ერთეული უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებელ დაწესებულებად თუკი მას შეუძლია მონაცემების მიწოდება საოპერაციო მოგების დასათვლელად.

6.13. მომგროვებლებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია ასეთი ტიპის ერთეულების არსებობის შესახებ, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდნენ ფორმალური ერთეულებისგან, რომლებიც არიან სტატისტიკური პროცედურების და ოფიციალური რეგისტრატორების ყურადღების ცენტრში.

## ბ. კლასიფიკაციები

6.14. მიწოდებასთან დაკავშირებულ სტატისტიკაში, დაწესებულებები კლასიფი-

ცირდებიან თავიანთი ძირითადი საქმიანობის მიხედვით, რაც თავის მხრივ განისაზღვრება ყველაზე მეტი დამატებული ღირებულების მომტანი საქმიანობის მიხედვით.

6.15. შედეგად, ყველა მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელი დაწესე-ბულების დაჯგუფება, რომელიც პირდაპირ ემსახურება ვიზიტორებს და არის ერთ-ერთი ტურიზმთან ასოცირებული აქტივობა (რომელიც განმარტებულია წინა თავში), ქმნის *ტურიზმის ინდუსტრიას*. (იხილეთ პარაგრაფები 5.2. და 6.2.).

6.16. ამგვარად, ყველა ტურიზმის ინდუსტრია შედგება ყველა იმ დაწესე-ბულებისაგან, რომლის ძირითადი საქმიანობა არის ტურიზმთან ასოცირებული და რომელიც ვიზიტორებს უწევს პირდაპირ მომსახურეობას.

6.17. რადგანაც დაწესებულების კლასიფიკაცია ეფუძნება მის ძირითად საქმიანობას, ის დაწესებულებები, რომელთა საქმიანობაში ტურიზმისათვის დამახასიათებელი საქმიანობა მეორადია, არ უნდა შედიოდეს ტურიზმის ინდუსტრიაში. მაგალითად, თუ სუპერმარკეტი ახორციელებს ტურისტული სააგენტოს მომსახურეობას, როგორც მეორად საქმიანობას, ეს ტურისტული სააგენტო იქნება საცალო ვაჭრობის ინდუსტრიის მთლიანი პროდუქტის ნაწილი და არ გამოჩნდება სამოგზაურო სააგენტოების ინდუსტრიის ნაწილში. ეს საქმიანობა გამოჩნდება როგორც საცალო ვაჭრობის ინდუსტრიის მეორადი პროდუქტი.

6.18. იგივე პრინციპით, ბევრ დაწესებულებას, რომელიც მიეკუთვნება ტურიზმის ინდუსტრიას აქვს მეორადი აქტივობები, რომლებიც არ არიან ტურიზმთან ასოცირებული; ან აქვთ სხვა ტურიზმთან ასოცირებული მეორადი აქტივობები.

6.19. ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია აწარმოოს ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტების ნაერთი: ეს განსაკუთრებით ეხება სასტუმროების ინდუსტრიას, რომელსაც აქვს დამატებითი მნიშვნელოვანი აქტივობები საკვებითა და სასმელით მომსახურეობის სახით.

6.20. შედეგად, ტურიზმის ინდუსტრიის პროდუქტი შეიძლება არ შედგებოდეს ექსკლუზიურად მხოლოდ ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტებისაგან, ხოლო სხვა არატურისტული ინდუსტრია შეიძლება აწარმოებდეს ტურიზმთან ასოცირებულ პროდუქტებს. ეს სიტუაცია ილუსტრირებულია ფიგურა 6.1.-ში, რომელიც ქვემოთ

არის მოცემული. ტურიზმის ინდუსტრიის ძირითადი პროდუქტი (პირველი სვეტი) თავისი განსაზღვრებით არის ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტი, თუმცა მას ასევე შეუძლია ტურიზმთან დაკავშირებული პროდუქტებისა და სხვა პროდუქტების წარმოება. სხვა ინდუსტრიების ძირითადი პროდუქტი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, გარდა ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტებისა. მთლიანი პროდუქტი არის ეკონომიკაში ყველა ინდუსტრიის მიერ წარმოებული პროდუქტის ჯამი.

## გ. ტურიზმის ინდუსტრიის დახასიათება

6.21.ყველატურისტულიინდუსტრიის(დაშესაბამისიდაწესებულებების)მახასიათებლების გაზომვას უნდა ჰქონდეს ორი მიზანი: ინდუსტრიის ანალიზი და მონაცემთა გენერაცია, რითაც შესაძლებელი იქნება მოთხოვნასთან შესაბამისობის დადგენა ღირებულების, რაოდენობის ან არამონეტარული ერთეულების მიხედვით (იხილეთ ქვემოთ). მაგალითად:

(ა) პროდუქტის მთლიანი ღირებულება და მთლიანი პროდუქტის დაყოფა (განსაკუთრებული აქცენტით ტურიზმთან ასოცირებულ პროდუქტებზე) საწყისი ფასებისა და მწარმოებლის ფასების მიხედვით (თუ რელევანტური იქნება);

ბ) შუალედური მოხმარების მთლიანი ღირებულება ჩაშლილი ძირითადი პროდუქტის კატეგორიების (თუ შესაძლებელია) შემსყიდველის ფასების მიხედვით;

(გ) მთლიანი დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებით (განსხვავება საბაზისო ფასებით პროდუქტის მთლიან ღირებულებასა და შემსყიდველის ფასების მიხედვით შუალედური მოხმარების მთლიან ღირებულებას შორის);

(დ) დასაქმებულების მთლიანი ანაზღაურება: ხელფასები (ნაღდი ფულით და მატერიალური) და სოციალური კონტრიბუციები; გლობალურად და სპეციალურად იდენტიფიცირებული დასაქმებულების კატეგორიების მიხედვით (იხილეთ თავი 7);

(ე) მთლიანი საოპერაციო მოგება.

ფიგურა 6.1

კავშირი ტურიზმის ინდუსტრიებს, სხვა ინდუსტრიებსა და პროდუქტებს შორის

| ტურიზმის ინდუსტრიები (TI) | TI (1) TI(2) …. TI (n) | სხვა ინდუსტრიები(OI) OI (1) OI (2) … OI (p) | მთლიანი პროდუქცია, პროდუქტების მიხედვით | | |
|---|---|---|---|---|---|
| ასოცირებული პროდუქტები (CHP) | | | | | |
| CHP1 | XXX X X X | X X X X | ∑ CHP1 | | |
| CHP2 | X XXX X X | X X X X | ∑ CHP2 | | |
| …. | … … … … … | … … … | … | | |
| CHPn | X X X XXX | X X X X | ∑CHPn | | |
| დაკავშირებული პროდუქტები (Cp) | | | … | | |
| Cp1 | X X X X | X? X? X? X? | ∑ Cp1 | | |
| Cp2 | X X X X | X? X? X? X? | ∑ Cp2 | | |
| … | … … … … … | … … … | … | | |
| Cpn | X X X X | X? X? X? X? | ∑Cpn | | |
| სხვა პროდუქტები (Op) | | | … | | |
| Op1 | X X X X | X? X? X? X? | ∑ Op1 | | |
| Op2 | X X X X | X? X? X? X? | ∑ Op2 | | |
| … | … … … … | … … … … | … | | |
| Opn | X X X X | X? X? X? X? | ∑ Opn | | |
| ინდუსტრიების მთლიანი პროდუქტი | ∑TI (1) ∑TI (2) … ∑TI (n) | ∑OI(1) ∑OI(2) … ∑OI (p) | ∑ სტრიქონების = ∑ სვეტების | | |



შენიშვნა: XXX მიანიშნებს იმაზე, რომ ამ უჯრედის მნიშვნელობა ყველაზე მნიშვნელოვანია ამ სვეტში (ინდუსტრიის ძირითადი პროდუქტი)
X მიანიშნებს, რომ ამ უჯრედში შესაძლებელია იყოს მნიშვნელობა
X? მიანიშნებს, რომ ამ უჯრედებიდან ნებისმიერი შეიძლება სვეტში იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი (ინდუსტრიის ძირითადი პროდუქტი).

(ვ) მთლიანი საწესდებო კაპიტალის ფორმირება აქტივის კლასის მიხედვით;

(ზ) მიწის შეძენა და არამატერიალური აქტივები (როგორიცაა ფრენჩაიზი);

(თ) დაწესებულებების კლასიფიცირება (და შესაძლო ჯვარედინი კლასიფიცირება) ქვეყნისათვის რელევანტური კატეგორიების მიხედვით, როგორიცაა ფორმალური/არაფორმალური, საბაზრო/არასაბაზრო, ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა, დასაქმების მასშტაბი, და სხვა,

(ი) ინფორმაცია დასაქმებაზე (დასაქმების სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე ეს საკითხი არის ცალკე განხილული მე-7 თავში);

(კ) რელევანტური არამონეტარული ინდიკატორები (თითოეული აქტივობისათვის სპეციფიური), რაც აჩვენებს შესაძლებლობებს (მიწოდება) და მოთხოვნას, რომელიც დაკმაყოფილდა (მაგ; ტრანსპორტირებისა და განთავსების შესაძლებლობების გამოყენების კოეფიციენტი ან დატვირთვა) წლიურად ან უფრო ხშირად, თუკი სეზონურობის ხაზგასმა მნიშვნელოვანი დამოთხოვნადია.

## დ. რჩეული ტურისტული ინდუსტრიები: ძირითადი ცნობარი

### დ.1. ვიზიტორების განთავსება

6.22. რადგანაც ტურისტები ღამეს ათევენ თავიანი ჩვეული გარემოს ფარგლებს გარეთ, მათ სჭირდებათ სპეციალური ადგილი ღამის გასათევად.

6.23. მოკლევადიანი განთავსების სერვისები იმდენად მნიშვნელოვანია ტურიზმისათვის, რომ ზოგიერთი ქვეყანა ამ დაწესებულებებს, კვების ობიექტებს და ტურისტულ სააგენტოებს მიიჩნევს მთელ ტურისტულ ინდუსტრიად.

6.24. განთავსების სერვისების მიწოდება ხდება ან კომერციულ (საბაზრო) საფუძველზე, როგორც ფასიანი სერვისი, მიუხედავად იმისა ფასი სუბსიდირებულია თუ არა, ან არაკომერციულ საფუძველზე (არასაბაზრო), როდესაც სერვისები მიეწოდებათ ფასის გადახდის გარეშე მეგობრების ან ნათესავების მიერ ან თავიან ხარჯზე (კერძო საკუთრებაში მყოფი დასასვენებელი სახლები). „თაიმშეარის“ უძრავი ქონება ასევე ამ ბოლო კატეგორიას მიეკუთვნება, თუმცა მიდგომა განსხვავებულია.

6.25. კომერციულ საფუძველზე მიწოდებული სერვისები და მათი მიმწოდებელი დაწესებულებები შესაბამისად უნდა იყოს კლასიფიცირებული რათა მოთხოვნის სხვადასხვა სეგმენტების და ამ სეგმენტებისათვის სერვისის მიმწოდებლების ანალიზი ჩატარდეს. სერვისის მიმწოდებლები შეიძლება განსხვავდებოდნენ ორგანიზაციის ფორმის, ზომის და სერვისის სახეობების მიხედვით. მაგალითად, განთავსების სერვისის მიწოდება შეიძლება სხვადასხვა ფორმით ხდებოდეს: სრული სერვისისა და მოწყობილობის ოთახები, მთლიანად მოწყობილი ფართები ერთი ან რამდენიმე ოთახითა და სამზარეულოთი, ყოველდღიური დალაგებით ან მის გარეშე. ის ასევე შეიძლება იყოს საზიარო, როგორც ახალგაზრდული ჰოსტელების შემთხვევაში. ამ სერვისებს შეიძლება ემატებოდეს კვება, პარკინგი, სამრეცხაო, საცურაო აუზი, სავარჯიშო დარბაზი, სარეკრეაციო, კონფერენციებისა და შეხვედრების ობიექტები. ამ მახასიათებლებიდან ერთი ან ორი შეიძლება არჩეულ იქნას საბაზრო სეგმენტის შესაქმნელად.

6.26. მიწოდების კუთხით განთავსების სერვისებზე მონაცემების შეგროვება ჯვარედინი კლასიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა იმ დანიშნულების ადგილებზე, სადაც განთავსების ობიექტებია განლაგებული. ისინი შეიძლება დახასიათდეს კლასების მიხედვით, მაგ; მოსახლეობის ზომა, გეოგრაფიული მახასიათებლები (ზღვა, მთა და ა.შ.)

ან რაიმე სხვა მახასიათებლით, როგორიცაა სპა კურორტი, ისტორიული ადგილები, ადგილობრივი განთავსება. ლოკაციის შესახებ ინფორმაციის დაკავშირება განთავსების სერვისებზე მონაცემებთან იძლევა საბაზრო სეგმენტების უფრო სიღრმისეული ანალიზის საშუალებას. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია არსებული რეესტრებიდან.

6.27. საერთაშორისო მასშტაბით შედარებადი კატეგორიების შექმნა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან არ არსებობს შეთანხმება ერთიან მახასიათებლებზე სერვისების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე. ეს კი დაკავშირებულია ქვეყნების განსხვავებულ ეკონომიკურ განვითარებასა და ფასებთან (ძირითადად სამუშაო ძალის ფასებზე). ამასთან, მსგავსი განთავსების სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების ჯგუფის მიმართ გამოყენებული ტერმინოლოგია განსხვავდება ქვეყნების და ენების მიხედვით და ხანდახან ქვეყნის შიგნითაც კი. დაწესებულებები, რომლებსაც ერთნაირი ან მსგავსი კატეგორიების დასახელება აქვთ, შეიძლება არ უზრუნველყოფდნენ იდენტურ სერვისებს. ხოლო იდენტურ სერვისებს შეიძლება უზრუნველყოფდეს განსხვავებული კატეგორიის ქვეშ მყოფი დაწესებულებები. დაწესებულების გარკვეული ტიპი შეიძლება არსებობდეს ერთ ქვეყანაში და არ არსებობდეს მეორეში. და ბოლოს, ერთი მენეჯმენტის ქვეშ მყოფი დაწესებულება შეიძლება უზრუნველყოფდეს სხვადასხვა სერვისებს, რომლებიც იდენტიფიცირებულია სხვადასხვა CPC-ის კატეგორიებში (ტრადიციული სასტუმრო, *კერძო რეზიდენციების კლუბები,* „თაიმშეარის“ ობიექტები).

6.28. სანამ ქვეყნებს შორის საქმიანობების საერთო ჯგუფების თაობაზე არ მოხდება შეთანხმება (იხილეთ პარაგრაფი 3.38), მათ უნდა შეიმუშავონ თავიათი ჯგუფები ეროვნული ან რეგიონული გამოყენებისათვის. ეს დაჯგუფებები უნდა უზრუნველყოფდნენ ISIC-ის საწარმოო აქტივობების ფართო კატეგორიების შესაბამის დაყოფას, რაც გამოყენებულ იქნა ეროვნულ ან რეგიონულ მიწოდების სტატისტიკაში, ბიზნეს რეესტრებში, და მოთხოვნაზე ინფორმაციის შეგროვებისას თითოეული მოგზაურობის დროს (მაგ; განთავსების ადგილებში გატარებული ღამეები). ასევე უნდა მოხდეს სხვადასხვა პროდუქტების იდენტიფიცირება.

6.29. ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო, განთავსება ხანდახან იყიდება, როგორც პაკეტის შემადგენელი ნაწილი, სადაც ასევე შედის სხვა სერვისები როგორიცაა საკვები, რეკრეაცია, სპა, საცურაო აუზები, სავარჯიშო დარბაზები და ა.შ. და არ არის ცალკე ხარჯად გამოტანილი. ქვეყნებისათვის შესაძლებელია რელევანტური იყოს ამ სხვადასხვა განთავსების „პაკეტების“ შეტანა დაწესებულებებისა და პროდუქტების ეროვნულ კლასიფიკაციაში, რადგანაც განსხვავებას აქვს გავლენა, როგორც ფასებზე, ისე ვიზიტორების მიერ სხვა საქონელსა და სერვისებზე დახარჯულ თანხებზე (პირველ შეთხვევაში იგულისხმება, რომ პაკეტი ცალკე არის შეძენილი).

6.30. რაც შეეხება პროდუქციის ეკონომიკურ გაზომვას, ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ დამატებითი ხარჯების, რომლების გაწევაც უწევთ სტუმრებს ქვითრების საფუძველზე ან რომლებსაც პირდაპირ იხდიან, მაგ; სპეციალური გადასახადები, ფულით დასაჩუქრება და დამატებითი სერვისის გადასახადი, რაც შეიძლება ანგარიშებზე შეტანილ იყოს როგორც სერვისის მიმწოდებლის შემოსავალი. ეს უნდა იყოს მხედველობაში მიღებული იმისათვის, რომ შეფასდეს მიწოდება ფაქტიური ფასების მიხედვით (მათ შორის სერვისის გადასახადი და ნებაყოფლობით გადახდილი ფული) და დაუკავშირდეს მოხმარებას შესყიდვის ფასებით (ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს გადასახადი და დაემატოს ან მოაკლდეს დღგ).

6.31. განთავსების დაწესებულებების შესაძლებლობებისა და გამოყენების,
ასევე შიდა და შემომყვანი ტურიზმის ნაკადების შეფასების დროს არამონეტარული ინდიკატორების გამოყენების ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს. ეს მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროა არა მხოლოდ განთავსების ინდუსტრიისათვის, არამედ ტურიზმის პოლიტიკის, ადმინისტრაციის და რეკლამირებისათვის.

6.32. მიწოდების თვალსაზრისით, ბევრი ქვეყნისთვის განთავსების დაწესებულებებზე დაკვირვება არის მოკლევადიანი ინფორმაციის ყველაზე სწრაფად მოპოვების მნიშვნელოვანი წყარო. ასევე უფრო დეტალური რეგიონული ჩაშლის დროს განთავსების სტატისტიკური მონაცემები ხშირად ინფორმაციის ერთადერთი წყაროა ტურისტული ნაკადებზე. შემოსვლის რაოდენობა და გატარებული ღამეები ტურისტული ნაკადების აღწერისათვის ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებული ინდიკატორებია.



ამ ორიდან, გატარებული ღამეები განთავსების ინდუსტრიის ეფექტურობის გაზომვისათვის არის რელევანტური, ისევე როგორც ტურისტების გაჩერების ეფექტების შეფასებისათვის ვიზიტის ადგილებზე, რადგანაც ეს ინდიკატორი მხედველობაში იღებს გაჩერების ხანგრძლივობის სრულ ეფექტს.

6.33. გატარებული ღამეების რაოდენობის გაყოფა შემოსვლების რაოდენო-ბაზე გვაძლევს გაჩერების საშუალო ხანგრძლივობას, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ანალიტიკური ინდიკატორი, რომელიც გვთავაზობს დამატებით ინფორმაციის ქვეყანასა თუ რეგიონში ტურიზმის სახეობასთან დაკავშირებით.

6.34. შემდეგი ცვლადები ყველაზე ხშირად გამოიყენება განთავსების ადგი-ლების აღწერისათვის:

- წლის განმავლობაში დატვირთული თვეები;
- ოთახების ან განთავსების ერთეულების (წმინდა და მთლიანი) რაოდენობა (წმინდა რაოდენობის ინდიკატორი მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ ოთახები შეიძლება ყოველთვის არ იყოს ხელმისაწვდომი სტუმრის განთავსებისთვის);
- საწოლი ადგილების რაოდენობა (წმინდა და მთლიანი) (წმინდა რაოდენობის ინდიკატორი მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ საწოლები შეიძლება ყოველთვის არ იყოს ხელმისაწვდომი სტუმრისათვის);
- დატვირთვის კოეფიციენტი (წმინდა და მთლიანი) ოთახების ან განთავსების ერთეულების მიხედვით (ინდიკატორი შეიძლება ასოცირდებოდეს ოთახიდან მიღებულ შემოსავალთან);
- დატვირთვის კოეფიციენტი (წმინდა და მთლიანი) საწოლების მიხედვით (ინდიკატორი შეიძლება ასოცირდებოდეს ვიზიტორთა ნაკადებთან);
- ოთახიდან მიღებული შემოსავალი.

## დ.2. საკვებისა და სასმელის მიწოდებასთან დაკავშირებული აქტივობები

6.35. საკვებისა და სასმელის მიმწოდებელი ინდუსტრიის თავისებურებები იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად იმისა რომ ისინი ტურიზმთან ასოცირებული აქტივობებია, ამ ინდუსტრიის შემადგენლობაში მყოფი დაწესებულებები ასევე ემსახურებიან არავიზიტორებს და ადგილობრივ მოსახლეობას. ზოგიერთი დაწესებულებისა და ზოგადად ინდუსტრიისათვის, ეს არავიზიტორები წარმოადგენენ მომხმარებელთა უმეტეს ნაწილს, როგორც მუდმივად ისე მხოლოდ წლის გარკვეულ მონაკვეთში.

6.36. ისევე როგორც ვიზიტორების განთავსების შემთხვევაში, საკვებისა და სასმელის მიწოდებასთან დაკავშირებული აქტივობები შეიძლება მიწოდებულ იქნას არასაბაზრო საფუძველზე, ოჯახის, მეგობრების ან ნათესავების მიერ, ასევე საკუთარი სახსრებით . ამ მიზეზით, მნიშვნელოვანია ვიზიტორების კლასიფიკაცია განთავსების ტიპის (არასაბაზრო განთავსების ადგილების ცალკე იდენტიფიცირება) და მოგზაურობის მიზნის (მეგობრებისა და ნათესავების მონახულების იდენტიფიცირება) მიხედვით, რათა დავასაბუთოთ ვიზიტორების სხვადასხვა კატეგორიის მიერ საკვებისა და სასმელის მიწოდების სერვისებზე გაწეული ხარჯები.

6.37. მცირემასშტაბიანი ოპერაციებისათვის (როგორიცაა ქუჩის მოვაჭრეები, სახლში დამზადებული საკვების გამყიდველები და სხვა) საჭირო შენობებსა და აღჭურვილობაში ჩადებული შედარებით მცირე ინვესტიციების გამო, ინდუსტრიის ეს „არაფორმალური“ სეგმენტი შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს ზოგიერთი ქვეყნისათვის. ამიტომ, განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო საკვებისა და სასმელის მიმწოდებლების არაფორმალური ტიპების სწორად იდენტიფიცირების დროს.

6.38. ქვეყნების უმრავლესობაში სერვისის მიწოდებისას ფულით დასაჩუქრება გავრცელებული პრაქტიკაა. ზოგ ქვეყანაში ასევე შეიძლება გავრცელებული იყოს მომსახურეობისათვის ოფიციალური საფასურის გადახდა, რომელიც ყოველთვის არ აისახება მწარმოებლების შემოსავლებში. ეს ორივე შეადგენს სერვისის საბაზისო ფასის ნაწილს (დასაქმებულის კომპენსაციაში თანამონაწილეობა).

6.39. საკვებისა და სასმელის მიწოდებასთან დაკავშირებული სხვადასხვა კატეგორიის დაწესებულების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს თითოეულ ქვეყანაში. თუმცა არ არსებობს ზოგადი კლასიფიკაცია, რომელიც მიესადაგებოდა ყველა შემთხვევას. მაგალითად, არის სრული სერვისის მიმწოდებელი რესტორნები, რომლებიც არ ეწევიან სასმელით მომსახურებას, ოჯახური ტიპის რესტორნები, რომლებსაც აქვთ სრული სერვისი, თვითმომსახურების რესტორნები და კაფეტერიები დასაჯდომი ადგილებით, დაწესებულებები, საიდანაც შეიძლება მზა საკვების თან წაღება, სტენდები და გარე მოვაჭრეები ფიქსირებულ ადგილებზე, ბარები, ღამის კლუბები და ა.შ.

6.40. სხვა დამატებითი არამონეტარული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირე-ბულია მწარმოებლების ფორმალურ და ორგანიზებულ სახეობებთან:

- რესტორნებისათვის, რომელთაც აქვთ დასაჯდომი ადგილები:
  - იმ კლიენტების მთლიანი რიცხვი, რომლების ერთდროულად განთავსება წშესაძლებელია;
  - მაგიდების მთლიანი რაოდენობა;
  - ადგილების მთლიანი რაოდენობა;
  - საკვების რაოდენობა, რომლის მიწოდებაც ხდება ერთი დღის განმავლობაში;
  - საკვების რაოდენობა, რომლის ფაქტიური მიწოდებაც ხდება ერთი დღის განმავლობაში.
- დაწესებულებებისთვის, საიდანაც ხდება მზა საკვებისა და სასმელის გატანა:
  - საკვების რაოდენობა, რომლის მიწოდებაც ხდება ერთი დღის განმავლობაში;
  - საკვების რაოდენობა, რომლის ფაქტიური მიწოდებაც ხდება ერთი დღის განმავლობაში.
- ბარებისა და ღამის კლუბებისათვის;
  - მომხმარებლების რაოდენობა;
  - მიწოდებული სასმელის რაოდენობა.

## დ.3. მგზავრების ტრანსპორტირება

6.41. დიდ მანძილზე მგზავრების ტრანსპორტირება ითვლება ტურიზმთან ასოცირებულ აქტივობად. ვიზიტორების მიერ ტრანსპორტირებაზე გაწეული დანახარჯი ხშირად წარმოადგენს მთლიანი ტურისტული დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილს, განსაკუთრებით კი საჰაერო ტრანსპორტის შემთხვევაში.

6.42. ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე, სამგზავრო ტრანსპორტი ორი ძირითადი კატეგორიის ქვეშ მოიაზრება: დანიშნულების ადგილამდე ან ადგილიდან ტრანსპორტირება და ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო მოგზაურობისათვის, როცა საჭირო ხდება იმ ეკონომიკის იდენტიფიცირება, რომელიც სარგებელს იღებს ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული დანახარჯებისაგან. ამისათვის აუცილებელია გადამზიდავის რეზიდენტობის დადგენა, რაც შეიძლება პრობლემატური იყოს თუკი ჩართულია ერთზე მეტი გადამზიდავი. შიდა მოგზაურობის დროს, აუცილებელია იმის იდენტიფიცირება, თუ სად მიეწოდება სერვისი და ვინ არის სერვისის მიმწოდებელი. ამის მიხედვით განისაზღვრება ის ეკონომიკა, რომელიც იღებს სარგებელს (ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე).

6.43. მოგზაურობა ყოველთვის როდი მოიცავს იმ სერვისის შეძენას, რომელსაც მიაწოდებს ასეთი სერვისების პროვაიდერი: შეიძლება ჩართული იყოს არაფორმალური პროვაიდერი ან ვიზიტორის საკუთარი რესურსები: ფეხით, ველოსიპედით, ცხენით, დაქირავებული ტრანსპორტით, ნავით, მოტოციკლეტით გადაადგილება ან ტრანსპორტირება, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება მესამე მხარის მიერ (ოჯახი, მეგობარი, კოლეგა).

6.44. დანიშნულების ადგილას მისასვლელი ძირითადი სატრანსპორტო საშუალების დახასიათება არ მოიცავს ყველა იმ ტრანსპორტის ტიპს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს მოგზაურობის დროს.

6.45. სხვა დამატებითი არამონეტარული ინფორმაცია, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს სატრანსპორტო სერვისებით უზრუნველყოფასთან, მოიცავს შემდეგს:



- დიდ დისტანციაზე მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტი;
  - საგზაო, საჰაერო და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებების რიცხვი;
  - დასაჯდომი ადგილების რაოდენობა;
  - გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა;
  - გამოყენებული სიმძლავრეები;
  - მგზავრების-კილომეტრების/მილების რიცხვი.
- მანქანების დაქირავება:
  - მანქანების რაოდენობა (მანქანები, ფურგონები, ქარავნები, იახტები, ნავები და ა.შ.), რომლის დაქირავებაც შესაძლებელია მძღოლების გარეშე;
  - დაქირავებისათვის არსებული მანქანა-დღეების რაოდენობა გარკვეულ პერიოდში (თვე, წელი);
  - დაქირავებისათვის არსებული მანქანა-დღეების ფაქტიური რაოდენობა.

## დ.4. ტურისტული სააგენტოები და სხვა დაჯავშნის სერვისები

6.46. ვიზიტორები (ან პოტენციური ვიზიტორები) მოგზაურობის დაგეგმის და ორგანიზებისათვის ხშირად იყენებენ ტურისტულ სააგენტოებს, რათა მოიპოვონ ინფორმაცია ალტერნატივების შესახებ და ჯავშანის გასაკეთებლად (ტრანსპორტი, განთავსება, სარეკრიაციო საქმიანობები, რომელთა შეძენა ხდება როგორც პაკეტის ფარგლებში ისე ინდივიდუალურად და სხვა). მათ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს იმ უფლების გამოყენება, რომელიც უკავშირდება სხვების მიერ მოწოდებული გარკვეული სერვისების მიწოდებას გარკვეული დროის განმავლობაში და გარკვეული პირობებით. მათი როლია ვიზიტორებისათვის ინფორმაციისა და სხვა სერვისების მიწოდება და შუამავლობა გარკვეული სერვისების შეძენის დროს. ამასთან შეუძლიათ ისეთი დამატებითი სერვისების მიწოდება, როგორიცაა თანმხლები ტურები, გიდებით მომსახურეობა და ა.შ. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტული სააგენტოები ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციების სპეციალური იურიდისდიქციის ქვეშ არიან.

6.47. ეს სააგენტოები და სარეზერვაციო სამსახურები ოპერირებენ, როგორც „საცალო“ სერვისებით მოვაჭრეები, რომლებსაც იძენს საზოგადოება. თუმცა, მათი ფუნქცია განსხვავდება საქონლით საცალო მოვაჭრისაგან, რადგანაც ის არის იმ სერვისის მწარმოებელი, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლისთვის. ამ დროს არ არის ცვლილება ურთიერთობაში-ეს არის ეფექტური გზა, რომ მწარმოებელმა გააცნოს და მიჰყიდოს პროდუქცია საზოგადოებას.

6.48. ტურისტული სააგენტოს სერვისების ღირებულება ყოველთვის არ არის ნათლად შეტანილი ინვოისში ან ცალკე გამოყოფილი სხვა სერვისებისაგან, თუმცა შეიძლება არსებობდეს ცალკე ინვოისი თუკი სარეზერვაციო სერვისი განსხვავდება ტურისტული სააგენტოს სერვისებისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში ტურისტული სააგენტოები ყიდულობენ ბილეთებს დაბალ ფასებში ავიაკომპანიებისაგან (ან დისკონტერისგან) და ყიდიან მომხმარებლებზე სხვა ფასებში და ამ განსხვავებიდან ღებულობენ შემოსავალს. სხვა შემთხვევებში, ვიზიტორი იხდის საჰაერო ტრანსპორტის ან სხვა „ტურისტული პროდუქტის“ სერვისის მომწოდებლის მიერ დადგენილ ფასს. შემოსავალს იღებს ტურისტული სააგენტო როგორც გადასახადს ან საკომისიოს გაყიდვებიდან, რომელიც დადგენილია მომსახურების მიმწოდებლის მიერ. ამ დროს ისე ჩანს, თითქოს ტურისტული სააგენტოს მომსახურება შეისყიდა სერვისის მიმწოდებელმა, რათა შემდეგ ეს სერვისი მიჰყიდოს ვიზიტორს. ტურისტული სააგენტოებო სულ უფრო მეტად ცდილობენ დააწესონ გადასახადი მომხმარებლებისათვის, რათა კომპენსაცია გაუკეთონ მომწოდებლების შესაბამის ფასდაკლებას (ან ზოგ შემთხვევაში სრულად გაუქმებას) საკომისიო გადასახადებში თუ ტარიფებში.

6.49. შედეგად, ტურისტული სააგენტოების მთლიანი შემოსავალი შეიძლება იყოს სამი სახის:

(ა) სპეციალური ინვოისების მეშვეობით ვიზიტორებისაგან შეგროვებული; ეს არის ყველაზე მეტად გავრცელებული შემთხვევა სარეზერვაციო სერვისებში, მაგრამ სულ უფრო ხშირად გვხვდება ტურისტული სააგენტოებშიც.

(ბ) საცალო ვაჭრობის სერვისების მთლიანი კომერციული მოგება, როდესაც ტურისტულ სააგენტოებს ანაზღაურება შეაქვთ საცალო ვაჭრობის ოპერაციაში (სერვისების მიმწოდებლებისაგან (მაგ; ავიაკომპანიებისაგან შესყიდვა) ან საბითუმო მოვაჭრეებისაგან შესყიდვა და შემდეგ პროდუქტის მოგზაურებზე გაყიდვა);

(გ) ტურისტული სერვისების პროვაიდერიების გადახდილი საკომისიო გადასახადი, როდესაც ისინი მოქმედებენ როგორც მათი აგენტები. ეს მსგავსია ტარიფის ან კონტრაქტის საფუძველზე საცალო ვაჭრობის სერვისების მიწოდებისა.

6.50. მიუხედავად იმისა, თუ რა პროცედურის მეშვეობით იღებს მოგებას ტურისტული (სარეზერვაციო) სააგენტო, მომხმარებლების მიერ გადახდილი მთლიანი ღირებულება იყოფა ორ ნაწილად: ერთი, რომელიც შეესაბამება ტურისტული (ან სარეზერვაციო) სააგენტოს მომსახურების ღირებულებას (მთლიანი მიღებული მოგება), და მეორე მასში შესული ტურისტული სერვისების ღირებულებას (მწარმოებლის მოგება სარეზერვაციო სერვისების მიმწოდებლისათვის გადახდილი ტარიფების გამოკლებით).

6.51. ამ პერსპექტივიდან ისე ჩანს, თითქოს ტურისტული სააგენტოები და სხვა სარეზერვაციო აქტივობები სერვისებს პირდაპირ ვიზიტორზე ჰყიდიან და ამგვარად შეიძლება ჩაითვალონ ტურიზმის ინდუსტრიებად (იხილეთ პარაგრაფი 5.2. და 6.2).

6.52. ეს მიდგომა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიდა, შემომყვანი და გამყვანი ტურისტული დანახარჯების ზუსტი შინაარსის განსაზღვრაზე, (როგორც პროდუქტების, ისე მათი შესაბამისი ღირებულების თვალსაზრისით), როდესაც მომხმარებელი, სერვისისა და სარეზერვაციო სერვისის პროვაიდერი არ წარმოადგენენ ერთი და იმავე ეკონომიკის რეზიდენტებს. ეს საკითხი კიდევ უფრო დაწვრილებით იქნება დამუშავებული ტურიზმის სატელიტურ ანგარიშში: რეკომენდირებული მეთოდოლოგიური ჩარჩო 2008-ის განახლებულ ვერსიაში.

6.53. ტურისტული სააგენტოები და სხვა სარეზერვაციო სამსახურები წარმოადგენენ ინფორმაციის მნიშნელოვან წყაროებს ისეთ სერვისებთან დაკავშირებით, რომლების შეძენაც ხდება მათი შუამავლობით მონეტარული და არამონეტარული ფორმით.

6.54. ტურისტულ სააგენტოებს შეუძლიათ რაოდენობრივი ინფორმაციის მოწოდება გაყიდული პროდუქტების რაოდენობასა და ღირებულებაზე, მიმართულებების კატეგორიებზე, კლიენტების ტიპებზე, მაგ; საქმიანი, და სხვა (მგზავრობა და /ან შიდა, გამყვანიან შემომყვანი ტურისტული პაკეტი), და სხვა ინფორმაცია:

- შიდა მგზავრობები
  - მგზავრობები ტურისტული პაკეტის გარეშე;
  - შიდა ტურისტული პაკეტები.
- საერთაშორისო მგზავრობები
  - შემომყვანი მგზავრობები ტურისტული პაკეტის გარეშე;
  - გამყვანი მგზავრობები ტურისტული პაკეტის გარეშე;
  - შემომყვანი ტურისტული პაკეტი;
  - გამყვანი ტურისტული პაკეტი.

## ე. ტურისტული ინდუსტრიების სერვისების მიწოდების გაზომვა

6.55. ქვეყნებს შეიძლება უკვე ჰქონდეთ შეტანილი ტურისტული ინდუსტრიები თავიანი ეკონომიკური კვლევების პროგრამაში, სერვისების ინდუსტრიის კვლევების განვითარების ხარისხიდან გამომდინარე.

6.56. ქვეყნებმა ასევე შეიძლება გამოიყენონ ადმინისტრაციული ჩანაწერები და ეკონომიკური აღწერები. შინამეურნეობების აღწერას შეუძლია ინფორმაციის მოწოდება არაფორმალურ პროცედურებზე.



6.57. განზოგადებულ ყოველწლიურ აღწერას ჩვეულებრივ შეუძლია ეკო-ნომიკური ინფორმაციის მოწოდება დაწესებებულებზე, მათ შორის ერთეულების რაოდენობაზე, ინდუსტრიების მიხედვით კლასიფიცირებით; შემოსავლებზე, წყაროების მითითებით ან ძირითადი პროდუქტის მითითებით (გარკეული დეტალიზაციით) და შუალედურ მოხმარებაზე (საიდანაც დამატებული ღირებულება დგინდება), დასაქმებაზე და დასაქმებულთა კომპენსაციაზე, ფასიან ქაღალდებსა და კაპიტალურ აქტივებში ინვესტირებაზე. ზოგჯერ შეიძლება არამონეტარულ ინფორმაციასაც შეიცავდეს, საქმიანობასთან დაკავშირებული რამდენიმე კითხვის მეშვეობით.

6.58. იმისათვის, რომ ტურიზმის ინდუსტრიების ინსპექტირება საკმარისად დეტალური იყოს და გარკვეული საქმიანობების ღრმა ანალიზი ჩატარდეს, შესაძლებლობის ფარგლებში რეკომენდირებულია ISIC-ის ოთხციფრიანი დონის გამოყენება. კვლევა მხედველობაში უნდა იღებდეს გარკვეულ თავისებურებებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ პროდუქტიული საქმიანობების მიწოდებისა და ვიზიტორების მოთხოვნის დაკავშირებაში. კერძოდ:

- განთავსების შემთხვევაში

  - ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ ტურიზმის სტატისტიკაში მიღებული განთავსების ტიპების კლასიფიკაცია ასევე გამოიყენება საერთო სტატისტიკურ სისტემაში. ეს კლასიფიკაცია არა მხოლოდ მიწოდების სტატისტიკაში უნდა გამოიყენებოდეს, არამედ ვიზიტორების მიერ მოწოდებული განთავსების ტიპების მიხედვით ღამისთევასთან დაკავშირებული ინფორმაციის კლასიფიკაციის დროსაც.
  - ისეთი ტიპის განთავსების პროვაიდერების შეფასება, როგორიცაა კერძო ოთახები ბინებში, აპარტამენტები და ა.შ., ასევე უნდა იყოს ყურადღების საგანი. ამასთან, აუცილებელია ფოკუსის გაკეთება განთავსების სერვისებზე, რომლებსაც დასასვენებელი სახლების ან ბინათმესაკუთრეები მიაწოდებენ, მაშინაც კი, როდესაც არამონეტარული ინდიკატორები გამოიყენება. (დასასვენებელი სახლების და კერძო საკუთრების მფლობელის მიერ მოხმარებისათვის მიღებული სერვისების ღირებულების დათვლა სცდება საერთაშორისო რეკომენდაციები 2008-ის ფარგლებს (იხილეთ პარაგრაფი 4.3.), მაგრამ შეტანილ იქნება ტურიზმის სატელიტურ ანგარიშში:
    რეკომენდირებული მეთოდოლოგიური ჩარჩო 2008-ის განახლებულ ვერსიაში.);
  - ასევე რეგულარულად უნდა მოგროვდეს ბაზარზე არსებული ყველა კატეგორიის ორგანიზებული პროვაიდერისაგან არსებული საწოლი ადგილებისა და ოთახების და დატვირთვის ხარისხის შესახებ ინფორმაცია. ამ ინფორმაციის მოგვროვება უნდა მოხდეს (ჩვეულებრივ ყოველთვიურად ან კვარტალურად) სპეციფიური პროცედურის საშუალებით, რომელიც გამოიყენება შერჩეული დაწესებულებების მიმართ და დაემატება ზემოთ აღწერილ პროცედურებს. ამ შემთხვევაში, ზრუნვის საგანი უნდა გახდეს მოცემული შერჩევის (დაწესებულებების რაოდენობა, ოთახების რაოდენობა) მუდმივი განახლება.

- რაც შეეხება სასმელითა და საკვებით მომსახურების სერვისებს, ტურიზმის ანალიტიკოსებს კარგად უნდა ესმოდეთ არაფორმალური პროვაიდერების მნიშვნელობა და უნდა იყვნენ დარწმუნებული, რომ მათი დაფარვა სრულად მოხდება;
- რაც შეეხება ტურისტულ სააგენტოებსა და სხვა სარეზერვაციო სერვისებს, აუცილებელია, რომ სწორი შეფასების მეთოდები იქნას გამოყენებული ან ასეთების არარსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი მთლიანი მონაცემების (როგორიცაა გაყიდული სერვისების ღირებულება, ტრანსპორტირება, განთავსება, ექსკურსია და ა.შ.) კონვერტაციისათვის წმინდა ინფორმაციად (სხვადასხვა კომპონენტებად ჩაშლა არის წინაპირობა ტურიზმის სატელიტური ანგარიშებისა და საგადამხდელო ბალანსის შექმნისათვის, მინიმუმ საერთაშორისო ტრანსპორტის პუნქტისათვის);

- რაც შეეხება ტრანსპორტის გაქირავების ობიექტებს, ისეთი არამონეტარული ინფორმაციის არსებობა შეიძლება იყოს სასარგებლო, როგორიცაა გასაქირავებლად არსებული მანქანების რაოდენობა, დაქირავებული მანქანების რაოდენობა და გაყიდული მანქანა/დღეების რაოდენობა გარკვეულ პერიოდში.

## ვ. ტუროპერატორებისა და ტურისტული პაკეტების განსაკუთრებული შემთხვევა

6.59. ტუროპერატორები არიან ბიზნესები, რომლებიც მოიცავენ ორ ან მეტ სამოგზაურო სერვისს (მაგ; ტრანსპორტი, განთავსება, საკვები, გართობა, ექსკურსიები) და მათ, როგორც ერთიან პროდუქტს (რომელსაც ტურისტული პაკეტი ეწოდება) ტურისტული სააგენტოების მეშვეობით ან პირდაპირი გზით გარკვეულ ფასად ყიდიან მომხმარებლებზე. ტურისტული პაკეტის კომპონენტები შეიძლება წინასწარ იყოს დადგენილი ან იყოს “a la carte” პროცედურის შედეგი, სადაც ვიზიტორი ირჩევს წინასწარ დადგენილი სიიდან იმ სერვისებს, რომლის შეძენაც სურს.

6.60. ტურისტული სააგენტოები, როგორც წესი, მოქმედებენ თავიანთი სახელით ან წარმოადგენენ თავიანთ თავს. ჩვეულებრივ, ოპერატორი ტურისტული ინდუსტრიებისაგან იძენს სხვადასხვა სერვისებს, ჩვეულებრივ დიდი ხნით ადრე და წინასწარ მოლაპარაკებულ ფასებში. შემდეგ ხდება ამ სერვისების კომბინირება და მომხმარებლისათვის შეთავაზება ერთ, კომპლექსურ პროდუქტად, როგორც პირდაპირ, ისე ტურისტული სააგენტოების მეშვეობით. როგორც დაწესებულებებს, მათ შეუძლიათ გარკვეული სერვისების პირდაპირ შეთავაზება, მაგალითად, საერთაშორისო ტრანსპორტირება საკუთარი ან იგივე მეწარმეთა ჯგუფის საკუთრებაში მყოფი ჩარტერული ავიახაზების მეშვეობით. ეს პროდუქტი როგორც წესი მოიცავს სატრანსპორტო სერვისებს და ერთ ან ორ სერვისს განთავსების ინდუსტრიიდან, საკვებს, ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას, გართობას და სხვა ვიზიტორების მიერ მოთხოვნლი სერვისებს, ასევე თვით ტუროპერატორის სერვისს. უმეტეს შემთხვევაში, ვიზიტორისათვის არ არის ცნობილი თუ როგორ ხდება
სხვადასხვა კომპონენტის ღირებულების გადანაწილება და არ აქვს პირდაპირი კონტაქტი სერვისის მიმწოდებლებთან ტურის დაწყებამდე. ხშირად, ტუროპერატორი თავის თავს რისკის ქვეშ აყენებს ტურისტული პაკეტის შემადგენლობაში მყოფი სერვისების მიმწოდებლებთან, და იხდის საჯარიმო გადასახადს, თუკი პროდუქტი არ გაიყიდა იმ რაოდენობით, რაზედაც ჯავშანი იყო გაკეთებული.

6.61. ტურისტული პაკეტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სრულიად ახალი „პროდუქტისაგან“ შემდგარი პაკეტი. თუმცა, ტურიზმის სტატისტიკაში ტურისტული პაკეტი უნდა იყოს განხილული არა როგორც პროდუქტი, არამედ როგორც მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამი, რომელთა შორისაა ტურისტული სააგენტოს, რომელიც სერვისებს ყიდის მომხმარებელზე, და ტუროპერატორის მთლიანი მოგება.

6.62. ტურისტული პაკეტის შემადგენელი კომპონენტების (მათ შორის ტუროპერატორის სერვისის და ტურისტული სააგენტოს სერვისების ღირებულება) შეძენა ითვლება ვიზიტორების მიერ განხორციელებულ პირდაპირ შესყიდვებად. ეს მოიცავს ტუროპერატორების ძირითადი პროდუქტის, როგორც „მთლიანი მოგების“ შეფასებას („წმინდა შეფასების“ მიდგომის მისადაგებით).

6.63. ტუროპერატორები ითვლებიან ტურისტული სერვისების საცალო მოვაჭრეებად, თუმცა ისევე როგორც ტურისტული სააგენტოები, ისინი არ ითვლებიან იმ სერვისების პროვაიდერების შემცვლელებად, რომლებიც არიან პაკეტის შემადგენლობაში. ტუროპერატორების სერვისების ღირებულება უნდა იყოს დათვლილი, და უნდა უდრიდეს მთლიან მოგებას, რომელიც არის სხვაობა ტუროპერატორის მიერ გაყიდული პაკეტის ფასსა და შემადგენელი კომპონენტების ფასს შორის (აქვე შედის საკომისიო, რომელსაც უხდიან ტურისტული სააგენტოებს პაკეტების საზოგადოებისთვის გაყიდვისათვის).

## თავი 7

# ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმება

7.1. ისევე როგორც ეკონომიკის სხვა სექტორებში, დასაქმება არის მნიშვნელოვანი განზომილება ტურიზმის დახასიათებაში. მისი მნიშვნელობა პროდუქტიულობის, სოციალური და სტრატეგიული თვალსაზრისით აღიარებულია.

7.2. რადგანაც ტურიზმთან ასოცირებული აქტივობები ძალზე შრომატევადია, მთავრობები განსაკუთრებით დაინტერესებულები არიან ტურიზმის კონტრიბუციით ახალი სამუშაო ადგილებისა და ხალხისათვის შემოსავლის წყაროების შექმნაში.

7.3. მიუხედავად იმისა, რომ შრომა შეიძლება ასოცირდეს საწარმოს მთლიან პროდუქტიულობასთან, მისი დაკავშირება რომელიმე კონკრეტულ პროდუქტთან სპეციალური დაშვებებისა და მოდელირების პროცედურების გარეშე შეუძლებელია. ამ მიზეზით, ტურიზმში დასაქმება, ანუ დასაქმება რომელიც უკავშირდება ვიზიტორების მიერ პროდუქტებისა და მომსახურების (ტურიზმთან ასოცირებული, დაკავშირებული ან სხვა) შეძენას და რომლებიც წარმოებულია ტურისტული ან სხვა რომელიმე ინდუსტრიის მიერ, პირდაპირი დაკვირვების საგანი ვერ იქნება. მისი გაზომვა ისეთ ტექნიკურ საშუალებებს მოითხოვს, რომლებიც ამ რეკომენდაციების ფარგლებს სცდება.

7.4. შედეგად, ამ თავში მოცემული რეკომენდაციები შეზღუდულია ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმების კუთხით (იხილეთ თავი 6). როგორც უკვე აღინიშნა, (იხილეთ პარაგრაფები 6.15 -6.20) ყველა ქვეყანაში, ტურისტული ინდუსტრიები მოიცავენ იმ საწარმოებს, რომელთა ძირითადი საქმიანობა არის ტურიზმთან ასოცირებული. ეს ტურისტული ინდუსტრიები საერთოა ყველა ქვეყნისათვის გარდა ცალკეული ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტურიზმთან ასოცირებული აქტივობებისა (კატეგორიები 11 და 12, იხილეთ პარაგრაფი 5.34). უნდა აღინიშნოს, რომ პირები, რომლებიც ჩაბმული არიან არატურისტული ინდუსტრიის საწარმოებში ტურიზმთან ასოცირებულ მეორად აქტივობებში (მაგალითად, ყველა ის საწარმო, რომელთა ძირითადი საქმიანობა არ არის ტურიზმთან ასოცირებული აქტივობა), არ ჩაითვლებიან „ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულებად“ მიუხედავად იმისა, რომ მათი დათვლა მოხდება „ტურიზმში დასაქმებულთა“ შორის. მეორე მხრივ, ტურისტული ინდუსტრიის საწარმოებში დასაქმებული პირები, რომლებიც მონაწილეობენ ამ საწარმოს ტურიზმისთვის არადამახასიათებელ მეორად აქტივობებში, ჩაითვლებიან „ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულებად“ და ვერ მოხვდებიან „ტურიზმში დასაქმებულთა“ შორის.

7.5. ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული პირებისა და სამუშაო ადგილე-ბის შესახებ მონაცემები, ისევე როგორც სამუშაო საათები ან სრული სამუშაო დატვირთვა, საჭიროა იმის შესაფასებლად თუ რა ოდენობის სამუშაო ძალა ასოცირდება გარკვეულ ტურისტულ ინდუსტრიასთან. ქვემოთ მოცემულია ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმების სხვადასხვა განმარტებები და კონცეფციები.

## ა. განმარტებები და კონცეფციები

7.6. უნდა აღინიშნოს, რომ შრომის სტატისტიკას აქვს თავისი საკუთარი საერთაშორისო სტანდარტები[3], რომლებიც შედგება მთელი რიგი კონცეფციების, განმარტებების და კლასიფიკაციებისაგან, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული დასაქმების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვების დროს. ამიტომ, ამ თავში მოყვანილი კონცეფციები და განმარტებები ძირითადად უნდა იქნას გამოყენებული სტატისტიკაში და გახდეს მონაცემთა შეჯერების პროცედურების საფუძველი ტურიზმის სატელიტური ანგარიშებისა და ეროვნული ანგარიშების სისტემის დასაქმების ცხრილების შემუშავების დროს.

7.7. ზოგადად, ადამიანი, რომელსაც აქვს სამსახური ითვლება დასაქმებულად და შეადგენს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნაწილს (იხილეთ ჩანართი 7.1).

7.8. დროის მოცემულ მონაკვეთში ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ორი ან მეტი სამსახური და შეიძლება აქედან ყველა, ზოგიერთი ან არცერთი იყოს ტურისტულ ინდუსტრიაში. ეს კი

*[3] გაეროს სისტემაში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია არის პასუხისმგებელი შრომის სტატისტიკის სფეროში საერთაშორისო სტანდარების შემუშავებაზე. ეს სტანდარტები შეიძლება მოძიებულ იქნას http://www. Ilo.org/global/ What_we_do/land_en/index. htm; საერთაშორისო შრომის ოფისი „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმების, უმუშევრობისა და არასრული დასაქმების სტატისტიკის შესახებ რეზოლუცია, მიღებული შრომის სტატისტიკოსების მეცამეტე საერთაშორისო კონფერენციაზე (1982 წლის ოქტომბერი), საერთაშორისო რეკომენდაციები შრომის სტატისტიკაზე: 2000 წლის გამოცემა (ჟენევა, 2000) გვერდები 24-28.*



იწვევს დასაქმების სამი სხვადასხვა ტიპის შეფასების გამოყენებას ტურისტულ ინდუსტრიაში, რომელსაც გამორჩეული მიდგომა აქვს დასაქმებულ პირებსა და სამუშაო ადგილებს შორის განსხვავების მიმართ.

7.9. ჩანართი 7.1 გვიჩვენებს ამ სიტუაციას. ტურისტულ ინდუსტრიებში დასაქმება შეიძლება გაიზომოს ტურიზმის ინდუსტრიებში დასაქმებული პირების ოდენობით მათი რომელიმე ან ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით (1,3 და 4 ა ჩანართში 7.1) ან ტურიზმის ინდუსტრიებში სამუშაო ადგილების დათვლით (1,2,3, 3ა და 4 ა, ჩანართში 7.1).

7.10. თითოეულ საზომს აქვს სხვადასხვა მიზანი, და ქვეყნებს შეუძლიათ ერთი ან ერთზე მეტის არჩევა გამომდინარე მიზნებიდან. თუ არსებობს იმის განზრახვა, რომ დადგინდეს იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთა საარსებო წყაროს წარმოადგეს ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმება, მაშინ ამ ინდუსტრიაში სამუშაო ადგილების (სრული ან რაიმე სხვა) მქონე ადამიანები უნდა იქნეს დათვლილი. ძირითად სამუშაო ადგილთან დაკავშირებული საზომი გამოიყენება იმის შესაფასებლად თუ ვინ არის მჭიდროდ დაკავშირებული ტურისტულ ინდუსტრიასთან. თუკი არსებობს იმის განზრახვა, რომ მოხდეს ტურისტული და არატურისტული ინდუსტრიების, ან ტურისტულ ინდუსტრიებისა და მთლიანი ეკონომიკის შედარება, მაშინ სამუშაო ადგილების დათვლა უფრო რელევანტური იქნება.

7.11. ხელმისაწვდომი მონაცემთა წყაროების არსებობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ქვეყნები შეიძლება ლიმიტირებული იყვნენ ერთი ან ერთზე მეტი გაზომვის საშუალებით. მაგალითად, ტურიზმის ინდუსტრიებში დასაქმებული (ყველა სახის სამუშაო) პირის დათვლისათვის აუცილებელია თითოეული პირის ერთი ან რამდენიმე სამუშაო ადგილის ინდუსტრიის შესახებ ინფორმაციის მოგროვება. თუკი ასეთი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, დათვლა იქნება ლიმიტირებული მხოლოდ იმ პირებით, რომელთა ძირითადი სამუშაო არის ტურისტულ ინდუსტრიაში.

7.12. ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული პირების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს შემდეგი კატეგორიებით: (ა) ანაზღაურებადი დასაქმება და (ბ)თვითდასაქმება.

ჩანართი 7.1.
სამუშაო ადგილი

[...] დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შეთანხმება განსაზღვრავს სამუშაო ადგილს და ყველა თვითდასაქმებულს აქვს სამუშაო ადგილი. ამგვარად, ეკონომიკაში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა უსწრებს დასაქმებულ პირთა რაოდენობას, რადგანაც ზოგიერთ დასაქმებულს აქვს ერთზე მეტი სამუშაო ადგილი. ინდივიდს ერთზე მეტი სამსახურით შეუძლია თანამიმდევრულად მუშაობა ჯერ ერთ ადგილზე კვირის დასაწყისში, ხოლო შემდეგ მეორეზე კვირის ბოლოს, ან პარალელურად, თუკი პიროვნებას აქვს ერთი სამსახური საღამოს საათებში და მეორე სამსახური დღის საათებში. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ერთ სამუშაო ადგილზე ორი ადამიანი იყოს დასაქმებული.[ა]

*ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა*

**ეროვნული ანგარიშების სისტემის** განსაზღვრებით **ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა** ან **სამუშაო ძალა** შედგება ორივე სქესის ყველა იმ ადამიანებისაგან, რომლებიც დროის გარკვეულ პერიოდში მიაწოდებენ შრომას საქონლისა და მომსახურებების შექმნისათვის. ის აქტივობები, რომლებიც შედიან სისტემაში არსებული პროდუქციის ჩამონათვალში არის შემდეგი: (ა) ყველა ინდივიდუალური თუ კოლექტიური პროდუქტის ან სერვისის წარმოება, რომლებიც მიეწოდება ყველას, გარდა თვით მწარმოებლისა/ ან გამიზნულია მიწოდებისათვის, ასევე შედის იმ პროდუქციისა და სერვისის წარმოება, რომელიც გამოიყენება ამ პროდუქციის თუ სერვისის წარმოების პროცესში...[ბ]

ა. ეროვნული ანგარიშების სისტემა 2008, პარაგრაფი 19.30.

ბ. შრომის საერთაშორისო ოფისი „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმების, უმუშევრობისა და არასრული დასაქმების სტატისტიკის შესახებ რეზოლუცია, მიღებული შრომის სტატისტიკოსების მეცამეტე საერთაშორისო კონფერენციაზე (1982 წლის ოქტომბერი)", საერთაშორისო რეკომენდაციები შრომის სტატისტიკაზე: 2000 წლის გამოცემა (ჟენევა, 2000) გვერდი 24 და ეროვნული ანგარიშების სისტემა 2008, პარაგრაფი 6.27.

ფიგურა 7.1.
**ტურიზმის ინდუსტრიაში ერთ და რამდენიმე ადგილზე დასაქმებულები**




ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებული პირები (ყველა სამსახური) =1.3.4ა
ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებული პირები (ძირითადი სამსახური)=1,3
სამუშაო ადგილები ტურიზმის ინდუსტრიაში = 1,3ა,4ა



(ა) ანაზღაურებადი სამუშაო:
სამუშაოზე: პირები, რომლებიც დროის გარკვეულ პერიოდში ასრულებდნენ სამუშაოს ხელფასის ან ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურებისათვის;
სამუშაოს მქონე მაგრამ სამუშაო ადგილზე არ მყოფი: პირები, რომლებიც უკვე მუშაობდნენ, მაგრამ დროებით არ იმყოფებოდნენ სამუშაო ადგილზე და ჰქონდათ ფორმალური კავშირი თავიანთ სამუშაო ადგილებთან;
(ბ) თვითდასაქმება:
სამუშაოზე: პირები, რომლებიც დროის გარკვეულ პერიოდში ასრულებდნენ სამუშაოს მოგების ან ოჯახისათვის ფულადი ან სხვა სახის სარგებლის მოტანისთვის;
საწარმოში დასაქმებული მაგრამ სამუშაოზე არ მყოფი: საწარმოში დასაქმებული პირები, რომლებიც შეიძლება მუშაობდნენ საწარმოში, ან ფერმაში, მაგრამ დროის გარკვეულ პერიოდში ადგილზე არ იყვნენ გარკვეული მიზეზების გამო.

7.13. *თვითდასაქმებასთან დაკავშირებული სამუშაო ადგილები* არის ის სამუშაო ადგილები, სადაც ანაზღაურება პირდაპირ დამოკიდებულია წარმოებული საქონლისა და მომსახურებისგან მიღებულ მოგებასთან (ან პოტენციურ მოგებასთან).

7.14. *თვითდასაქმებულები* შეიძლება ორ კატეგორიად დავყოთ: ისინი ვისაც ჰყავთ ანაზღაურებადი თანამშრომლები და ისინი, ვისაც არ ჰყავთ. ისინი ვისაც ჰყავთ ანაზღაურებადი თანამშრომლები კლასიფიცირდებიან, როგორც დამსაქმებლები, ხოლო ისინი, ვისაც არ ჰყავთ კლასიფიცირდებიან როგორც თავიანთ თავზე მომუშავეები. ამასთან თვითდასაქმებული ასევე გულისხმობს წვლილს ოჯახის წევრებისგან და მწარმოებლის კოოპერატივის წევრებისაგან.

7.15. ჩანართი 7.2. შეიცავს *დასაქმებულისა* და *დამსაქმებლის* განმარტებას და განსაზღვრავს სპეციალურ კატეგორიებს იმ პირებისა, რომლებიც ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთა შორის არიან.

4 შრომის საერთაშორისო ოფისი „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმების, უმუშევრობისა და არასრული დასაქმების სტატისტიკის შესახებ რეზოლუცია, მიღებული შრომის სტატისტიკოსების მეცამეტე საერთაშორისო კონფერენციაზე (1982 წლის ოქტომბერი)", საერთაშორისო რეკომენდაციები შრომის სტატისტიკაზე: 2000 წლის გამოცემა (ჟენევა, 2000) გვერდი 25

5 შრომის საერთაშორისო ოფისი „დასაქმების სტატუსის საერთაშორისო კლასიფიკაცია (ICSE), მიღებული შრომის სტატისტიკოსების მეთხუთმეტე საერთაშორისო კონფერენციაზე (1993 წლის იანვარი)", შრომის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები: 2000 წლის გამოცემა (ჟენევა, 2000) გვერდები 20-23.

ჩანართი 7.2.

**დასაქმების სტატუსი: საბაზისო განმარტებები**

(i) **დასაქმებულები** არიან ის მუშაკები, რომელთა სამუშაო ადგილები განისაზღვრება როგორც „ანაზღაურებადი სამუშაო". არსებობს ფორმალური ან არაფორმალური სახის ხელშეკრულება ინდივიდსა და საწარმოს შორის, რომლის მიხედვითაც იგი იღებს ფულად ან არამონეტარულ ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოსთვის. სტაბილური კონტრაქტის მქონე დასაქმებულები არიან ისინი, ვისაც ჰქონდათ და აქვთ მკაფიო (წერილობითი ან სიტყვიერი) ან ნაგულისხმები კონტრაქტი ან ასეთი კონტრაქტების წყება იგივე დამსაქმებელთან უწყვეტი პერიოდის განმავლობაში. „უწყვეტი პერიოდი" გულისხმობს დასაქმების პერიოდს, რომლის ხანგრძლივობა უფრო მეტია ვიდრე ეროვნული გარემოებებით განსაზღრული მინიმუმი. (თუკი მინიმალურ პერიოდში ადგილი აქვს წყვეტას, მისი მაქსიმალური ხანგრძლივობაც უნდა განისაზღვროს ეროვნული გარემოებებიდან გამომდინარე. რეგულარულად დასაქმებულები არიან ის პირები, რომლებიც აქვთ „სტაბილური კონტაქტები" და ვისთვისაც დამსაქმებელი იხდის გადასახადებს და სოციალურ დაზღვევას/ ან სადაც საკონტრაქტო ურთიერთობებს არეგულირებს ეროვნული შრომის კოდექსი.

(ii) **დამსაქმებლები** არიან ის მუშაკები, რომლებიც თავიანთი თავისთვის მუშაობენ ერთ ან რამდენიმე პარტნიორთან ერთად. მათ აქვთ სამუშაო, რომელიც განისაზღვრება, როგორც „თვითდასაქმებულის სამუშაო" და უწყვეტი პერიოდის განმავლობაში ერთ ან რამდენიმე პირს რთავს თავის ბიზნესში, როგორც „დასაქმებულ(ებ)ს".

(iii) **დამოუკიდებელი მეპატრონეები** არიან ის მუშაკები, რომლებიც თავიანთი თავისთვის მუშაობენ ერთ ან რამდენიმე პარტნიორთან ერთად და აქვთ სამუშაო, რომელიც განისაზღვრება, როგორც „თვითდასაქმებულის სამუშაო". მათ არ ჰყავთ უწყვეტი პერიოდის განმავლობაში „დასაქმებულები". თუმცა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიძლება ჰყავდეთ „დასაქმებულები" ოღონდ ეს არ არის უწყვეტი პერიოდი. (პარტნიორები შეიძლება იყვენენ იმავე ოჯახის ან შინამეურნეობის წევრები ან არ იყვნენ.)

(iv) **დროებითი მუშები** არიან ის მუშები, რომლებსაც აქვთ განსაზღვრული ან ნაგილისხმები სამუშაო კონტრაქტი მოკლე ვადით, რომლის ხანგრძლივობაც განისაზღვრება ეროვნული გარემოებებით.

(v) **მოკლე ვადით დასაქმებულები** არიან ის მუშები, რომლებისაც აქვთ დასაქმების კონტრაქტები, რომელთა მოქმედების პერიოდიც უფრო ხანგრძლივია ვიდრე „დროებითი მუშებისა", მაგრამ უფრო მოკლე ვიდრე „რეგულარული დასაქმებულებისა."

(vi) **სეზონურ სამუშაოზე დასაქმებულები** არიან ის მუშები, რომელთა სამუშაო კონტაქტების დროსა და ვადაზე დიდ გავლენას ახდენს სეზონური ფაქტორები, როგორიცაა კლიმატური ციკლები, სახალხო დღესასწაულები, და სოფლის მეურნეობის მოსავლის აღების დრო.

(vii) **გარეთ დასაქმებულები** არიან ის მუშები, რომლებიც (ა) აფორმებენ კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც ისინი თანხმდებიან გარკვეულ საწარმოსთვის მუშაობაზე, ან გარკვეული საწარმოსთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, ამ საწარმოსთან წინასწარი კონტრაქტის არსებობის გარეშე, მაგრამ (ბ) ვისი სამუშაო ადგილიც არ არის ამ საწარმოს შიგნით. ისინი შეიძლება კლასიფიცირდნენ, როგორც დამსაქმებლები თუკი ჩართავენ მუშებს პარაგრაფ (ii)-ში მოცემული პირობებით.

(iv)-(vii) კატეგორიების მუშები შეიძლება კლასიფიცირდნენ, როგორც „დამოუკიდებელი მეპატრონეები" ან „დასაქმებულები" გამომდინარე სამუშაო კონტრაქტის სპეციფიკიდან.

*__წყარო:__ შრომის საერთაშორისო ოფისი „დასაქმების სტატუსის საერთაშორისო კლასიფიკაცია (ICSE), მიღებული შრომის სტატისტიკოსების მეთხუთმეტე საერთაშორისო კონფერენციაზე (1993 წლის იანვარი)", შრომის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები: 2000 წლის გამოცემა (ჟენევა, 2000) გვერდები 20-22.*



7.16. ჩანართი 7.2. ქვემოთ აჯამებს ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებული პირების კატეგორიებს, რომლებიც ზემოთ იქნა განსაზღვრული.

## ბ. დასაქმება, როგორც შრომის მიწოდება და მოთხოვნა

7.17. სამუშაო ნიშნავს აქტივობას, რომელსაც წვლილი შეაქვს საქონლისა და მომსახურების წარმოებაში ეროვნული ანგარიშების სისტემის მიერ განსაზღვრული წარმოების ფარგლებში. ამ ჩარჩოს ფარგლებში შრომის ბაზრები შეიძლება შრომაზე მოთხოვნითა და მიწოდებით დახასიათდეს.

7.18. საწარმოებს სჭირდება ადამიანები სხვადასხვა თანამდებობაზე სამუშაოდ

და ეს თანამდებობები შეიძლება იყოს ვაკანტური ან დაკავებული (სამუშაო ადგილები). ეს არის შრომის მოთხოვნის მხარე. ამ შემთხვევაში სტატისტიკური ერთეული იქნება სამუშაო ადგილი. ამ ადგილზე დაკავებული ადამიანი ასრულებს სამუშაოს ან მიაწოდებს შრომას მოგების ან მატერიალური ან არამატერიალური ანაზღაურების საფუძველზე. ეს არის შრომის მიწოდების მხარე. ამ შემთხვევაში სტატისტიკური ერთეული არის დასაქმებული ადამიანი. შესრულებული სამუშაოს საფასური დასაქმებულის შემთხვევაში არის შემოსავალი, ხოლო დამსაქმებლის შემთხვევაში არის ხარჯი.

7.19. ზოგიერთ დასაქმებულს შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი სამუშაო და ამ შემთხვევაში ერთ-ერთი სამუშაო იქნება ძირითადი (განისაზღვრება დახარჯული დროით ან მიღებული შემოსავლით), ხოლო სხვა დანარჩენი მეორადი სამსახურ(ებ)ი. შესაძლებელია პირიქით, ორი ან მეტი პიროვნება შეიძლება იკავებდეს ერთ და იგივე თანამდებობას და ქონდეს ორი ან მეტი სამსახური არასრული სამუშაო დღით. შედეგად, სამუშაო ადგილების რაოდენობა (მოთხოვნის მხარე) და დასაქმებული ადამიანების რაოდენობა (მიწოდების მხარე) არ არის მსგავსი კატეგორიები და ჩვეულებრივ არ ემთხვევა ერთმანეთს.

7.20. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმება შეიძლება აღირიცხოს ტურისტულ ინდუსტრიაში არსებული სამუშაო ადგილების ან დასაქმებული ადამიანების რაოდენობის დათვლით. მოთხოვნის პერსპექტივიდან თუ შევხედავთ პროდუქტიულ საქმიანობაში დაკავებული თანამდებობების რაოდენობას, ეს არის სამუშაო ადგილების რაოდენობა. მათი მახასიათებლების (და არა დასაქმებული პირების) დადგენა შეიძლება შემდეგნაირად: ძირითადი დასაქმების ადგილი, დამატებული მეორადი სამუშაო ადგილი, დამატებული სხვა სამუშაო ადგილები უდრის მოცემული პირის სამუშაო ადგილების სრულ რაოდენობას. ტურიზმში დასაქმებული ყველა პირის სამუშაო ადგილის დაჯამებით მივიღებთ ტურიზმის ინდუსტრიაში სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობას. რაც შეეხება მიწოდებას, პიროვნება შეიძლება მუშაობდეს ერთზე მეტ სამუშაო ადგილას დაკავშირებულს ტურიზმთან ასოცირებულ აქტივობასთან, თუმცა ეს სამუშაო ადგილები შეიძლება იყოს სხვადასხვა ტურიზმის ინდუსტრიის სხვადასხვა საწარმოში . ამიტომ, ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებული ადამიანების მთლიანი რაოდენობა შეიძლება არ უტოლდებოდეს იმ ადამიანების საერთო ჯამს, რომლებიც დასაქმებულები არიან ცალკეულ ტურისტულ ინდუსტრიებში.

ჩანართი 7.2.

**ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმება: დასაქმებული პირების ძირითადი კატეგორიები**




7.21. სამუშაოს ინტენსივობა შეიძლება მერყეობდეს როგორც თვით სამუ-შაოებს შორის, ისე ინდუსტრიებს და დროის პერიოდებს შორის. სამუშაო ადგილები შეიძლება განსხვავდებოდეს სამუშაო საათების მიხედვითაც, რაც აისახება სრული და ნახევარი განაკვეთის მქონე სამუშაო ადგილებში. ამიტომ, იმისთვის რომ მოვიპოვოთ ინფორმაცია გარკვეული დროის განმავლობაში (მაგ, თვე, ან წელიწადი) განხორციელებული შრომის მოცულობაზე, მხოლოდ დასაქმებული პირების ან სამუშაო ადგილების რაოდენობის შესახებ მონაცემები არ არის საკმარისი. საჭირო იქნება მონაცემები სამუშაო საათების საერთო რაოდენობაზე. და ბოლოს, თუკი ყველა სახის სამუშაო გარდაიქმნება შესაბამის სრულ განაკვეთიან სამუშაოდ ან წლის განმვალობაში შესრულებულ სამუშაო საათებად, შეიძლება მივიღოთ მოცემულ ტურისტულ ინდუსტრიაში მოცემულ პერიოდში საჭირო შრომის სრული მოცულობა.

7.22. ქვემოთ მოცემული ფიგურა 7.3 გვიჩვენებს დასაქმებული პირების და სამუშაო ადგილების ურთიერთკავშირს და შემოთავაზებულ გაზომვის მეთოდებს.

*[6] როგორც არის განსაზღვრული ეროვნული ანგარიშების სისტემა 2008 მიხედვით. პარაგრაფები 19.43 და 19.54.*



ფიგურა 7.3

**დროის მოცემულ მონაკვეთში ტურიზმში დასაქმების საზომი ერთეულების ურთიერთკავშირი**




7.23. რომ შევაჯამოთ ზემოთქმული, საჭიროებებიდან გამომდინარე, ტურისტულ ინდუსტრიებში დასაქმება შეიძლება გამოიხატებოდეს შემდეგი საშუალებებით:

- ადამიანების რაოდენობა;
- სამუშაო ადგილების რაოდენობა (სრული განაკვეთი/ნახევარი განაკვეთი);
- სამუშაო საათების რაოდენობა;
- სრული განაკვეთის მქონე ექვივალენტი სამუშაო ადგილები.

## გ. დასაქმების დამახასიათებელი ნიშნები

7.24. იმისათვის, რომ მივაწოდოთ ინფორმაცია ტურისტულ ინდუსტრიებში სამუშაო ადგილების შემადგენლობაზე და იდენტიფიცირება გავუკეთოთ ანალიზისათვის საჭირო ერთგვაროვან ჯგუფებს, როგორც დროთა განმავლობაში და ქვეყნებს შორის სტატისტიკის შედარების საფუძველი, დასაქმების გასაზომი მექანიზმები უნდა იყოს კლასიფიცირებული ინდუსტრიებისა და სამუშაო ადგილებზე დაკავებული პირების სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით.

7.25. ამგვარად, დასაქმებულის სამუშაო დროის გარდა, სამუშაო ადგილის კლასიფიკაცია უნდა მოხდეს დასაქმებულ(ებ)ის დემოგრაფიული, განათლების და სოციალური მახასიათებლების მიხედვით. ამასთან, მოცემულ სამუშაოსთან დაკავშირებული ანაზღაურება არის მნიშვნელოვანი მახასიათებელი და უნდა იყოს ცალკე კლასიფიკაციის საგანი.

7.26. საერთაშორისო მასშტაბით შედარების განხორციელებისათვის, ტურისტულ ინდუსტრიებში დასაქმების სტატისტიკის კლასიფიკაცია უნდა იყოს თანხვედრაში ან კონვერტირებადი უახლოეს წარსულში დამტკიცებულ საერთაშორისო კლასიფიკაციასთან, როგორიცაა:

(ა) ყველა ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული ინდუსტრიული კლასიფიკაცია (ISIC), მეოთხე რევიზია, მისი მისადაგება ტურიზმის სტატისტიკისადმი;
(ბ) დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCO-08);[7]
(გ) განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCED-97);
(დ) დასაქმების სტატუსის საერთაშორისო კლასიფიკაცია, (ICSE-93).[8]

7.27. იმისათვის, რომ მოხდეს ტურიზმის ინდუსტრიებში დასაქმების ადექვატური ანალიზი, **რეკომენდირებულია,** რომ ქვეყნებმა თითოეული ტურისტული ინდუსტრიისათვის, რომელთა იდენტიფიცირება მოხდა თავ 6-ში, და ასევე მთლიანად ტურიზმის ინდუსტრიისათვის, მოაგროვონ შემდეგი ძირითადი ცვლადები:

- დასაქმება ასაკობრივი ჯგუფის, სქესის, ნაციონალობის და რეზიდენტობის (თუკი ეს რელევანტურია) მიხედვით;
- დასაქმება საწარმოთა ტიპის მიხედვით (ზომა, ფორმალური, არაფორმალური [9] და ა.შ.);
- დასაქმების კლასიფიკაცია პროფესიის და სტატუსის მიხედვით;
- მუდმივი/დროებითი დასაქმება გამოხატული სამუშაო ადგილების რაოდენობით, სამუშაო საათებით, სრული განაკვეთის ექვივალენტობით და ა.შ.
- დასაქმება განათლების მიღებით;
- სამუშაო საათები (ჩვეულებრივი, ფაქტობრივი, ანაზღაურებადი, და ა.შ.);
- სამუშაო დროის ორგანიზება.

7.28. რადგანაც დასაქმების ცვლადები საბოლოოდ გამოიყენება ქვეყნის ტურისტული ინდუსტრიების სიღრმისეული ანალიზისათვის სოციალურ/ეკონომიკურ კონტექსტში, ქვეყნებმა ასევე უნდა მოაგროვონ შრომის მონეტარული ასპექტის დამახასიათებელი შემდეგი ცვლადები:

*დასაქმებულთა ანაზღაურება,* სადაც შედის ფულადი ან სხვა სახის გასამრჯელო და დასაქმებულებისათვის გადახდილი სოციალური კონტრიბუციის ღირებულება 10 თითოეული ინდუსტრიისათვისა და მშრომელთა ცალკეული კატეგორიებისათვის;

შესრულებული სამუშაოს გარდა, *შრომის ღირებულებაში* შედის დამსაქმებლის მიერ პროფესიული ტრენინგისათვის გაწეული ხარჯი, სოციალური დაცვის სერვისები და სხვა პუნქტები, რომლებიც დასაქმებულის ანაზღაურებაში არ შედის. მაგალითად, მუშების ტრანსპორტირება, სამუშაო ტანსაცმელი და დაქირავების პროცესი, ამას ემატება გადასახადები, რომლებიც ასევ ითვლება შრომის ღირებულებაში.[11] თვითდასაქმებულთა *შერეული შემოსავალი.* [12]

[7] შრომის საერთაშორისო ოფისი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია“ (ISCO) ჟენევა 2008.

[8] _______ „რეზოლუცია დაკავშირებული დასაქმების სტატუსის საერთაშორისო კლასიფიკაციასთან (ICSE)“ მიღებული შრომის სტატისტიკოსების მეთხუთმეტე საერთაშორისო კონფერენციაზე (1993 წლის იანვარი) საერთაშორისო რეკომენდაციები შრომის სტატისტიკაზე: 2000 წლის გამოცემა (ჟენევა 2000) გვერდები 20-23.

[9] ______ „რეზოლუცია არაფორმალურ სექტორში დასაქმების თაობაზე“ მიღებული შრომის სტატისტიკოსების მეთხუთმეტე საერთაშორისო კონფერენციაზე (1993 წლის იანვარი) საერთაშორისო რეკომენდაციები შრომის სტატისტიკაზე: 2000 წლის გამოცემა (ჟენევა 2000) გვერდები 32-40

[10] როგორც არის განმარტებული ეროვნული ანგარიშების სისტემაში 2008, თავი 7“ შემოსავლების ანგარიშების განაწილება“, პარაგრაფები 7.5 და 7.29

[11] შრომის საერთაშორისო ოფისი, „შრომის ღირებულების სტატისტიკასთან დაკავშირებული რეზოლუცია“ მიღებული შრომის სტატისტიკოსების მეთერთმეტე საერთაშორისო კონფერენციაზე (1966 ოქტომბერი). საერთაშორისო რეკომენდაციები შრომის სტატისტიკაზე: 2000 წლის გამოცემა (ჟენევა 2000) გვერდები 41-43



## დ. დასაქმების გაზომვა

7.29. ტურიზმის ინდუსტრიებში დასაქმების შესახებ მონაცემების მოგროვება ინტეგრირებული უნდა იყოს ეროვნული სტატისტიკის სისტემაში. ტურიზმის ინდუსტრიებში დასაქმება ხდება თვითდასაქმების ან ანაზღაურებადი დასაქმების ფორმით. ტურიზმის ინდუსტრიებში დასაქმების სრული სურათის მიღება შეუძლებელია მხოლოდ ერთი სტატისტიკური წყაროდან. უკეთესი დაფარვისა მიღწევისა და დასაქმებულების უფრო დეტალური მახასიათებლების მოპოვების მიზნით, ქვეყნებმა შეძლებისდაგვარად უნდა გამოიყენონ შემდეგი ძირითადი მონაცემთა წყაროები: (ა) შინამეურნეობების გამოკითხვა; (ბ) საწარმოებში გამოკითხვა; და (გ) ადმინისტრაციული ჩანაწერები.

7.30. შინამეურნეობების გამოკითხვა სამუშაო ძალასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მონაცემთა წყაროა, რომელსაც შეუძლია ქვეყნის მთელი მოსახლეობის მოცვა, ყველა ინდუსტრიის და ყველა კატეგორიის მუშაკის, მათ შორის თვითდასაქმებულების და დროებითი მუშების. გამოკითხვებს ასევე შეუძლია მოიცვას ფორმალურ და არაფორმალურ სექტორებში ეკონომიკური აქტივობა და არაფორმალური დასაქმება.

7.31. მნიშვნელოვანია, რომ შინამეურნეობების გამოკითხვა აგროვებს მონა-ცემებს ინდივიდებისაგან და ამგვარად გვაძლევს ინფორმაციას იმ პირების შესახებ, რომლებიც შესაძლოა იყვნენ დასაქმებულები ერთზე მეტ სამუშაოზე (რამდენიმე სამუშაო ადგილზე დასაქმებულები) და მუშაობდნენ რამდენიმე ინდუსტრიაში (ტურიზმის და არა-ტურიზმის).

7.32. საწარმოთა გამოკითხვა არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყარო დასაქმებულებისა და სამუშაო ადგილების შესახებ მონაცემთა მოგროვებისათვის. თუკი რომელიმე ინდუსტრია განსაკუთრებული ინტერესის საგანია, როგორც მაგალითად ტურიზმის ინდუსტრია, საწარმოთა გამოკითხვას შეუძლია მოგვცეს ამ ინდუსტრიის სიღრმისეული სურათი. უნდა აღინიშნოს, რომ არაფორმალურ საწარმოებს ეს გამოკითხვა არ ფარავს. სამუშაო ადგილებთან და დასაქმებასთან დაკავშირებული სანდო და დეტალური ინფორმაცია (მაგ; შემოსავლები, ხელფასები და შრომის ღირებულება) შეიძლება მოვიპოვოთ საწარმოთა გამოკითხვიდან, განსაკუთრებით კი ამ საწარმოების სახელფასო თუ სხვა ადმინისტრაციული ჩანაწერებიდან.

7.33. ადმინისტრაციულ ჩანაწერებზე (მაგ; სოციალური უზრუნველყოფის ანგარიშები, საგადასახადო ანგარიშები, დასაქმების ჩანაწერები) დაფუძნებული სტატისტიკა, როგორც წესი არის ადმინისტრაციული პროცესების თანმხლები პროდუქტი. ისინი ხშირად ეფუძნებიან უწყვეტ ოპერაციებს და ამიტომ ნაკადების სტატისტიკისა და სხვა გრძივი მონაცემების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. თუმცა, მათ შეიძლება სხვადასხვა ნაკლოვანებებიც ჰქონდეთ, როგორიცაა შეზღუდული დაფარვა (არაფორმალური საწარმოებების გამორიცხვა) და შინაარსი, ხისტი კონცეფციები და განმარტებები, არასრულყოფილება, არათანამიმდევრულობა და ლიმიტირებული ხელმისაწვდომობა სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული ბარიერების გამო.[13]

7.34. რადგანაც ტურიზმის ინდუსტრიებში დასაქმების აღწერა და გაზომვა ერთსტატისტიკურ წყაროზე დაყრდნობით შეუძლებელია, სასურველი გადაწყვეტილება იქნება სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების ინტეგრირება. ეს მეთოდი უფრო ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა, ასევე უფრო ფართო მიმოხილვის საშუალებას და უფრო თანმიმდევრულ სურათს მოგვცემს, რაც საბოლოო ჯამში შედეგად უფრო ზუსტ ანალიზს მოიტანს.

7.35. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეულიმეთოდოლოგიური ჩარჩოს შექმნის მიმართულებით ტურიზმის დასაქმებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან ინტეგრაციისა და მონაცემთა საერთაშორიშო მასშტაბით შედარებისთვის (როგორიცაა ტურიზმის სატელიტური ანგარიშები, თავი 8 და OECD-ის დასაქმების მოდული [14] ), მუშაობა კვლავ გრძელდება უფრო მრავლისმომცველი ჩარჩოს შესაქმნელად, რომელიც სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების ინტეგრაციის და ეროვნული ანგარიშების სისტემაში უფრო მჭიდრო კავშირების დამყარების შესაძლებლობას მოგვცემს.

[12] როგორც აღწერილია ეროვნული ანგარიშების სისტემა 2008-ში, თავი 7“ შემოსავლების ანგარიშების განაწილება“, პარაგრაფები 7.9 და 7.12

[13] სტატისტიკის წყაროებზე ამომწურავი ინფორმაციისათვის იხილეთ: შრომის საერთაშორისო ოფისი. „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმების, უმუშევრობისა და არასრული დასაქმების აღწერა; ILO-ს გზამკვლევი კონცეფციებსა და მეთოდებზე“ (ჟენევა, 1990),
--- ______„არაფორმალურ სექტორში დასაქმების თაობაზე რეზოლუცია“ მიღებული შრომის სტატისტიკოსების მეთხუთმეტე საერთაშორისო კონფერენციაზე (1993 წ. იანვარი), შრომის სტატისტიკის მიმდინარე საერთაშორისო რეკომენადციები. 2000 გამოცემა, (ჟენევა, 2000), გვ.32-38.
--- ______„არაფორმალურ სექტორში დასაქმების სტატისტიკური დეფინიციების გზამკვლევი“ დამტკიცებული შრომის სტატისტიკოსების მეჩვიდმეტე საერთაშორისო კონფერენციაზე (2003 წლის დეკემბერი),
--- ______„სახელფასო სტატისტიკის ინტეგრირებული სისტემა: მეთოდური სახელმძღვანელო (ჟენევა 1979),
--- ______„შრომის სტატისტიკა ადმინისტრაციული ჩანაწერების მიხედვით: კომპილაციის და პრეზენტაციის სახელმძღვანელო“ILO/EASMTILO, რეგიონული ოფისი აზიისა და წყანარი ოკეანის ქვეყნებისათვის (ბანკოკი 1997)

[14] OECD “ტურიზმის სატელიტური ანგარიშების გზამკვლევი: დასაქმების მოდული“ (პარიზი, 1999)

## თავი 8

# ტურიზმის სხვა მაკროეკონომიკურ ჩარჩოებთან მიმართებაში გაგება

8.1. ეს თავი მიუთითებს ზოგიერთ სფეროებზე, სადაც შესაძლებელი იქნება საერთაშორისო რეკომენდაციები 2008-ის შემდგომი გაფართოება. უპირველეს ყოვლისა, შემოთავაზებულია ტურიზმის სატელიტური ანგარიშების მიდგომა, რომლის მიხედვითაც ტურიზმის სტატისტიკა უკავშირდება ძირითად მაკროეკონომიკურ ანალიზს. შემდგომ, ხაზგასმულია შემომყვან და გამყვან ტურიზმსა და საგადამხდელო ბალანსს შორის კავშირი, რითაც აღიარებულია ტურიზმის, როგორც საერთაშორისო მასშტაბით სავაჭრო სერვისის მნიშვნელობა. მახვილდება ყურადღება ტურიზმის სუბნაციონალურ დონეზე გაზომვის საჭიროებაზე და წარმოდგენილია ნაციონალურ და სუბნაციონალურ დონეებს შორის კავშირები, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვევა, თუმცა გვაძლევს ერთამანეთის შემავსებელ თვალსაზრისებს მოცემულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ტურიზმთან ასოცირებული აქტივობების თაობაზე. საბოლოოდ, ტურიზმის მდგრადობა და მისი გაზომვა არის ნახსენები.

## ა. ტურიზმის სატელიტური ანგარიშების მიდგომა

8.2. ეროვნულ დონეზე ტურიზმის სატელიტური ანგარიშების შექმნა და საერთაშორისო რეკომენდაციები ამ კონცეპტუალური და ანალიტიკური ჩარჩოსათვის მსოფლიოო ტურიზმის სტატისტიკოსების დღის წესრიგში ორ ათწლეულზე მეტია დგას.

8.3. ტურიზმის განსაკუთრებული თვისებების გამო, რომლებიც სცდება ვიზიტორების აღწერას, მათ მიერ ტრანსპორტის მოხმარებას, განთავსებას, კვების სერვისებს და მათ მომსახურებაზე გამიზნულ სხვა აქტივობებს, ტურიზმის სტატისტიკოსები მალევე მიხვდნენ, რომ ტურიზმის აღწერა და ანალიზი მისი ფართო სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის გარეშე შეუძლებელია.

8.4. ამიტომ, ტურიზმი იდეალური სფეროა სატელიტური ანგარიშგებისათვის. ეროვნული ანგარიშების სისტემის (2008) ზოგადი კონცეფციების, განმარტებების, და კლასიფიკაციების, მაჩვენებლების და ცხრილების ადაპტაცია მალევე ჩაითვალა მნიშვნელოვან ინიციატივად. ტურიზმის სატელიტური ანგარიშები რელევანტურად ჩაითვალა:

- როგორც ინსტუმენტი, რომელმაც აღიარა, რომ ტურიზმი არის გამჭოლი ბევრ პროდუქტსა თუ საქმიანობას შორის, ხელს უწყობს ტურიზმის ეკონომიკის სხვა სფეროებთან მჭიდრო კავშირის სიღრმისეულ გაგებას;
- როგორც სტრუქტურული კავშირი ეროვნული ანგარიშების სისტემასთან, საგადამხდელო ბალანსთან და მომსხურებით საერთაშორისო ვაჭრობასთან, და შედეგად, სხვა მაკროეკონომიკურ ჩარჩოებთან;
- როგორც სტრუქტურული კავშირი ეროვნული ანგარიშების მაჩვენებლებთან და მათი გაზომვის ზოგად მიდგომებთან, რითაც ტურიზმის სტატისტიკური მონაცემებისა და განვითარების პროგრამების სანდოობა და ლეგიტიმურობა მიიღწევა;
- როგორც ჩარჩო და მეთოდოლოგია ტურისტული და სხვა ინდუსტრიების მიწოდების და ვიზიტორების მოთხოვნის შედარებისა და ასევე სხვა ცვლადების, რომლებიც დაკავშირებულია ვიზიტორების მახასიათებლებთან, ტურისტულ მგზავრობებთან და ტურისტულ ინდუსტრიებში დასაქმებასთან;
- როგორც უნიკალური ჩარჩო, რითაც ტურიზმის მთლიანი შიდა პროდუქტის შედგენა ხდება, რადგანაც იგი გამოიყენება როგორც ბაზისური მაკრო მაჩვენებელი, სხვა მაჩვენებლებთან ერთად ტურიზმის მოცულობის დასახასიათებლად;
- როგორც ცნობარი და ქვაკუთხედი მომავალი სტატისტიკის განვითარებისა და ტურიზმის შესახებ ეკონომიკური კვლევებისა.



8.5. მაკროეკონომიკური პერსპექტივიდან გამომდინარე ტურიზმის სატელიტური ანგარიშები არის კონცეპტუალური ჩარჩო ტურიზმის გაგებისათვის. ის ფოკუსირებას ახდენს ტურიზმის სხვადასხვა ფორმის (შემომყვანი, გამყვანი და შიდა) აღწერასა და გაზომვაზე. ის ასევე ხაზს უსვამს ვიზიტორების მოხმარებასა და საქონლისა და მომსახურების მიწოდებას შორის კავშირს ეკონომიკაში, განსაკუთრებით კი ტურისტული ინდუსტრიების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების. ამ ინსტრუმენტის საშუალებით შესაძლებელია ტურიზმის მთლიანი შიდა პროდუქტის გაზომვა, ეკონომიკაში ტურიზმის პირდაპირი კონტრიბუციის დადგენა და უფრო კომპლექსური სქემების შემუშავება ტურიზმის სატელიტურ ანგარიშსა და ეროვნული ანგარიშების სისტემასა და საგადამხდელო ბალანს შორის კავშირზე დაყრდნობით.

8.6. ტურიზმის სატელიტური ანგარიშები უზრუნველყოფს შემდეგი ორი სახის თანმიმდევრულობას: პირველი, თანმიმდევრულობა ტურიზმის გაზომვაში ვიზიტორების პერსპექტივიდან მათი მოხმარებასთან დაკავშირებული აქტივობისა და მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ყველა ინდუსტრიის (ძირითადად ტურიზმის) მიერ საქონლისა და მომსახურების მიწოდებას შორის; მეორე, თანმიმდევრულობა ზოგად მოხმარებასა და ეკონომიკაში არსებული ყველა პროდუქტისა და აგენტის მიწოდებასა და ვიზიტორების მოთხოვნას შორის.

8.7. ტურიზმის სატელიტური ანგარიშები შეიცავს 10 ურთიერთდამოკიდებული ცხრილის ნაკრებს, რომელიც ნათლად გამოხატავს ვიზიტორების მოხმარების სხვადასხვა კატეგორიებს, (ცხრილები 1-დან 4-მდე), ტურისტული და სხვა ინდუსტრიების მიერ ტურიზმთან ასოცირებული, დაკავშირებული და სხვა სახის პროდუქციის წარმოებას (ცხრილები 5 და 6), და შესაძლებელს ხდის ტურიზმის მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლას, ტურიზმის სფეროში დასაქმებას (ცხრილი 7), ტურიზმის მთლიანი ფიქსირებული კაპიტალური აქტივების ფორმირებას (ცხრილი 8), ტურიზმის კონტროლთან და მხარდაჭერასთან დაკავშირებულ მთავრობის ადმინისტრაციულ ხარჯებს (ტურიზმის კოლექტიური მოხმარება, ცხრილი 9) და ბოლოს, ზოგ მნიშვნელოვან არამონეტარულ ინდიკატორს (ცხრილი 10,) რომელიც ცხილებში 1-9 მოცემული ეკონომიკური მონაცემების ანალიზისათვის გამოიყენება.

8.8. ეს ცხრილები შესაბამისობაში არიან ზოგად მიწოდებასთან და იყენებენ ცხრილებს, რომელთა შემუშავებაც ხდება ქვეყნების მიერ ეროვნულ დონეზე საქონლისა და მომსახურების ზოგადი ეკონომიკური ბალანსის აღწერისათვის და ასევე მწარმოებელთა საწარმოო ანგარიშებთან, რომლებიც ითვალისწინებენ ეროვნული ანგარიშების სისტემას, 2008. ამგვარად, ტურიზმის სატელიტური ანგარიშები შეიძლება ჩავთვალოთ ბაზისური ტურიზმის ეკონომიკური სტატისტიკის გლობალურ ბაზად.

8.9 ტურიზმის სატელიტური ანგარიშების შემდგომი განვითარებისა და გაფართოების გეგმების შესახებ ინფორმაციას UNWTO მოგვაწოდებს.

## ბ. ტურიზმი და საგადამხდელო ბალანსი

8.10. საგადამხდელო ბალანსი ფოკუსირებას ახდენს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის აღწერაზე. აქ შედის საერთაშორისო ტურიზმთან დაკავშირებული ტრანზაქციები, რომლებიც განსაზღვრულია რეზიდენტობის კონცეფციის საფუძველზე, რაც მსგავსია საგადამხდელო ბალანსსა და ეროვნული ანგარიშების სისტემაში გამოყენებული კონცეფციისა. შემდგომი პარაგრაფები მიუთითებენ იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს ტურიზმის სტატისტიკასა და საგადამხდელო ბალანსში მოგზაურობასა და სამგზავრო ტრანსპორტის კომპონენტებს შორის.

8.11. ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის კონტექსტში ტერმინი „მოგზაურობა“ არ გულისხმობს ინდივიდების ყველა იმ აქტივობას, რომელსაც ისინი ახორციელებენ თავისი რეზიდენტობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ვიზიტის დროს, არამედ გულისხმობს მხოლოდ მოგზაურობების დროს ინდივიდების მიერ გაწეული ხარჯების ღირებულებას. სამოგზაურო კრედიტები ფარავენ საკუთარი მოხმარებისთვის ან სხვებზე გასაცემად არარეზიდენტების მიერ ეკონომიკაში შეძენილ საქონელსა და მომსახურებას ამ ეკონომიკის ვიზიტის დროს. სამოგზაურო დებეტები მოიცავენ რეზიდენტების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის ან სხვებზე გასაცემად სხვა ეკონომიკაში შეძენილ საქონელსა და მომსახურებას სხვა ეკონომიკის ვიზიტის დროს.

8.12. ზოგადი განმარტებების მიხედვით, ტურისტული დანახარჯების ღირებულება (გარდა სამგზავრო ტრანსპორტის ტურიზმთან დაკავშირებული სერვისებისა), რომელიც ასოცირდება საერთაშორისო ვიზიტორების მოგზაურობასთან იქნება „მოგზაურობის“ ნაწილი: შემომყვანი ტურისტული დანახარჯები იქნება სამოგზაურო კრედიტის ნაწილი, ხოლო დანახარჯები გამყვან ტურიზმზე სამოგზაურო დებეტის ნაწილი. მიუხედავად ამისა, მოგვიანებით ამ ზოგად განმარტებაზე ზუსტი საზღვრების დაწესებამ თავდაპირველი მარტივი ხედვა უფრო კომპლექსური გახადა.

8.13. განსხვავებები დაკავშირებულია (ა) იმ ინდივიდების ოდენობასთან, რომელთა ტრანზაქციებიც არის ჩართული და (ბ) დაფარული ხარჯების მასშტაბთან. ეს განსხვავებები აღნიშნულია ფიგურა 8.1-ში, სადაც აღნიშნულია, რომ ტურიზმის სტატისტიკასთან კავშირი მოითხოვს სამგზავრო ტრანსპორტში ტურიზმთან დაკავშირებული სერვისების გათვალისწინებას.

8.14. რაც შეეხება იმ ინდივიდების ოდენობას, რომელთა ხარჯებიც ასახულია, „მოგზაურობის“ პუნქტი მოიცავს იმ მოგზაურების ხარჯებს, რომლებიც ვიზიტორებად არ ითვლებიან. მათ შორის არიან, სასაზღვრო მუშაკები, სეზონური მუშები და სხვა მოკლევადიანი მუშები, საზღვრების ხშირი გადამკვეთები, რომლებიც თავიანთ ჩვეულ გარემოში არიან, თავიანთი რეზიდენტობის ადგილის ფარგლებს გარეთ გრძელვადიან სასწავლო პროგრამებში ჩართული სტუდენტები და ის გრძელვადიანი პაციენტები, რომლებიც თავიანთი რეზიდენტობის ადგილის ფარგლებს გარეთ გადიან მკურნალობას.

8.15. ამის საფუძველზე, „მოგზაურობის“ პუნქტს აქვს უფრო ფართო მასშტაბი, ვიდრე ტურიზმის სტატისტიკას.

8.16. რაც შეეხება ტურისტულ დანახარჯებსა და „მოგზაურობაში“ შესულ საქონელსა და მომსახურებას, აქ არის შემდეგი განსხვავებები:

- შეძენა, რომელიც გამოიყენება „მოგზაურობაში“ გაცილებით ფართო მცნებაა, ვიდრე ტურისტული დანახარჯები. კერძოდ, ის ასევე მოიცავს ისეთ პირობითად დარიცხულ ღირებულებებს, როგორიცაა უფასო განთავსების უზრუნველყოფა. ამასთან დაკავშირებით, ტურიზმის სატელიტურ ანგარიშში გამოყენებული ტურიზმის მოხმარების მნიშვნელობა უახლოვდება „მოგზაურობას“;



ჩანართი 8.1
„მოგზაურობის“ პუნქტი

10.86. *სამოგზაურო კრედიტები მოიცავენ საკუთარი მოხმარებისთვის ან სხვებზე გასაცემად არარეზიდენტების მიერ ეკონომიკაში შეძენილ საქონელსა და მომსახურებას ამ ეკონომიკის ვიზიტის დროს. სამოგზაურო დებეტები მოიცავენ რეზიდენტების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის ან სხვებზე გასაცემად სხვა ეკონომიკაში შეძენილ საქონელსა და მომსახურებას სხვა ეკონომიკის ვიზიტის დროს.[...]*

10.87. მოგზაურობა იყოფა საქმიანი და კერძო მოგზაურობის სტანდარტულ კომპონენტებად. მას თან ახლავს დამატებითი მონაცემები ინტერესთა ჯგუფების შესახებ, როგორებიც არიან საზღვრის, სეზონური ან მოკლევადიანი მუშაკები. შემოთავაზებულია ტურიზმის დაყოფა საქონლისა და მომსახურების ტიპების მიხედვით. (იხილეთ პარაგრაფი 10.95)

10.95. [...] იმისათვის, რომ უკეთ გამოჩნდეს კავშირი მოგზაურობას, სამგზავრო ტრანსპორტს და ტურიზმის სტატისტიკას შორის, ტურისტულ დანახარჯებთან მიახლოება შეიძლება ნაჩვენები იყოს, როგორც დამატებითი პუნქტი, რომელიც იდენტიფიცირებას უკეთებს ტურიზმთან დაკავშირებულ საქონელსა და მომსახურებას მოგზაურობისა და სამგზავრო ტრანსპორტის პუნქტებში.*

* ეს დამატებითი პუნქტი შეიცავს კერძო მოგზაურობას და საქმიანი მოგზაურობის ნაწილს, რომელიც არ მოიცავს საზღვრის, სეზონური ან მოკლევადიანი მუშაკების, ისევე როგორც სამგზავრო ტრანსპორტის სერვისების დანახარჯებს.

წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, *საგადამხდელო ბალანსი და საერთაშორისო ინვესტიციების სახელმძღვანელო*, მეექვსე რედაქცია, გამოცემის წინა სამუშაო ვერსია (2008 წლის დეკემბერი)

ცხრილი 8.1.
საგადამხდელო ბალანსისა და შემომყვანი/გამყვანი ტურისტული დანახარჯების „მოგზაურობისა“ და „მგზავრების საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების“ პუნქტების დამაკავშირებელი ცხრილი

| | | საგადამხდელო ბალანსი | ტურიზმის სტატისტიკა |
|---|---|---|---|
| განსაზღვრება | | *„მოგზაურობის“* პუნქტი<br>სამოგზაურო კრედიტები მოიცავენ საკუთარი მოხმარებისთვის ან სხვებზე გასაცემად არარეზიდენტების მიერ ეკონომიკაში შეძენილ საქონელსა და მომსახურებას ამ ეკონომიკის ვიზიტის დროს. სამოგზაურო დებეტები მოიცავენ რეზიდენტების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის ან სხვებზე გასაცემად სხვა ეკონომიკაში შეძენილ საქონელსა და მომსახურებას ამ ეკონომიკის ვიზიტის დროს.<br>მგზავრთა საერთაშორისო ტრანსპორტის პუნქტი<br>„მგზავრთა სერვისები“ მოიცავს ადამიანების ტრანსპორტირებას. ის მოიცავს ყველა სერვისს, რომლითაც უზრუნველყოფს საერთაშორისო ტრანსპორტი არარეზიდენტებს რეზიდენტი გადამზიდით (კრედიტი) და რეზიდენტებს არარეზიდენტი გადამზიდით (დებეტი). აქვე შედის სამგზავრო სერვისები, რომლებსაც უზრუნველყოფენ არარეზიდენტი გადამზიდები ტერიტორიის ფარგლებში. სამგზავრო ტრანსპორტის შეფასებისას უნდა იყოს გათვალისწინებული გადამზიდების მიერ სარეზერვაციო სამსახურებისა და ტურისტული სააგენტოებისთვის გადახდილი გადასახადები. გამონაკლისია ის სამგზავრო სერვისები, რომლებსაც მიაწოდებენ არარეზიდენტებს რეზიდენტები გადამზიდის რეზიდენტობის ტერიტორიის ფარგლებში და რომლების შეძენა/მიწოდება ხდება საერთაშორისო მოგზაურობისგან ცალკე; ესენი არიან მოგზაურობის ნაწილი. | შემომყვანი/გამყვანი ტურისტულიდანახარჯები<br>ტურისტულ დანახარჯებში იგულისხმება ტურისტული მოგზაურობის დროს სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების შეძენაში, ასევე საკუთარი მოხმარების ან სხვისთვის განკუთვნილი ძვირფასი ნივთების შეძენაში გადახდილი თანხები. ის მოიცავს, როგორც თვით ვიზიტორის მიერ გაწეულ, ისე სხვების მიერ ანაზღაურებულ ხარჯებს.<br>(ა) შემომყვანი ტურისტული დანახარჯები არის არარეზიდენტი ვიზიტორის ტურისტული დანახარჯები მოცემულ ეკონომიკაში;<br>(ბ) გამყვანი ტურისტული დანახარჯები არის რეზიდენტი ვიზიტორების დანახარჯები მოცემული ეკონომიკის გარეთ. |
| მასშტაბი | | შემოსული არარეზიდენტები/გასული რეზიდენტები | საერთაშორისო ვიზიტორები: არარეზიდენტი მოგზაურები ჩვეული გარემოს გარეთ მოგზაურობაში მყოფი ერთ წელზე ნაკლები დროით, გარდა ვიზიტის ქვეყანაში რეზიდენტ დაწესებულებაში დასაქმების მიზნით მოგზაურებისა |
| მასშტაბი – პირები | დიპლომატები, საკონსულო, სამხედრო პერსონალი(გარდა ადგილობრივებისა) და თანხმლები პირები<br>საზღვრის მუშები<br>სეზონური მუშები<br>სხვა მოკლევადიანი მუშები | არა | არა |
| | საზღვრის მუშები | დიახ | არა |
| | სეზონური მუშები | დიახ | არა |
| | სხვა მოკლევადიანი მუშები | დიახ | არა |
| | ეკიპაჟები | დიახ | ითვლებიან ვიზიტორებად გარდა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე რეგულარული ეკიპაჟებისა |
| | სტუდენტები | მოკლე და გრძელვადიანი | მხოლოდ ისინი, ვინც ერთწელზე ნაკლები დროით არიან სასწავლებლად (მოკლევადიანი) |
| | პაციენტები | მოკლე და გრძელვადიანი | მხოლოდ ისინი, ვინც ერთწელზე ნაკლები დროით არიან სამკურნალოდ (მოკლევადიანი) |
| | მომთაბარეები, ლტოლვილები, იძულებით გადაადგილებული პირები | დიახ, თუკი ერთ წელზე ნაკლები რჩებიან | არა |
| მოგზაურობა | ტრანზაქციები საქონელსა და მომსახურეობაზე, რომელშიც არ შედის მონეტარული ოპერაციები და წარმოადგენს არამონეტარულ სოციალურ ტრანსფერებს ან საქიროებს იმპუტაციებს; | დიახ | არ არის შეყვანილი ტურისტულ დანახარჯებში, მაგრამ შედის ტურისტული მოხმარების უფრო ინკლუზიურ კონცეფციაში, რომელიც გამოყენებულია სატელიტური ანგარიშების მიდგომაში. |
| | მოხმარების საგნების და მომსახურეობის შეძენა საერთაშორისო ტრანსპორტის გარდა | დიახ | დიახ |
| | ძვირფასეულობის შეძენა | დიახ, თუკი ეტევა საბაჟოს ლიმიტში. | ყველა, თუ შეძენილია მგზავრობის დროს |
| | გრძელვადიანი მოხმარების საგნების შეძენა | დიახ, თუკი ეტევა საბაჟოს ლიმიტში. | ყველა, თუ შეძენილია მგზავრობის დროს |
| | დანახარჯები განათლებაზე მათი მხრიდან, ვისთვისაც მთავარი მიზანი განათლებაა | დიახ | დიახ, თუკი კურსი წლიწადზე ნაკლები ხანი გრძელდება (მოკლევადიანი) |
| | დანახარჯები ჯანმრთელობაზე მათი მხრიდან, ვისთვისაც მთავარი მიზანი ჯანმრთელობაა | დიახ | დიახ, თუკი მკურნალობა წელიწადზე ნაკლები ხანი გრძელდება (მოკლევადიანი) |
| | დანახარჯები საქონლისა და მომსახურეობის შეძენის გარდა | პრინციპში არა, თუმცა BPM5 სახელმძღვანელოს (პარაგრაფი 337) რეკომენდაციით, ისეთი გადასახადები, როგორიცაა აეროპორტის გადასახადები ან მოძრაობის წესების დარღვევის გადასახადი, უნდა შევიდეს მოგზაურობაში და ჩაითვალოს მიმდინარე ტრანსფერებად. | არა |
| საერთაშორისო ტრანსპორტი | ტრანსპორტი მოცემულ ქვეყნამდე და უკან, რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის მიმდინარე ტრანზაქციის დროს | დიახ | დიახ |
| | ტრანსპორტი ორ პუნქტს შორის მოცემული ქვეყნის გარეთ რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის მიმდინარე ტრანზაქციის დროს | დიახ | გადამზიდავის რეზიდენტობის ქვეყნისათვის, მოგზაური არ არის ვიზიტორი იმ ქვეყნის მიმართულებით, იმ ქვეყნიდან მომავალი ან იმ ქვეყნის შიგნით, იგი ნაწილია გამყვანი ტურისტული დანახარჯისა, თუ მოგზაური არის გამყვანი ვიზიტორი. |
| | არარეზიდენტი გადამზიდავის ტრანსპორტი ეკონომიკის შიგნით, როგორც რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის მიმდინარე ტრანზაქცია | დიახ | გამყვანი ტურისტული დანახარჯის ნაწილი მოგზაურის რეზიდენტობის ქვეყნისათვის, თუკი იგი ვიზიტორია; არ შედის ტურიზმის სტატისტიკაში გადამზიდავის რეზიდენტობის ქვეყნისთვის. |
| | ტურისტული სააგენტოების შუამავლობა | თუკი ბონუსის გადახდა მოხდება თანხის ან საკომისიოს სახით, რეზიდენტობის რომელი ქვეყნიდანაც არ უნდა იყოს ტურისტული სააგენტო, მისი მომსახურეობა შედის საერთაშორისო სამგზავრო ტრანსპორტის შეფასებაში. ხოლო მასში შედის ან არ შედის, მიუხედავად იმისა, საერთაშორისო სამგზავრო ტრანსპორტის შეძენა არის თუ არა ტრანზაქცია რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის. თუკი მოგზაური ცალკე გადასახადს იხდის, იგი შედის მოგზაურობაში, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ეს არის ტრანზაქცია რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის. | ყველა შემთხვევაში, მომსახურეობა ფასდება დარიცხული ზღვრის გამოყენებით, შეძენილი ვიზიტორის მიერ. იგი შედის შემომყვან, გამყვან და შიდა ტურისტულ დანახარჯებში, ტურისტული სააგენტოს,ვიზიტორის რეზიდენტობის ქვეყნის და ვიზიტორის შესაბამისად. |
| | ტურისტული პაკეტები | გადასახადი ან საკომისიო წარმოადგენს ტუროპერატორის პაკეტის ღირებულების ნაწილს. მომსახურების გამწევის მიერ გადახდილი გადასახადი ან საკომისიოს სანაცვლოდ შედეგი იგივეა რაც ტურისტული სააგენტოების შუამავლობის დროს. ტუროპერატორის მომსახურეობის ღირებულება, პროვაიდერებისგან შეძენილ მომსახურეობაზე დამატებით, შევა მოგზაურობის კომპონენტში, თუ ეს არის ტრანზაქცია რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის. | ყველა შემთხვევაში, მომსახურეობა ფასდება დარიცხული ზღვრის გამოყენებით, შეძენილი ვიზიტორის მიერ. იგი შედის შემომყვან, გამყვან და შიდა ტურისტულ დანახარჯებში, ტურისტული სააგენტოს, ვიზიტორის რეზიდენტობის ქვეყნის და ვიზიტორის შესაბამისად. |

- ძვირფასეულობის და გრძელვადიანი მოხმარების ნივთების შესყიდვა შედის შემომყვან/გამყვან ტურისტულ დანახარჯებში (მიუხედავად მათი საცალო ღირებულებისა), ხოლო "მოგზაურობის" კომპონენტი საგადამხდელო ბალანსში მოიცავს მხოლოდ იმ შესყიდვებს, რომლის ღირებულება არის საბაჟო ლიმიტის ქვემოთ საერთაშორისო რეკომენდაცია 2008 იძლევა რეკომენდაციას შემოწმების ხელშეწყობის მიზნით ცალკე მოხდეს ასეთი შესყიდვების იდენტიფიცირება (იხილეთ პარაგრაფი 4.36 (თ));•
- საერთაშორისო ტრანსპორტირების დანახარჯი, როცა ტრანზაქცია ხდება რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის, წარმოადგენს საერთაშორისო ტურისტულიდანახარჯისნაწილს,მაგრამარშედის"მოგზაურობის"კომპონენტში. ის შედის საგადამხდელო ბალანსის "მგზავრთა მომსახურების"კომპონენტში. თუმცა, ამ კატეგორიის საერთო ღირებულება არ წარმოადგენს შემომყვანი და გამყვანი ვიზიტორების დანახარჯებს.

ჩანართი 8.2 აჩვენებს შემდეგს:

(ა) საგადამხდელო ბალანსის "მგზავრების მომსახურების" კომპონენტი, ასევე, შეიცავს მგზავრების მომსახურეობებს გაწეულს მოგზაურებისთვის, რომლებიც ვიზიტორები არ არიან;

(ბ) "მგზავრების მომსახურებაში", აგრეთვე, შედის გადამზიდავის ქვეყნის ფარგლებს გარეთ, დანიშნულების ორ ადგილს შორის გაწეული მომსახურებებიც. მოგზაურები, რომელთა ტრანსპორტირებაც ხდება ამ პირობით, გადამზიდავის რეზიდენტ ქვეყანაში საერთაშორისო ვიზიტორებიც რომ იყვნენ (მათი რეზიდენტობის ქვეყნის პოზიციიდან), თუ ისინი არ მოგზაურობენ ამ ქვეყნის მიმართულებით, ამ ქვეყნიდან გარეთ ან მის ფარგლებში, არ ჩაითვლებიან ვიზიტორებად და მათი მოხმარება არ იქნება შემომყვანი ტურისტული დანახარჯის ნაწილი; თუმცა, მათი წარმოშობის ქვეყნისათვის ისინი გამყვანი ვიზიტორები არიან და მათი მოხმარება, რომელიც დაკავშირებულია რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის ტრანზაქციასთან, არის გამყვანი ტურისტული დანახარჯის ნაწილი;

(გ) ეს "მოგზაურთა მომსახურეობები", აგრეთვე, მოიცავენ მომსახურე-ობებს, რომლებსაც არარეზიდენტი გადამზიდავები უწევენ რეზიდენტებს ქვეყნის ფარგლებში. ეს არის ტრანზაქცია რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის და შედის მითითებული ქვეყნის გამყვან ტურისტულ დანახარჯებში (იხილეთ პარაგრაფი 4.17). გადამზიდის რეზიდენტობის ქვეყნისათვის ეს ტრანზაქცია არ არის ტურისტული დანახარჯების ნაწილი იმიტომ, რომ მოგზაური არ არის ვიზიტორი ამ ქვეყნის მიმართულებით, ამ ქვეყნიდან ან ამ ქვეყნის ფარგლებში (იხილეთ (ბ) ზემოთ).

8.17. დამატებითი საკითხები ეხება იმას, თუ რა მეთოდით არის ტურისტული სააგენტოების, სხვა დასაჯავშნი სერვისების და ტუროპერატორების შუამავლობა ჩაწერილი ორივე სისტემაში.

8.18. ჩანართი 8.2 აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მგზავრთა მომსახურება უნდა მოიცავდეს "გადამზიდველების მიერ ტურისტული სააგენტოებისთვის და დაჯავშნის მომსახურეობის სხვა პროვაიდერებისთვის გადასახადს" და რომ მგზავრთა მომსახურეობა უნდა "მოიცავდეს გადასახადს, რომელიც ტურისტული პაკეტების ნაწილია".

8.19. ზემოთ მოცემული ცხრილი (ცხრილი 8.1) გვიჩვენებს ურთიერთდამო-კიდებულებას საგადამხდელო ბალანსის კომპონენტებს ("მოგზაურობის" და "მგზავრების მომსახურეობის") და ტურიზმის სტატისტიკას შორის. იგი აცალკევებს ინდვიდების ოდენობას დანახარჯების ოდენობისგან.

8.20. როგორც პირველ კლასიფიკაციას, საგადამხდელო ბალანსი ქვეყნე-ბის მხრიდან მოითხოვს "მოგზაურობის" კომპონენტის წარდგენას ცალკე ბიზნესისა და ცალკე პირადი მიზნებისათვის. ბიზნეს მოგზაურობაში შედის ის საქონელი და მომსახურება, რომელსაც იძენს ინდივიდი ყველა სახის ბიზნეს აქტივობისას. პირადი მოგზაურობა მოიცავს საქონელსა და მომსახურებას, რომლებსაც შეიძენენ ინდივიდები საზღვარგარეთ გამგზავრების ნებისმიერი მიზნით, გარდა ბიზნესისა. მათ შორისაა დასვენება, მონაწილეობა გასართობ და კულტურულ



ღონისძიებებში, მეგობრების და ნათესავების მონახულება და ურთიერთობები, მომლოცველთა მსვლელობა, განათლებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზნები.

ჩანართი 8.2
მგზავრთა მომსახურება

10.76. მგზავრთა მომსახურება მოიცავს ადამიანების ტრანსპორტს. მასში შედის არარეზიდენტების მიერ რეზიდენტი გადამზიდავების (კრედიტი) მიერ საერთაშორისო ტრანსპორტზე გაწეული ყველა მომსახურება და არარეზიდენტი გადამზიდავების (დებეტი) მიერ რეზიდენტებისთვის გაწეული მომსახურეობა. ასევე, შედის არარეზიდენტი გადამზიდების მიერ მგზავრთათვის ტერიტორიის ფარგლებში შესრულებული მომსახურება. სამგზავრო ტრანსპორტის შეფასება უნდა შეიცავდეს გადამზიდველების მიერ ტურისტული სააგენტოებისთვის და სხვა დაჯავშნის მომსახურეობის პროვაიდერებისთვის გადასახდელ გადასახადებს. რეზიდენტების მიერ, ტერიტორიის ფარგლებში, არარეზიდენტებისთვის გაწეული სამგზავრო მომსახურეობა და რეზიდენტების მიერ უზრუნველყოფილი/შეძენილი საერთაშორისო ტრანსპორტისაგან განცალკევებით, არ შედის სამგზავრო ტრანსპორტში; ეს მომსახურეობა შედის მოგზაურობაში.

10.77. მგზავრთა მომსახურებები მოიცავენ მგზავრობის გადასახადებს და მგზავრების გადაზიდვასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს. ისინი, ასევე, მოიცავენ ნებისმიერ გადასახადს, დაკისრებულს სამგზავრო მომსახურებებზე, როგორიცაა გაყიდვების ან დამატებითი ღირებულების გადასახადები. მგზავრთა მომსახურეობები მოიცავს მგზავრობის გადასახადებს, რომლებიც არის ტურისტული პაკეტების ნაწილი. მოგზაურობაში, ასევე, შედის კრუიზებით მგზავრობის გადასახადები. მგზავრთა მომსახურეობები მოიცავს ისეთი საკითხებს, როგორიცაა გადასახადი ზედმეტი ბარგისათვის, სატრანსპორტო საშუალებებისა ან სხვა პირადი თანმხლები საგნებისთვის და საკვებისათვის, სასმელისა და სხვა ნივთებისათვის, რომელთა შეძენა მოხდა გადამზიდავების ბორტზე. მგზავრთა მომსახურებებში, ასევე, შედის სამგზავრო მომსახურება, გაქირავება, ჩარტერები და მგზავრების გადაზიდვისთვის საჭირო გემების, თვითმფრინავების, ავტობუსების სხვა კომერციული ტრანსპორტის დაქირავება, ეკიპაჟთან ერთად. გამონაკლისია, გაქირავება ან ჩარტერები, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსურ იჯარას (სესხების შემადგენელს) და გაქირავებას და „დროებითი ჩარტერებს" ეკიპაჟის გარეშე (შედის ოპერატიული ლიზინგის მომსახურეობებში).

**წყარო:** საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ***საქართველოს საგადასახდელო ბალანსის და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელო,*** მეექვსე გამოცემის პროექტი პუბლიკაციამდე (2008 წლის დეკემბერი).

8.21. მოცემული დახარისხება, ზოგადად, შეესაბამება, ტურისტული მოგზაურობების (იხილეთ პარაგრაფები 3.14 და 3.17) კლასიფიკაციისთვის გამოყენებულ "პირად" და "საქმიან/პროფესიულ" მიზნებს, თუმცა განსხვავებები საგადამხდელო ბალანსსა და ტურიზმის სტატისტიკას შორის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

- საგადამხდელო ბალანსში, "ბიზნესის" ქვეშ შესული დანახარჯები მოიცავს საქმიანი ან პროფესიული მიზნით, ტურისტული მოგზაურობის დროს გაწეულ დანახარჯებს, ისევე, როგორც სეზონური, საზღვრის და სხვა მოკლევადიანი მუშაკებისა და ეკიპაჟის მიერ მოგზაურობისას გაწეულ დანახარჯებს; ეს არეალი უფრო ფართოა, ვიდრე ტურიზმის სტატისტიკა, რომელიც მოიცავს მხოლოდ მივლინებაში მყოფი ვიზიტორების დანახარჯებს;
- დანახარჯები, რომლებიც საგადასახდელო ბალანსში შედის "პირადის" ქვეშ, მოიცავს გრძელვადიანი სტუდენტების,პაციენტების და სხვების მიერ ძირითადი პირადი მიზნით ტურისტული ვიზიტების დროს, გაკეთებულ დანახარჯებს.
- საგადამხდელო ბალანსში, "მოგზაურობაში" შესული დანახარჯების არეალი, როგორც "ბიზნესისთვის" ისე "პირადი მიზნებისთვის" და შემომყვანი/გამყვანი ტურისტული დანახარჯები ტურიზმის სტატისტიკაში სხვადასხვაა (იხილეთ პარაგრაფები 8.15 და 8.16 და ცხრილი 8.1) .

8.22. როგორც მეორადი დახარისხება და ასევე სხვადასხვა კონცეპტუალური ჩარჩოების მიდგომებს შორის არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, საგადამხდელო ბალანსის სახელმძღვანელოს მეექვსე გამოცემა რეკომენდაციას იძლევა, “მოგზაურობის” კომპონენტი დაიყოს შემდეგნაირად: საქონელი, ადგილობრივი ტრანსპორტი, დაბინავება, კვების საწარმოება და სხვა სახის მომსახურება. ასეთი დაყოფა საკმაოდ კარგად მოერგება ტურიზმის დანახარჯებისთვის (იხილეთ პარაგრაფი 4.26) რეკომენდირებულ მიზნობრივ კლასიფიკაციას და უფრო შესაბამისს გახდის მას ტურიზმის სატელიტურ ანგარიშებთან, ისევე როგორც მიწოდების და მოხმარების ცხრილებთან (იხილეთ პარაგრაფი 8.6).

8.23. საგადამხდელო ბალანსში მოგზაურობის კომპონენტი, რომელსაც თან ახლავს საერთაშორისო მგზავრთა მომსახურება, ფართოდ გამოიყენება, როგორც პირველი მიახლოებითი მნიშვნელობა ტურიზმის ჯამური დანახარჯებისა. მიუხედავად ამისა, განსხვავებები პირებსა და მათი დანახარჯების მოცულობას შორის შეიძლება იყოს შედარებით მნიშვნელოვანი ზოგიერთ ქვეყანაში, როდესაც არავიზიტორთა ნაკადები მოგზაურებს შორის მნიშვნელოვანია ან როდესაც საერთაშორისო მგზავრთა გადამზიდები ძირითადად მოძრაობენ უცხო ქვეყნებს შორის.

8.24. **რეკომენდირებულია,** რომ ტურიზმის სტატისტიკამ დაუშვას ტურიზმთან დაკავშირებული დანახარჯების იდენტიფიკაცია “მოგზაურობასა” და “საერთაშორისო მგზავრთა ტრანსპორტში”, როგორც დამხმარე ელემენტი საგადასახდელო ბალანსის სტანდარტული კომპონენტებისათვის. ეს არის ასევე რეკომენდაცია, რომელიც ცალსახად აღინიშნება საგადამხდელო ბალანსის შედგენაში (იხილეთ ჩანართი 8.1).

8.25. საერთაშორისო ორგანიზაციებმა აღიარეს საერთაშორისო მასშტაბით ქვეყნების კოორდინირებულად მუშაობის მნიშვნელოვნება, რათა ხელი შეეწყოს ერთობლივი დაკვირვების პროცედურებს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას, როგორც საგადასახადო ბალანსის, ისე ტურიზმის სტატისტიკის შესახებ. ეს თანამშრომლობა უნდა იყოს მათში მიმართულების (იხილეთ მე-9 თავის „დ“ ნაწილი: “უწყებათაშორისი თანამშრომლობა”) მსგავსების და განსხვავებების უკეთესად გაგების საფუძველი.

## გ. ტურიზმის შეფასება ადგილობრივ დონეზე

8.26. რეგიონული ტურიზმის ხელმძღვანელები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან რეგიონალური სტასტიკით და შესაძლოა, ტურიზმის სატელიტური ანგარიშების გარკვეული ფორმით რეგიონულ დონეზე, როგორც ტურისტული საწარმოებისთვის და ორგანიზაციებისთვის საჭირო მაჩვენებლებით უზრუნველყოფის საშუალებით. ამით შესაძლებელია ბიზნეს შესაძლებლობების განსაზღვრა, ტურისტული ბიზნესის მოცულობის და ინტენსივობის შეფასება და იმის განსაზღვრა რამდენად მჭიდრო კავშირია კერძო და საჯარო რეგიონალურ ტურისტულ ქსელებსა და წრეებს შორის.

8.27. ეს ინტერესი გამომდინარეობს ტურიზმის კონკრეტული თავისებურებებიდან ქვეყნის რეგიონების მასშტაბით, ასევე რეგიონული ტურიზმის ხელმძღვანელების სხვადასხვა საჭიროებებიდან, მათ შორისაა შემდეგი:

(ა) რეგიონების, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილების, კონკრეტული თავისებურებების მნიშვნელოვნების ხაზგასმის ან გამოკვეთის აუცილებლობა;

(ბ) ის ფაქტი, რომ რეგიონში ჩასვლის მსურველი ვიზიტორების მახასიათებლები და ხარჯვის მაჩვენებლები შეიძლება საგრძნობლად ცვალებადი იყოს რეგიონების მიხედვით;

(გ) საჭიროება ისეთი პოლიტიკის შემუშავების, რომელიც მოიზიდავს ვიზიტორებს (ისეთი მოთხოვნების კატეგორია, რომელიც საჭიროებს შესრულებას) და ინვესტიციებს (ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც უნდა მოეწყოს) და მისადაგებული იქნება რეგიონულ მიზნებს;

(დ) საჭიროება ტურიზმთან ასოცირებული პროდუქციის კლასიფიკაციების და ტურიზმის ინდუსტრიების დაკავშირების. რელევანტურობის შემთხვევაში მეტი დეტალიზაციის დამატება და ამავდროულად, კლასიფიკაციის საერთო სტრუქტურის შენარჩუნება;

(ე) საჭიროება იმისა, რომ მოხდეს ტურიზმის შედარება ვიზიტორების რაოდენობის,



მახასიათებლების და დანახარჯების მიხედვით რეგიონებში, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე,;

8.28. მიუხედავად ამისა, არსებობს გარკვეული სტატისტიკური შეზღუდვები რეგიონალური მონაცემების წარმოების მხრივ, განსაკუთრებით, ტურიზმის სტატისტიკისათვის ეროვნული შეგროვების კრიტერიუმის არარსებობის პირობებში: ადგილობრივ დონეზე ჩატარებული კვლევის ფარგლების განსაზღვრა ტურიზმის შერჩევითი კვლევებისათვის განსაკუთრებით რთულია შესაბამის ადმინისტრაციულ საზღვრებზე კონტროლის სიმცირის გამო. გარდა ამისა, ტურიზმის რეგიონული შეფასება შეიძლება არ იყოს თავსებადი სხვა რეგიონების შეფასებასთან, ამიტომ ტურიზმის შეფასების სანდოობას საფრთხე ექმნება, როგორც რეგიონებისთვის, ისე მთელი ქვეყნისათვის.

8.29. აქედან გამომდინარე, თავდაპირველად **რეკომენდირებულია**, ეროვნული სტატისტიკის ოფისებმა, ტურიზმის ხელმძღვანელებმა და/ან სხვა ორგანიზაციებმა, ვინც პირდაპირ პასუხისმგებლები არიან ტურიზმის სტატისტიკაზე, ხელი შეუწყონ ეროვნული ინსტრუმენტების გამოყენებას ტურიზმის მონაცემთა შეგროვებაში, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, საერთო განმარტებების ნაკრების მეშვეობით, რომელიც ეფუძნება მოცემულ საერთაშორისო რეკომენდაციებს და საშუალებას აძლევს ეროვნული ტურიზმის სტატისტიკას „აიგოს“ რეგიონალური და ადგილობრივი დონის მონაცემებით.

8.30. ხშირად, ქვეყნის შიგნით, განსხვავებულია მოსახლეობის სიმჭიდროვე, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, კულტურული ქცევები, ადმინისტრაციული საზღვრების სიახლოვე და ა.შ., აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გადაიხედოს და განხილულ იქნას ჩვეული გარემოს ოპერატიული განმარტება რეგიონულ და ეროვნულ უწყებებს შორის. რეკომენდირებულია კონსენსუსის მიღწევა გავრცელებულ განმარტებაზე, რომელიც აკმაყოფილებს წინა რეკომენდაციებს (იხილეთ პარაგრაფები 2.50 და 2.54) და ითვალისწინებს ამ რეგიონალურ განსხვავებებს.

8.31. თუ ეს პირველი მიდგომა არ არის მიზანშეწონილი ან არ ითვლება სრულად დამაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით, იმ რეგიონებში, სადაც ტურიზმი განსაკუთრებით აქტუალურია, რეგიონალური ტურიზმის ხელმძღვანელობამ შეიძლება მოისურვოს ეროვნული მონაცემების შევსება სხვა მონაცემებით, რათა შეიმუშავონ პოლიტიკა და ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ანალიზს, რომელიც მორგებულია კონკრეტულ რეგიონზე. ამ შემთხვევაში **რეკომენდირებულია**, რომ ეს ახალი მონაცემები იცავდეს საერთაშორისო და ეროვნულ სტატისტიკურ სტანდარტებს და რეკომენდაციებს.

8.32. ტურიზმის სტატისტიკის ადგილობრივ დონეზე განვითარებისას მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებელი იყოს რეგიონის შიგნით ჩვეული რეზიდენტობის ადგილის მქონე ვიზიტორების განცალკევება იმ ვიზიტორებისგან, ვინც სხვა რეგიონებიდან ან სხვა ქვეყნებიდან არიან. ამიტომ **რეკომენდირებულია**, განისაზღვროს ვიზიტორთა სამი კატეგორია: სხვა ქვეყნების რეზიდენტები (მთელს ქვეყანაში შემომყვანი ვიზიტორები), რეზიდენტები ქვეყნის ტერიტორიის სხვა ნაწილიდან და ამ რეგიონის რეზიდენტები.

## დ. ტურიზმი და მდგრადობა

8.33. ტურიზმისა და მდგრადობის საკითხის მნიშვნელოვნება იზრდება და ტურიზმის ნებისმიერი საზომი და მისი გავლენა ეკონომიკაზე უნდა ითვალისწინებდეს სოციალურ, ეკონომიკურ და გარემო ფაქტორების ზემოქმედებას. ამ უკანასკნელ კომპონენტთან კავშირი უნდა იყოს განსაკუთრებით პრიორიტეტული.

8.34. ზოგიერთ ვიზიტორს, უფრო მეტად, იზიდავს ბუნება ხელუხლებელი ფორმით (მთები, პლაჟები, ტროპიკული ტყეები, უდაბნოები, და ა.შ.), ზოგს კი - ადამიანების მიერ გარდაქმნილი (პეიზაჟები, კულტურული მემკვიდრეობა, და ა.შ.).

8.35. მაგრამ ტურიზმი, ასევე, იწვევს გარემოს შეუქცევად დაზიანებას, ახდენს რა ზეწოლას მყიფე ეკოსისტემებზე, კურორტების ან გზების მშენებლობით, რომლებიც ანადგურებენ ბუნებრივ ძეგლებს და მემკვიდრეობას, მოქმედებენ ნიადაგზე, წყალზე და ჰაერზე. მრავალფეროვანი პროცესები იწვევს სხვადასხვა სახის დაბინძურებას, ნარჩენების გამოყოფას, ეროზიას, ტყეების გაჩეხვას და ა.შ.

8.36. ამ ზიანმა შეიძლება, აგრეთვე, იმოქმედოს ახალი ტურიზმის განვითარების მიზანშეწონილობაზე მოცემულ ადგილებში ან ტურიზმის მიმდინარე ინვესტიციების მომგებიანობაზე და შესაბამისად, გავლენა მოახდინოს სამუშაო ადგილების შექმნაზე და დასაქმებაზე.

8.37. ბოლო 10 წლის განმავლობაში, მზარდმა ცნობადობამ ტურიზმის გარკვეული პრაქტიკის უარყოფით შედეგებზე, მდგრადი განვითარების პრინციპების ზოგად აღიარებასთან ერთად, გამოიწვია მსოფლიო თანამეგობრობის მიერ ტურისტული აქტივობების გადაფასება, გრძელვადიანი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობის ფონზე.

8.38. ბოლო წლების განმავლობაში, ტურიზმის ეკონომიკური წვლილის შეფასების მიღმა, ტურიზმის სატელიტური ანგარიშების გაერთიანების თვალსაზრისით და სხვა დამატებითი და/ან ალტერნატიული მოდელირების ჩატარებით, იმატა ინიციატივებმა ადგილობრივ დონეზე, რათა შემუშავებულიყო ტურიზმის განვითარების ეკოლოგიური შედეგების ანალიზის, მონიტორინგის და შეფასების მაჩვენებლები კონკრეტულ სფეროებში.

8.39. ორივე მიდგომას (მაკრო-ბუღალტერია და მაჩვენებლები) აქვს თავისი შესაძლებლობები და გამოწვევები, რათა სხვადასხვა ტერიტორიულ დონეზე შეფასდეს კავშირები ტურიზმსა და ეკოლოგიურ გარემოს შორის და ამგვარად ის რეკომენდირებულია, როგორც მთავარი პრიორიტეტი ტურიზმის მდგრადობის საკითხებს შორის.

8.40. როგორც ტურიზმის სატელიტური ანგარიშის, ისე ეკოლოგიური და ეკონომიკური ანგარიშების (SEEA) სისტემის არსებობა საშუალებას აძლევს ქვეყანას, სადაც ორივე საერთაშორისო რეკომენდაცია მუშავდება, დაადგინოს კავშირები ტურიზმსა და ეკოლოგიურ გარემოს შორის ეროვნული ეკონომიკის დონეზე. ეს შეიძლება გაკეთდეს ორი გზით:

(ა) ტურიზმის, როგორც კონკრეტული ინდუსტრიების და მომხმარებელთა გამაერთიანებლის შეყვანით ეკოლოგიური ანგარიშების ჰიბრიდული ანგარიშების ნაკადის ფარგლებში;

(ბ) ტურიზმის მშპ-ს (GDP) "გამწვანებით", რომელიც გამომდინარეობს ტურიზმის სატელიტური ანგარიშებიდან, ტურიზმის მიერ გარემოს დეგრადაციის ღირებულების და ბუნებრივი კაპიტალის გამოყენების გათვალისწინებით; დეგრადაციის თავიდან ასაცილებელი დანახარჯებიც შეიძლება, ასევე, იყოს მიღებული მხედველობაში შემდგომი კორექტირების მიზნით.

8.41. ეროვნულ დონეზე მაკრო მიდგომის არსი მდგომარეობს უფრო დაწვრილებითი დანახარჯები/გამოშვების ცხრილის შემოღებაში, სადაც არა მარტო "ჩვეული" დანახარჯები ითვლება, ასევე ითვლება რაოდენობით ასახული ეკოლოგიური ხარჯები, ხოლო გამოშვება მოიცავს ნარჩენებს, სასათბურე აირებს და სხვა ეკოლოგიურად მნიშვნელოვან პროდუქტებს. ძირითადი კაპიტალის მოხმარება, ასევე, უნდა მოიცავდეს გარემოს აქტივების დეგრადაციის შეფასებას. ვინაიდან, ტურიზმის სატელიტური ანგარიშების არსი არისტურიზმის ინდუსტრიებისა და ტურიზმის მოხმარების წარდგენა მიწოდებისა და გამოყენების ჩარჩოში. იგი შეიძლება მოვარგოთ ამ ტიპის ანალიზს, იმ პირობით, რომ, ორივე - ტურიზმის სატელიტური ანგარიშიც



და ეკოლოგიური ანგარიშებიც შედგენილი იქნება შესაბამისი დეტალების ჩვენებით, რათა დაუშვას გარკვეული სახის ორმხრივი ინტეგრაცია. მიუხედავად ამისა, კონცეფტუალურ საკითხებს თუ გვერდზე გადავდებთ, არსებობს მზარდი მტკიცებულება იმისა, რომ თითოეული სახის ანგარიშის შექმნა არც ისე მარტივად განხორციელებადია.

8.42. მეორე მიდგომა უფრო ემპირიულია და შესაძლოა, უფრო მიმზიდველი იყოს ქვეყნებისათვის, რომლებშიც არსებული ტურისტული რეგიონები და დანიშნულების ადგილები დაინტერესებულნი იქნებიან კონკრეტული და გეოგრაფიაზე ორიენტირებული მიზნების და პოლიტიკის დასახვით, უფრო ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, რომელთანაც შეიძლება ყველა დაინტერესებულ მხარის, მათ შორის, ვიზიტორების დაკავშირება.

8.43. ამ შემთხვევაში, აქცენტი გაკეთდება რიგი მაჩვენებლების შექმნაზე, რათა ხაზი გაესვას ურთიერთქმედებას ტურიზმსა და გარემოს დაცვის საკითხებს შორის, რის შედეგადაც შეიძლება გამოიკვეთოს მოვლენა ან ცვლილება, რომელიც მოითხოვს შემდგომ ანალიზს და შესაძლო ქმედებას. ისევე, როგორც სხვა მაჩვენებლები, ეს მაჩვენებლები მხოლოდ შეფასების ინსტრუმენტებია და გაგებული უნდა იყოს კონტექსტში სრული მნიშვნელობით. შესაძლოა შეივსოს სხვა თვისობრივი და სამეცნიერო ინფორმაციით, რომელიც ახსნის მაჩვენებლების ცვლილებების მამოძრავებელ ძალას, რაც არის შეფასების საფუძველი.

8.44. ეს მაჩვენებლები შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დაგეგმვისა და მართვის გასაუმჯობესებლი მთავარი ინსტრუმენტი, რომელიც მენეჯერებს საჭირო ინფორმაციას აწვდის მოთხოვნისთანავე, და იმ ფორმით, რომელიც საშუალებას მისცემს მათ უკეთესი გადაწყვეტილებები მიიღონ.

8.45. **რეკომენდირებულია**, რომ ტურიზმსა და მდგრადობას შორის კავშირი განიხილებოდეს პრიორიტეტად.

# თავი 9

# დამატებითი თემები

9.1. ამ თავის მიზანია იმ საკითხების განხილვა, რომელიც არ იყო შეტანილი ან საკმარისად არ იყო განხილული 1993 წლის რეკომენდაციებში, მაგრამ მათი მნიშვნელოვნება უფრო აშკარა გახდა ტურიზმის სტატისტიკის შემდგომი გაუმჯობესებისა და სხვა ოფიციალურ სტატისტიკასთან ჰარმონიზაციის საჭიროების თვალსაზრისით. ეს საკითხები მოიცავს ტურიზმის სტატისტიკის ხარისხს, მეტამონაცემებს, გავრცელებას, უწყებათაშორის თანამშრომლობას, პროგრამის განხორციელებას და განახლების პოლიტიკას.

## ა. ხარისხი

9.2. *ხარისხის კონცეფცია.* ტურიზმის სტატისტიკა რთული პროცესის საბო-ლოო პროდუქტია. ეს პროცესი მოიცავს ბევრ ეტაპს, გადაუმუშავებელი მონაცემების შეგროვებიდან და დამუშავებიდან მონაცემების გავრცელებამდე სტანდარტიზებული ფორმატით. ტურიზმის სტატისტიკის ხარისხის საზომი განსაზღვრავს მომხმარებლის სათანადო ინფორმაციით უზრუნველყოფას, რათა გაირკვეს არის თუ არა მონაცემების ხარისხი მათი გამოყენების ადეკვატური და შესაბამისი. მაგალითად, მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ იმის დადასტურება, რომ ძირითადი ინფორმაციის შეგროვების და დამუშავების დროს გამოყენებული კონცეპტუალური ჩარჩოები და განმარტებები ისევე, როგორც შეგროვებისას გამოყენებული მეთოდები და შედეგად მიღებული მონაცემების სიზუსტე აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს.

9.3. *მონაცემთა ხარისხის შეფასების ფარგლები*[15]. საერთაშორისო ორგანიზა-ციების და ქვეყნების უმრავლესობამ მოამზადა ხარისხის განმარტებები, რომლებიც ხაზს უსვავს ხარისხის სხვადასხვა განზომილებებს (ასპექტებს) და მოახდინა მათი ინტეგრაცია ხარისხის შეფასების ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის შეფასების არსებული სხვადასხვა სისტემები, გარკვეულწილად, განსხვავდება მათი მიდგომებით ხარისხის მიმართ, ხარისხის საზომების რაოდენობის, სახელწოდების და ფარგლების თვალსაზრისით (ცნობისთვის, იხილეთ ჩანართი 2.4), ისინი ერთმანეთს ავსებენ და უზრუნველყოფენ სტატისტიკის ფართო სპექტრის ხარისხობრივი შეფასების სრულყოფილ და მოქნილ სტრუქტურებს.

(ა) *საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მონაცემთა ხარისხის შეფასების კრიტერიუმები* იყენებს მონაცემთა ხარისხის ერთიან ხედვას და მოიცავს სტატისტიკური სისტემების, ძირითადი სტატისტიკური პროცესების და სტატისტიკური პროდუქციის მართვას. კრიტერიუმები ორგანიზებულია კასკადური სტრუქტურით, მოიცავს რა ხარისხის ხუთ განზომილებას: მთლიანობის უზრუნველყოფას, მეთოდურ სტაბილურობას, სიზუსტეს და სანდოობას, ექსპლუატაციისა და ხელმისაწვდომობის გარანტიას;

(ბ) *ევროპის სტატისტიკური სისტემა* უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს სტატისტიკურ მასალებზე და განსაზღვრავს ექვს კრიტერიუმს: შესაბამისობას, სიზუსტეს, დროულობას და პუნქტუალურობას, შეერთების ხელმისაწვდომობას და სიცხადეს, შედარებითობას და თანხვედრას;

(გ) *ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD)* ხარისხის გაზომვის საფუძვლები ხარისხს თვლის მრავალმხრივ კონცეფციად. მსგავსად ევროკავშირის სტატისტიკის სააგენტოს (Eurostat) მიდგომისა, ხარისხის მახასიათებლები დამოკიდებულია მომხმარებლის პერსპექტივაზე, საჭიროებებზე და პრიორიტეტებზე, რომელიც განსხვავდება მომხმარებლების ჯგუფების მიხედვით. განიხილება ხარისხის შვიდი განზომილება: შესაბამისობა, სიზუსტე, სანდოობა, დროულობა, ხელმისაწვდო-მობა, ინტერპრეტირება და თანხვედრა.

[15] საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა შეფასების ფარგლები org/Applications/web/ dqrs/ dqrsdqaf/; ევროკავშირის სტატისტიკის სააგენტო (Eu-rostat), "ხარისხის შეფასება სტატისტიკაში," (ლუქსემბურგი, 2003 წლის ოქტომბერი); ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) „ხარისხის გაზომვის ფარგლები", პარიზი, 2002 წლის ივნისი; გაერთიანებული სამეფოს ეროვნული სტატისტიკის ოფისი, სტატისტიკური ხარისხის გაზომვის გზამკვლევი; კანადის სტატისტიკა, ხარისხის გარანტიის ფარგლები; ფინეთის სტატისტიკა, ხარისხის გზამკვლევი ოფიციალური სტატისტიკისათვის და სხვ. ლუსი ლალიბერტე (საერთაშორისო სავალუტო ფონდი IMF), ვერნერ გრუნევალდი და ლორენტ პრობსტი (ევროკავშირის სტატისტიკის სააგენტო (Eu-rostat)), მონაცემთა ხარისხი: საერთაშორისო სავალუტო ფონდის IMF მონაცემთა ხარისხის შეფასების საფუძვლების (DQAF) შედარება ევროკავშირის სტატისტიკის სააგენტოს (Eurostat) ხარისხის განმარტებასთან (2004 იანვარი).



9.4. ხარისხის შეფასების ამ სამი კრიტერიუმის საერთო მიზანია ქვეყნების მასშტაბით სტატისტიკური ხარისხის საზომის და ანგარიშგების სტანდარტების განსაზღვრა და სისტემაში მოყვანა,. ისინი საშუალებას იძლევა, ხარისხის გასაზომად ეროვნული პრაქტიკის შეფასება მოხდეს საერთაშორისოდ (ან რეგიონალურად) მიღებულ სტატისტიკურ მიდგომებთან მიმართებით. ხარისხის შეფასების კრიტერიუმები შეიძლება გამოყენებული იყოს მთელ რიგ ასპექტებში, მათ შორისაა: (ა) ქვეყნების მცდელობა, თვითშეფასების ინსტრუმენტების მეშვეობით გააძლიერონ მათი სტატისტიკური სისტემები და განსაზღვრონ გასაუმჯობესებელი სფეროები; (ბ) ტექნიკური დახმარება; (გ)საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შესრულებული კონკრეტული სტატისტიკური სფეროების განხილვა და (დ)მონაცემთა მომხმარებელი სხვა ჯგუფების შეფასება.

9.5. *ხარისხის და ხარისხობრივი მაჩვენებლების განზომილებები.* ტურიზმის სტატისტიკაზე პასუხისმგებელ უწყებებს შეუძლიათ ხარისხის შეფასების ერთ-ერთი ჩარჩოს შემოღება გადაწყვიტონ ნებისმიერი ტიპის სტატისტიკით, მათ შორის, ტურიზმის სტატისტიკით, ან დააწესონ საკუთარი ეროვნული ხარისხის შეფასების ჩარჩო, რომელიც შეესაბამება მათი ქვეყნის პრაქტიკას და გარემოებებს. ხარისხი არის მრავალგანზომილებიანი მაჩვენებელი. თითოეული განზომილება ასახავს სტატისტიკური შედეგების მახასიათებლების კონკრეტულ ასპექტს და უნდა განისაზღვროს პირდაპირ (მაგალითად, დროის გარკვეული შუალედი მითითებული თარიღიდან ტურიზმის კონკრეტულ სტატისტიკის გამოშვებამდე არის ხარისხის პირდაპირი საზომი) ან ხარისხის მაჩვენებლის საშუალებით (უნდა მომზადდეს 2008 წლის საერთაშორისო რეკომენდაციების კრებულში), რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ხარისხის ჩვენებას. მიზანშეწონილია, ხარისხის (მათ შორის, ხარისხის წინაპირობების) შემდეგი განზომილებების მიიღება ტურიზმის სტატისტიკაში:

(ა) *ხარისხის წინაპირობები.* ხარისხის წინაპირობები ეხება ყველა ინსტიტუციურ და ორგანიზაციულ პირობას, რომელსაც გავლენა აქვს ტურიზმის სტატისტიკის ხარისხზე. ამ განზომილების შემადგენელი ელემენტები მოიცავს სამართლებრივ საფუძველს მონაცემთა შესადგენად; მონაცემების გაზიარების და კოორდინაციის ადეკვატურობასმონაცემებისმწარმოებელუწყებებსშორის; კონფიდენციალურობის გარანტიას; ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსების შესაბამისობას ტურიზმის სტატისტიკის პროგრამების და ღონისძიებების განსახორციელებლად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ასეთი პროგრამების ეკონომიკური ეფექტურობა; და ხარისხის ცნობიერების ამაღლება;

(ბ) *შესაბამისობა.* ტურიზმის სტატისტიკის შესაბამისობა ასახავს ტურიზმის სტატისტიკის მიერ მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილების დონეს. სტატისტიკის შემდგენი პირებისთვის გამოწვევას წარმოადგენს მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების ამოცნობა, არსებული და პოტენციური მომხმარებლების განსხვავებული მოთხოვნების აწონ-დაწონვა და დაბალანსება და ისეთი პროგრამის შექმნა, რომელიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს ყველაზე მეტად მნიშვნელოვან მოთხოვნებს, მოცემული რესურსების შეზღუდვების ფარგლებში. შესაბამისობა არის მაჩვენებელი მნიშვნელოვანი ხარვეზების არარსებობისა მომხმარებელთა მთავარი საჭიროებებისა და ცვლადების, დაფარვისა და დეტალების თვალსაზრისით შედგენილ ტურიზმის სტატისტიკას შორის;

(გ) *სანდოობა.* ტურიზმის სტატისტიკის სანდოობა ეხება მომხმარებლების რწმენას, რომელიც ეფუძნება მონაცემების წარმოებასა და გავრცელებაზე პასუხისმგებელი სააგენტოების მიერ განთავსებული მონაცემების იმიჯს.
ტურიზმის სტატისტიკა უნდა იქნას აღქმული, როგორც პროფესიონალურად, შესაბამისი სტატისტიკური სტანდარტების მიხედვით და მონაცემთა გამჭვირვალედ შეგროვების და გავრცელების პოლიტიკის და პრაქტიკის გამოყენებით შექმნილი. სანდოობის მაჩვენებლებმა უნდა ცხადყოს, რომ ტურიზმის სტატისტიკის პროდუქტი გაყალბებული არ არის და რომ მათი გამოქვეყნება პოლიტიკური ზეწოლის შედეგი არ არის;

(დ) *სიზუსტე.* ტურიზმის სტატისტიკის სიზუსტე არის მონაცემების მიერ იმ რაოდენობის და მახასიათებლების აღწერის სიზუსტის ხარისხი, რომლის გასაზომად არის შექმნილი მოცემული მონაცემები. მას გააჩნია მრავალი ატრიბუტი. პრაქტიკაში არ არსებობს სიზუსტის ერთიანი საზომი. ზოგადად, სიზუსტით შეიძლება ხასიათდებოდეს შეცდომების სტატისტიკური შეფასებები და ტრადიციულად შეიძლება დაიყოს შეფასების სისტემატიურ შეცდომად და დისპერსიულ (შემთხვევითი შეცდომა) კომპონენტებად. იმ შემთხვევაში, თუ ტურიზმის სტატისტიკა ეფუძნება შერჩევით კვლევებს, სიზუსტე შეიძლება შეფასდეს ისეთი მაჩვენებლების გამოყენებით, როგორიცაა დაფარვის სისრულე და შერჩევის შეცდომები, უპასუხობის შეცდომები, გამოხმაურების შეცდომები, დამუშავების შეცდომები და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ სიზუსტე და მისი გაზომვა, ასევე, გამოიყენება ადმინისტრაციულ პროცედურებზე დაფუძნებული სტატისტიკისთვის, რომლებიც საკმაოდ ვრცელია ტურიზმის შემთხვევაში (სასაზღვრო და მოძრაობის კონტროლი, დასაქმების და სოციალური დაცვის სააგენტოს ჩანაწერები და ა.შ.). ზოგადად, სიზუსტე, შეიძლება შეფასდეს მინიშნებით გამოყენებაზე, საიმედოობაზე და სისწორეზე მითითებით, რაც ქვემოთ მოკლედ არის აღწერილი. გამოყენება ნიშნავს იმას თუ რამდენად ეხება მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტი, ან კონცეფცია იმას, რისი გაზომვაც არის გამიზნული. სხვა სიტყვებით, ცვლადი ან მაჩვენებელი გამოყენებადია, თუ კი სავარაუდო მნიშნელობები ახლოს არიან ჭეშმარიტთას. გამოყენებაზე გავლენას ახდენს მონაცემებში არსებული პოტენციურად მცდარი წყაროები, რომლებიც თანმიმდევრულად აკლებს ან აჭარბებს ნამდვილ მნიშვნელობებს. ეს შეიძლება იყოს განსაკუთრებით პრობლემატური, როდესაც უბრალო ცვლადი განკუთვნილია უფრო რთული მოვლენის წარმოსადგენად. მონაცემთა საიმედოობა ეხება იმას, თუ რამდენად თანმიმდევრულ შედეგებს მოგვცემს მონაცემთა ინსტრუმენტი თუ წყარო იდენტურ გარემოებებში, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყენებს მას. საიმედოობა, როგორც წესი, არ არის პრობლემა მონაცემთა კომპეტენტურად შექმნილ, ფართომასშტაბიან რაოდენობრივ წყაროებში, როგორიცაა საზღვრის გადამკვეთი სტატისტიკის შეგროვება. თუმცა, ეს შეიძლება იყოს კვლევების საკითხი მცირე ნიმუშების საფუძველზე, ან ხარისხობრივი მონაცემთა წყაროები, რომლებიც შეიძლება გაუმკლავდეს მგრძნობიარე საკითხებს. სისწორე ეხება მონაცემთა ინფორმირების ასპექტს, ან სტატისტიკას ან მაჩვენებლებს, რომლებიც გამომდინარეობს საწყისი მონაცემებიდან და თავისთავად, არ წარმოადგენს საწყისი მონაცემების თანდაყოლილ თვისებას. მონაცემთა შედეგები შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს მაღალი დონის სიზუსტით (მაგალითად, ანგარიშგების პროცენტულობა, სიხშირის განაწილების პროცენტის პუნქტის მეათასედით), მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ეს არ მიუთითებდეს მონაცემთა სისწორეზე, საიმედოობასა და გამოყენებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა თავის დაცვა ცრუ სისწორისგან, რაც ნიშნავს შედეგების უფრო დეტალურად ჩვენებას, ვიდრე ამას მონაცემები გვიჩვენებს;

(ე) *დროულობა.* ტურიზმის სტატისტიკის დროულობა ეხება დროის სხვაობას მოცემული პერიოდის (რომელსაც მონაცემები ეკუთვნის) ბოლოს და იმ თარიღს შორის, როცა მონაცემები გამოიცა და ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისათვის. დროულობა შეიძლება განისაზღვროს ასეთი დროის ხანგრძლივობით. დროულობა მჭიდროდ არის დაკავშირებული გამოქვეყნების გრაფიკთან. გამოქვეყნების გრაფიკი შეიძლება მოიცავდეს გამოქვეყნების გამიზნული თარიღების კომპლექტს ან ვალდებულებას ტურიზმის მონაცემების გამოქვეყნებისა მათი მიღებიდან დადგენილი პერიოდის განმავლობაში. ეს განზომილება, როგორც წესი, წარმოადგენს სიზუსტის კომპრომისს. ინფორმაციის დროულობა, ასევე, გავლენას ახდენს მის შესაბამისობაზე, რადგან ზუსტ მონაცემებს, რომლებიც დროული არ არის ნაკლები სარგებელი მოაქვთ.

(ვ) *მეთოდოლოგიური საფუძვლიანობა.* მონაცემთა წყაროს მეთოდოლოგიური

[16] საიმედოობის ღონისძიებები ხშირად ტარდება ხელმეორედ ტესტირების პროცესში, ან მონაცემთა ნაკრების გაყოფისას ორ არათანაბარ ნაწილად და ამ ორ ნაწილის საშუალების (ან სხვა აღწერითი სტატისტიკის) შედარებისას. ცუდი საიმედოობა აზიანებს მონაცემთა სიზუსტეს და ეჭვის ქვეშ აყენებს მონაცემთა საწყისი წყაროდან გამომდინარე პროგნოზებს.



საფუძვლიანობა ეხება საერთაშორისო სტანდარტების, გზამკვლევების და სასარგებლო გამოცდილების გამოყენებას ტურიზმის სტატისტიკის წარმოებისას. განსაზღვრებებისდა კონცეფციებისადეკვატურობა,სამიზნემოსახლეობა,ცვლადები და ტერმინოლოგია, რომელიც წარმოადგენს მონაცემების და ინფორმაციის საფუძველს, სადაც აღწერილია მონაცემების შეზღუდვები (თუ ასეთი არსებობს), დიდწილად განსაზღვრავს კონკრეტულ მონაცემთა ნაკრების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხს. ტურიზმის სტატისტიკის თანმხლები მეტამონაცემები გადამწყვეტ როლს თამაშობენ მონაცემთა (დეტალებისთვის იხილეთ ქვემოთ „ბ“ ნაწილში) მეთოდოლოგიური საფუძვლიანობის შეფასებაში. ისინი მომხმარებლებს აწვდიან ინფორმაციას იმაზე, თუ რამდენად ახლოს არის მათ მიერ შეტანილი ცვლადები, მათ მიერ შეფასებისთვის გამოყენებულ სამიზნე ცვლადებთან (მაგალითად,მონაცემთა რომელიმე კომპონენტი). როცა არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება, უნდა განიმარტოს, თუ რამდენად შეიძლება ამან გამოიწვიოს გადახვევა მონაცემთა კომპონენტების შეფასებისას. მეთოდოლოგიური სტაბილურობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მონაცემთა გაგებასთან. გაგება დამოკიდებულია ტურიზმის სტატისტიკის შესახებ ინფორმაციის ყველა ასპექტზე, რომელიც ზემოთ არის აღნიშნული. იგი ასახავს სიმარტივეს, რითაც მომხმარებელს შეუძლია მონაცემების გაგება, სწორად გამოყენება და ანალიზი;

(ზ) *თანხვედრა.* იმის გათვალისწინებით, რომ ტურიზმის სტატისტიკას მრავალი უწყება ადგენს და იგი მოიცავს ტურიზმის სხვადასხვა ასპექტებს, განსაკუთრებით მიწოდებას და მოთხოვნას, ასევე ფულად და არაფულად ცვლადებს, თანხვედრა არის მისი ხარისხის მნიშვნელოვანი განზომილება. თანხვედრა ასახავს თუ რამდენად ლოგიკურად უკავშირდება და ორმხრივად თანმიმდევრულია მონაცემები, რადგან დროთა განმავლობაში შესაძლებელი გახდეს მათი წარმატებით თავმოყრა სხვა სტატისტიკური ინფორმაციასთან ერთად უფრო ფართო ანალიტიკურ ჩარჩოში. სტანდარტული ცნებების, კლასიფიკაციის და მიზნობრივი მოსახლეობის გამოყენება ხელს უწყობს თანხვედრას, ისევე, როგორც კვლევების დროს, საჭიროების შემთხვევაში საერთო მეთოდოლოგიის გამოყენებას. თანხვედრა სულაც არ ნიშნავს სრულ რაოდენობრივ თანმიმდევრულობას. თანხვედრას აქვს ოთხი მნიშვნელოვანი ქვე-განზომილება: (i) თანხვედრა მონაცემებთა ნაკრებში გულისხმობს, რომ ელემენტარული მონაცემების კომპონენტები ეფუძნება თავსებად ცნებებს, განმარტებებს და კლასიფიკაციას და შეიძლება იყოს გააზრებულად კომბინირებული; (ii) თანხვედრა მონაცემთა ნაკრების მასშტაბით გულისხმობს, რომ მონაცემები ეფუძნება საერთო კონცეფციებს, განმარტებებს და კლასიფიკაციებს, ან რომ ნებისმიერი განსხვავება აიხსნება და შეიძლება იყოს დასაშვები; (iii) თანხვედრა დროთა განმავლობაში იმას ნიშნავს, რომ ეს მონაცემები ეფუძ-

ნება საერთო კონცეფციებს, განმარტებებს და მეთოდოლოგიას დროთა განმავლობაში, ან რომ ნებისმიერი განსხვავება განიმარტება და შეიძლება იყოს დასაშვები; და (iv) თანხვედრა ქვეყანების მასშტაბით გულისხმობს, რომ ეს მონაცემები ეფუძნება ქვეყნების საერთო კონცეფციებს, განმარტებებს და მეთოდოლოგიას, ან რომ ნებისმიერი განსხვავება განმარტებული და დაშვებულია;

*ხელმისაწვდომობა.* ხელმისაწვდომობა ეხება ტურიზმის სტატისტიკაში ჩართული უწყებებისგან ტურიზმის სტატისტიკის მიღების სიმარტივეს. იგი მოიცავს სიმარტივეს, რომელიც იძლევა შესაძლებლობას დარწმუნდე ინფორმაციის არსებობაში, ისევე როგორც ინფორმაციის გავრცელების ფორმის ან მედიის შესაბამისობაში.
(თ) ხელმისაწვდომობა მოითხოვს წინასწარი კალენდარული ინფორმაციის არსებობას გამოცემის შესახებ, რათა მომხმარებელი ინფორმირებული იყოს, თუ როდის გახდება მონაცემები ხელმისაწვდომი და როგორ და სად მიიღებს მას. მეტამონაცემების არსებობა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ხელმისაწვდომობას და მომხმარებლების მხარდამჭერ მომსახურეობასთან ერთად, წარმოადგენს ხარისხის განზომილების მაჩვენებელს.

9.6. ხარისხის ზემოთჩამოთვლილი განზომილებები ნაწილობრივ მოიცავენ ერთმანეთს და ურთიერთკავშირში არიან. ნებისმიერი ზემოქმედება ხარისხის ერთ ელემენტზე ან მისი შეცვლა იმოქმედებს სხვა ელემენტებზე. მაგალითად, შეიძლება დავუშვათ კომპრომისი ტურიზმის წლიური ჯამური დანახარჯის ყველაზე ზუსტ შეფასებასა და დროულად ჩაბარებას შორის. მიზანშეწონილია, რომ ქვეყანა წავიდეს ამ კონკრეტულ კომპრომისზე წინასწარი შეფასებების წარდგენით, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოცემული პერიოდის დასრულებისთანავე, მაგრამ ეს შეფასებები შეიქმნება საკმაოდ შეზღუდული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ეს შეფასებები უნდა გადაიხედოს მოგვიანებით, იმ ინფორმაციის მეშვეობით, რომელიც ეფუძნება უფრო ყოვლისმომცველ მონაცემთა კომპლექტს, მაგრამ ისეთი დროული არ არის, როგორც წინასწარი ვერსია.

9.7. აღიარებულია, რომ ხარისხის პირდაპირ საზომის შემოღება რთულია. მაგალითად, სიზუსტის შემთხვევაში, თითქმის შეუძლებელია, გავზომოთ უპასუხობა, როგორც იმ გამოკითხულთა მახასიათებელი, რომელთაც პასუხი არ გაგვცეს, თან ძვირადღირებულიც იქნება. ასეთ შემთხვევაში, პასუხის გაცემის დონე, ხშირად, გამოიყენება როგორც საშუალო ხარისხის მაჩვენებელი, რომელიც წარმოადგენს საზომს შესაძლო უპასუხობისა. ტურიზმის სტატისტიკის ხარისხის მაჩვენებლების განსაზღვრისას მიზანშეწონილია, დაკმაყოფილდეს შემდეგი კრიტერიუმები: (ა) მაჩვენებლებმა მოიცვას ხარისხის განზომილებების ნაწილი ან ყველა განზომილება, როგორც ეს ადრე იყო განსაზღვრული; (ბ)მათი შეგროვების მეთოდოლოგია კარგად იყოს დადგენილი; და (გ) მაჩვენებლები მარტივი გასაგები იყოს.

9.8. იმის გამო, რომ ტურიზმის სტატისტიკის რომელიმე ერთი ხარისხისობრივი განზომილების გამოყოფა შეუძლებელია, ქვეყნებს ურჩევენ ტურიზმის სტატისტიკის ხარისხის კრიტერიუმის ჩამოყალიბებას, რომელიც ეფუძნება ზემოთაღნიშნულ განზომილებებს. ასევე ურჩევენ, რომ რეგულარულად მოხდეს მათი ხარისხის ანგარიშის, როგორც მეტამონაცემების ნაწილის გამოშვებას. ასეთი ანგარიშები უნდა შეიცავდეს ხარისხის მაჩვენებლების სისტემას, რომელიც შეესაბამება კონკრეტული ქვეყნის გარემოებას და საშუალებას მისცემს მომხმარებლებს, თვითონ გააკეთონ დასკვნა, თუ რამდენად აკმაყოფილებს მონაცემთა რომელიმე ნაკრები მათი კონკრეტული ხარისხის მოთხოვნებს. **რეკომენდირებულია**, რომ ტურიზმის სტატისტიკის ხარისხის მიმოხილვა ჩატარდეს ყოველ ოთხ-ხუთ წელიწადში ან უფრო ხშირად, თუ მოხდება მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ცვლილებები ან შეიცვლება მონაცემთა წყაროები.

9.9. მონაცემთა ხარისხის შეფასების კრიტერიუმები ტურიზმის სტატისტიკის თვის. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ (UNWTO), გაეროს სტატისტიკის დეპარტამენტთან თანამშრომლობით, უნდა მოამზადოს მონაცემთა ხარისხის კრიტერიუმები, რომლებიც შეეხება ტურიზმის სტატისტიკას (მონაცემთა ხარისხის შეფასების კრიტერიუმები DQAF-TS), სტატისტიკის სხვა სფეროებში არსებული მსგავსი კრიტერიუმების საფუძველზე და ხელი შეუწყოს მათ გამოყენებას ტურიზმის სტატისტიკის შემგროვებელთა შორის. ქვეყნებს ურჩევენ, მიიღონ ასეთი კრიტერიუმები მათი სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით და მის საფუძველზე შემოიღონ გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ტურიზმის სტატისტიკის ხარისხის გაუმჯობესებას. ამავდროულად, ქვეყნებმა უნდა შეინარჩუნონ სათანადო ბალანსი ხარისხის სხვადასხვა განზომილებებს შორის და პროგრესის მონიტორინგისთვის სასურველია განავითარონ და გამოიყენონ ხარისხის მაჩვენებლების მინიმალური ნაკრები.

## ბ. მეტამონაცემები

9.10. *მეტამონაცემები ტურიზმის სტატისტიკის კონტექსტში.* ტერმინი მეტამონაცემი მიუთითებს ყველა სახის ინფორმაციაზე, რომელიც გამოყენებულია სხვა მონაცემების აღწერისათვის. მეტამონაცემები ასახავენ მონაცემთა არა მარტო ფორმას და შინაარს, არამედ შესაბამის ადმინისტრაციულ ფაქტებს (მაგ. ვინ და როდის შექმნა მონაცემები), როგორ შეგროვდა და დამუშავდა მონაცემები მანამდე, სანამ გავრცელდებოდა ან მოხდებოდა მათი შენახვა მონაცემთა ბაზაში. სათანადო მეტამონაცემების გარეშე სტატისტიკური მონაცემების სრულად გაგება შეუძლებელი იქნება. მეტამონაცემებსა და ხარისხს შორის არსებობს ორმხრივი ურთიერთობა.



ერთის მხრივ, მეტამონაცემები აღწერს სტატისტიკის ხარისხს, მეორეს მხრივ, მეტამონაცემები წარმოადგენენ ხარისხის კომპონენტს, რომელიც აუმჯობესებს სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობას და გაგებას.

9.11. *მეტამონაცემთა მომხმარებლები და გამოყენება*. ნებისმიერ მოცემულ მონაცემთა ნაკრებს ბევრი კატეგორიის მომხმარებელი ჰყავს და გამოყენება აქვს. მომხმარებელთა და გამოყენების ფართო არჩევანი ნიშნავს, რომ მეტამონაცემთა მოთხოვნების უფრო ფართო სპექტრია დასაკმაყოფილებელი. როგორც მინიმალური სეგმენტაცია, **რეკომენდირებულია** მეტამონაცემთა ორი მომდევნო დონე: (ა) სტრუქტურული მეტამონაცემები, წარმოდგენილი, როგორც მონაცემთა ცხრილის განუყოფელი ნაწილი და (ბ)მითითებული მეტამონაცემები, რომლებიც იძლევა დეტალებს მონაცემთა შინაარსსა და ხარისხზე, რაც შეიძლება ახლდეს ცხრილებს ან წარმოდგენილი იყოს ცალკე ინტერნეტის მეშვეობით ან დროდადრო გამოცემულ პუბლიკაციებში.

9.12. *მეტამონაცემები და მონაცემთა საერთაშორისო შედარებითობა.* მეტამონაცემები იძლევა მექანიზმს ეროვნული გამოცდილების შეგროვებულ სტატისტიკასთან შესადარებლად. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს ქვეყნებს, დანერგონ საერთაშორისო სტანდარტები და მიიღონ საუკეთესო გამოცდილებები. სხვადასხვა ქვეყნების მიერ გამოყენებული მიდგომების ჰარმონიზაცია გააუმჯობესებს ძირითადი სტატისტიკური გამოცემების საერთო ხარისხს და მოცულობას.

9.13. ქვეყნებს *ურჩევენ* მაღალი პრიორიტეტი მიანიჭონ მეტამონაცემთა განვითარებას და გამოაქვეყნონ მეტამონაცემები, როგორც ტურიზმის სტატისტიკის გავრცელების განუყოფელი ნაწილი. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციას (UNWTO) აქვს პროექტი იმ მეტამონაცემების მოსამზადებლად, რომელიც წარმოადგენს ტურიზმის სტატისტიკის დოკუმენტურ მხარდაჭერას (იხილეთ ვებ-გვერდზე: www.unwto.org/statistics/ metadata/ metadata.pdf). ქვეყნების მიერ მომზადებული განსხვავებული მეტამონაცემები შეგიძლიათ იხილოთ იგივე ვებ-გვერდზე. ქვეყნებს ხელს უწყობენ, ითანამშრომლონ გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციასთან (UNWTO) ამ პროექტის ფარგლებში და დანერგონ ასეთი რეკომენდაციები თავიანთ სტატისტიკურ პრაქტიკაში.

## გ. გავრცელება

9.14. მონაცემთა გავრცელება ერთ-ერთი მთავარი საქმიანობაა, რომელშიც ჩართულნი არიან ტურიზმის სტატისტიკის შემდგენი პირები. ამ გზით ხდება პოლიტიკოსების, ბიზნეს საზოგადოების და სხვა მომხმარებლების უზრუნველყოფა სტატისტიკური ინფორმაციით, მათი საჭიროებების შესაბამისად. რესპონდენტთა უზრუნველყოფა საერთო შედეგებით, რომელიც გამომდინარეობს მათ მიერ თავდაპირველად წარმოდგენილი მონაცემებიდან, არის ასევე გზა რესპოდენტთა მოტივირებისა, მონაწილეობა მიიღონ სტატისტიკურ კვლევებში.

9.15. *მონაცემთა გავრცელების დროის განრიგი.* სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებისას, როგორც წესი, არსებობს კომპრომისი ინფორმაციის დროულად მომზადებასა და გამოქვეყნებული მონაცემების სიზუსტეს და დეტალურობის დონეს შორის. ამიტომ, ტურიზმის სტატისტიკის შემქმნელებსა და მომხმარებლის საზოგადოებას შორის კარგად დამკვიდრებულ ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი ელემენტია შესაბამისი დროის განრიგის დაწესება მონაცემების შეგროვებისა და გამოშვებისათვის, რომელიც ამავე დროს, რეალისტურიც არის შემდგენი პირებისათვის და სასარგებლო მომხმარებლებისათვის. ქვეყნებს ურჩევენ კონკრეტულ მონაცემთა გამოქვეყნების წინასწარი ზუსტი ვადების გამოცხადებას. ყოველი წლის დასაწყისში, ტურიზმის სტატისტიკის გავრცელებაზე პასუხისმგებელი უწყებების მიერ ვებგვერდებზე უნდა განთავსდეს მონაცემთა გავრცელების წინასწარი კალენდარი.

9.16. ტურიზმის ყოველთვიური, კვარტალური და წლიური მონაცემების განთავსების დროულობა მეტად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, ძირითადად ასახავს დროულობის, საიმედოობის და სიზუსტის კომპრომისისადმი სხვადასხვაგვარ მიდგომას. მდგრადი

მდგრადი სტატისტიკური პრაქტიკის შესანარჩუნებლად, ქვეყნებს ურჩევენ მონაცემთა გავრცელებას საერთაშორისო დონეზე, როგორც კი ისინი ხელმისაწვდომი გახდება ეროვნული მომხმარებლებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ დროის თვალსაზრისით, მინიმალურ მოთხოვნად ითვლება: წლიური მონაცემებისთვის - 18 თვე; კვარტალური მონაცემებისთვის - 3 თვე და ყოველთვიური მონაცემებისთვის - 45 დღე. მიზანშეწონილია, რომ ყოველთვიური და კვარტალური მონაცემები ეხებოდეს ცალკეულ თვეს ან კვარტალს. ქვეყნების უმეტესობა იყენებს წლიური ტურიზმის სტატისტიკის შეგროვების ცალკეულ სისტემას. ამ შემთხვევაში, მონაცემები მეოთხე კვარტალისთვის (შესაბამისად, მეთორმეტე თვის) უნდა იყოს გამოქვეყნებული საკუთრივ, და არა, როგორც სხვაობა მიღებული წლიური ჯამიდან პირველი სამი კვარტალის (ანუ 11 თვე) გამოკლებით.

9.17. *მეტამონაცემების გავრცელება.* ტურიზმის სტატისტიკის ადეკვატური მეტამონაცემების და ხარისხის შეფასების უზრუნველყოფა ისეთივე მნიშვნელოვანია მომხმარებელთათვის, როგორც თავად მონაცემები. ქვეყნებს ურჩევენ გაავრცელონ მეტამონაცემები რეკომენდებული სტრუქტურის მიხედვით[17], რომელიც ითვალისწინებს: (ა)მონაცემთა მოცულობას, პერიოდულობას და დროულობას; (ბ) საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას; (გ) მთლიანობას; (დ) მონაცემთა ხარისხს; (ე)გამოყენებული მეთოდოლოგიის შეჯამებას; და (ვ) გავრცელების ფორმატებს. მიზანშეწონილია, რომ ქვეყნებმა მეტამონაცემებში მიუთითონ ყველა გადახრა საერთაშორისოდ აღიარებული სტატისტიკური სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპებისაგან.

9.18. *გავრცელების ფორმატები.* მონაცემები შეიძლება გავრცელდეს როგორც ელექტრონულად (ქსელში ან სხვადასხვა მედია საშუალებით), ისე ნაბეჭდი პუბლიკაციის სახით. ქვეყნებმა უნდა შეაფასონ მონაცემების მომხმარებლების შესა ძლებლობები და აირჩიონ გავრცელების ფორმატი, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება მომხმარებელთა მოთხოვნილებებსა და გარემოებას. მაგალითად, ტურიზმის სტატისტიკის პრეს-რელიზები ისე უნდა გავრცელდეს, რომ ხელი შეეწყოს შემდგომ გავრცელებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ; უფრო სრულყოფილი და დეტალური სტატისტიკა უნდა გავრცელდეს ქაღალდზე ნაბეჭდი და/ან ელექტრონულ ფორმატში. თუ რესურსები იძლევა ამის საშუალებას, შეიძლება მიმდინარე სტატისტიკის და უფრო გრძელვადიანი გამოცემების ორგანიზება და შემოწმება ელექტრონული მონაცემთა ბაზების მეშვეობით, რომელთაც აწარმოებს შემგროვებელი უწყება. ჩვეულებრივად გავრცელებული სტატისტიკის გარდა, ტურიზმის მონაცემები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მოთხოვნის საფუძველზე. უფრო კონკრეტული მიზნებისათვის, შესაძლებელია მონაცემთა ინდივიდუალური ცხრილების (საქმიანობის არასტანდარტული კლასიფიკაცია, კონკრეტული კატეგორიის ერთეული, და ა.შ.) შექმნა. მიზანშეწონილია, რომ ქვეყნებმა მოახდინონ მომხმარებლების ინფორმირება დამატებითი სტატისტიკის ხელმისაწვდომობის და მისი მიღების პროცედურების შესახებ. გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია (UNWTO) შეისწავლის ქვეყნის გამოცდილებას და გავრცელების არსებულ საშუალებებს, მათ შორის, სტატისტიკური მონაცემების და მეტამონაცემების გაცვლითი ინიციატივის (SDMX)[18] შესაძლო გამოყენებას, ამ სფეროში საუკეთესო გამოცდილების უზრუნველყოფისათვის.

9.19. *მონაცემთა გადასინჯვა.* გადასინჯვა მონაცემების შეგროვების განუყო-ფელი ნაწილია. გადახედვა ხდება შედეგად კომპრომისისა გამოქვეყნებული მონაცემების დროულობასა და მათ საიმედოობას, სიზუსტესა და სისრულეს შორის. ამ კომპრომისის გასაწევად, პასუხისმგებელ უწყებებს ურჩევენ წინასწარი მონაცემების წარმოებას და გავრცელებას. მათი შესწორება მოხდება, როდესაც ახალი და უფრო ზუსტი მონაცემები გახდება ხელმისაწვდომი. მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, განმეორებითი გადასინჯვა აღიქმება, როგორც ტურიზმის ოფიციალური მონაცემების საიმედოობაზე უარყოფითად ასახული, მცდელობა მათი თავიდან აცილებისა ზუსტი, მაგრამ ძალიან უდროო მონაცემების შექმნით, ვერ დააკმაყოფილებს მომხმარებელთა საჭიროებებს. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ტურიზმის სტატისტიკის გადასინჯვა ტარდება მომხმარებლების საკეთილდღეოდ, იმისათვის, რომ მათ მიეწოდოთ მონაცემები, რომლებიც რაც შეიძლება დროული და ზუსტი იქნება.

9.20. *გადასინჯვის პოლიტიკა.* ტურიზმის სტატისტიკის გადასინჯვის საკითხების

[17] გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მეტამონაცემები: ტურიზმის სტატისტიკის დოკუმენტირების მთავარი გზამკვლევი (2005)

[18] სტატისტიკური მონაცემების და მეტამონაცემების გაცვლითი ინიციატივა (SDMX) შემუშავდა როგორცერთობლივი უწყებათაშორისი პროექტი.



მოსაგვარებლად, ქვეყნებს საშუალება ეძლევათ, განავითარონ კარგად შემუშავებული გადასინჯვის პოლიტიკა, რომელიც ყურადღებით და სტატისტიკის სხვა სფეროებთან კოორდინირებულად უნდა განხორციელდეს. ასეთი პოლიტიკის განვითარება მიზნად უნდა ისახავდეს მომხმარებლების უზრუნველყოფას საჭირო ინფორმაციით, რათა გადასინჯვის მიმართ სისტემატური მიდგომა ჰქონდეთ. გადასინჯვის კოორდინაციის და დაგეგმვის არარსებობას მომხმარებლები ხარისხის პრობლემად თვლიან. კარგად დამკვიდრებული გადასინჯვის პოლიტიკის არსებითი თვისებებია წინასწარი გრაფიკი, გონივრული სტაბილურობა წლიდან წლამდე, გახსნილობა, გადასინჯვის შესახებ წინასწარი გაფრთხილება, გადასინჯვის მიზეზის და შედეგის მითითებით, დაზუსტებული ხანგრძლივი მონაცემების ხელმისაწვდომობა მომხმარებლებისათვის ისევე, როგორც სტატისტიკური პუბლიკაციების და მონაცემების სათანადო დოკუმენტაცია.

9.21. **მიზანშეწონილია,** რომ გადასინჯვის პოლიტიკა მოითხოვდეს შეცდომების (სტატისტიკური ან მონაცემთა დამუშავების შეცდომები) გასწორებას გამოვლინებისთანავე. ზოგიერთ შემთხვევაში, შემდგენმა სააგენტომ შეიძლება გადაწყვიტოს სპეციალური გადასინჯვის განხორციელება, მონაცემთა დაფარვის და/ან მონაცემთა ხელახალი შეფასების მიზნით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილება ისტორიული დროის გამოცემებში. მიზანშეწონილია, ასეთი გადასინჯვა გამოცხადდეს წინასწარ და ასევე გადასინჯვის მიზეზებიც ისევე, როგორც არსებულ მონაცემებზე მათი შესაძლო გავლენის შეფასება.

9.22. *სტატისტიკის კონფიდენციალურობა.* მონაცემთა გავრცელების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკა სტატისტიკის კონფიდენციალურობის შენარჩუნებაა. სტატისტიკის კონფიდენციალურობა საჭიროა სტატისტიკური რესპონდენტების და სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლების ნდობის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. გაეროს ოფიციალური სტატისტიკის მეექვსე ფუნდამენტური პრინციპი (იხილეთ ქვემოთ მოცემული ჩანართი 9.1.) ითვალისწინებს, რომ ცალკეული სტატისტიკის შემგროვებელი ცალკეული სტატისტიკური უწყებების მიერ შეგროვებული მონაცემები (რომელიც ეხება ან არ ეხება ფიზიკურ ან იურიდიულ პირს) მკაცრად კონფიდენციალური იყოს და გამოიყენებოდეს მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის.

9.23. სამართლებრივი დებულებები, რომლებიც არეგულირებენ სტატისტიკურ კონფიდენციალურობას ეროვნულ დონეზე წარმოადგენენ ქვეყნების სტატისტიკურ კანონმდებლობას ან ხელისუფლების სხვა დამხმარე რეგულაციებს. კონფიდენციალურობის ეროვნული განმარტებები და მიკრო მონაცემების ხელმისაწვდომობის წესები შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ ისინი უნდა შეესაბამებოდეს ფუნდამენტურ პრინციპებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებში, სადაც განსხვავებას მიკრო მონაცემების სტატისტიკურ და არასტატისტიკურ გამოყენებას შორის არა აქვს ხანგრძლივი ტრადიცია და არ არის ნათლად ასახული კანონმდებლობაში. მიზანშეწონილია, რომ კონფიდენციალურობის დაცვა სავალდებულო იყოს ტურიზმზე მონაცემთა შეგროვებაში, დამუშავებასა და გავრცელებაში ჩართული ყველა უწყებისათვის.

9.24. *კონფიდენციალური მონაცემები და კონფიდენციალურობის დაცვის მე-თოდები.* მონაცემები უნდა ჩაითვალოს კონფიდენციალურად, როცა ისინი სტატისტიკურ ერთეულებს პირდაპირი და არაპირდაპირი იდენტიფიკაციის საშუალებას აძლევენ და ხსნიან ინდივიდუალურ ინფორმაციას. იმისათვის, რომ განისაზღვროს რამდენად ამოცნობადია სტატისტიკური ერთეული, უნდა გაითვალისწინონ ყველა საშუალება, რასაც მესამე მხარე გონივრულად გამოიყენებს მის ამოსაცნობად. არსებობს ტურიზმის მონაცემების კონფიდენციალურობის ორი ფორმა: პირველადი და მეორადი. ტურიზმის მონაცემები პირველადად კონფიდენციალურია, თუ მათი გავრცელება კონკრეტული სტატისტიკური ერთეულის მონაცემების იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. მონაცემები, რომლებიც პირველადად კონფიდენციალური არ არის, მაგრამ რომელთა გავრცელებაც სხვა მონაცემებთან ერთობლიობით, იძლევა ერთეულის იდენტიფიკაციის საშუალებას, მეორადად კონფიდენციალურია.

**გაეროს სტატისტიკური დეპარტამენტი.** ეროვნული სტატისტიკური სისტემების განვითარება: *ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპები*
*http: // unstats. un.org/unsd/methods/statorg/FP- English.htm.*

ჩანართი 9.1

**ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპები**

*პრინციპი 1.* ოფიციალური სტატისტიკა დემოკრატიული საზოგადოების საინფორმაციო სისტემაში სთავაზობს შეუცვლელ ელემენტს, რომელიც ემსახურება მთავრობას, ეკონომიკას და საზოგადოებას მონაცემების მიწოდებით ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკოლოგიურ სიტუაციაზე. ამ მიზნით, ოფიციალურმა სტატისტიკური სააგენტოებმა, მიუკერძოებლობის პრინციპით, ხელმისაწვდომი უნდა გახადონ ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც აკმაყოფილებს პრაქტიკული სარგებლიანობის მოთხოვნებს, რათა დაცული იყოს მოქალაქეთა უფლება საჯარო ინფორმაციის მიღებაზე.

*პრინციპი 2.* ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებისადმი, ნდობის შესანარჩუნებლად სტატისტიკურმა უწყებებმა მკაცრად პროფესიული მოსაზრებების შესაბამისად, მათ შორის სამეცნიერო პრინციპების და პროფესიული ეთიკის დაცვით, უნდა გადაწყვიტონ სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და პრეზენტაციის მეთოდები და პროცედურები.

*პრინციპი 3.* მონაცემების სწორ ინტერპრეტაციის ხელშესაწყობად სტატისტიკურმა უწყებებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია სტატისტიკის წყაროების, მეთოდების და პროცედურების შესახებ სამეცნიერო სტანდარტების შესაბამისად.

*პრინციპი 4.* სტატისტიკურ უწყებებს უფლება აქვთ კომენტარი გააკეთონ სტატისტიკის მცდარ ინტერპრეტაციაზე და არასწორად გამოყენებაზე.

*პრინციპი 5.* მონაცემები სტატისტიკური მიზნებისათვის შეიძლება იყოს ყველა სახის წყაროებიდან, იქნება ეს სტატისტიკური კვლევების თუ ადმინისტრაციული ჩანაწერები. სტატისტიკურმა უწყებებმა უნდა აირჩიონ წყარო ხარისხის, დროულობის, დანახარჯების და რესპონდენტთა დატვირთვის გათვალისწინებით.

*პრინციპი 6.* სტატისტიკური უწყებების მიერ შეგროვებული ინდივიდუალური მონაცემები, ( მიუხედავად იმისა, ეხება თუ არა ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს), უნდა იყოს კონფიდენციალური და გამოიყენებოდეს, მხოლოდ, სტატისტიკური მიზნებისათვის.

*პრინციპი 7.* კანონები, რეგულაციები და ღონისძიებები, რომლის თანახმა-დაც, სტატისტიკური სისტემები მუშაობს უნდა იყოს საჯარო.

*პრინციპი 8.* სტატისტიკურ უწყებებს შორის კოორდინაცია ქვეყნის შიგნით აუცილებელია, რათა მივაღწიოთ თანმიმდევრულობასა და ეფექტურობას სტატისტიკურ სისტემაში.

*პრინციპი 9.* სტატისტიკური უწყებების მიერ, საერთაშორისო კონცეფციების, კლასიფიკაციების და მეთოდების თითოეულ ქვეყანაში გამოყენება ხელს უწყობს სტატისტიკური სისტემების მდგრადობას და ეფექტურობას ყველა ოფიციალურ დონეზე.

*პრინციპი 10.* ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა სტატისტიკაში ხელს უწყობს სტატისტიკის ოფიციალური სისტემების გაუმჯობესებას ყველა ქვეყანაში.

9.25., პირველადად კონფიდენციალური მონაცემების გამჟღავნებისგან დასა-ცავად ყველაზე გავრცელებული პრაქტიკაში არის *აგრეგაცია და აკრძალვა.* აგრეგაცია ნიშნავს პირველადი კონფიდენციალური მონაცემების გაერთიანებას სხვა მონაცემებთან. მხოლოდ აგრეგაცია ექვემდებარება გავრცელებას. იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანას ურჩევნია აკრძალვა, როგორც მეთოდი ტურიზმის მონაცემების კონფიდენციალურობის დასაცავად, მიზანშეწონილია, რომ ნებისმიერი მონაცემი, რომელიც კონფიდენციალურად ითვლება, დეტალურად უნდა იყოს მოხსენებული მომდევნო მაღალი დონის კლასიფიკაციის დროს, რომელიც ადეკვატურად იცავს კონფიდენციალურობას. რეკომენდირებულია, რომ კონფიდენციალურობის პატივისცემით, ქვეყნებმა მიიღონ შემდეგი საყოველთაოდ აღიარებული წესები: (ა) ცხრილის უჯრედი დაყოფილი უნდა იყოს მინიმუმ სამ ერთეულად; და (ბ) უჯრედებისათვის დიდი ციფრებით, სამი ერთეული უდიდესი ღირებულებით არ უნდა აღემატებოდეს უჯრედის ღირებულებას, ამიტომ ისინი არ უნდა შეადგენდეს მის 70 პროცენტს. ცალკეულ შემთხვევებში, ეს წესი შეიძლება შემსუბუქდეს ნებართვის მოთხოვნით, გამოირჩეს



რესპონდენტ(ებ)ი და უფლებასილება მიეცეს სტატისტიკურ ოფისს, გაამჟღავნოს მონაცემები. ეს უკანასკნელი გამოსავალი უნდა იქნას გამოყენებული სფეროებში, როგორიცაა საერთაშორისო ტრანსპორტი, რომელშიც ეროვნული პროვაიდერები, როგორც წესი, ძალიან ცოტაა.

9.26. *სტატისტიკური გამჟღავნების კონტროლი.* ქვეყნებს საშუალება ეძლე-ვათ, გამოიყენონ სტატისტიკის გამჟღავნების კონტროლის მეთოდები, რათა შეამცირონ რისკი ინფორმაციის გახსნისა ინდივიდუალური ჟურნალისტებისთვის. ასეთი ტექნიკა (ან მეთოდები) მხოლოდ დაკავშირებულია გავრცელების ნაბიჯთან და როგორც წესი, ეფუძნება მონაცემების რაოდენობის შეზღუდვას ან მონაცემთა გამოშვების მოდიფიკაციას. გამჟღავნების კონტროლის საშუალებით უნდა მიიღწეს ოპტიმალური ბალანსი კონფიდენციალურობის დაცვის გაუმჯობესებასა და მონაცემთა ხარისხის შემცირებას შორის. განსხვავებული კატეგორიის მონაცემები ქმნის კონფიდენციალურობის სხვადასხვა პრობლემებს და აუცილებლად მოითხოვს სხვადასხვა გადაწყვეტილებებს.

9.27. *კონფიდენციალურობა საერთაშორისო დონეზე.* კონფიდენციალურობის საკითხს აქვს არა მხოლოდ ეროვნული განზომილება, არამედ საერთაშორისოც, შემდეგი მიზეზების გამო: (ა) ინტერნეტით მონაცემთა გავრცელების ზრდა; (ბ)მომხმარებლების სტატისტიკური მონაცემების (მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების) ინტერნაციონალიზაცია; და (გ) მაღალი ინტერესი ქვეყნებსშორისი შედარებისადმი. შედეგად, არსებობს მზარდი მოთხოვნა ქვეყნის მონაცემების ძალზე დეტალური წარმოდგენისა, ზოგიერთ შემთხვევაში ქვეყნის მიკრო მონაცემების შესახებაც კი არსებობს მოთხოვნა. მონაცემთა მოკრება და გავრცელება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დამოკიდებულია ქვეყნების მიერ მიწოდებული მონაცემების ხარისხსა და სისრულეზე. მონაცემთა ამ ნაკადს, შეიძლება, ხელს უშლიდეს ეროვნული კონფიდენციალურობის წესები, რომლებიც შეუძლებელს ხდის ქვეყნების მიერ მოთხოვნილი ზოგიერთი მონაცემის გადაცემას. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია, რომ ქვეყნებმა არ დააწესონ კონფიდენციალურობის უფრო მკაცრი წესები, ვიდრე წესები გამოყენებული ეროვნულ დონეზე.

## დ. უწყებათაშორისი თანამშრომლობა

9.28. აღიარებულია, რომ ტურიზმის სტატისტიკის შემდგენ პირებს, რომლებიც საქმიანობენ სხვადასხვა ქვეყანაში, უწევთ სხვადასხვა სამართლებრივ ჩარჩოებში მოხვედრა და დაქვემდებარება წესებზე, რომლებიც განსაზღვრავენ მათ მისიას. მათ შეიძლება შექმნან როგორც გამოწვევები, ისე შესაძლებლობები უწყებათაშორისი თანამშრომლობის განვითარებაში.

9.29. ქვეყნის კანონმდებლობისა და მთავრობის სტრუქტურის მიხედვით, რიგი უწყებები შეიძლება იყოს ჩართული ტურიზმის სტატისტიკის დამუშავებასა და გავრცელებაში, მათ შორის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციები, საემიგრაციო მმართველობა, ტურისტული ასოციაციები, სტატისტიკის ეროვნული ოფისები და ცენტრალური ბანკები. ყველა ამ სტრუქტურას ექნება საკუთარი პრიორიტეტები და განხორციელებული მისიები. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ჩართულნი არიან ტურიზმის სტატისტიკის დამუშავებასა და გავრცელებაში, უნდა დაიცვან გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპები, რომელიც წარმოდგენილია ზემოთმოცემულ ჩანართ 9.1-ში.

9.30. მიზანშეწონილია, რეკომენდირებულია ამ უწყებებმა შექმნან და შეინარჩუნონ აუცილებელი სამუშაო შეთანხმებები ერთმანეთთან, რათა უზრუნველყონ ტურიზმის სტატისტიკის შეძლებისადგვარად მაღალი ხარისხი, ასევე უზრუნველყონ მათ ეროვნულ სისტემებში ტურიზმის სტატისტიკის გაუმჯობესების მდგრადობა. უწყებებს შორის თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად ეს შეთანხმებები უნდა მოხდეს მოცემულ ქვეყანაში გამოყენებული მეთოდების შესაბამისად. ასეთი შეთანხმებები უნდა იყოს დოკუმენტირებული და მიუთითებდეს, თუ რა სახის ტურიზმის სტატისტიკაზეა (მონაცემთა სერიებზეა) თითოეული უწყება პასუხისმგებელი, ასევე რა მეთოდებია გამოყენებული

ინფორმაციის გაცვლისათვის და კონფიდენციალურობის შენარჩუნებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კერძო სექტორში ან საგადასახადო ადმინისტრირებაში არიან ჩართულნი.

9.31. **რეკომენდირებულია**, ხელი შეეწყოს ერთობლივ მონაცემთა შეგროვების პროგრამებს, მაგალითად, ტურიზმის სტატისტიკის, საგადამხდელო სტატისტიკის ბალანსის და მომსახურეობებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის შესაბამის მონაცემთა ერთობლივ შეგროვებას. ასეთი ერთობლივი შეგროვება მიგვიყვანს მონაცემთა შემგროვებელი პირების ეფექტურობის გაზრდამდე და რესპონდენტთა საანგარიშგებო დატვირთის შემცირებამდე. უწყებათაშორისი თანამშრომლობა შეიძლება დაეხმაროს ახალი გზების პოვნაში, გამოიყენონ უკვე შეგროვებული მონაცემები, მათი ხელახალი შედგენით, რათა დააკმაყოფილონ სტატისტიკის სხვა სფეროები.

9.32. ასეთი მჭიდრო სამუშაო ურთიერთობების განვითარება და შენარჩუნება აუცილებელია, რათა ყველა უწყება ინფორმირებული იყოს პოლიტიკისა და პროცედურების ცვლილებების შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ტურიზმის სტატისტიკის შედგენაზე. *მიზანშეწონილია*, რომ ტურიზმის სტატისტიკაში ჩართულმა ყველა უწყებამ პერიოდულად გადახედოს მათ მიერ შედგენილ და გავრცელებულ ინფორმაციას, რათა უზრუნველყოს გავრცელებული სტატისტიკის მაღალი ხარისხი და მომხმარებლებისათვის დროული ხელმისაწვდომობა.

9.33. **რეკომენდირებულია**, სტატისტიკის ეროვნულმა ოფისებმა მონიტორინგი გაუკეთონ ტურიზმის სტატისტიკის შეგროვებას და გავრცელებას და პერიოდულად შეაფასოს შესაბამისობა ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციებთან და სხვა სათანადო სტატისტიკურ მოთხოვნებთან. ასევე, მიზანშეწონილია სტატისტიკის ეროვნულმა ოფისებმა დახმარება გაუწიონ სხვა უწყებებს, რომლებიც აქტიურად აგროვებენ ტურიზმის სტატისტიკას, სტატისტიკური სტანდარტების და მეთოდების გამოყენებზე.

## ე. პროექტის განხორციელების პროგრამა და განახლების პოლიტიკა

9.34. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) თანამშრომლობით, გაეროს სტატისტიკის დეპარტამენტთან თანამშრომლობით შეიმუშავებს განხორციელების პროგრამას, რომელიც მოიცავს ინიციატივებს, როგორიცაა, შესაძლებლობების განვითარების პროგრამები სუბრეგიონალურ დონეზე, ტექნიკური დახმარების მისიები, რეკომენდაციების შედგენის გზამკვლევის მომზადება და მასთან დაკავშირებული დამატებითი ტექნიკური დოკუმენტები, რათა ქვეყნებმა მიიღონ რჩევები, როგორ განახორციელონ საერთაშორისო რეკომენდაციები 2008.

9.35. საერთაშორისო რეკომენდაციები 2008-ს შედგენის გზამკვლევი რომელიც პერიოდულად განახლდება, შეავსებს 2008 საერთაშორისო რეკომენდაციების სტრუქტურას და მინიშნებებს მისცემს ქვეყნებს, როგორ უნდა განახორციელონ წინამდებარე საერთაშორისო რეკომენდაციები 2008 ტურიზმის სტატისტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ 2008 რეკომენდაციების თითქმის ყველა თავში ნახსენებია გაზომვის საკითხები, ზემოაღნიშნულ გზამკვლევში უნდა შემუშავდეს უფრო დეტალური პრაქტიკული მიდგომა ამ საკითხებისადმი.

9.36. აღიარებულია, რომ საერთაშორისო რეკომენდაციების 2008 განახლების პროცესი მიჩნეულ იყოს, როგორც პერიოდული და კარგად ორგანიზებული პროცედურა. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) ამზადებს სარედაქციო ცვლილებებს და უტყუარ დაზუსტებას, გამოცემის ინტერპრეტაციაზე კი ერთობლივად პასუხისმგებელი უნდა იყოს გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) და გაეროს სტატისტიკის დეპარტამენტი. 2008 საერთაშორისო რეკომენდაციებში შემოთავაზებული ნებისმიერი ცვლილება გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ (UNWTO) და გაეროს სტატისტიკის დეპარტამენტმა ერთიანი ძალებით უნდა შეიმუშაოს, რომელიც უნდა მოიწონოს გაეროს ტურიზმის სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფმა და შემდეგ გაეროს სტატისტიკურ კომისიას უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად.



# ბიბლიოგრაფია


ევროპული თანამეგობრობის კომისია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, გაერო და მსოფლიო ბანკი. ეროვნული ანგარიშების სისტემა, 1993 (ბრიუსელი/ლუქსემბურგი, ნიუ-იორკი, პარიზი, ვაშინგტონი, 1993).

ევროპული თანამეგობრობის კომისია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, გაერო და მსოფლიო ბანკი. ეროვნული ანგარიშების სისტემა, 2008 (ბრიუსელი/ლუქსემბურგი, ნიუ-იორკი, პარიზი, ვაშინგტონი, 2008). http://unstats.un.org/unsd/nationalac count/ SNA2008.pdf

ევროპული თანამეგობრობის კომისია. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, გაერო. ტურიზმის სატელიტური ანგარიში: რეკომენდირებული მეთოდოლოგიური საფუძველი (ლუქსემბურგი, მადრიდი, ნიუ-იორკი, პარიზი, 2001).

ევროპული თანამეგობრობის კომისია. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, გაერო. ტურიზმის სატელიტური ანგარიში: რეკომენდირებული მეთოდოლოგიური საფუძველი 2008 (ლუქსემბურგი, მადრიდი, ნიუ-იორკი, პარიზი, 2008).

ევროპული თანამეგობრობის კომისია. კომისიის 1998 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება 1999/34/EC საბჭოს 95/57/EC დირექტივის განხორციელებაზე, რომელიც ეხება სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას ტურიზმის სფეროში; ევროპული თანამეგობრობის ოფიციალური ჟურნალი ნომერი L9 (1999 წლის 15 იანვარი).

შრომის საერთაშორისო ბიურო. პროფესიათა საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია(ISCO-88) (ჟენევა, 1990).

მიმდინარე საერთაშორისო რეკომენდაციები შრომის სტატისტიკაზე, 2000 გამოცემა (ჟენევა,2000).

საერთაშორისო სავალუტო ფონდი. საგადამხდელო ბალანსის სახელმძღვანელო, მე-5 გამოცემა, (ვაშინგტონი, 1993).

საგადამხდელო ბალანსების და საერთაშორისო ინვესტიციების პოზიციის სახელმძღვანელო, მეექვსე გამოცემა (BPM6), წინასწარი გამოცემის პროექტი (2008 წლის დეკემბერი).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ეკოლოგიური პრობლემების და მდგრადობის საკითხების ტურიზმის პოლიტიკაში ინტეგრაციის მაჩვენებლები (პარიზი, 2004).

ევროპის თანამეგობრობის სტატისტიკური ოფისი. თანამეგობრობის ტურიზმის სტატისტიკის მეთოდოლოგია. (ლუქსემბურგი, 1998).

გაერო. ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპები (ნიუ-იორკი, 1994).

ეროვნული ანგარიშების სახელმძღვანელო: კომპლექსური ეკოლოგიური და ეკონომიური აღრიცხვა 2003 (ნიუ-იორკი, 2003).

ძირითადი პროდუქტების კლასიფიკაცია, მე-2 ვერსია, (ნიუ-იორკი,) http://unstats.un.org/unsd/cr/

ყველა ეკონომიკური აქტივობის სამრეწველო კლასიფიკაცია, მე-4 ცვლილება, (ნიუ იორკი, 2008), http://unstats.un.org/unsd/cr/registry/isic-4.asp.

გაერო და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია. ტურიზმის სტატისტიკის რეკომენდაციები (გაეროს გამომცემლობა, გაყიდვის ნომერი. E.94.XVII.6) (ნიუ-იორკი, 1994).

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO). ტურიზმის სატელიტური ანგარიში (TSA): კონცეფტუალური საფუძველი (დოკუმენტი ტურიზმის ეკონომიკური გავლენის შესახებ, წარდგენილი „ენცო პაჩის მსოფლიო კონფერენციაზე“ ნიცა, პარიზი, 1999 წლის 15-18 ივნისი).

ტურიზმის სატელიტური ანგარიშის განვითარების ძირითადი გზამკვლევი (TSA): I ტომი: ტურიზმის მოთხოვნის გაზომვა (მადრიდი, 2000); II ტომი: ტურიზმის მიწოდების გაზომვა (მადრიდი, 2000).

ტურიზმი, როგორც საერთაშორისო სავაჭრო მომსახურეობა: გზამკვლევი არარეზიდენტების ჩამოსვლის და ასოცირებული ხარჯების გასაზომად (მადრიდი, 2005), http://www.unwto. org/statistics/border.pdf.

ტურისტული ადგილის მდგრადი განვითარების მაჩვენებლები: გზამკვლევი (მადრიდი, 2004).

# საძიებელი

A
განთავსება, 2.75, 2.77, 3.36, 3.38 განთავსების
სტატისტიკა, 6.23-6.25
განთავსების ტიპები, 3.37
შეძენა(პრინციპი), 4.14, 4.22
აქტივობა (პროდუქცია), 6.8
ძირითადი აქტივობა, 6.14
აქტივობები
ტურიზმთან ასოცირებული აქტივობები, 6.12,
6.16, 6.17 ვიზიტორების აქტივობები, 3.15-3.17
ადმინისტრაციული (მონაცემები/წყაროები), 4.33, 6.56, 7.29
B
საგადამხდელო ბალანსი, 1.8, 1.45, 8.10
დამაკავშირებელი ცხრილი (საგადამხდელო
ბალანსი და მასთან დაკავშირებული
ტურისტული დანახარჯები), ცხრილი 8.1
მოგზაურობის კომპონენტი, 8.11, ჩანართი 8.1,
8.15, 8.23
ბიზნესი და სხვა მწარმოებლები, 2.36
ბიზნეს და პროფესიული მიზანი
(მოგზაურობისთვის), ცხრილი 3.1, 3.17,
3.18
ბიზნეს ვიზიტორი, 2.68
C
ვიზიტორის დამახასიათებელი თვისებები, 3.6, 4.27
ტურიზმთან ასოცირებული აქტივობები, 5.10,
ცხრილი 5.1, 5.29
ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტები, 5.9,
ცხრილი5.1, დანართი 2
კლასიფიკაცია
ინდივიდუალური მოხმარების მიზნების
მიხედვით (COICOP), 426, 5.2, 5.19
სატრანსპორტო საშუალების ცხრილი 3.2
ტურიზმთან ასოცირებული აქტივობების,
ცხრილი 5.1, დანართი 3
ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტების
ცხრილი 5.1, დანართი2, დანართი 4
ძირითადი პროდუქტების კლასიფიკაცია,
შესწორება 2 (CPC 1.0 და 2.0),5.4, 5.30
ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტები
ქვეყნების მიხედვით, ცხრილი 5.1, 5.31, 5.34.
ყველა ეკონომიკური საქმიანობის
საერთაშორისო სტანდარტების კლასიფიკაცია
(საერთაშორისო სტანდარტის სამრეწველო
კლასიფიკაცია ISIC ცვლილება. 3 და
ცვლილება 4), 5.4, 5.11, 5.18, დანართი 2,
დანართი 3
პროფესიის საერთაშორისო სტანდარტების
კლასიფიკაცია
(ISCO 88 და ISCO 08), 7.26
განათლების საერთაშორისო სტანდარტების
კლასიფიკაცია (ISCED-97), 7.26
დასაქმების სტატუსის საერთაშორისო
სტანდარტების კლასიფიკაცია
(ICSE-93), 7.26
კრებული, 1.8
სამომხმარებლო გრძელვადიანი საქონელი,
4.4, 4.36 (თ) მოხმარება (იხილეთ ტურიზმის
მოხმარება)
ქვეყანა, 2.3
მოცემული ქვეყანა, 2.15
რეზიდენტობის ქვეყანა, ჩანართი 2.2, 2.17
D
მოთხოვნა (იხილეთ ტურიზმის მოთხოვნა)
დანიშნულების ადგილი (მოგზაურობის მთავარი
დანიშნულების ადგილი), 2.31, 2.32
შიდა
ტურიზმი, როგორც ტურიზმის ფორმა, 2.39
შიდა ტურისტული დანახარჯი, 4.16
შიდა მოგზაურობა, 2.7, 2.30, 2.32, 2.39
შიდა ვიზიტორი, 2.9, 2.49
საცხოვრებლები, 2.36
E
ეკონომიკური აქტივობები (იხილეთ
პროდუქტიული აქტივობები)
ეკონომიკური ტერიტორია, 2.15, ჩანართი 2.1
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, ჩანართი 7.1
მოცემული ეკონომიკა, 2.15, ჩანართი 2.1
დამსაქმებლების და დასაქმებულების
ურთიერთობა, ჩანართი 2.4
სტატუსი, ჩანართი 7.2
დასაქმება (ტურიზმის ინდუსტრიაში), 7.3, 7.5, 7.9



ჩამოსვლა/გამგზავრების ბარათები, 2.57, 3.42
ექსკურსანტი (იხილეთ ერთდღიანი ვიზიტორი)
შესაბამისი დანახარჯის ეკონომიკა, 4.12
დროის გათვლა, ჩანართი 4.1
ტურისტული დანახარჯი (იხილეთ ტურიზმი)
შეფასება, 4.22
F
ტურიზმის სახეობები, 2.39, 2.40
საქონელი
საყოფაცხოვრებო, 4.36
ძვირფასეულობა, 4.2, 4.5
H
ნამუშევარი საათები, 7.5, 7.12
შინამეურნეობის კვლევები, 2.18, 2.71
შემომყვანი ტურიზმის,
როგორცტურიზმის ერთ-ერთი ფორმა, 2.39
დანახარჯები 4.15, 4.18
I
მაჩვენებლები, 2.1, 4.1
ინდუსტრია (იხილეთ ტურიზმის ინდუსტრია/
ინდუსტრიები)
შუალედური მოხმარება, 4.36 (ზ), 5.15
საშინაო ტურიზმი,
როგორც ტურიზმის სახეობა, 2.40
დანახარჯი, 4.20
საერთაშორისო შედარება, 1.35
საერთაშორისო ორგანიზაციები, 1.33
მგზავრთა ტრანსპორტით მომსახურეობა,
ცხრილი 8.1, 8.24
საერთაშორისო ტურიზმი, როგორც ტურიზმის
სახეობა, 2.40
საერთაშორისო ვიზიტორები, 2.42, 2.43
J
სამუშაო ადგილი, ჩანართი 7.1
L
შრომის სტატისტიკა, 1.8
M
შეხვედრების ინდუსტრია, 3.20
N
ეროვნული ანგარიშები, 1.8
ეროვნული ტურიზმი
როგორც ტურიზმის სახეობა, 2.40
ეროვნული ტურისტული დანახარჯი, 4.21
ეროვნება 2.19
წმინდა შეფასება 6.62.
საყოფაცხოვრებო მომსახურების
არაკომერციული ორგანიზაციები, 2.36
O
ეკონომიკის და თანამშრომლობის განვითარების
ორგანიზაციის (OECD) დასაქმების მოდული, 7.35
გამყვანი ტურიზმი,
როგორც ტურიზმის ფორმა 2.39
გამყვანი ტურისტული დანახარჯი 4.15
ღამისთევით ვიზიტორი (იხილეთ ტურისტი)
P
ტურისტული პაკეტი, 4.36 (გ)
ადგილი 2.3
პროდუქტები
პროდუქტები, რომლებიც ტურიზმთან არ არის
დაკავშირებული (იხილეთ ტურიზმი)
ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტები
(იხილეთ ტურიზმი) ტურიზმთან
დაკავშირებული პროდუქტები (იხილეთ
ტურიზმი)
მიზანი (ტურისტული მოგზაურობისა), ცხრილი 3.1
ბიზნეს და პროფესიული (იხილეთ ბიზნეს და
პროფესიული მიზანი)
კლასიფიკაცია, ცხრილი 3.1
მთავარი მიზანი, 2.8, 2.35, 3.10, 3.16
პირადი, ცხრილი3.1, 3.17, 3.18
R
რეგიონი, 2.3
დასაქმებულების ანაზღაურება, ჩანართი 7.2, 7.25
რეზიდენტობა (იხილეთ რეზიდენტობის ქვეყანა)
რეზიდენტი/არარეზიდენტი (ეკონომიკური
ურთიერთობა), 8.10, 8.11
საცალო ვაჭრობით საქმიანობა, 5.40
S
ერთდღიანი ვიზიტორი, 2.13
თვითდასაქმებული, 7.12, box 7.2
გაჩერება, 2.33
ადგილობრივი დონე, 2.3, 8.32
მიწოდება (იხილეთ ტურიზმის ინდუსტრია/
ინდუსტრიები)
მდგრადობა, 8.33, 8.45
ეროვნული ანგარიშების სისტემა (იხილეთ
ეროვნული ანგარიშები)
T
„თაიმშერი“ 3.37, 6.24
ტუროპერატორი, 6.59
T
ტური, 2.29
ტურისტი, 2.13
ტურიზმი, 2.9

ასოცირებული საქმიანობა (იხილეთ ტურიზმთან ასოცირებული საქმიანობის კლასიფიკაცია)
დამახასიათებელი პროდუქტები (იხილეთ ტურიზმის დამახასიათებელი პროდუქტების კლასიფიკაცია)
ჯგუფური მოხმარება, 5.3, 8.7 დაკავშირებული
პროდუქტები, 5.12, ცხრილი 5.1, 5.35
მოხმარება, 4.3
დანახარჯები, 4.2, 4.5
ინდუსტრიები, 6.19, 6.20
ინდუსტრია, 6.15
პროდუქტები, რომლებიც ტურიზმთან არ არის დაკავშირებული 5.16
ტრანზიტური მგზავრი, 2.61
ტრანზიტი, როგორც ტურიზმის სახეობა, ცხრილი 3.1, 3.17
მოგზაურობა, 2.4
ჯგუფური მოგზაურობა, 3.5
მოგზაურობის კომპონენტი (იხილეთ საგადამხდელო ბალანსი)
მოგზაურთა ნაკადები, 3.2
მოგზაური, 2.4, 2.12
მგზავრობა, 2.7
დანიშნულების ადგილი, 2.31, 3.39-3.31
გაჩერების ხანგრძლივობა, 3.25
მიზანი (იხილეთ ტურისტული მოგზაურობის მიზანი)

S

სატელიტური ანგარიშები, 8.5, 8.7

U

ჩვეული გარემო, 2.21, 2.23, 2.25
ჩვეული რეზიდენტობის ადგილი , 2.14, 2.18, ჩანართი2.3

V

დასასვენებელი სახლი, 2.27
ფასეულობა (იხილეთ საქონელი)
ვიზიტი, 2.7
ვიზიტორი, 2.9

# ტერმინების ლექსიკონი[19]

*19 ტერმინების ლექსიკონში, ტერმინების განმარტებები აღებულია 2008წ. ანგარიშთა ეროვნული სისტემიდან, საგამხდელო ბალანსის სახელმძღვანელოს მე-6 გამოცემიდან (საგადამხდელო ბალანსის და საერთაშორისო პოზიციის სახელმძღვანელო (BPM 6)*

**აქტივობა/აქტივობები** — ტურიზმის სტატისტიკაში ტერმინი აქტივობები ასახავს იმ ნაბიჯებსა და ქმედებებს, რომლებსაც ადამიანები, როგორც მომხმარებლები, ანხორციელებენ მოგზაურობის მოსამზადებელ პერიოდში ან მოგზაურობის დროს. (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008 პარაგრაფი 1.2).

**აქტივობა (ძირითადი)**—მწარმოებელი ერთეულის ძირითადი აქტივობა არის აქტივობა, რომლის დამატებითი ღირებულება აღემატება ნებისმიერი სხვა აქტივობის ღირებულებას ერთი და იგივე ერთეულის ფარგლებში (ეროვნული ანგარიშების სისტემა (SNA) 2008, პარაგრაფი 5.8).

**აქტივობა (მწარმოებლობითი)**—(*მწარმოებლობითი) აქტივობა,* განხორციელებული სატისტიკური ერთეულის მიერ არის წარმოების ის კატეგორია, რომელშიც საქმიანობს მოცემული ერთეული. ეს უნდა აღვიქვათ, როგორც პროცესი, ანუ კომბინაცია ქმედებებისა, რის შედეგადაც მიიღება პროდუქტების გარკვეული კომპლექტი. მწარმოებლობითი საქმიანობის კატეგორიებად დაყოფა განისაზღვრება მისი ძირითადი შედეგით.

**ბიზნესი და პროფესიული მიზანი (ტურისტული მოგზაურობის)** - *ბიზნესი და პროფესიული მიზანი ტურისტული მოგზაურობის დროს მოიცავს თვითდასაქმებულთა და დასაქმებულთა* აქტივობებს იმ პირობით, რომ ისინი არ გულისხმობენ ინვესტორების, ბიზნესმენების, და ა.შ. *როგორც დამსაქმებლისა და დასაქმებულისა ფარულ ან ღია ურთიერთობას,* იმ ქვეყანაში ან იმ ადგილას რეზიდენტ მწარმოებელთან (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008 პარაგრაფი 3.17.2)

**ბიზნეს ვიზიტორები** - ბიზნეს ვიზიტორი არის ვიზიტორი, რომლის ტურისტული მოგზაურობის მთავარი მიზანი შეესაბამება ბიზნეს და პროფესიულ კატეგორიას (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008 პარაგრაფი 3.17.2)

**სამომხმარებლო გრძელვადიანი საქონელი** - არის საქონელი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მოხმარების მიზნებისათვის განმეორებით ან ხანგრძლივად, ერთი წლის ან მეტი ხნის განმავლობაში (ეროვნული ანგარიშების სისტემა (SNA) 2008, პარაგრაფი 9.14).

**მოცემული ქვეყანა** - *მოცემული ქვეყანა* მიუთითებს ქვეყანას, სადაც გაკეთდა გაზომვა (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 2.15).

**რეზიდენტობის ქვეყანა** - *შინამეურნეობის რეზიდენტობის ქვეყანა* განისაზღვრება მისი წევრების უ*პირატესი ეკონომიკური ინტერესის კონცენტრირების* თანახმად. იმ შემთხვევაში, თუ პირი ერთ წელზე მეტ ხანს ცხოვრობს (ან აპირებს იცხოვროს) მოცემულ ქვეყანაში და იქ *კონცენტრირებულია მისი ეკონომიკური ინტერესი* (მაგალითად, სადაც უმეტეს დროს ატარებს), იგი განიხილება, როგორც ამ ქვეყნის *რეზიდენტი.*

**ტურიზმთან ასოცირებული პროდუქცია და აქტივობები ქვეყნების მიხედვით** - უნდა განისაზღვროს თითოეული ქვეყნის მიერ 5.10 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით; ამ პროდუქტებისშექმნისათვის განხორციელებული აქტივობები უნდა ჩაითვალოს ტურიზმთან ასოცირებულად, ხოლო ინდუსტრიებს, რომლის ძირითადი საქმიონობა არის ტურიზმთან ასოცირებული, უნდა ეწოდოს ტურიზმის ინდუსტრიები (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 5.16).



**დანიშნულების ადგილი** (მოგზაურობის მთავარი დანიშნულების ადგილი) - *მოგზაურობის მთავარი დანიშნულების ადგილი* განისაზღვრება, როგორც ადგილი რომელიც მთავარია მოგზაურობაზე მიღებული გადაწყვეტილების დროს (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 2.31).

**შიდა ტურიზმი** - შიდა ტურიზმი მოიცავს *რეზიდენტი ვიზიტორის* საქმიანობას მოცემული ქვეყნის შიგნით, როგორც ნაწილს შიდა ან გამყვანი ტურისტული მოგზაურობისა (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 2.39).

**შიდა ტურისტული დანახარჯები** - *შიდა ტურიზმის ხარჯები არის რეზიდენტი ვიზიტორის მიერ* მოცემულ ეკონომიკაში გაწეული *ტურისტული ხარჯები* (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 4.15(ა).

**შიდა ტურისტული მოგზაურობა** - *შიდა ტურისტული მოგზაურობა* არის მოგზაურობა, რომლის *ძირითადი დანიშნულების ადგილი არის ვიზიტორის რეზიდენტობის ქვეყნის* შიგნით (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 2.32).

**შიდა ვიზიტორი** - რადგან ვიზიტორი მოგზაურობს მისი რეზიდენტობის ქვეყანაში, იგი *შიდა ვიზიტორია* და მის მიერ განხორციელებული აქტივობაც წარმოადგენს შიდა ტურიზმის ნაწილს .

**საცხოვრებელი** - ყველა ოჯახს აქვს *ძირითადი საცხოვრებელი ადგილი* (ზოგჯერ განსაზღვრული როგორც ძირითადი ან პირველადი სახლი), რომელიც განისაზღვება იქ გატარებული დროით . მისი ადგილმდებარეობა განსაზღვრავს რეზიდენტობის ქვეყანას და ოჯახისა და მისი ყველა წევრის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. ყველა სხვა საცხოვრებელი ადგილი (რომელიც ოჯახის საკუთრებაშია ან იჯარით არის აღებული) ითვლება *მეორად საცხოვრებელ ადგილად.* (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 2.26).

**ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა** - *ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა* ანუ სამუშაო ძალა გულისხმობს ნებისმიერი სქესის ყველა პირს, ვინც სამუშაო ძალას აწვდის საქონლისა და მომსახურების წარმოებას, როგორც ეს განსაზღვრულია ეროვნული ანგარიშების სისტემაში დროის კონკრეტულ მონაკვეთში (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, შრომის სტატისტიკის საერთაშორისო მე-13 კონფერენცია (ICLS), პარაგრაფი 6.18)

**ეკონომიკური ტერიტორია** — ტერმინი *„ეკონომიკური ტერიტორია“* წარმოადგენს გეოგრაფიულ მოცემულობას და მიუთითებს ქვეყანაზე, რომლისთვისაც ჩატარდა გაზომვა *(დანიშნულების ადგილი)* (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008 პარაგრაფი 2.15).

**ეკონომიკა (მოცემული)** —“ეკონომიკა” (ან “*მოცემული ეკონომიკა*”) არის ეკონომიკური ტერმინი, რომელიც განისაზღვრა ისევე, როგორც საგადამხდელო ბალანსში და ეროვნული ანგარიშების სიტემაში. ეს გულისხმობს ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც არსებობენ მოცემულ ქვეყანაში. (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი2.15).

**დასაქმებულნი** - *დასაქმებულნი* არიან ყველა ის მუშაკები, რომლებსაც გააჩნიათ ისეთი კატეგორიის *სამუშაო,* რაც განისაზღვრება, როგორც “ანაზღაურებული დასაქმება“ (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), შრომის სტატისტიკის საერთაშორისო მე-15 კონფერენცია ICLS, გვ. 20-22).

**დამსაქმებლები** - *დამსაქმებლები* არიან ის მუშაკები, რომელიც მუშაობენ საკუთარი სახსრებით ერთ ან მეტ პარტნიორთან ერთად და აქვთ ისეთი სახის სამუშაო, რომელიც განისაზღვრება, *როგორც "თვითდასაქმების სამუშაო"* და, ამ რანგში, უწყვეტ საფუძველზე მოიცავს კონკრეტულ პერიოდს), საკუთარ ბიზნესში, ამუშავებენ ერთ ან მეტ ინდივიდს როგორც "დასაქმებულს (დასაქმებულებმა)", (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), მეთხუთმეტე ICLS, გვ. 20-22).

**დამსაქმებლის და დასაქმებულის ურთიერთობა** - *დამსაქმებელის და დასაქმებულის ურთიერთობა* მაშინ არსებობს, როდესაც არის ფორმალური ან არაფორმალური ხელშეკრულება საწარმოო ერთეულსა და ინდივიდს შორის. როგორც წესი, ხელშეკრულებაში მხარეები ნებაყოფლობით მონაწილეობენ და ინდივიდი მუშაობს ერთეულზე გარკვეული მონეტარული ან არამონეტარული ანაზღაურების მისაღებად. (BPM6, პარაგრაფი 11.11).

**ტურისტულ ინდუსტრიებში დასაქმება** - *ტურისტულ ინდუსტრიებში დასაქმება* შეიძლება გაიზომოს ტურისტულ ინდუსტრიებში დასაქმებული პირების ოდენობით მათი რომელიმე ან ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით, ან ტურიზმის ინდუსტრიებში სამუშაო ადგილების დათვლით (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 7.9).

**დაწესებულება**-*დაწესებულება* არის საწარმო, ან საწარმოს ნაწილი, რომელიც მდებარეობს ერთ ადგილას და სადაც მხოლოდ ერთი *სამეწარმეო აქტივობა* ხორციელდება ან სადაც დამატებული ღირებულების ძირითადი წილი მოდის ძირითად *პროდუქტიულ აქტივობაზე* (SNA 2008, პარაგრაფი 5.14).

**შემომყვანი ტურიზმი** - *შემომყვანი ტურიზმი* მოიცავს არარეზიდენტი ვიზიტორის საქმიანობას *მოცემული ქვეყნის* შიგნით შემომყვანი ტურისტული მგზავრობის დროს (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 2.39).

**შემომყვანი ტურისტული დანახარჯები** — *შემომყვანი ტურისტული დანახარჯები წარმოადგენს არარეზიდენტი ვიზიტორის* ტურისტულ დანახარჯს მოცემული ეკონომიკის ფარგლებში. (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 4.15 (ბ)).

**შუალედური მოხმარება** — *შუალედური მოხმარება* შედგება მოხმარებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებისაგან, როგორც *წარმოების პროცესის* შემადგენელი ნაწილისაგან, გარდა ფიქსირებული აქტივებისა, რომელთა მოხმარება რეგისტრირებულია, როგორც ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ეროვნული ანგარიშების სისტემა (SNA) 2008, პარაგრაფი 6.213).

**საშინაო ტურიზმი** - *საშინაო ტურიზმი* შედგება *შიდა და შემომყვანი ტურიზმისგან,* სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *რეზიდენტი და არარეზიდენტი ვიზიტორების საქმიანობისგან,* მოცემული ქვეყნის შიგნით, როგორც *შიდა ან საერთაშორისო ტურისტული მგზავრობების ნაწილი* (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 2.40 (ა)).

**საშინაო ტურისტული დანახარჯები** - საშინაო ტურისტული დანახარჯები მოიცავს როგორც რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი ვიზიტორების ყველა ტურისტულ დანახარჯს, მოცემული ეკონომიკის ფარგლებში. იგი წარმოადგენს შიდა და შემომყვანი ტურისტული დანახარჯების ჯამს და მოიცავს მოცცემულ ქვეყნაში იმპორტირებული საქონლისა და სერვისების შეძენას და ვიზიტორებზე გაყიდვას. ეს ინდიკატორი იძლევა მოცემულ ეკონომიკაში ტურისტული დანახარჯების ყველაზე უფრო ფართო გაზომვის შესაძლებლობას. (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 4.20 (ა)).

**საერთაშორისო ტურიზმი** - *საერთაშორისო ტურიზმი* შედგება *შემომყვანი და გამყვანი ტურიზმისაგან,* ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *რეზიდენტი ვიზიტორის საქმიანობისაგან მოცემული ქვეყნის გარეთ, ან როგორც* ნაწილი შიდა და გამყვანი ტურისტული მოგზაურობებისა და *არარეზიდენტი ვიზიტორის საქმიანობისა* მოცემული ქვეყნის შიგნით, *შემომყვანი ტურისტული მგზავრობის დროს* (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 2.40 (გ)).



**საერთაშორისო ვიზიტორი** - საერთაშორისო მოგზაური ითვლება *საერთაშორისო ვიზიტორად* მოცემულ ქვეყანასთან მიმართებით თუ: (ა)იგი არის ტურისტულ მგზავრობაში და (ბ) იგი არის არარეზიდენტი, რომელიც მოგზაურობს მოცემულ ქვეყანაში ან რეზიდენტი, რომელიც მოგზაურობს მის ფარგლებს გარეთ (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 2.42).

**სამუშაო** - შეთანხმება *დაქირავებულსა და დამსაქმებელს* შორის *განსაზღვრავს სამუშაოს* და ყოველ თვითდასაქმებულ ადამიანს აქვს სამუშაო (ეროვნული ანგარიშების სისტემა (SNA) 2008, პარაგრაფი 19.30).

**ეროვნული ტურიზმი** - *ეროვნული ტურიზმი* მოიცავს შიდადა გამყვან ტურიზმს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, *რეზიდენტი ვიზიტორების საქმიანობას* მოცემული ქვეყნის შიგნით და გარეთ, ან *როგორც შიდა ან გამყვანი ტურისტული მგზავრობის* ნაწილს (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS)2008, პარაგრაფი2.40 (ბ)).

**ეროვნული ტურისტული დახარჯები** - *ეროვნული ტურისტული დანახარჯები* მოიცავს *რეზიდენტი ვიზიტორების ყველა ტურისტულ დანახარჯს მოცემული ეკონომიკის* შიგნით და გარეთ. იგი წარმოადგენს შიდა და გამყვანი ტურისტული დანახარჯების ჯამს (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 4.20 (ბ))

**ეროვნება** - მოგზაურის „ რეზიდენტობის ქვეყნის" კონცეფცია განსხვავდება მისი ეროვნებისა და მოქალაქეობისგან. (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 2.19).

**გამყვანი ტურიზმი** - *გამყვანი ტურიზმი* მოიცავს *რეზიდენტი ვიზიტორის აქტივობას* მოცემული ქვეყნის ფარგლებს გარეთ, როგორც „გამყვანი" ან „შიდა"ტურისტული მოგზაურობის ნაწილს (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008 პარაგრაფი 2. 39 (გ)).

**დანახარჯები გამყვან ტურიზმზე** - *დანახარჯები გამყვან ტურიზმზე არის რეზიდენტი ვიზიტორის ტურისტული დანახარჯები* მოცემული ეკონომიკის ფარგლებს გარეთ (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 4.15 (გ)).

**გამოშვება** - *გამოშვება* განისაზღვრება, როგორც დაწესებულების მიერ წარმოებული საქონლი და მომსახურეობა (ა), გარდა საქონლისა და მომსახურების ღირებულებისა გამოყენებული ისეთ აქტივობაში, რომელშიც დაწესებულებას არ აქვს გათვალისწინებული პროდუქციის წარმოებაში გამოყენების რისკი და (ბ) მასში არ შედის იმავე დაწესებულების მიერ, კაპიტალის ფორმირებისთვის (ძირითადი კაპიტალი ან ინვენტარის შეცვლა) გამოყენებული საქონლის და მომსახურეობის ღირებულება ან საკუთარი საბოლოო მოხმარება (ეროვნული ანგარიშების სისტემა (SNA) 008 პარაგრაფი 6.89).

**გამოშვება** (მთავარი)—*მთავარი გამოშვების (სამეწარმეო) აქტივობა* უნდა განისაზღვროს გაყიდული საქონლის ან გაწეული მომსახურების დამატებული ღირებულების გათვალისწინებით (ყველა ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაცია (ISIC) ცვლილება 4, პარაგრაფი 114).

**ჩვეული რეზიდენტობის ადგილი** - გეოგრაფიული არეალი, სადაც ფაქტობრივი პიროვნება რეგულარულად ცხოვრობს და განისაზღვრება მისი ძირითადი საცხოვრებელი ადგილის მდებარეობით(გაეროს მოსახლეობის და საცხოვრებლის აღწერის პრინციპები და რეკომენდაციები, პარაგრაფები 2.20-2.24).

**პროდუქცია** - ეკონომიკური *პროდუქცია* შეიძლება განისაზღვროს, როგორც აქტივობა, რომელიც განხორციელდა იმ ინსტიტუციონალური ერთეულის კონტროლის და პასუხისმგებლობის ქვეშ, რომელიც იყენებს შრომის, კაპიტალის, საქონლის და მომსახურეობის წვლილს საქონლის ან მომსახურების გამოშვებაში (ეროვნული ანგარიშების სისტემა (SNA) 2008, პარაგრაფი 6.24).

**ტურისტული მოგზაურობის (ძირითადი) მიზანი** - *ტურისტული მოგზაურობის ძირითადი მიზანი* განისაზღვრება, როგორც მიზანი, რომლის გარეშეც მოგზაურობა არ შედგებოდა; (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008 პარაგრაფი 3.10.). *ძირითადი მიზნის მიხედვით ტურისტული ვიზიტები* შეიძლება დაიყოს ცხრა კატეგორიად: ეს ტიპოლოგია იძლევა ვიზიტორთა სხვადასხვა ქვეკატეგორიის (ბიზნეს ვიზიტორები, სატრანზიტო ვიზიტორები და ა.შ.) განსაზღვრის საშუალებას (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 3.14).

**რეზიდენტები/არარეზიდენტები** - *რეზიდენტები* არიან ქვეყნის პირები, რომელთა *უპირატესი ეკონომიკური ინტერესის ცენტრი* მდებარეობს მის *ეკონომიკურ ტერიტორიაზე.* ქვეყნისათვის არარეზიდენტები არიან პირები, რომელთა *უპირატესი ეკონომიკური ინტერესის ცენტრი* მდებარეობს მისი *ეკონომიკურ ტერიტორიის* გარეთ.

**ერთდღიანი ვიზიტორები (ან ექსკურსანტები)** - ვიზიტორი *(შიდა, შემომყვანი ან გამყვანი)* მიეკუთვნება ტურისტის *(ან ღამისთევით ვიზიტორის)* კატეგორიას, თუ მის მოგზაურობაში შედის ღამისთევა. სხვა შემთხვევაში, იგი ითვლება *ერთდღიან ვიზიტორად (ან ექსკურსანტად)* (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 2.13.).

**სატელიტური ანგარიშები** [...] არსებობს ორი კატეგორიის სატელიტური ანგარიში, რომელიც ასრულებს ორ განსხვავებულ ფუნქციას. პირველ კატეგორიას უწოდებენ შიდა სატელიტურს. მასში შედის სრული კომპლექტი SNA-ის საბუღალტრო წესების და კონვენციებისა, მაგრამ სტანდარტულ კლასიფიკაციებისა და იერარქიებისგან განსხვავებით ყურადღებას ამახვილებს ინტერესის კონკრეტულ საკითხებზე. მაგალითად, ტურიზმის, ყავის წარმოების და გარემოს დაცვის დანახარჯები. მეორე კატეგორიას ეწოდება გარე სატელიტური კატეგორია, რომელმაც შეიძლება დაამატოს არაეკონომიკური მონაცემები, ზოგიერთი საბუღალტრო კონვენცია ან ორივე ერთად. ეს განსაკუთრებით გამოსადეგია კვლევის ახალი სფეროების კონტექსტში. მაგალითად, მოხალისეთა შრომის როლი ეკონომიკაში. [...].(ეროვნული ანგარიშების სისტემა (SNA) 2008 პარაგრაფი 29.85)

**თვითდასაქმებითი სამუშაო** - *თვითდასაქმებითი* არის სამუშაოები, სადაც ანაზღაურება პირდაპირ არის დამოკიდებული წარმოებული საქონლიდან ან მომსახურეობიდან მიღებულ მოგებაზე (ან პოტენციურ მოგებაზე) (შრომის საერთაშორისო ბიურო. *რეზოლუცია, დასაქმებაში საერთაშორისო კლასიფიკაციის სტატუსის შესახებ*, მიღებული შრომის სტატისტიკოსების მე-15 საერთაშორისო კონფერენციაზე. *"მიმდინარე საერთაშორისო რეკომენდაციები შრომის სტატისტიკის შესახებ"* (2000 წლის გამოცემა). ჟენევა 2000, გვ. 20-23).

**თვითდასაქმებულები ანაზღაურებადი დასაქმებულებით** - თვითდასაქმებულები ანაზღაურებადი დასაქმებულებით მიეკუთვნებიან დამსაქმებელთა კატეგორიას



(შრომის საერთაშორისო ბიურო. შრომის სტატისტიკოსების მიერ მე-15 საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკაციის სტატუსზე . "მიმდინარე საერთაშორისო რეკომენდაციები შრომის სტატისტიკის შესახებ" (2000 წლის გამოცემა. ჟენევა 2000, გვ. 20-23).

**თვითდასაქმებულები ანაზღაურებადი დასაქმებულების გარეშე** - *თვითდასაქმებულები* ანაზღაურებადი *დასაქმებულების გარეშე* მიეკუთვნებიან საკუთარი ანგარიშის მქონე მუშაკებს (შრომის საერთაშორისო ბიურო. შრომის სტატისტიკოსების მიერ მე-15 საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული *რეზოლუცია დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკაციის სტატუსზე.* "მიმდინარე საერთაშორისო რეკომენდაციები შრომის სტატისტიკის შესახებ" (2000 წლის გამოცემა. ჟენევა 2000, გვ. 20-23).

**ტურიზმი** - ტურიზმი უკავშირდება ვიზიტორთასაქმიანობას (IRTS 2008 პარაგრაფი 2.9).

**ტურიზმთან ასოცირებული აქტივობები** - ტურიზმთან ასოცირებული არის აქტივობები, რომლებიც როგორც წესი ტურიზმთან ასოცირებულ პროდუქტს ქმნიან. რადგან პროდუქტის ინდუსტრიული წარმომავლობა (ISIC ინდუსტრია, რომელიც მას ქმნის) არ არის კრიტერიუმი CPC-ის მსგავსი კატეგორიის ქვეშ პროდუქტების გაერთიანებისათვის, არ არსებობს მკაცრად განსაზღვრული პირისპირი ურთიერთობა პროდუქტსა და მის მწარმოებელ ინდუსტრიას შორის. ორი მსგავსი მახასიათებლის მქონე პროდუქტი, რომელსაც აწარმოებს ორი სხვადასხვა ISIC ინდუსტრია, შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც ერთი და იგივე CPC-ის კატეგორია. (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 5.11).

**ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტები** - *ტურიზმთან ასოცირებული* არის პროდუქტები, რომლებიც აკმაყოფილებენ ერთ ან ორივე ქვემოთმოცემულ კრიტერიუმს:

(ა) ტურისტული დანახარჯი პროდუქტზე უნდა წარმოადგენდეს მთლიანი ტურისტული დანახარჯის მნიშვნელოვან წილს (დანახარჯის წილი/მოთხოვნის პირობა);

(ბ) ტურისტული დანახარჯი პროდუქტზე უნდა წარმოადგენდეს ეკონომიკაში პროდუქტის მიწოდების მნიშვნელოვან წილს (მიწოდების წილის პირობა). ეს კრიტერიუმი ნიშნავს, რომ ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტის მნიშვნელოვანი რაოდენობით მიწოდება აღარ მოხდება ვიზიტორების არყოფნის შემთხვევაში. (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 5.10).

**ტურიზმთან დაკავშირებული პროდუქტების** მნიშვნელობა მოცემულ ეკონომიკაში ტურიზმის ანალიზისთვის აღიარებულია, თუმცა მათი კავშირი ტურიზმთან მსოფლიო მასშტაბით შეზღუდულია. შესაბამისად, ასეთი პროდუქტების სია იქნება სპეციფიური თითოეული ქვეყნისთვის. (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008 წელს, პარაგრაფი 5.12).

**ტურიზმის მოხმარება** - ეს კონცეფცია გამოიყენება ტურიზმის სატელიტური ანგარიშის ფარგლებში და წარმოადგენს *ტურისტული დახარჯების* კონცეფციის გავრცობას. გარდა ტურისტული დახარჯებისა, იგი ასევე მოიცავს, ე.წ. „სოციალურ ტრანსფერებს" - არაფულად დანახარჯებს, რომლითაც ვიზიტორები სარგებლობენ, დასასვენებელი სახლებში მათი მფლობელების განთავსების მომსახურებით უზრუნველყოფის იმპუტაციას და ა.შ.

**ტურისტული დანახარჯები** - ნიშნავს იმ თანხას, რომელიც გადახდილია ტურისტული მოგზაურობის დროს საქონელსა და მომსახურეობაში, ასევე ძვირფას ნივთებში, რომელიც განკუთვნილია ან პირადი მოხმარებისათვის ან საჩუქრად გასაცემად.

აქ იგულისხმება როგორც თვით ვიზიტორების მიერ გაწეული დანახარჯები, ისე სხვების მიერ დაფარული ან ანაზღაურებული ხარჯები. (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008 წელს, პარაგრაფი 4.2).

**ტურიზმის ინდუსტრია** - *ტურიზმის ინდუსტრია* შედგება ყველა დაწესებულებისგან, რომლის *ძირითადი აქტივობა არის ტურიზმთან ასოცირებული*. ტერმინი *ტურიზმის ინდუსტრია ეკვივალენტურია* ტურიზმთან *ასოცირებული აქტივობებისა* და ეს ორი ტერმინი ზოგჯერ სინონიმად გამოიყენება (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008-ში.

**ტურიზმის სატელიტური ანგარიში** - *ტურიზმის სატელიტური ანგარიში* არის ტურიზმის სტატისტიკის მეორე საერთაშორისო სტანდარტი, შემუშავებული იმისთვის, რომ წარმოადგინოს ტურიზმთან დაკავშირებული ეკონომიკური მონაცემები, რომლებიც ყოველმხრივ ჯდება სტატისტიკური სისტემის დანარჩენი ნაწილის ჩარჩოებში, ეროვნული ანგარიშების სისტემასთან მათი კავშირის გათვალისწინებით. იგი წარმოადგენს ტურიზმის სტატისტიკის მოწესრიგების საფუძველს.

**ტურისტული მგზავრობა** - *ვიზიტორების* მიერ განხორციელებული მგზავრობა არის *ტურისტული მგზავრობა.* (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 2.29).

**ტურისტი (ღამისთევით ვიზიტორი)** - ვიზიტორი (შიდა, შემომყვანი და გამყვანი) მიეკუთვნება *ტურისტის (ღამისთევით ვიზიტორის)* კატეგორიას, თუ მისი მოგზაურობა მოიცავს ღამისთევას, სხვა შემთხვევაში იგი ითვლება ერთდღიან ვიზიტორად (ან ექსკურსანტად) (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008 პარაგრაფი 2.13).

**მოგზაურობა/მოგზაური** - *მოგზაურობა* უკავშირდება *მოგზაურებს აქტივობას. მოგზაური* არის ნებისმიერი პიროვნება, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილებს შორის, ნებისმიერი მიზნითა და ხანგრძლივობით (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 2.4).

**მოგზაურთა ჯგუფი** - *მოგზაურთა ჯგუფს* შედგება მოგზაურობაში ერთად მყოფი ინდივიდების ან მოგზაური ნაკადებისგან. მაგალითად, საგზურით მიმავალი ჯგუფები ან საზაფხულო ბანაკის მონაწილე ახალგაზრდები. (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 3.5).

**მოგზაურობის კომპონენტი (საგადამხდელო ბალანსში)** - არის საქონლისა და მომსახურების ანგარიშის კომპონენტი საგადამხდელო ბალანსში: სამოგზაურო კრედიტები მოიცავენ არარეზიდენტების მიერ, ეკონომიკის ვიზიტის დროს, საკუთარი მოხმარებისთვის ან გასაცემად გათვალისწინებულ საქონელსა და მომსახურეობას. სამოგზაურო დებეტები მოიცავენ რეზიდენტების მიერ, სხვა ეკონომიკებში მიღებულ საქონელსა და მომსახურეობას, რომლებიც განკუთვნილია საკუთარი მოხმარებისთვის ან გასაცემად. (BPM6, პარაგრაფი 10.86).

**მოგზაურთა ნაკადები** - *მოგზაურთა ნაკადი* განისაზღვრება, როგორც ვიზიტორები, რომლებიც ერთად მოგზაურობენ და რომელთა დანახარჯები ერთად არის შეკრებილი (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი3.2).

**ჩვეული გარემო** — პიროვნების *ჩვეული გარემო, არის ტურიზმის* მთავარი კონცეფცია და განისაზღვრება, როგორც გეოგრაფიული არეალი (არ არის აუცილებელი



რომ იყოს მომიჯნავე არეალი), რომლის ფარგლებშიც პიროვნება ახორციელებს რეგურალურ, რუტინულ ცხოვრებას (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 2.21).

**ჩვეული საცხოვრებელი** — *ჩვეული საცხოვრებელი* ადგილი არის გეოგრაფიული ტერიტორია, სადაც მოცემული პირი რეგულარულადცხოვრობს. (გაეროს მოსახლეობის და შინამეურნეობის აღწერის პრინციპები და რეკომენდაციები. პარაგრაფები 2.16-2.18).

**დასასვენებელი სახლი** —*დასასვენებელი სახლი* არის მეორადი საცხოვრებელი, რომელსაც შინამეურნეობის წევრები ეწვევიან სარეკრეაციო, დასვენების ან ნებისმიერი სხვა ფორმით დროის გასატარებლად (TS 2008, პარაგრაფი 2.27)

**ძვირფასეულობა**—*ძვირფასეულობა* წარმოადგენს მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე საქონლის წარმოებას, რომლის მთავარი დანიშნულება წარმოება ან მოხმარება არ არის, მაგრამ დროთა განმავლობაში ინახება ძვირფასეულობის მაღაზიებში (SNA 2008, პარაგრაფი 10.20).

**ვიზიტი** — მგზავრობა შედგება სხვადასხვა ადგილებში განხორციელებული ვიზიტებისგან. ტერმინი “ტურისტული ვიზიტი” განისაზღვრება, როგორც *ტურისტული მგზავრობის* დროს მონახულებულ ადგილას გაჩერება (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 2.7 და 2.33).

**ვიზიტორი** —ვიზიტორი არის მოგზაური, რომელიც მგზავრობს მთავარი დანიშნულების ადგილისკენ ჩვეული გარემოს გარეთ, ერთ წელზე ნაკლები დროით, ნებისმიერი მთავარი მიზნით (ბიზნესი, დასვენება, ან სხვა პირადი მიზანი) გარდა დანიშნულების ქვეყანაში ან დანიშნულების ადგილზე არსებულ დაწესებულებაში დასაქმებისა. (საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის (IRTS) 2008, პარაგრაფი 2.9).

# დანართი 1
# ძირითადი განსხვავებები 2008 წლის ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციებსა და ტურიზმის სტატისტიკის 1993 წლის რეკომენდაციებს შორის

**თემები 1993 ტურიზმის სტატისტიკის რეკომენდაციები RTS ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები IRTS 2008**

| | | |
|---|---|---|
| 1. ტურისტული მგზავრობებისა და ვიზიტებისათვის განმარტებების შემოღება | მგზავრობები და ვიზიტები განსაზღვრული არ არის | მგზავრობა შედგება სხვადასხვა ადგილებში განხორციელებული ვიზიტებისგან. ტერმინი “ტურისტული ვიზიტი” ეხება ტურისტული მგზავრობის დროს ჩასულ ადგილზე დარჩენას. არ არის აუცილებელი ეს დარჩენა ღამისთევით იყოს იმისათვის, რომ დაერქვას ტურისტული ვიზიტი. მიუხედავად ამისა, ცნება ‘დარჩენა’ გულისხმობს რომ ეს გაჩერებაა. გეოგრაფიულ არეალში შესვლა გაჩერების გარეშე არ ითვლება ვიზიტად. |
| 2. ვიზიტორთა ახალი განმარტება: განმარტება გამორიცხვასთან დაკავშირებით. | „ვიზიტორი“ არის ის პირი ვინც 12 თვეზე ნაკლები დროის მანძილზე მოგზაურობს ისეთი ადგილისკენ, რომელიც არ წარმოადგენს მის ჩვეულ გარემოს, და მისი მთავარი მიზანი არ არის ანაზღაურებადი საქმიანობა ჩასულ ადგილას. (პარაგრაფები 2.9, 2.42 და 2.49). | ტურისტული მოგზაურობა არის მოგზაურის ერთ წელიწადზე ნაკლებ დროით გამგზავრება დანიშნულების ადგილამდე, რომელიც არ წარმოადგენს მის ჩვეულ გარემოს, ნებისმიერი მიზნით (ბიზნესი, დასვენება ან სხვა პირადი მიზანი), გარდა მოცემულ ტერიტორიაზე დასაქმებისა. მოგზაურს, რომელიც ტურისტულ მოგზაურობაში მიდის, ეწოდება ვიზიტორი. |
| 3. მოგზაურთა ნაკადი/ჯგუფი. | ნახსენები არ არის. | ახალი დაკვირვებების ერთეული/ერთეულები |
| 4. დასასვენებელი სახლების გამორიცხვა ჩვეული გარემოდან. | ნახსენები არ არის. | დასასვენებელი სახლები გამორიცხულია ჩვეული გარემოდან. |
| 5. ვიზიტორთა მოცუ-ლობის გადახედვა: ყველა ტრანზიტული ვიზიტორის გათვალისწინება. | არ შედის ზოგიერთი ტრანზიტული ვიზიტორი, ის მგზავრები, ვინც უშუალოდ გადაადგილდება აეროპორტებსა და ტერმინალებს შორის. | მხოლოდ ისინი არიან გამორიცხულნი, ვინც არ შედის იურიდიულ და ეკონომიკურ ტერიტორიაზე. |
| 6. ტურიზმის სხვადასხვა ფორმის განმარტების ფორმულირების მოდიფიკაცია | მოცემულ ქვეყანასთან დაკავშირებით, ტურიზმის შემდეგი ფორმები შეიძლება გამოირჩეს:<br>(ა) შიდა ტურიზმი, რომელიც მოიცავს მხოლოდ ქვეყნის ფარგლებში მოგზაურ რეზიდენტებს;<br>(ბ) შემომყვანი ტურიზმი, რომელიც მოიცავს არარეზიდენტებს, ვინც მოცემულ ქვეყანაში მოგზაურობს;<br>(გ) გამყვანი ტურიზმი, რომელიც მოიცავს რეზიდენტებს, ჩასულს სხვა ქვეყანაში. | მხოლოდ ისინი არიან გამორიცხულნი, ვინც არ მოცემულ ქვეყანასთან დაკავშირებით, რეკმენდირებულია ტურიზმის სამი ძირითადი ფორმის გამოყოფა:<br>(ა) შიდა ტურიზმი, რომელიც შედგება რეზიდენტი ვიზიტორის აქტივობებისგან მოცემული ქვეყნის ფარგლებში როგორც შიდა ან გამყვანი ტურისტული მგზავრობის ნაწილი.<br>(ბ) შემომყვანი ტურიზმი, რომელიც შედგება არარეზიდენტი ვიზიტორის საქმიანობისაგან მოცემული ქვეყნის შიგნით, შემომყვანი ტურისტული მგზავრობის დროს;<br>(გ) გამყვანი<br>ტურიზმი, რომელიც შედგება რეზიდენტი ვიზიტორის საქმიანობისაგან მოცემული ქვეყნის გარეთ, როგორც გამყვანი ან შიდა ტურისტული მგზავრობის ნაწილი.<br>შედის იურიდიულ და ეკონომიკურ ტერიტორიაზე. |



**თემები 1993 ტურიზმის სტატისტიკის რეკომენდაციები RTS 2008 ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები IRTS**

| | | |
|---|---|---|
| 7. ტურიზმთან დაკავშირებული ვისიტის მიზნების კლასიფიკაციის გადახედვა | ტურისტული ვიზიტის კლასიფიკაცია მიზნების შესაბამისად:<br>1. გართობა, რეკრეაცია და დასვენება;<br>2. მეგობრების და ნათესავების მონახულება;<br>3. ბიზნესი და პროფესიული საქმიანობა;<br>4. მკურნალობა;<br>5. რელიგია/მომლოცველობა;<br>6. სხვა. | ტურისტული მოგზაურობის კლასიფიკაცია მთავარი მიზნების შესაბამისად:<br>1. პირადი<br>1.1. გართობა, რეკრეაცია და დასვენება;<br>1.2. მეგობრების და ნათესავების მონახულება;<br>1.3. განათლება და ტრენინგი<br>1.4. ჯანმრთელობა და სამედიცინო მკურნალობა<br>1.5. რელიგია/მომლოცველობა;<br>1.6. შოპინგი;<br>1.7. ტრანზიტი;<br>1.8. სხვა;<br>2. ბიზნეს და პროფესიული მიზნები; |
| 8. განთავსების კატეგორიების კლასიფიკაციის გადახედვა. | 1. **კოლექტიური ტურიზმის დაწესებულებები;**<br>1.1. *სასტუმროები და მსგავსი დაწესებულებები;*<br>1.1.1. სასტუმროები<br>1.1.2. მსგავსი დაწესებულებები;<br>1.2. *სპეციალიზებული დაწესებულებები;*<br>1.2.1. ჯანმრთელობის დაწესებულებები;<br>1.2.2. სამუშაო და დასასვენებელი ბანაკები;<br>1.2.3. საზოგადოებრივი ტრანსპორტი;<br>1.2.4. საკონფერენციო ცენტრები;<br>1.3. *სხვა კოლექტიური დაწესებულებები;*<br>1.3.1. დასასვენებელი საცხოვრებლები;<br>1.3.2. ტურისტული ბანაკები;<br>1.3.3. სხვა კოლექტიური დაწესებულებები<br>2. **კერძო ტურისტული განთავსება**<br>2.1. *კერძო ტურისტული განთავსება*<br>2.1.1. კუთვნილი საცხოვრებელი<br>2.1.2. ოთახების დაქირავება საოჯახო სახლებში;<br>2.1.3. საცხოვრებლების დაქირავება კერძო პირებისგან ან პროფესიული სააგენტოებიდან;<br>2.1.4. უფასო განთავსება ნათესავებთან ან მეგობრებთან;<br>2.1.5. სხვა კერძო განთავსება | აქტივობებისა და პროდუქტების ახლადშეცვლი-ლი საერთაშორისო კლასიფიკაციის გამო, (ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაცია (ISIC), ცვლილება 4 და ცენტრალური პროდუქტის კლასიფიკაცია CPC, ვერსია 2), რომელიც ახლა წარმოადგენს ტურიზმთანს ასოცირებული საქმიანობისა და პროდუქტების ჩამონათვალის საფუძველს, ვიზიტორთა განთავსების მომსახურეობების გასაანალიზებლად, (იხილეთ დანართები 3 და 4), გადასახედია ტურისტული განთავსების სტანდარტული კლასიფიკაცია 1993 რეკომენდაციებში. საერთაშორისო კონსულტაციის პროცესი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ეროვნული სტატისტიკის ოფისები, ეროვნული ტურიზმის ხელმძღვანელობა და საერთაშორისო ორგანიზაციები, დაიწყება როგორც კი მოხდება შეთანხმება და შეჯამდება „ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაციის (ISIC) (ცვლილება 4) და ცენტრალური პროდუქტის კლასიფიკაციის (CPC) (ვერსია 2) თანდართული სახელმძღვანელო. |
| 9. პროდუქტების და პროდუქტიულ საქმიანობასთან დაკავშირებული კატეგორიების კლასიფიკაციის გადახედვა. | პროდუქტების კლასიფიკაცია არ არის. ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაციიდან (ISIC), განსაზღვრული ტურისტული საქმიანობის სტანდარტული საერთაშორისო კლასიფიკაცია (SICTA), სადაც გამოიყენება 4-ციფრიანი ISIC-ის (ცვლილება 3) ქვეკლასიფიკაცია, კარგავს კავშირს ვიზიტორების მოხმარებასთან. | ტურიზმთან ასოცირებული და ტურიზმთან დაკავშირებული პროდუქტები განისაზღვრება ცენტრალური პროდუქტის კლასიფიკაციის (CPC) (ცვლილება 2) 5-ნიშნა კატეგორიით, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან; მათში შეიძლება შედიოდეს საქონელიც; მჭიდრო კავშირი ვიზიტორთა შენაძენებთან.<br>დაწესებულებები, რომელთა ძირითადი საქმიანობა ტურიზმთან ასოცირებულია (ტურიზმის ინდისტრიებში) განისაზღვრება 4 ციფრიანი ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაციის (ISIC) (ცვლილება 4) მიხედვით, რომელსაც ისინი მიეკუთვნება; საქონლის წარმოება არ შედის, მხოლოდ მათი საცალო ვაჭრობა, რადგან ტურიზმის სექტორები პირდაპირ უნდა ემსახურებოდეს ვიზიტორებს. |

| თემები | 1993 ტურიზმის სტატისტიკის რეკომენდაციები RTS | ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები IRTS 2008 |
|---|---|---|
| 10. ტურისტული დანახარჯების და ტურისტული მოხმარების განსაზღვრებების გადახედვა | ტურისტული მოხმარება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ეხება საწარმოების შუალედურ მოხმარებას, შესაბამებისობაში იქნება ეროვნული სისტემის კონცეფციასთან “საბოლოო მოხმარების” შესახებ, მიუხედავად მომხმარებელთა კატეგორიისა.<br>ამგვარად, ტურისტული დანახარჯები განისაზღვრება, როგორც “ვიზიტორის მიერ ან ვიზიტორის მაგივრად გაწეული საერთო მოხმარების დანახარჯი მისი მოგზაურობის და დანიშნულების ადგილას დარჩენის დროს”.<br>ტურისტული მოხმარება და ტურისტული დანახარჯები სინონიმებად მიიჩნევა. | *ტურისტული დანახარჯები წარმოადგენს* სამომხმარებლო საგნების და მომსახურების და აგრეთვე, ფასეულობის შესაძენად, საკუთარი მოხმარებისათვის ან გასაცემად გადახდილ თანხას. იგი მოიცავს ვიზიტორების მიერ გაწეულ დანახარჯებს ისევე, როგორც დანახარჯებს, რომლებიც გადახდილია ან ანაზღაურებულია სხვების მიერ.<br>მასში არ შედის გარკვეული კომპონენტების მიღება, როგორიცაა სოციალური არამონეტარული ტრასფერები ვიზიტორების სასარგებლოდ, მომსახურება დასასვენებელ სახლებში და ფინანსური შუამავლობის მომსახურეობა, რომელიც დაანგარიშებულია არაპირდაპირ (არაპირდაპირ დაანგარიშებული ფინანსური შუამავლობის მომსახურეობა (FI-SIM)). ზემოთ ჩამოთვლილი უფრო შედის ტურიზმის სატელიტურ ანგარიშების ტურისტული მოხმარების ინკლუზიურ კონცეფციაში. სხვა კატეგორიის გამონაკლისები ამ მუხლის 4.6 და 4.7 პარაგრაფებშია ნახსენები. |
| 11. ვიზიტორების მიერ განხორციელებუ-ლი გადახდების ურთიერთკავშირის კლასიფიკაცია | ორაზროვანი ფორმულირება გადასახადების პირობების, დანახარჯების, სავალუტო ქვითრების და უცხოური ვალუტის დანახარჯების გამოყენების თვალსაზრისით. | ტურისტული დანახარჯები ეფუძნება შეძენის პრინციპს. |
| 12. მომხმარებელთა საყოფაცხოვრებო ნივთების და ძვირფასე-ულობის მოვლა. | არ შედის. | შედის ტურისტულ დანახარჯებში, თუ შეძენილია მოგზაურობის დროს. |
| 13. ტურისტული დანახარჯების (ტურისტული მოხმარება) კატეგორიებსა და ტურიზმის ფორმებს შორის ურთიერთობის განსაზღვრა | განსაზღვრული არ არის | 2.39 პარაგრაფში განსაზღვრული ტურიზმის სამი ფორმის სიმეტრიულად, ჩატარებული ტრანზაქციის რეზიდენტობის ქვეყნის შესაბამისად, შეიძლება განისაზღვროს ტურიზმის დანახარჯების შემდეგი სამი კატეგორია:<br>(ა) შიდა ტურისტული დანახარჯები არის ტურისტული დანახარჯები მოცემულ ეკონომიკაში რეზიდენტის ვიზიტის დროს;<br>(ბ) შემომყვანი ტურისტული დანახარჯები არის არარეზიდენტი ვიზიტორის ტურისტული დანახარჯები მოცემულ ეკონომიკაში;<br>(გ) გამყვანი ტურისტული დანახარჯები არის რეზიდენტი ვიზიტორის ტურისტული დანახარჯები მოცემული ეკონომიკის გარეთ. |
| 14. დასაქმება ტურიზმის სექტორში | ნახსენები არ არის. | სპეციალური მე-7 თავი |
| 15. საგადამხდელო | ნახსენები არ არის. | სპეციალური ნაწილი მე-8 თავში |
| 16. მინიშნება უფრო ფართო მასშტაბზე: ტურიზმის სატელიტურ ანგარიშებზე, ადგილობრივ სტატისტიკაზე, ტურიზმსა და მდგრადობაზე. | ნახსენები არ არის. | სპეციალური ნაწილი მე-8 თავში |

# დანართი 2
# სამომხმარებლო პროდუქტები, რომლებიც მიზნობრივად არის დაჯგუფებული საერთაშორისოდ შესადარებელ ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტებისთვის 20 მინიჭებული კატეგორიის შესაბამისად

(პროდუქტები იდენტიფიცირებულია, როგორც ცენტრალური პროდუქტის კლასიფიკაციის (CPC) მე-2 ვერსიაში და მათი შესაბამისობით „ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაციის (ISIC) მე-4 ცვლილებასთან, ძირითადი მრეწველობიდან გამომდინარე, რომელსაც იგი მიეკუთვნება)

*[20] ამით ჯგუფები რვა კატეგორიად იყოფა, ინდივიდუალური მიზნობრივი მოხმარების კლასიფიკაციის (COICOP) (იხილეთ პარაგრაფი 4.26) შესაბამისად, რაც წარმოადგენს მოხმარების პროდუქტების მუდმივ კავშირს. თუკი არ არის „x"-ით აღნიშული, პროდუქტი არ შედის ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტების საერთაშორისოდ შესადარებელ კატეგორიაში, მაგრამ შეესაბამება ნებისმიერ სხვა ტიპოლოგიას (იხილეთ 5.16 პარაგრაფი). შედეგად, მისთვის კატეგორიის მინიჭება ქვეყნის შესაბამისად ხდება.*

| CPC მე- 2 ვერსია ქვეკლასი | განმარტება | კატეგორიის მინიჭება (1) | შესაბამისი აქტივობა ISIC მე-4 ცვლილება |
|---|---|---|---|
| | **სამგზავრო პაკეტი, დასასვენებელი პაკეტი და ტურისტული პაკეტი (ა)** | | |
| 64122 | კრუიზში მყოფი მგზავრების მომსახურება შიდა წყლის ტრანსპორტით | X | 5021 |
| 64232 | კრუიზში მყოფი მზავრების მომსახურება ზღვისპირა და ოკეანეთა შორისი ტრანსპორტით | X | 5011 |
| 85524 | ტურისტული პაკეტების დაჯავშნის მომსახურება | X | 7911 |
| 85540 | ტუროპერატორის მომსახურება | X | 7912 |
| 85523 | დაჯავშნის მომსახურება კრუიზებისათვის | X | 7911 |
| | **განთავსება** | | |
| 63111 | ვიზიტორების ოთახით ან განთავსების საშუალებებით მომსახურება, ყოველდღიური დალაგებით. | X | 5510 |
| 63112 | ვიზიტორებისათვის ოთახით ან განთავსების საშუალებებით მომსახურება ყოველდღიური დალაგების გარეშე. | X | 5510 |
| 63113 | ვიზიტორების მომსახურეობა ოთახით ან განთავსების საშუალებებით „თაიმშერი"-ის საკუთრებაში | X | 5510 |
| 63114 | განთავსების სერვისი ვიზიტორებისათვის მრავალადგილიან ოთახებში | X | 5510 |
| 63120 | საკემპინგე მომსახურება | X | 5520 |
| 63130 | რეკრეაციული და დასასვენებელი საკემპინგე მომსახურება | X | 5590 |
| 63210 | ოთახით ან განთავსების საშუალებებით მომსახურება სტუდენტებისათვის, სტუდენტურ საცხოვრებლებში | X | 5590 |
| 63290 | სხვა მომსახურება ოთახით ან განთავსების საშუალებებით (კლასიფიცირებული არ არის) | X | 5590 |
| 72123 | „თაიმშერი" საკუთრების სავაჭრო მომსახურება | X | 6810 |
| 72211 | საცხოვრებელი ქონების მართვის მომსახურებები გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე, გარდა „თაიმშერი" საკუთრებებისა (ბ) | X | 6820 |
| 72213 | „თაიმშერი" საკუთრების მართვის მომსახურება გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე | X | 6820 |
| 72221 | საცხოვრებელი სახლის გაყიდვები გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე, გარდა „თაიმშერი" საკუთრებისა (ბ) | | 6820 |
| 72223 | „თაიმშერი" საკუთრების გაყიდვა გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე | | 6820 |



| CPC მე-2 ვერსია ქვეკლასი | აღწერა | კატეგორიის მინიჭება (1) | შესაბამისი აქტივობა ISIC მე-4 ცვლილება |
|---|---|---|---|
| 85521 | დაჯავშნის მომსახურება განთავსებისთვის (ბ) | X | 7911 |
| 85522 | „თაიმშერი" საკუთრების გაცვლის მომსახურება | X | 7990 |
| | **საკვები და სასმელი** | | |
| 63310 | საკვების მიტანის მომსახურება სრული სარესტორნო სერვისით | X | 5610 |
| 63320 | საკვების მიტანის სერვისი შეზღუდული მომსახურებით | X | 5610 |
| 63399 | საკვების მიტანის სხვა მომსახურება | X | 5610 |
| 63400 | სასმელის მიტანის მომსახურება | X | 5630 |
| | **ადგილობრივი და საერთაშორისო ტრანსპორტი (დ)** | | |
| 64111 | მგზავრების რკინიგზით მომსახურება ქალაქსა და გარეუბანში | | 4921 |
| 64112 | მგზავრებისათვის რეგულარული საგზაო ტრანსპორტით მომსახურება ქალაქსა და გარეუბანში | | 4921 |
| 64113 | ქალაქსა და გარეუბანში მგზავრების მომსახურება შერეული ტრანსპორტით | | 4921 |
| 64114 | მგზავრების საგზაო ტრანსპორტით მომსახურება ქალაქსა და გარეუბანში სპეცილურად დანიშნული ადგილობრივი განრიგით | | 4922 |
| 64115 | ტაქსებით მომსახურება | X | 4922 |
| 64116 | მძღოლიანი სამგზავრო მანქანების დაქირავების სერვისი | X | 4922 |
| 64117 | მგზავრების მომსახურება საგზაო ტრანსპორტით ადამიანის ან ცხოველის მიერ გადაზიდული მანქანებით | X | 4922 |
| 64118 | მომსახურება დაუგეგმავი ადგილობრივი ავტობუსით ან ტურისტული ავტობუსით | X | 4922 |
| 64119 | მგზავრების მომსახურება სხვა სახმელეთო ტრანსპორტით, კლასიფიცირებული არ არის | X | 4922 |
| 64121 | მგზავრების მომსახურება შიდა წყის ტრანსპორტით, ბორნებით | X | 5021 |
| 64129 | მგზავრების მომსახურება სხვა შიდა წყლის ტრანსპორტით | X | 5021 |
| 64131 | ღირსშესანიშნაობების მოსანახულებლად რკინიგზით გაწეული მომსახურეობა | X | 4911 |
| 64132 | ღირსშესანიშნაობების მოსანახულებლად ხმელეთით გაწეული მომსახურება, რკინიგზის გარდა | X | 4922 |
| 64133 | ღირსშესანიშნაობების მოსანახულებლად წყალის ტრანსპორტით გაწეული მომსახურება | X | 5011, 5021 |
| 64134 | ღირსშესანიშნაობების მოსანახულებლად საჰაერო ტრანსპორტით გაწეული მომსახურება | X | 5110 |
| 64210 | მგზავრების ქალაქთშორისი მომსახურება რკინიგზით | X | 4911 |
| 64221 | მგზავრების ქალაქთშორისი მომსახურება რეგულარული საგზაო ტრანსპორტით | X | 4922 |
| 64222 | მგზავრების ქალაქთშორისი მომსახურება სპეციალური განრიგით მომუშავე საგზაო ტრანსპორტით | X | 4922 |
| 64223 | მომსახურება ავტობუსით ან ტურისტული ავტობუსით | X | 4922 |
| 64231 | მგზავრების მომსახურება სანაპირო და ოკეანეთ შორისი წყლების ტრანსპორტით - ბორნებით | X | 5011 |
| 64239 | მგზავრების მომსახურება სანაპირო და ოკეანეთ შორისი წყლების სხვა ტრანსპორტით | X | 5011 |
| 64241 | მგზავრების მომსახურება ადგილობრივი საჰაერო ტრანსპორტით | X | 5110 |
| 64242 | მგზავრების ადგილობრივი დაუგეგმავი საჰაერო ტრანსპორტით მომსახურება | X | 5110 |
| 64243 | მგზავრების მომსახურება საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტით გრაფიკის შესაბამისად | X | 5110 |

| CPC მე-2 ვერსია ქვეკლასი | აღწერა | კატეგორიის მინიჭება (1) | შესაბამისი აქტივობა ISIC მე-4 ცვლილება |
|---|---|---|---|
| 64250 | მგზავრების მომსახურება კოსმოსური ტრანსპორტით | X | 5110 |
| 66011 | ავტობუსების და ტურისტული ავტობუსების მომსახურება მემანქანესთან ერთად | X | 4922 |
| 66021 | სანაპირო და ოკეანეთ შორისი ხომალდის ქირაობის მომსახურება მგზავრებისათვის ოპერატორთან ერთად | | 5011 |
| 66022 | სანაპირო და ოკეანეთ შორისი სატვირთო გემებისთვის დაქირავების მომსახურება წყლის ტრანსპორტით, ოპერატორთან ერთად | | 5012 |
| 66031 | სამგზავრო თვითმფრინავის დაქირავების მომსახურება ოპერატორთან ერთად | | 5110 |
| 67190 | სხვა სატვირთო და ბარგის გატარების მომსახურება | | 5224 |
| 67390 | სხვა დამხმარე მომსახურება სარკინიგზო ტრანსპორტისთვის | | 5221 |
| 67410 | ავტობუსების სადგურის მომსახურება | | 5221 |
| 67420 | გზატკეცილების, ხიდების და გვირაბების მომსახურება | | 5221 |
| 67430 | ავტოსადგომის მომსახურეობა | | 5221 |
| 67440 | კომერციული და პირადი ავტომობილების ბუქსირების მომსახურება | | 5221 |
| 67511 | პორტების და საწყლოსნო ოპერაციების მომსახურება (ტვირთის განკარგვის გარდა) სანაპირო და ოკეანეთაშორის წყლებში | | 5222 |
| 67512 | შიდა წყლების მართვის მომსახურება (ტვირთის განკარგვის გარდა) | | 5222 |
| 67521 | საბოცმანო და სანავმისადგომო მომსახურება სანაპირო და ოკეანეთშორის წყლებში | | 5222 |
| 67522 | საბოცმანო და სანავმისადგომო მომსახურება შიდა წყლებში | | 5222 |
| 67531 | სამაშველო და ჩაძირული გემის ამოყვანის მომსახურება სანაპირო და ოკეანეთშორის წყლებში | | 5222 |
| 67532 | სამაშველო და ჩაძირული გემის ამოყვანის მომსახურება შიდა წყლები | | 5222 |
| 67610 | აეროპორტის ფუნქციონირების მომსახურეობა (ტვირთის განკარგვის გარდა) | | 5223 |
| 67620 | საჰაერო მოძრაობის მართვის მომსახურება | | 5223 |
| 67630 | სხვა დამხმარე მომსახურებები საჰაერო ტრანსპორტის სფეროში | | 5223 |
| 73111 | ლიზინგი ან ქირაობის მომსახურება დაკავშირებული მანქანებთან და ფურგონებთან, მძღოლის გარეშე | X | 7710 |
| 73114 | ლიზინგი ან ქირაობის მომსახურება დაკავშირებული სხვა სახმელეთო სატრანსპორტო აღჭურვილობასთან მძღოლის გარეშე | | 7730 |
| 73115 | ლიზინგი ან ქირაობის მომსახურება დაკავშირებული ხომალდებთან ოპერატორის გარეშე | | 7730 |
| 73116 | ლიზინგი ან ქირაობის მომსახურება დაკავშირებული თვითმფრინავთან, ოპერატორის გარეშე | | 7730 |
| 85511 | საჰაერო ტრანსპორტის დაჯავშნის მომსახურება | X | 7911 |
| 85512 | სარკინიგზო მომსახურების დაჯავშნა | X | 7990 |
| 85513 | ავტობუსით ტრანსპორტირების დაჯავშნის მომსახურება | X | 7990 |
| 85514 | დაჯავშნის მომსახურეობა ავტომობილების დასაქირავებლად | X | 7990 |
| 85519 | სხვა სატრანსპორტო შეთანხმების და დაჯავშნის მომსახურება, კლასიფიცირებული არ არის | X | 7990 |
| 87141 | ავტომანქანების რემონტი და ტექნიკური მომსახურება | | 4520 |
| 87142 | მოტოციკლების რემონტი და ტექნიკური მომსახურება | | 4540 |
| 87143 | მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და სხვა ავტომობილების რემონტი და ტექნიკური მომსახურება, კლასიფიცირებული არ არის | | 4520 |
| 87149 | სხვა ტრანსპორტის აღჭურვილობის მოვლის და შეკეთების მომსახურება | | 3315 |



| | რეკრეაციული, კულტურული და სპორტული ღონისძიებები (ე) | | |
|---|---|---|---|
| 73240 | ლიზინგის ან დაქირავების მომსახურება, გართობის და დასვენების აღჭურვილობასთან დაკავშირებით | | 7721 |
| 85539 | დაჯავშნის მომსახურება ღონისძიებების ბილეთებისთვის, გასართობი და რეკრეაციული მომსახურებებისთვის და სხვა დაჯავშნის მომსახურება | X | 7990 |
| 85550 | ტურისტული გზამკვლევის მომსახურება | X | 7990 |
| CPC მე-2 ქვეკლასი | აღწერა | კატეგორიის მინიჭება (1) | შესაბამისი აქტივობა ISIC მე-4 ცვლილება |
| 85562 | საინფორმაციო მომსახურება ვიზიტორთათვის | X | 7990 |
| 96150 | ფილმების გაშვების მომსახურება | | 5914 |
| 96220 | საშემსრულებლო ხელოვნების ღონისძიების წარმოება და პრეზენტაცია მომსახურება | X | 9000 |
| 96310 | შემსრულებელი მსახიობების მომსახურება | X | 9000 |
| 96411 | სამუზეუმო მომსახურება გარდა ისტორიული ადგილებისა და შენობებისა | X | 9102 |
| 96412 | ისტორიული ადგილებისა და შენობების შენარჩუნების მომსახურება | X | 9102 |
| 96421 | ბოტანიკური და ზოოლოგიური ბაღების მომსახურება | X | 9103 |
| 96422 | ბუნებრივი ნაკრძალების მომსახურება, მათ შორის ცოცხალი ბუნების შენარჩუნება | X | 9103 |
| 96511 | სპორტის და რეკრეაციული სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის მომსახურება | | 9319 |
| 96512 | სპორტული კლუბების მომსახურება | | 9312 |
| 96520 | სპორტისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში მომსახურება | X | 9311 |
| 96590 | სპორტის და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სხვა მომსახურება | X | 9319 |
| 96620 | სპორტთან და რეკრიაციასთან დაკავშირებული სპორტული მომსახურება | | 9319 |
| 96910 | გასართობი პარკი და მსგავსი გასართობებით მომსახურება | X | 9321 |
| 96929 | სხვა აზარტულ თამაშები და ფსონებით მომსახურება | X | 9200 |
| 96930 | მონეტებზე მომუშავე გასართობი აპარატებით მომსახურება | X | 9329 |
| 96990 | სხვა დასვენების და გასართობი მომსახურება, რომელიც არ არის სხვაგან კლასიფიცირებული | X | 9329 |
| | **სავაჭრო საქმიანობა (ვ)** | | |
| ვიზიტორების მიერ შოპინგის დროს შეძენილი საქონელი | | | |
| | **სხვა** | | |
| 71134 | საკრედიტო ბარათის სესხის მომსახურება | | 6419, 6492 |
| 71331 | ავტომანქანების დაზღვევის მომსახურება | | 6512 |
| 71334 | სხვა ქონების დაზღვევის მომსახურება | | 6512 |
| 71337 | სამოგზაურო დაზღვევის მომსახურება | | 6512 |
| 71592 | სავალუტო მომსახურება | | 6612 |
| 73260 | ლიზინგი და დაქირავების მომსახურება დაკავშირებული ქსოვილებთან, ტანსაცმელთან და ფეხსაცმელთან | | 7729 |
| 73290 | ლიზინგი და დაქირავების მომსახურეობა დაკავშირებული სხვა საქონელთან, რომელიც კლასიფიცირებული არ არის | | 7729 |
| 83811 | ფოტო პორტრეტით მომსახურება | | 7420 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | **სხვა** | | |
| 83820 | ფოტო დამუშავების მომსახურება | | 7420 |
| 85954 | დოკუმენტის მომზადების და სხვა სპეციალიზებული ოფისის მხარდაჭერის მომსახურება | | 8219 |
| 85961 | შეთანხმებაში დახმარება და საორგანიზაციო მომსახურება | | 8230 |
| 85962 | სავაჭრო გამოფენაში დახმარება და საორგანიზაციო მომსახურება | | 8230 |
| 87290 | სხვა საქონლის შეკეთების და ტექნიკური მომსახურება, რომელიც კლასიფიცირებული არ არის. | | 3313, 9529 |
| 92330 | საშუალო განათლების ზოგადი მომსახურება | | 8521 |
| 92340 | საშუალო განათლების მომსახურება, ტექნიკური და პროფესიული | | 8522 |
| 92410 | პოსტ-საშუალო არასამთავრობო უმაღლესი განათლების მომსახურება, ზოგადი | | 8530 |
| 92420 | საშუალოს შემდგომ არასამთავრობო უმაღლესი განათლების მომსახურება, ტექნიკური და პროფესიული | | 8530 |
| **CPC მე-2 ვერსია ქვეკლასი** | **აღწერა** | **კატეგორიის მინიჭება (1)** | **შესაბამისი აქტივობა ISIC მე-4 ცვლილება** |
| 92510 | პირველი ეტაპის უმაღლესი განათლების მომსახურება | | 8530 |
| 92520 | მეორე ეტაპის უმაღლესი განათლების მომსახურება | | 8530 |
| 92911 | კულტურული განათლების მომსახურება | | |
| 92912 | სპორტის და რეკრეაციული განათლების მომსახურება | | |
| 92919 | სხვა განათლების და ტრენინგის მომსახურება, რომელიც კლასიფიცირებული არ არის | | |
| 92920 | განათლების ხელშეწყობის მომსახურება | | |
| 93111 | ქირურგიული სტაციონარული მომსახურება | | |
| 93112 | გინეკოლოგიური და სამეანო სტაციონარული მომსახურება | | |
| 93113 | ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება | | |
| 93119 | სხვა სტაციონარული მომსახურება | | |
| 93121 | ზოგადი სამედიცინო მომსახურება | | |
| 93122 | სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურება | | |
| 93123 | სტომატოლოგის მომსახურება | | |
| 93191 | მშობიარობა და მასთან დაკავშირებული მომსახურება | | |
| 93192 | საექთნო მომსახურება | | |
| 93193 | ფიზიოთერაპიული მომსახურება | | |
| 93194 | სასწრაფოთი მომსახურება | | |
| 93195 | სამედიცინო ლაბორატორიით მომსახურება | | |
| 93196 | დიაგნოსტიკური მომსახურება | | |
| 93199 | ადამიანთა ჯანმრთელობის სხვა მომსახურება, რომელიც კლასიფიცირებული არ არის | | |
| | სხვა დაუდგენელი მომსახურება | | |
| | სხვა გაურკვეველი საქონელი | | |



(ა) ასევე შედის პაკეტის კომპონენტების ღირებულება
(ბ) იგი მხოლოდ მიუთითებს დასვენებელ სახლებზე
(გ) იგი, ასევე, მოიცავს პირდაპირ შესყიდვას მოხმარებისთვის ან მოსამზადებლად,
(დ) იგი ასევე მოიცავს ისეთი საქონლის შეძენას როგორიცაა საწვავი, სათადარიგო ნაწილები და ა.შ.
(ე) იგი ასევე მოიცავს მიზნობრივ საქონელს, რომელიც გარკვეულ მიზანს უკავშირდება
(ვ) მოიცავს მხოლოდ ამ საქონელს: ხანგრძლივი მოხმარების ერთი მიზნისთვის განკუთვნილ სამომხმარებლო საგნებს, სუვენირებს, ხელნაკეთ ნივთებს, და სხვა ნებისმიერი საგანს, რომელიც პრინციპულად უკან უნდა ჩამოიტანონ სახლში.

## დანართი 3

# ტურიზმთან ასოცირებული აქტივობების ჩამონათვალი (ტურიზმის მრეწველობები) და ძირითადი კატეგორიების დაჯგუფება ეკონომიკური საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკაციის (ISIC) მე-4 ცვლილების მიხედვით

| ტურიზმის ინდუსტრია | ISIC მე-4 ცვლილება | აღწერა |
|---|---|---|
| 1. განთავსება ვიზიტორებისთვის | | |
| | 5510 | მოკლევადიანი განთავსების აქტივობები |
| | 5520 | კარავის ადგილები, რეკრეაციული მანქანების პარკები და მისაბმელების (ტრეილერების) პარკები |
| | 5590 | სხვა განთავსება |
| | 6810 | უძრავი ქონებით საქმიანობა, საკუთარი ან საიჯარო ქონებით* |
| | 6820 | უძრავი ქონებით საქმიანობა გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე * |
| 2. საკვებით და სასმელით უზრუნველყოფის მომსახურება | | |
| | 5610 | რესტორნები და მობილური კვების მომსახურების გაწევა |
| | 5629 | სხვა საკვებით მომსახურებით აქტივობა |
| | 5630 | სასმელით მომსახურებით აქტივობა |
| 3. სარკინიგზო მგზავრების ტრანსპორტი | | |
| | 4911 | სამგზავრო მატარებლების ქალაქთა შორისი ტრანსპორტი |
| 4. სახმელეთო მგზავრების ტრანსპორტი | | |
| | 4922 | სხვა სახმელეთო სამგზავრო ტრანსპორტი |
| 5. საწყალოსნო მგზავრების ტრანსპორტი | | |
| | 5011 | საზღვაო და სანაპირო სამგზავრო საწყალოსნო ტრანსპორტი |
| | 5021 | შიდა სამგზავრო საწყალოსნო ტრანსპორტი |
| 6. საჰაერო მგზავრების ტრანსპორტი | | |
| | 5110 | მგზავრთა საჰაერო ტრანსპორტი |
| 7. სატრანსპორტო აღჭურვილობის დაქირავება | | |
| | 7710 | ავტომობილების დაქირავება და ლიზინგი |
| 8. ტურისტული სააგენტოები და სხვა დაჯავშნის სამსახურის საქმიანობა | | |
| | 7911 | ტურისტული სააგენტოების საქმიანობა |
| | 7912 | ტუროპერატორის საქმიანობა |
| | 7990 | სხვა დაჯავშნის მომსახურეობა და დაკავშირებული საქმიანობა |
| 9. კულტურული აქტივობები | | |
| | 9000 | შემოქმედებითი, ხელოვნებისა და გასართობი აქტივობები |
| | 9102 | მუზეუმების საქმიანობა და ისტორიული ადგილებისა და ნაგებობების ექსპლუატაცია |
| | 9103 | ბოტანიკური და ზოოლოგიური ბაღების და ნაკრძალების საქმიანობა |
| 10. სპორტი და რეკრეაციული აქტივობები | | |
| | 7721 | გასართობი და სპორტული ინვენტარის ქირაობა და ლიზინგი |
| | 9200 | აქტივობები აზარტულ თამაშებთან და ფსონების დადებასთან დაკავშირებით |
| | 9311 | სპორტული ნაგებობების ექსპლოატაცია |
| | 9319 | სხვა სპორტული აქტივობები |
| | 9321 | აქტივობები გასართობ და თემატურ პარკებში |
| | 9329 | სხვა გასართობი და რეკრეაციული აქტივობები, რომელიც კლასიფიცირებული არ არის |
| 11. საცალო ვაჭრობა კონკრეტული ქვეყნის ტურიზმთან ასოცირებული საქონლით | | |
| | | მაღაზიები საბაჟო გადასახადების გარეშე** |
| | | სპეციალიზებული საცალო ვაჭრობა სუვენირებით** |
| | | ხელით შესრულებული საქონლით სპეციალიზებული საცალო ვაჭრობა** |
| | | სხვა სპეციალიზებული საცალო ვაჭრობა ტურიზმთან ასოცირებული საქონლით |
| 12. კონკრეტული ქვეყნის ტურიზმთან ასოცირებული სხვა აქტივობები | | |

* მეორე სახლებთან და „თაიმშერის“ საკუთრებასთან დაკავშირებული ნაწილი

** გარდა 4-ციფრიანი „ყველა ეკონომიკური აქტივობის საერთაშორისო სტანდარტული ინდუსტრიული კლასიფიკაციისა (ISIC)“



## განმარტებითი შენიშვნები

ეს განმარტებები ეხება, მხოლოდ, საერთაშორისოდ შედარებადი ტურიზმთან ასოცირებულ აქტივობებს და იგივე თანმიმდევრობას მიყვება, როგორც ზემოთმოცემული დანართი 3.
ისინი მოპოვებულია ცენტრალური პროდუქტის კლასიფიკაციიდან (CPC) ვერსია2.

დასრულებული დოკუმენტის შესახებ კონსულტაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: http://unstats.un.org/unsd/cr/registry/docs/ CPCv2_explanatory_notes.pdf

### ვიზიტორების განთავსება

**5510 საქმიანობა მოკლევადიანი განთავსების სფეროში**

ეს კატეგორია მოიცავს ხანმოკლე ვიზიტით ჩამოსული ვიზიტორების უზრუნველყოფას განთავსებით, ჩვეულებრივ, ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად. იგი ითვალისწინებს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ოთახებით და ლუქსებით უზრუნველყოფას ან სრული თვითმმომარაგებისთვის გათვლილ ოთახებს სამზარეულოთი, დალაგების ყოველდღიური (ან სხვა განრიგით) სერვისით ან მის გარეშე. ასევე ხშირად მოიცავს მთელ რიგ დამატებით მომსახურებას: საკვებით და სასმელით, ავტოსადგომით, სამრეცხაოთი, საცურაო აუზებით, სავარჯიშო ოთახებით, რეკრეაციული ობიექტებით და საკონფერენციო და შეხვედრების ოთახებით.

*ეს კატეგორია მოიცავს* მოკლევადიან განთავსებას, რომელსაც უზრუნველყოფენ:

— სასტუმროები;

— საკურორტო სასტუმროები;

— ლუქსები/სასტუმროები აპარტამენტებით;

— ავტოპანსიონატები (მოტელები);

— მობილური სასტუმროები;

— სასტუმროს ტიპის სახლები;

— პანსიონატები;

— განთავსების ერთეულები საწოლით და საუზმით;

— ბინები და ბუნგალოები ვიზიტორებისთვის;

— „თაიმშერი“ საშუალებები;

— დასასვენებელი სახლები;

— ხის სახლები, შინამეურნეობის კოტეჯები და კაბინები;

— ახალგაზრდული ჰოსტელები და მთის თავშესაფრები.

*ეს კატეგორია არ მოიცავს:*

— სახლებით ან კეთილმოწყობილი ბინებით უზრუნველყოფას (ჩვეულებრივ, ყოველთვიურად ან ყოველწლიურად) ან ბინებს ავეჯის გარეშე უფრო მუდმივი გამოყენებისთვის, იხილეთ ნაწილი 68.

**5520 საკემპინგე ტერიტორია, პარკები რეკრეაციული მანქანებისთვის და ტრეილერების პარკები**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— განთავსების უზრუნველყოფას საკემპინგო ტერიტორიაზე, ტრეილერების პარკებში,
გასართობ ბანაკებში და სათევზაო და სანადირო ბანაკებში; ხანმოკლე დროით ჩამოსული ვიზიტორებისთვის;
— სივრცის და აღჭურვილობის უზრუნველყოფას რეკრეაციული მანქანებისთვის.
*ეს კატეგორია, ასევე, მოიცავს* განთავსებას, უზრუნველყოფილს:
— დამცავი გადახურვების ქვეშ ან ჩვეულებრივ კარვების მოსათავსებელ ტერიტორიებზე და/ან საძილე ტომრებში.

**5590 სხვა განთავსება**

*ეს კატეგორია მოიცავს დროებით* ან გრძელვადიან განთავსებას ცალკე ან საერთო ოთახში ან საერთო საცხოვრებლებში სტუდენტებისთვის, მიგრანტი (სეზონური) მუშებისთვის და სხვა პირებისთვის.

*ეს კატეგორია მოიცავს* განთავსებას უზრუნველყოფილს:
— სტუდენტური საცხოვრებლების მიერ;
— სკოლის საერთო საცხოვრებლების მიერ;
— მუშათა საერთო საცხოვრებლების მიერ;
— ოთახებიანი სახლების და პანსიონატების მიერ.
— რკინიგზის ვაგონებში.

**6810 უძრავი ქონების საქმიანობა საკუთარი ან იჯარით აღებული ქონებით**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— ყიდვას, გაყიდვას, დაქირავებას და განკარგვას საკუთრებაში არსებული ან ლიზინგით აღებული უძრავი ქონებისა, როგორიცაა:
• ბინებიანი კორპუსები და საცხოვრებლები;
• არასაცხოვრებელი კორპუსები, მათ შორის, საგამოფენო დარბაზები, შესანახი სათავსოები და სავაჭრო ცენტრები;
• მიწის ნაკვეთები;
— სახლების და კეთილმოწყობილი ან უავეჯო ბინების უზრუნველყოფა უფრო



მუდმივი გამოყენებისთვის
— როგორც წესი, ყოველთვიურად ან ყოველწლიურად.

*ეს კატეგორია ასევე მოიცავს:*

— სამშენებლო პროექტების მომზადებას საკუთარი გამოყენებისთვის, ანუ ამ შენობებში სივრცის გასააქირავებლად;
— უძრავი ქონების დასაყოფად, მიწის გაუმჯობესების გარეშე;
— საცხოვრებელი მობილური სახლების დასადგმელი ტერიტორიების განკარგვას.

*ეს კატეგორია არ მოიცავს:*

— სამშენებლო პროექტების მომზადებას გასაყიდად, იხილეთ 4100;
— მიწის ნაკვეთის დაყოფას და გაუმჯობესებას, იხილეთ 4290;
— სასტუმროების ფუნქციონირებას, სასტუმრო ლუქსებს და მსგავს განთავსებას, იხილეთ 5510;
— საკემპინგო ტერიტორიების, ტრეილერების პარკების და მსგავსი განთავსების ფუნქციონირებას, იხილეთ 5520;
— მუშათა საერთო საცხოვრებლებს, სახლებს ოთახებით და მსგავს განთავსებას, იხილეთ 5590.

**6820 საქმიანობა უძრავი ქონებით, გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე**

*ეს კატეგორია მოიცავს* უძრავი ქონებით საქმიანობას გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე.

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— უძრავი ქონების აგენტების და ბროკერების საქმიანობას;
— შუამავლობას უძრავი ქონების ყიდვაში, გაყიდვაში და გაქირავებაში გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე;
— უძრავი ქონების მართვას გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე;
— უძრავი ქონების შეფასების მომსახურეობას;
— „ესქრო“ აგენტების საქმიანობას უძრავი ქონებით.

*ეს კატეგორია არ მოიცავს:*

— სამართლებრივ საქმიანობას, იხილეთ 6910;
— მომსახურების მხარდაჭერის საშუალებებს, იხილეთ 8110;
— ისეთი ობიექტების მართვას, როგორიცაა სამხედრო ბაზები, ციხეები და სხვა (გარდა, კომპიუტერული აღჭურვილობის მართვისა), იხილეთ 8110.

## საკვებით და სასმელითმომსახურება

**5610 რესტორნები და მობილური კვების მომსახურების გაწევა**

*ეს კატეგორია მოიცავს* მომხმარებლების კვებით უზრუნველყოფას, მომხმარებლების ადგილზე მომსახურებით თუ თვითმომსახურეობით, კერძების არჩევით, მომზადებული კერძების შენობაში მიღებით, გარეთ გატანით თუ მიტანის მომსახურეობით. ეს მოიცავს კერძების მომზადებას და მირთმევას დაუყოვნებლივი მოხმარებისთვის, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებით ან ურიკებით.

*ეს კატეგორია მოიცავს შემდეგ საქმიანობას:*

— რესტორნებს;

— კაფეებს;

— სწრაფი კვების რესტორნებს;

— პიცის მიტანას;

— კვების პუნქტებს;

— ნაყინით მოვაჭრე ტრანსპორტს;

— მობილურ ურიკებს საკვებით;

—კერძის მომზადებას ბაზრის დახლებზე;

*ეს კატეგორია, ასევე, მოიცავს:*

— რესტორნების და ბარების საქმიანობას, დაკავშირებულს ტრანსპორტირებასთან, რომელიც ხორციელდება ცალკე ერთეულის მიერ.

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— წასახემსებელი კვების ობიექტების ფუნქციონირებას, იხილეთ 5629.

5629 **სხვა მომსახურება საკვებით**

*ეს კატეგორია მოიცავს* სამრეწველო კვებას, ანუ მომხმარებლის კვებით უზრუნველყოფას სახელშეკრულებო საფუძველზე, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში.
ეს კატეგორია, აგრეთვე, მოიცავს კვების შეღავათს სპორტულ და მსგავს ნაგებობებში. საკვები ხშირად მზადდება ცენტრალურ ნაწილში.

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— კვებითი მომსახურების კონტრაქტორების (მაგალითად სატრანსპორტო კომპანიები) საქმიანობას;
— შეღავათიანი კვების ობიექტების ფუნქციონირებას სპორტულ და მსგავს დაწესებულებებში.
— სასადილოების და კაფეების (მაგ. ქარხნები, ოფისები, საავადმყოფოები და სკოლები) ფუნქციონირებას „კონცესიის"საფუძველზე.

*ეს კატეგორია არ მოიცავს:*

— მალფუჭებადი საკვების წარმოებას გადაყიდვისთვის, იხილეთ 1079
— საცალო ვაჭრობას მალფუჭებადი საკვებით, იხილეთ ნაწილი 47.

5630 **სასმელით მომსახურებით საქმიანობა**

*ეს კატეგორია მოიცავს* სასმელების მომზადებას და მომსახურებას შენობებში უშუალო მოხმარებისთვის .

*ეს კატეგორია მოიცავს საქმიანობას:*

— ბარებში;
— ტავერნებში;
— კოქტეილის დარბაზებში;
- დისკოთეკებზე (ძირითადად სასმელით მომსახურებით);
— ლუდის დასალევ დარბაზებში და ბარებში;
— ყავის მაღაზიებში;
— წვენის ბარებში;
— სასმელით მოვაჭრე მობილურ პუნქტებში.

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— დაფასოებული / მომზადებული სასმელის გადაყიდვას, იხილეთ 4711, 4722, 4781 და 4799;
— დისკოტეკების და საცეკვავო დარბაზების ფუნქციონირებას სასმელის გარეშე, იხილეთ 9329

## სარკინიგზო სამგზავრო ტრანსპორტი

4911 **საქალაქთშორისი სარკინიგზო სამგზავრო ტრანსპორტი**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— მგზავრთა ტრანსპორტირებას საქალაქთაშორისი რკინიგზით;
— ღამის გასათევი მანქანების ან სასადილო მანქანების ფუნქციონირებას, როგორც სარკინიგზო კომპანიების განუყოფელ ნაწილს;

*ეს კატეგორია არ მოიცავს:*



*ეს კატეგორია მოიცავს:*

— მგზავრთა ტრანსპორტირებას საქალაქთაშორისი რკინიგზით;
— ღამის გასათევი მანქანების ან სასადილო მანქანების ფუნქციონირებას, როგორც სარკინიგზო კომპანიების განუყოფელ ნაწილს;

*ეს კატეგორია არ მოიცავს:*

— საქალაქო და გარეუბნის ტრანზიტის სისტემების სამგზავრო ტრანსპორტს, იხილეთ 4921
— სამგზავრო ტერმინალის საქმიანობას, იხილეთ 5221
— ღამის გასათევი მანქანების ან სასადილო მანქანების ფუნქციონირებას, როდესაც ხორციელდება ცალკეული ერთეულების მიერ, იხილეთ 5590, 5610

## სახმელეთო სამგზავრო ტრანსპორტი

4922 **სხვა სახმელეთო სამგზავრო ტრანსპორტი**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— სხვა სახმელეთო სამგზავრო ტრანსპორტს:
— ესკალატორების, ფუნიკულორების, სათხილამურო საბაგიროების ექსპლოატაციას, თუ არ წარმოადგენს საქალაქო ან გარეუბნის ტრანზიტის სისტემების ნაწილს.

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— კერძო ავტომობილის ქირაობას მძღოლთან ერთად;
— სკოლის ავტობუსების და თანამშრომელთა ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული ავტობუსების ექსპლოატაციას;
— სამგზავრო ტრანსპორტს, რომელსაც მართავს ადამიანი ან ცხოველი

*ეს კატეგორია არ მოიცავს:*

— სასწრაფო დახმარების ტრანსპორტს, იხილეთ 8690.

## წყლის სამგზავრო ტრანსპორტი

5011 **წყლის სამგზავრო ტრანსპორტი**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— სამგზავრო ტრანსპორტი გათვალისწინებული ოკეანეებისა და სანაპირო წყლებისთვის, განრიგით ან განრიგის გარეშე:

*ეს კატეგორია, ასევე, მოიცავს:*

— საზღვაო და სანაპირო წყლის ტრანსპორტი ეკიპაჟთან ერთად გასართობი ნავების დაქირავებით (მაგ თევზჭერის კრუიზები);

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— რესტორნებისა და ბარების საქმიანობას გემების ბორტზე, უზრუნველყოფილიცალკეული ობიექტების მიერ, იხილეთ 5610, 5630;
— "მცურავი კაზინოების" ფუნქციონირებას, იხილეთ 9200.

5021 **შიდა წყლის სამგზავრო ტრანსპორტი**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— მგზავრების ტრანსპორტირებას მდინარეებში, არხებში, ტბებში და სხვა შიდა წყლების მარშრუტით, მათ შორისაა, შიდა ნავსადგურები და პორტები.
ეს კატეგორია, ასევე, მოიცავს:
— გასართობი ნავების დაქირავებას, შიდა წყლის ტრანსპორტის ეკიპაჟთან ერთად.

## საჰაერო სამგზავრო სატრანსპორტო

**5110 სამგზავრო საჰაერო ტრანსპორტი**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— მგზავრების საჰაერო ტრანსპორტს რეგულარული მარშრუტებით და რეგულარული განრიგით

— ჩარტერულ რეისებს მგზავრებისთვის

— პეიზაჟების და ღირსშესანიშნაობების დათვალიერების რეისებს

*ეს კატეგორია მოიცავს :*

— მგზავრების ტრანსპორტირების მიზნით საჰაერო სატრანსპორტო საშუალების დაქირავებას ოპერატორთან ერთად,
— ძირითად სავიაციო საქმიანობას, როგორიცაა:

## სატრანსპორტო ხელსაწყოების გაქირავება

**7710 ავტომანქანების გაქირავება და ლიზინგი**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— შემდეგი სახის სატრანსპორტო საშუალებების გაქირავებას და საოპერაციო ლიზინგს:

*ეს კატეგორია არ მოიცავს:*

— მსუბუქი მანქანების ან სატვირთო მანქანების გაქირავებას და ლიზინგს, მძღოლთან ერთად, იხილეთ 4922, 4923;
— ფინანსურ ლიზინგს, იხილეთ 6491

## ტურისტული სააგენტოების და დაჯავშნით დაკავებული სხვა სამსახურების საქმიანობა

**7911 ტურისტული სააგენტოების საქმიანობა**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— იმ სააგენტოების საქმიანობას, რომლებიც, პირველ რიგში დაკავებულნი არიან სამოგზაურო, ტურების, ტრანსპორტირების და განთავსების მომსახურების მიყიდვით ფართო საზოგადოებისათვის და კომერციული კლიენტებისთვის.

**7912 ტუროპერატორების საქმიანობა**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— ორგანიზებას და შედგენას ტურებისა, რომლებიც იყიდება ტურისტული სააგენტოების მეშვეობით ან უშუალოდ ტუროპერატორების მიერ. ტურები შეიძლება შეიცავდეს რომელიმე ან ყველა კომპონენტს შემდგომი ჩამონათვალიდან:

**7990 დაჯავშნის სხვა მომსახურება და მასთან დაკავშირებული საქმიანობა**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— სხვა სახის მოგზაურობასთან დაკავშირებული დაჯავშნის სერვისით უზრუნველყოფას -„თაიმშერის“ გაცვლითი სერვისით უზრუნველყოფას;
— თეატრალური, სპორტული და სხვა გასართობი ღონისძიებების ბილეთების გაყიდვებით საქმიანობას;
— ვიზიტორების დამხმარე მომსახურების გაწევას:
— ტურიზმის ხელშეწყობის საქმიანობას.



*ეს კატეგორია არ მოიცავს:*

— ტურისტული სააგენტოების და ტუროპერატორების საქმიანობას, იხილეთ 7911, 7912;
— შეხვედრების, შეკრებების და კონფერენციების და მსგავსი ღონისძიებების ორგანიზებას და მართვას, იხილეთ 8230.

## კულტურული ღონისძიებები

**9000 კრეატივთან, ხელოვნებასთან და გართობასთან დაკავშირებული საქმიანობა**

*ეს კატეგორია მოიცავს* მომხმარებლების კულტურული და გასართობი ინტერესების დასაკმაყოფილებლად საჭირო საშუალებებს და მომსახურებას. მასში შედის წარმოება, ხელშეწყობა და მონაწილეობა ცოცხალ წარმოდგენებში, ღონისძიებებში ან გამოფენებში, რომელიც განკუთვნილია ფართო საზოგადოებისათვის; სამსახიობო, შემოქმედებითი და ტექნიკური უნარების უზრუნველყოფას მხატვრული პროდუქციის და ცოცხალი წარმოდგენის შესაქმნელად.

*ეს კატეგორია მოიცავს*

— ცოცხლად შესრულებულ თეატრალურ პრეზენტაციებს, კონცერტებს და საოპერო ან ცეკვის სპექტაკლებს და სხვა სასცენო დადგმებს:
— საკონცერტო და თეატრალური დარბაზების და ხელოვნების სხვა ობიექტების ფუნქციონირებას;
— მოქანდაკეების, მხატვრების, მულტიპლიკატორების, რავიორების და ოფორტისტების და ა.შ. საქმიანობას;
— ინდივიდუალური მწერლების საქმიანობას, მათ შორი, ფანტასტიკას და ტექნიკურ ლიტერატურას;
— დამოუკიდებელი ჟურნალისტების საქმიანობას;
— ხელოვნების ნიმუშებისა (მათ შორის, ფერწერის) რესტავრაციას.
ეს კატეგორია მოიცავს :
— პროდიუსერების ან მეწარმების საქმიანობას ხელოვნების ცოცხლად შესრულებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით აღჭურვილობის ან მის გარეშე.

*ეს კატეგორია არ მოიცავს:*

— ვიტრაჟების რესტავრაციას, იხილეთ 2310;
— ქანდაკებების გამოძერწვას, გარდა მხატვრული ორიგინალებისა, იხილეთ 2396;
— ორღანის და სხვა ისტორიული მუსიკალური ინსტრუმენტის რესტავრაციას, იხილეთ 3319;
— ისტორიული ადგილებისა და ნაგებობების რესტავრაციას, იხილეთ 4100;
— კინოფილმების და ვიდეო წარმოებას, იხილეთ 5911, 5912;
— კინოთეატრების ფუნქციონირებას, იხილეთ 5914;
— პირადი თეატრალური ან მხატვრული აგენტების ან სააგენტოების საქმიანობას, იხილეთ 7490;
— კასტინგის ჩატარებას, იხილეთ 7810;
— ბილეთის სააგენტოების საქმიანობას, იხილეთ 7990;
— ყველა სახის მუზეუმის ფუნქციონირებას, იხილეთ 910;2
— სპორტულ, გასართობ და რეკრეაციულ საქმიანობას, იხილეთ ნაწილი 93;
— ავეჯის რესტავრაციას (სამუზეუმო აღდგენის გარდა), იხილეთ 9524.

## სპორტული და რეკრეაციული საქმიანობა

**7721 რეკრეაციული და სპორტული ნივთების გაქირავება და ლიზინგი**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— რეკრეაციული და სპორტული აღჭურვილობის გაქირავებას:

*ეს კატეგორია არ მოიცავს:*

— ვიდეო ფირების და დისკების გაქირავებას, იხილეთ 7722;
— სხვა პირადი და საყოფაცხოვრებო ნივთების გაქირავებას, რომელიც კლასიფიცირებული არ არის, იხილეთ 7729;
— დასასვენებელი და გასართობი აღჭურვილობის, როგორც რეკრეაციული ობიექტების განუყოფელი ნაწილის გაქირავებას, იხილეთ 9329.

**9200 აზარტული თამაშები და ფსონის დადების საქმიანობა**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— „ბუკმეკერობას“ და ფსონის დადების სხვა ფორმას;
— ფსონის დადებას ცხენების დოღზე;
— კაზინოს, მათ შორის, “მცურავი კაზინოს” ფუნქციონირებას;
— ლატარიის ბილეთების გაყიდვას;
— მონეტებით ფუნქციონირებადი სათამაშო აპარატების ექსპლუატაციას;
— ვირტუალური სათამაშო „საიტების“ ფუნქციონირებას.

ეს კატეგორია არ მოიცავს:
— მონეტებით ფუნქციონირებად თამაშებს, იხილეთ 9329

**9311 სპორტული ობიექტების ფუნქციონირება**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— შიდა ან გარე სპორტული ღონისძიებების ჩასატარებელი ნაგებობების (ღია, დახურული ან გადახურული, მაყურებელთა დასაჯდომი ადგილებით ან მის გარეშე) ფუნქციონირებას;
— საკუთარი ობიექტების მქონე ორგანიზაციების მიერ გარე ან შიდა სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას და მართვას პროფესიონალებისთვის ან მოყვარულებისთვის

ეს კლასი შეიცავს ამ ობიექტების ფუნქციონირებისთვის თანამშრომლებით უზრუნველყოფას და მათ მართვას.

*ეს კატეგორია არ მოიცავს:*

— რეკრეაციული და სპორტული აღჭურვილობის გაქირავებას, იხილეთ 7721
— სათხილამურო მთების გამოყენებას, იხილეთ 9329
— საქმიანობას პარკებსა და სანაპიროებზე, იხილეთ 9329

**9319 სხვა სპორტული ღონისძიებები**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— ინდივიდუალურ თვითდაფინანსებაზე მყოფი სპორტსმენების და ატლეტების, მსაჯების, მოსამართლეების, მსაჯი-ქრონომეტრისტის საქმიანობას და ა.შ.;
— სპორტული ლიგების და მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობას;
— სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის საქმიანობას;
— რბოლების თავლებთან, ცხოველების მოსაშენებლებთან და ავტოფარეხებთან დაკავშირებულ საქმიანობას;
— სპორტული თევზაობის და დაცული ნადირობის საქმიანობას;
— მთის გიდების საქმიანობას;
— სპორტული ან რეკრეაციული ნადირობის და თევზაობის დამხმარე საქმიანობას.

*ეს კატეგორია არ მოიცავს:*

— დოღის ცხენების შეჯვარებას, იხილეთ 0142;
— სპორტული აღჭურვილობის დაქირავებას, იხილეთ 7721;
— სპორტისა და თამაშების სკოლების საქმიანობას, იხილეთ 8541;
— სპორტული ინსტრუქტორების, პედაგოგების, მწვრთნელების საქმიანობას, იხილეთ 8541.



— სპორტული კლუბების (აღჭურვილობით ან მის გარეშე) მიერ, გარე ან შიდა სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და მართვა პროფესიონალებისა და მოყვარულებისთვის, იხილეთ 9311, 9312
— პარკების ან სანაპიროს საქმიანობა, იხილეთ 9329

**9321 საქმიანობა გასართობ და თემატურ პარკებში**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— გასართობი პარკებისა და თემატური პარკების აქტივობებს, სხვადასხვა ატრაქციონების: მექანიკური საქანელების, წყლის სასრიალოების, თამაშების, ჩვენებების, თემატური ექსპოზიციების და საპიკნიკე ადგილების ჩათვლით;

— დისკოთეკების და საცეკვაო დარბაზების ფუნქციონირება;

— მონეტებით მომუშავე სათამაშო აპარატების ექსპლუატაცია

— სხვა გასართობ და რეკრეაციულ საქმიანობას (გარდა გასართობი პარკებისა და თემატური პარკებისა), სხვაგან კლასიფიცირებული არ არის.

**9329 სხვა გასართობი და რეკრეაციული საქმიანობა, რომელიც კლასიფიცირებული არ არის.**

*ეს კატეგორია მოიცავს:*

— რეკრეაციულ პარკებში და პლაჟებზე საქმიანობას, მათ შორის, ისეთი ობიექტების და საგნების გაქირავებას, როგორიცაა აბანოები, ჩასაკეტი კარადები, სკამები და ა.შ.

— რეკრეაციული სატრანსპორტო საშუალებების, მაგალითად, ნავმისადგომების ფუნქციონირებას;

— სათხილამურო მთების გამოყენებას;

— გასართობი და დროის გასატარებელი აღჭურვილობის, როგორც რეკრეაციული ობიექტების განუყოფელი ნაწილის გაქირავებას;

— ბაზრობების და გასართობი ჩვენებებისა გამართვას;

— დისკოთეკების და საცეკვაო მოედნების ფუნქციონირებას;

— მონეტებით მომუშავე სათამაშო აპარატების ექსპლუატაციას;

— სხვა გასართობ და რეკრეაციულ საქმიანობას (გასართობი და თემატური პარკების გარდა), რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული

ეს კატეგორია, *ასევე, მოიცავს:*
— პროდიუსერების ან მეწარმეების აქტივობა ცოცხალი შესრულების მქონე ღონისძიებებით (ხელოვნების ან სპორტული ღონისძიებების გარდა) საჭირო აპარატურით ან მათ გარეშე.

*ეს კატეგორია არ მოიცავს :*

— სათევზაო კრუიზებს, იხილეთ 5011, 5021

— რეკრეაციულ პარკებში, ტყეებსა და საკემპინგო ტერიტორიებზე ვიზიტორების მოკლე დროით გასაჩერებელი სივრცით და საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფას, იხილეთ 5520

— დისკოთეკებზე სასმელით უზრუნველყოფის საქმიანობას, იხილეთ 5630

— ტრაილერის პარკებს, საკემპინგო ტერიტორიებს, სარეკრეაციო ბანაკებს, სანადირო და სათევზაო ბანაკებს, საკემპინგო ტერიტორიებს და ბანაკებს კარვებისთვის, იხილეთ 5520

— დასვენების და გართობის აღჭურვილობის ცალკე გაქირავებას, იხილეთ 7721

— მონეტებით მომუშავე სათამაშო აპარატების ექსპლუატაციას, იხილეთ 9200

— გასართობი და თემატური პარკების საქმიანობას, იხილეთ 9321

# დანართი 4
# ტურიზმთან ასოცირებული პროდუქტების ჩამონათვალი და დაჯგუფება ძირითადი კატეგორიების მიხედვით, ცენტრალური პროდუქტის კლასიფიკაციის (CPC) მე-2 ვერსიის შესაბამისად

## 1. განთავსების სერვისი ვიზიტორებისთვის

| | |
|---|---|
| 63111 | ოთახით ან განთავსების საშუალებებით მომსახურება ვიზიტორებისთვის, ყოველდღიური დალაგებით |
| 63112 | ოთახით ან განთავსების საშუალებებით მომსახურება ვიზიტორებისთვის, ყოველდღიური დალაგების გარეშე |
| 63113 | ოთახით ან განთავსების საშუალებებით მომსახურება ვიზიტორებისთვის, „თაიმშერის“ საკუთრებაში. |
| 63114 | განთავსებით მომსახურება ვიზიტორებისათვის მრავალადგილიან ოთახებში |
| 63120 | საკემპინგო მომსახურეობა |
| 63130 | რეკრიაციული და დასასვენებელი საკემპინგო მომსახურეობა |
| 63210 | ოთახით ან განთავსების საშუალებებით მომსახურება სტუდენტებისთვის სტუდენტურ საცხოვრებლებში. |
| 63290 | სხვა ოთახით ან განთავსების საშუალებებით მომსახურება (რომელიც კლასიფიცირებული არ არის) |
| 72111 | საკუთარი ან იჯარით აღებული საცხოვრებელი ქონების გაქირავების ან ლიზინგის მომსახურება. |
| 72123 | „თაიმშერის“ საკუთრების სავაჭრო მომსახურება |
| 72211 | საცხოვრებელი ქონების მართვის მომსახურება გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე, გარდა „თაიმშერის“ კუთვნილი ქონებისა |
| 72213 | „თაიმშერის“ ქონების მართვის მომსახურება გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე, |
| 72221 | საცხოვრებელი შენობის გაყიდვები ხელშეკრულების საფუძველზე, გარდა „თაიმშერის“ საკუთრებისა. |
| 72223 | „თაიმშერის“ საკუთრებების გაყიდვა გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე. |

## 2. საკვებით და სასმელით მომსახურეობა

| | |
|---|---|
| 63310 | სრული სარესტორნო მომსახურება კერძებით |
| 63320 | შეზღუდული მომსახურება კერძებით |
| 63399 | სხვა მომსახურება კერძებით |
| 63400 | სასმელით მომსახურება |

## 3. სარკინიგზო სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურეობა

| | |
|---|---|
| 64131 | ღირსშესანიშნაობების დათვალიერება რკინიგზით |
| 64210 | საქალაქთშორისო სამგზავრო სარკინიგზო ტრანსპორტით მომსახურება |

## 4. სახმელეთო სამზავრო ტრანსპორტით მომსახურება

| | |
|---|---|
| 64115 | ტაქსით მომსახურება |
| 64116 | სამგზავრო ავტომობილის გაქირავების მომსახურება ოპერატორთან ერთად |
| 64117 | მგზავრთა ავტოსატრანსპორტო მომსახურება ადამიანების და ცხოველების მიერ მართული ტრანსპორტით |
| 64118 | დაუგეგმავი მომსახურება ადგილობრივი ავტობუსებით და ჩარტერული სამგზავრო მომსახურება |
| 64119 | მგზავრების სხვა სახმელეთო სატრანსპორტო მომსახურება, რომელიც კლასიფიცირებული არ არის |
| 64132 | ღირსშესანიშნაობებს დათვალიერების მომსახურება სახმელეთო გზით, გარდა რკინიგზისა |
| 64221 | მგზავრთა საქალაქთშორისო გრაფიკით გათვალისწინებული სახმელეთო სატრანსპორტო მომსახურება |
| 64222 | მგზავრთა საქალაქთშორისო სპეციალური დანიშნულების გრაფიკით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო მომსახურება |
| 64223 | ავტობუსებით და სამგზავრო მომსახურება შორ მანძილზე, რომელიც გრაფიკით არ არის გათალისწინებული |



## 5. მგზავრთა მომსახურება წყლის ტრანსპორტით

| | |
|---|---|
| 64121 | მგზავრთა შიდა წყლების ტრანსპორტით (ბორანით) მომსახურება |
| 64122 | მგზავრთა შიდა წყლების ტრანსპორტით მომსახურება კრუიზებში |
| 64129 | მგზავრთა სხვა მომსახურება შიდა წყლების ტრანსპორტით |
| 64133 | ღირსშესანიშნაობების დათვალიერების მომსახურება წყლის ტრანსპორტით |
| 64231 | მგზავრთა მომსახურება სანაპირო და ოკეანეთშორისი წყლის ტრანსპორტით ( ბორანით) |
| 64232 | მგზავრთა მომსახურება სანაპირო და ოკეანეთშორისი წყლის ტრანსპორტით კრუიზებში მოცურავე გეგმებზე |
| 64239 | მგზავრთა სხვა მომსახურება სანაპირო და ოკეანეთშორისი წყლის ტრანსპორტით |

## 6. მგზავრთა მომსახურება საჰაერო ტრანსპორტით

| | |
|---|---|
| 64134 | ღირსშესანიშნაობების დათვალიერების საჰაერო მომსახურება |
| 64241 | მგზავრების შიდა საჰაერო სატრანსპორტო მომსახურება დაგეგმილი გრაფიკით |
| 64242 | მგზავრების შიდა საჰაერო სატრანსპორტო მომსახურება გრაფიკის გარეშე |
| 64243 | მგზავრების საერთაშორისო საჰაერო სატრანსპორტო მომსახურება დაგეგმილი გრაფიკით |
| 64244 | მგზავრების დაუგეგმავი საჰაერო სატრანსპორტო მომსახურება გრაფიკის გარეშე |
| 64250 | მგზავრების კოსმოსური სატრანსპორტო მომსახურება |

## 7. სატრანსპორტო ხელსაწყოების გაქირავება

| | |
|---|---|
| 73111 | მანქანების და მსუბუქი ფურგონების ლიზინგის და დაქირავების მომსახურება, ოპერატორის გარეშე |

## 8. ტურისტული სააგენტოები და სხვა დაჯავშნის მომსახურება

| | |
|---|---|
| 85511 | საჰაერო ტრანსპორტისათვის დაჯავშნის მომსახურება |
| 85512 | სარკინიგზო გადაზიდვების დაჯავშნის მომსახურება |
| 85513 | ავტობუსებით მგზავრობის დაჯავშნის მომსახურება |
| 85514 | დაჯავშნის მომსახურება ავტომობილების დაქირავებისთვის |
| 85519 | ტრანსპორტის ორგანიზების და დაჯავშნის სხვა მომსახურება, რომელიც კლასიფიცირებული არ არის |
| 85521 | განთავსების დაჯავშნის მომსახურება |
| 85522 | „თაიმშერის“ გაცვლის მომსახურება |
| 85523 | დაჯავშნის მომსახურება კრუიზებისთვის |
| 85524 | დაგეგმილი ტურების დაჯავშნის მომსახურება |
| 85539 | ღონისძიებების ბილეთების დაჯავშნის მომსახურება, გასართობი და რეკრეაციული მომსახურების და სხვა სახის ჯავშნები |
| 85540 | ტურ-ოპერატორის მომსახურება |
| 85550 | ტურისტული გიდის მომსახურება |
| 85562 | ვიზიტორთა საინფორმაციო მომსახურება |

## 9. კულტურული მომსახურება

| | |
|---|---|
| 96220 | საშემსრულებლო ხელოვნების ღონისძიების დადგმის და პრეზენტაციის მომსახურება |
| 96310 | საშემსრულებლო ხელოვნების ოსტატთა მომსახურება |
| 96411 | სამუზეუმო მომსახურება, ისტორიული ადგილებისა და ნაგებობების გარდა |
| 96412 | ისტორიული ადგილებისა და ნაგებობების შენარჩუნების მომსახურება |
| 96421 | ბოტანიკური ბაღების და ზოოპარკების მომსახურება |
| 96422 | ნაკრძალის მომსახურება, მათ შორის ცოცხალი ბუნების შენარჩუნების მომსახურება |

| | |
|---|---|
| **10. სპორტისა და რეკრეაციული მომსახურება** | |
| 96520 | სპორტისა და რეკრეაციული სპორტული ნაგებობების მომსახურება |
| 96590 | სხვა სპორტისა და რეკრეაციული სპორტის მომსახურება |
| 96910 | გასართობი პარკი და მსგავსი ატრაქციონების მომსახურება |
| 96929 | სხვა აზარტული თამაშები და ტოტალიზატორები |
| 96930 | მონეტებით მომუშავე გასართობი აპარატებით მომსახურება |
| 96990 | სხვა რეკრეაციული და გასართობი მომსახურება, რომელიც კლასიფიცირებული არ არის. |
| **11. ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტურიზმთან ასოცირებული საქონელი,** | |
| **12. ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტურიზმთან ასოცირებული მომსახურება,** | |



# განმარტებითი შენიშვნები

ეს განმარტებები ეხება, მხოლოდ, საერთაშორისოდ შედარებადი ტურიზმთან ასოცირებულ აქტივობებს და იგივე თანმიმდევრობას მიყვება, როგორც ზემოთმოცემული დანართი 4.
ისინი მოპოვებულია ცენტრალური პროდუქტის კლასიფიკაციიდან (CPC) ვერსია2.
დასრულებული დოკუმენტის შესახებ კონსულტაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: http://unstats.un.org/unsd/cr/registry/docs/ CPCv2_explanatory_notes.pdf

## განთავსების მომსახურება ვიზიტორებისთვის

**63111 ოთახით ან განთავსების საშუალებებით მომსახურება ვიზიტორებისთვის, ყოველდღიური დალაგების მომსახურებით**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— როგორც წესი, ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად გაწეულ განთავსების მომსახურებას, რომელიც შედგება ოთახებისა ან ადგილებისგან ყოველდღიური დალაგების სერვისით, იმ პირებისათვის, რომლებიც შორს არიან მათი საცხოვრებელი ადგილიდან.

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— განთავსების მოსამსახურება „თაიმშერის“ საკუთრებაში შდრ 63113

**63112 ვიზიტორებისთვის ოთახით ან განთავსების საშუალებებით მომსახურება, ყოველდღიური დალაგების გარეშე**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— განთავსების ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად გაწეულ მომსახურებას, რომელიც შედგება ოთახების ან ადგილებისაგან, დალაგების მომსახურებით უფრო იშვიათად, ვიდრე ყოველდღიურად, იმ პირებისათვის, რომლებიც დაშორებულნი არიან მათ საცხოვრებელ ადგილს.
ეს ქვეკლასი არ მოიცავს:
— განთავსების მომსახურებას „თაიმშერის“ საკუთრებაში, შდრ 63113
— განთავსების მომსახურებას, ოთახებსა ან პანსიონატებში, ნახევრად მუდმივი მაცხოვრებლებისთვის. შდრ 63290

**63113 ოთახებით ან განთავსების საშუალებებით მომსახურება ვიზიტორებისთვის, „თაიმშერის“ ქონებაში.**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— განთავსების მომსახურეობას დროებით საზიარო ქონებაში ვიზიტორებისთვის, რომლებიც დაშორებულნი არიან მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილს.

**63114 განთავსების მომსახურება ვიზიტორებისთვის ოთახებში მრავალი ადგილით**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— განთავსების მომსახურებას იმ პირთათვის, ვინც დაშორებულია საკუთარ მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, მრავალადგილიანი ოთახით, რომელიც, როგორც წესი, ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად არის ხელმისაწვდომი, მაგალითად, ახალგაზრდულ საერთო საცხოვრებლებში, მთის ბანაკებსა და კაბინებში.
ეს ქვეკლასი არ მოიცავს:
— განთავსების მომსახურებას რეკრეაციულ და დასასვენებელ ბანაკებში, შდრ 63130
— განთავსების მომსახურებას სტუდენტებისთვის სტუდენტურ საცხოვრებლებში, შდრ 63210
— განთავსების მომსახურებას მუშათა საერთო საცხოვრებლებში ან ბანაკებში, შდრ 63220

**63120 საკემპინგო მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— ფართით უზრუნველყობას რეკრეაციულ ავტომანქანებსა ან კარვებში, იმ პირებისათვის, ვინც დაშორებულია მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. როგორც წესი, ეს ხელმისაწვდომია ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად;
— ადგილით უზრუნველყოფა დაცულ თავშესაფრებში ან ჩვეულებრივ ბანაკში კარვების და/ან საძილე ტომრების განსათავსებლად.

**63130 რეკრეაციული და დასასვენებელი საკემპინგო მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— ღამის გასათევი განთავსებით უზრუნველყოფას, საკვებით და რეკრიაციული ან სატრენინგო მომსახურების კომბინირებული პაკეტით, ბანაკში მოზრდილებისათვის, ახალგაზრდებისთვის ან ბავშვებისთვის, რომლის საფასურშიც ყველაფერი ერთად შედის.
ეს ქვეკლასი არ მოიცავს:
— მომსახურეობას სპორტული ინსტრუქციის ბანაკებში. შდრ 92912

**63210 ოთახით ან განთავსების საშუალებებით მომსახურება სტუდენტებისათვის სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— ოთახით ან განთავსების საშუალებებით მომსახურებას სტუდენტებისათვის სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში, რომლებიც ეკუთვნის სკოლებს და უნივერსიტეტებს.
ეს ქვეკლასი არ მოიცავს:
— ოთახებით ან განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფას სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში, ზაფხულის არდადეგების დროს. შდრ 6311
— ოთახებით ან განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფას სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში, კონფერენციის მონაწილეებისათვის, შდრ 6311

**63290 განთავსების სხვა მომსახურება ოთახებით ან განთავსების საშუალებებით, რომელიც არ არის სხვაგან კლასიფიცირებული**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— განთავსების მომსახურებას ოთახებში ან განთავსების საშუალებებით, ნახევრად მუდმივი მაცხოვრებლებისთვის სახლებში ოთახებით, პანსიონატებში ან საცხოვრებელი კლუბებში;
— დასაძინებელი მანქანებით მომსახურება.

**72111 საკუთარი ან იჯარით აღებული საცხოვრებელი ფართის გაქირავების ან ლიზინგის მომსახურება,**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— საცხოვრებელი ფართის გაქირავებას ან ლიზინგს, მფლობელებისა და მოიჯარეების მიერ:

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— მოქმედი სასტუმროების, მოტელების, ოთახებიანი სახლების, სკოლების საერთო საცხოვრებლების, კემპინგების და სხვა საცხოვრებელი ადგილების მიერ გაწეულ განთავსების მომსახურებას, შდრ 631

**72123 სავაჭრო მომსახურება „თაიმშერი“ ქონებით**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— „თაიმშერი“ ქონების საკუთარი ნაწილის გაყიდვას

**72211 საცხოვრებელი უძრავი ქონების მართვის მომსახურება გადასახადის ან კონტრაქტის საფუძველზე, გარდა „თაიმშერი“ საკუთრებისა**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— მართვის მომსახურებას, დაკავშირებულს სახლებთან და სხვა საცხოვრებელ უძრავ



ქონებასთან, გადასახადის ან კონტრაქტის საფუძველზე;
— მართვის მომსახურებას დაკავშირებულს მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებთან (ან მრავალმხრივი გამოყენების შენობებთან, რომლებიც, პირველ რიგში, საცხოვრებელია);
— მართვის მომსახურებას, დაკავშირებულს საცხოვრებელი მობილური სახლების განთავსების ადგილებთან;
— მართვის მომსახურეობას, დაკავშირებულს საცხოვრებლის თანამფლობელობასთან;
— ქირის შეგროვების სამსახურს.

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— „თაიმშერი“ (საკუთრების ფორმა) ქონების მართვის მომსახურებას გადასახადის ან კონტრაქტის საფუძველზე, შდრ 72213

**72213 „თაიმშერი“ ქონების მართვის მომსახურება გადასახადის ან კონტრაქტის საფუძველზე**
**ეს ქვეკლასი მოიცავს:**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— მართვის მომსახურებება დაკავშირებული შენობებთან ან საკუთრებასთან, რომელიც გამოიყენება „თაიმშერის“ საფუძველზე.

**72221 საცხოვრებელი სახლების გაყიდვები ხელშეკრულების ან გადასახადის საფუძველზე, გარდა „თაიმშერი“ საკუთრებისა**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— მართვის მომსახურებება დაკავშირებული შენობებთან ან საკუთრებასთან, რომელიც გამოიყენება „თაიმშერის“ საფუძველზე.
— უძრავი ქონების სააგენტოს და საბროკერო მომსახურებებს, დაკავშირებულს სახლების, ბინების, კორპუსების და სხვა საცხოვრებელი საკუთრების გაყიდვასთან და ანალოგიურ საშუამავლო მომსახურებასთან, მათ შორის, საცხოვრებელი შენობების და მასთან დაკავშირებული მიწის ნაკვეთის ყიდვასთან, გაყიდვასთან დაგაქირავებასთანგადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე.

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— „თაიმშერი“ საკუთრების გაყიდვას გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე. შდრ 72223
— მიწის გაყიდვას გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე. შდრ 72230

**72223 „თაიმშერი“ საკუთრების გაყიდვა გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე.**
**ეს ქვეკლასი მოიცავს:**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— უძრავი ქონების სააგენტოს და საბროკერო მომსახურებას, დაკავშირებულს “თაიმშერი“ საკუთრების რეალიზაციასთან.

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— „თაიმშერი“ საკუთრების გაცვლის მომსახურებას. შდრ 85522

**85522 „თაიმშერის“ გაცვლის მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— გაცვლის და დაჯავშნის მომსახურებას (ხშირად ქულების საფუძველზე) „თაიმშერი“ საკუთრების მფლობელებისთვის.

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— „თაიმშერის“ გაყიდვას გადასახადის ან კონტრაქტის საფუძველზე. შდრ 72223

## საკვებით და სასმელით მომსახურება

63310 **კვებით მომსახურება: სრული სარესტორნო მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— საკვების მომზადებას და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას სასმელით, მოწყობილს რესტორნებში, კაფეებში და მსგავს კვების ობიექტებში, რომლებიც აწარმოებენ სრულ მომსახურებას, მიმტანის მომსახურების ჩათვლით, მაგიდებთან მჯდომარე ცალკეული მომხმარებლებისთვის (მათ შორის, დახლებსა ან ჯიხურებში) გასართობით ან მის გარეშე.
— საკვების მომზადებით და მასთან დაკავშირებული სასმელით მომსახურეობას, მოწყობილს სასტუმროებში ან სხვა საცხოვრებელ ადგილებში ან სატრანსპორტო საშუალებებში, მაგალითად, მატარებლებში ან საზღვრებს გარეთ მოცურავე გემებში. როგორც წესი, სრული მომსახურებაა, რომელიც მოიცავს მიმტანის სამსახურს მაგიდებთან მჯდომარე ცალკეული მომხმარებლებისთვის (მათ შორის, დახლები ან ჯიხურები) გართობით ან მის გარეშე.
— სასადილო ვაგონებით მომსახურებას.

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— სასმელით მომსახურებას მომზადებული საკვების გარეშე. შდრ 63400

63320 **კვებით უზრუნველყოფის შეზღუდული მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— შეზღუდულ მომსახურებას კვებით და თვითმომსახურებას დაწესებულებებში, სადაც არის დასაჯდომი, მაგრამ არ არის მიმტანის მომსახურება, როგორიცაა:

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— სასადილოების შეღავათიან მომსახურებას , იხილეთ 63393
— ობიექტების მიერ კვებით მომსახურებას მიმტანის გარეშე და ჩვეულებრივ, დასაჯდომის გარეშე. შდრ 63399
— სასმელით მომსახურებას, მომზადებული საკვების გარეშე, შდრ 63400

63399 **სხვა მომსახურება საკვებით**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— სხვა საკვების მომზადებას და მასთან დაკავშირებული სასმელით მომსახურებას გამაგრილებელი დახლებით, თევზის და კარტოფილის დახლებით, სწრაფი კვების ობიექტებით დასაჯდომის გარეშე, თან წასაღები საკვების ობიექტებით და ა.შ.
— სანაყინეებით და ნამცხვრებით მომსახურების პუნქტებს;
— კვების და მისაყოლებლის მიწოდებას, რომელიც დამზადებულია შენობაში და ხელმისაწვდომია სავაჭრო აპარატებში;
— მობილური კვებით მომსახურება, მაგალითად: საჭმლის და სასმელის მომზადებას და გამასპინძლებას დაუყოვნებლივი მოხმარებისათვის ძრავით მანქანებიდან ან გადამზიდებიდან ძრავის გარეშე.

## ეს მომსახურება უზრუნველყოფილია დასაჯდომის ან მიმტანის გარეშე

63399 **სხვა მომსახურება საკვებით**

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— კვების და მისაყოლებლის მიწოდებას, რომელიც არ დამზადებულა შენობაში და ხელმისაწვდომია სავაჭრო აპარატებში, შდრ 6242

63400 **სასმელების მიწოდების მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელებით მომსახურებას, რომლის მიღებაც შესაძლებელია ბარებში, ლუდის ბარებში, ღამის კლუბებში, დისკოთეკებზე და მსგავს



ობიექტებში, გასართობით ან მის გარეშე

*ეს ქვეკლასი, ასევე, მოიცავს:*

— ასეთ მომსახურებას, რომლის მიღებაც შესაძლებელია სასტუმროებში ან სხვა საცხოვრებელ ადგილებში ან სატრანსპორტო საშუალებებში არსებულ ბარებში, მაგალითად, მატარებლებში ან საზღვარგარეთ მცურავ გემებზე.

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— საკვების, მისაყოლებლის და სასმელების მიწოდებას კვების აპარატების მეშვეობით. შდრ 6242
—კვებით და მასთან დაკავშირებული სასმელით მომსახურებას. შდრ 6331, 6332

64131 **მგზავრების სარკინიგზო ტრანსპორტით მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— სარკინიგზო მომსახურებას მგზავრებისათვის, ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად.

64210 **მგზავრების საქალაქთაშორისო სარკინიგზო ტრანსპორტით მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— მგზავრების სატრანსპორტო მომსახურებას რკინიგზით მიმდებარე ქალაქებში, მიუხედავად დაფარული მანძილისა და გამოყენებული კლასისა, ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი მომსახურებით;
— ტრანსპორტს თანმხლები მანქანებისთვის, ბარგისთვის, ცხოველებისა და სხვა ნივთებისთვის.

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— მგზავრთა ტრანსპორტირებით მომსახურებას ერთი ქალაქის რკინიგზის ფარგლებში, ან მიმდებარე ქალაქების ჯგუფის ფარგლებში, ხელმისაწვდომს ნებისმიერი მომხმარებლისათვის, შდრ 64111
— დასაძინებელი მანქანებით მომსახურებას, შდრ 63290
— სასადილო მანქანებით მომსახურებას, შდრ 63310

## მგზავრების სახმელეთო სატრანსპორტო მომსახურება

64115 **ტაქსის მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— მგზავრების სატრანსპორტო მომსახურეობას ავტო-ტაქსით ქალაქის შიგნით ან გარეუბნებში.
ამ მომსახურეობების გაწევა, როგორც წესი, სამგზავრო მანძილის საფუძველზე ხდება და სპეციფიკური დანიშნულების ადგილებისთვის. მასში შედის დაკავშირებული დაჯავშნის მომსახურებაც:
— აეროპორტის დაუგეგმავი სამარშრუტო მომსახურეობა

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— აეროპორტის დაგეგმილ სამარშრუტო მომსახურებას, შდრ 64114
— მძღოლიანი მანქანის დაქირავების მომსახურებას, შდრ 64116
— ადამიანის ან ცხოველის მიერ მართულ ტაქსის მომსახურებას, შდრ 64117
— წყლის ტაქსის მომსახურებას, შდრ 64129
— საჰაერო ტაქსის მომსახურებას, შდრ 64242
— სასწრაფო მანქანის მომსახურებას, შდრ 93194

**64116 სამგზავრო ავტომობილის გაქირავების მომსახურება მძღოლთან ერთად**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— მძღოლის მიერ მართული მანქანის დაქირავების მომსახურებას, ნებისმიერი მიმართულებით წაყვანით, გარდა ტაქსის მომსახურებისა; ზოგადად, ამ მომსახურეობის გაწევა დროის ხანგრძლივობით ხდება მგზავრთა შეზღუდული რაოდენობისთვის და ხშირად გულისხმობს ტრანსპორტირებას ერთზე მეტი დანიშნულების ადგილას.

**64117 მგზავრთა ავტოსატრანსპორტო მომსახურება, რომელსაც მართავს ადამიანი ან ცხოველი**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— მგზავრთა ტრანსპორტირებას ადამიანის ან ცხოველის მიერ მართული მანქანით ან გადასაზიდით, როგორიცაა „რიკშებით“ და ტვართგადამზიდი ცხოველებით, იმ პირობით, რომ ოპერატორის მომსახურება უზრუნველყოფილია მანქანით ან ცხოველებთან ერთად.

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— ადამიანის ან ცხოველის მიერ გადაზიდული სამგზავრო მანქანის გაქირავების მომსახურებას მძღოლის გარეშე, შდრ 73114

**64118 ადგილობრივი ავტობუსით მომსახურეობა განრიგის გარეშე და ჩარტერული ავტობუსებით მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— მძღოლის მიერ მართული დაქირავებული ავტობუსით მომსახურებას განრიგის გარეშე და საქალაქთშორისო ავტობუსით მომსახურებას ქალაქებსა და გარეუბნებში, ძირითადად, უზრუნველყოფილი დროის და მანძილის საფუძველზე და ხშირად, გულისხმობს ტრანსპორტირებას ერთზე მეტ დანიშნულების ადგილას.
ავტობუსის ქირაობისაგან განსხვავებით, რომელიც კლიენტს სრული კონტროლის უფლებას აძლევს, ეს მომსახურება, როგორც წესი, გაწეულია წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით და დროის განრიგით.

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებელი ავტობუსით მომსახურებას. შდრ 64132
— ავტობუსის დაქირავებას მძღოლთან ერთად, შეღავათის გაკეთების გარეშე. შდრ 66011

**64119 სხვა სახმელეთო სატრანსპორტო მომსახურეობას მგზავრებისათვის, რომელიც არ არის სხვაგან კლასიფიცირებული.**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

—კაბელით ფუნქციონირებადი მგზავრთა გადაყვანის მომსახურებას, მაგალითად, ფუნიკულიორები, საბაგიროები, სათხილამურო საბაგიროები და მსგავსი მომსახურებები, გაწეული განრიგის მიხედვით;
—სხვა დაგეგმილ სახმელეთო სატრანსპორტო მომსახურებას მგზავრებისთვის სახმელეთო მექანიზებული მანქანებით, რომელიც არ არის სხვაგან კლასიფიცირებული;
—მგზავრთა ტრანსპორტირებით მომსახურებას არაგეგმიური მანქანებით მძღოლებთან ერთად, რომელიც არ არის სხვაგან კლასიფიცირებული;
—თანმხლები ბარგის, ცხოველების და სხვა ნივთების ტრანსპორტირებას, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გარეშე.

## შემთხვევითი მომსახურება, რომელიც ცალკე (გიდები, კვებით უზრუნველყოფა და ა.შ.) არ ანაზღაურდება

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებელი ავტობუსის მომსახურებას.



**64132 მგზავრებისათვის ღირსშესანიშნაობების დათვალიერების სახმელეთო მომსახურებას, გარდა რკინიგზისა:**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— ღირსშესანიშნაობების დათვალიერების სამგზავრო სახმელეთო სატრანსპორტო მომსახურებას, გარდა სარკინიგზო მომსახურეობისა:

**64221 მგზავრთა ფასიანი დაგეგმილი ავტოსატრანსპორტო მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურეობას არამიმდებარე ქალაქებს შორის, წინასწარ განსაზღვრული მარშრუტებით, წინასწარ განსაზღვრული გრაფიკით საავტომობილო ავტობუსით, ტრამვაის, ტროლეიბუსით და მსგავსი სატრანსპორტო საშუალებებით, როცა მომსახურება ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებლისათვის;
— თანმხლები ბარგის, ცხოველების და სხვა ნივთების ტრანსპორტირებას, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გარეშე

**64222 საქალაქთშორისო სპეციალური დანიშნულების დაგეგმილი ავტოსატრანსპორტო მომსახურება მგზავრთათვის**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— მზავრთა სატრანსპორტო მომსახურებას არამიმდებარე ქალაქებს შორის, წინასწარ განსაზღვრული მარშრუტებით, წინასწარი გრაფიკით საავტომობილო ავტობუსით, ტრამვაით, ტროლეიბუსით და მსგავსი ტრანსპორტით, მომხმარებელთა კონკრეტული სეგმენტისათვის.
— დაგეგმილი საქალაქთშორისო მიმოქცევადი მომსახურება, მაგალითად, აეროპორტის მიმოქცევადი ტრანსპორტი

**64223 შორ მანძილზე მოძრავი და ტურისტული ავტობუსით მომსახურება, რომელიც განრიგით არ არის დაგეგმილი**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურებას ქალაქსა და გარეუბნებს შორის ან შორ მანძილზე, დაქირავებული მძღოლიანი და ტურისტული ავტობუსით, ზოგადად გაცემული გარკვეული დროით და გარკვეული მანძილისთვის და ხშირად მოიცავს ტრანსპორტირებას ერთზე მეტი დანიშნულების ადგილას;
ავტობუსის ქირაობისაგან განსხვავებით, რომელიც კლიენტს აძლევს სრულ კონტროლს, ეს მომსახურება, როგორც წესი, გაწეულია წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით და განრიგით.
ეს ქვეკლასი არ მოიცავს:
— ავტობუსს და ტურისტულ ავტობუსს ოპერატორთან ერთად, გარდა დაფრახტვისა, შდრ 66011

## წყლის სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურება

**64121 შიდა წყლების სატრანსპორტო მომსახურება ბორანზე მყოფი მგზავრებისათვის**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურებას ბორანით მდინარეებზე, არხებზე და სხვა შიდა წყლებზე, მათ შორის, გემს წყალქვეშა ფრთებით და გასაბერ ნავს, განრიგით ან განრიგის გარეშე;
— სატრანსპორტო მომსახურება თანმხლები მანქანების, ბარგის, ცხოველების და სხვა ნივთებისათვის;

**64122 შიდა წყლის ტრანსპორტის მომსახურებები კრუიზში მყოფი მგზავრებისთვის**
*ეს ქვეკლასი მოიცავს:*
— შიდა წყლების კრუიზს, რაც მოიცავს ტრანსპორტს, საცხოვრებელს, კვებას და სხვა შემთხვევით მომსახურებას, რომელიც შედის ყოვლისმომცველ სამგზავრო ბილეთში.
ეს ქვეკლასი არ მოიცავს:
— ღირსშესანიშნავობების დასათვალიერებელ და საექსკურსიო გემებით მომსახურებას. შდრ 64133

**64129 სხვა შიდა წყლის ტრანსპორტის მომსახურება მგზავრებისთვის**
*ეს ქვეკლასი მოიცავს:*
— მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურებას მდინარეებზე, არხებზე და სხვა შიდა წყლებზე, გრაფიკით ან გრაფიკის გარეშე, ხომალდებით, გარდა ბორნებისა, საკრუიზო, ღირსშესანიშნაობების დათვალიერების და საექსკურსიო გემებისა.
— წყლის ტაქსს;
*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*
— მგზავრთა ტრანსპორტირებას ბორნებით, შდრ 64121
— ნავით მომსახურებას ღირსშესანიშნაობების დათვალიერებისთვის, შდრ 64133

**64133 ღირსშესანიშნაობების დათვალიერების მომსახურება წყლით**
*ეს ქვეკლასი მოიცავს:*
— ღირსშესანიშნაობების დამთვალიერებელი მგზავრების წყლის ტრანსპორტით მომსახურებას

**64231 მგზავრთა სანაპირო და ოკეანის მიღმა წყლის ტრანსპორტით მომსახურებება ბორნებით**
*ეს ქვეკლასი მოიცავს:*
— სანაპირო და ოკეანისმიღმა მგზავრთა ტრანსპორტირებას ბორნებით, მათ შორის, წყალქვეშაფრთიანი გემებით და გასაბერი ნავებით, განრიგით ან განრიგის გარეშე;
— ტრანსპორტს თანმხლები ბარგის, ცხოველების და სხვა ნივთებისათვის, რომელთა გადაზიდვა შეიძლება განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გარეშე.

**64232 სანაპირო და ოკეანისმიღმა წყლის ტრანსპორტით მომსახურებები მგზავრებისთვის საკრუიზო გემებზე**
*ეს ქვეკლასი მოიცავს:*
— ზღვის კრუიზებით გათვალისწინებულ მომსახურებას, რომელიც მოიცავს ტრანსპორტირებას, განთავსებას, კვებას, რეკრეაციულ და სხვა გასართობ მომსახურებას ყოვლისმომცველი სამგზავრო ბილეთით.

**64239 სხვა სანაპირო და ოკეანისმიღმა წყლის ტრანსპორტით მომსახურება მგზავრებისთვის**
*ეს ქვეკლასი მოიცავს:*
— სანაპირო და ოკეანისმიღმა წყლის ტრანსპორტით მომსახურეობას მგზავრებისათვის, გრაფიკით ან გრაფიკის გარეშე, მიუხედავად მომსახურების კლასისა, გარდა ბორნებისა და საკრუიზო გემებისა;
— მგზავრების ტრანსპორტირებას პორტიდან პორტში, მათ შორის, სატვირთო გემებზე;
— თანმხლები ბარგის, ცხოველების და სხვა ნივთების ტრანსპორტირებას, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გარეშე.

## საჰაერო სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურებები

**64134 ღირსშესანიშნაობების დათვალიერებების საჰაერო მომსახურება**
*ეს ქვეკლასი მოიცავს:*



— ღირსშესანიშნაობების დათვალიერების სამგზავრო საჰაერო სატრანსპორტო მომსახურებას

**64241 მგზავრების ადგილობრივი საჰაერო სატრანსპორტო მომსახურება მოცემული განრიგით**
*ეს ქვეკლასი მოიცავს:*
— მგზავრთა საჰაერო ტრანსპორტირების მომსახურეობას წინასწარ განსაზღვრული ადგილობრივი მარშრუტებით და წინასწარი გრაფიკით, ნებისმიერი ტიპის თვითმფრინავით, მათ შორის, ვერტმფრენებით;
— ტრანსპორტს თანმხლები სამგზავრო ბარ გისა და სხვა ნივთებისათვის, რომელიც შეიძლება განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გარეშე.

**64242 მგზავრების ადგილობრივი დაუგეგმავი საჰაერო სატრანსპორტო მომსახურება**
*ეს ქვეკლასი მოიცავს:*
— მგზავრთა ტრანსპორტირების საჰაერო მომსახურებას შიდა მარშრუტებზე, რომელიც მოწოდებულია განრიგის გარეშე, ნებისმიერი ტიპის თვითმფრინავით, მათ შორის, ვერტმფრენებით;
— ტრანსპორტირებას თანმხლები სამგზავრო ბარგისა და სხვა ნივთებისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გარეშე.
*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*
— ღირსშესანიშნაობების დათვალიერების სამგზავრო საჰაერო სატრანსპორტო მომსახურებას. შდრ 64134
— სამგზავრო თვითმფრინავის ქირაობის მომსახურებას ეკიპაჟთან ერთად, შდრ 66031

**64243 საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურება მგზავრებისთვის განრიგით**
*ეს ქვეკლასი მოიცავს:*
— მგზავრთა ტრანსპორტირების საჰაერო მომსახურებას წინასწარ განსაზღვრულ საერთაშორისო მარშრუტებზე და წინასწარი განრიგით, რომელიც მიწოდებულია ნებისმიერი ტიპის თვითმფრინავში (მათ შორის, ვერტმფრენებშიც)
— თანმხლები სამგზავრო ბარგის და სხვა ნივთების ტრანსპორტირებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გარეშე.

**64244 საერთაშორისო საჰაერო სატრანსპორტო მომსახურება მგზავრებისათვის განრიგის გარეშე**
*ეს ქვეკლასი მოიცავს:*
— მგზავრთა ტრანსპორტირების საჰაერო მომსახურეობას საერთაშორისო მარშრუტებით, განრიგის გარეშე, მოწოდებულს ნებისმიერი ტიპის თვითმფრინავით, მათ შორის, ვერტმფრენებითაც.
— თანმხლები სამგზავრო ბარგის და სხვა ნივთების ტრანსპორტირებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გარეშე.
*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*
— ღირსშესანიშნავობების დათვალიერების სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურეობას, შდრ 64134
— დაქირავების მომსახურებას სამგზავრო თვითმფრინავით ეკიპაჟთან ერთად, შდრ 66031

**64250 მგზავრის კოსმოსური ტრანსპორტით მომსახურება**
*ეს ქვეკლასი მოიცავს:*
— მგზავრების ტრანსპორტირებას გარე სივრციდან და გარე სივრცეში, ნებისმიერი საშუალებით.

## ტრანსპორტის აღჭურვილობის დაქირავების მომსახურება

**73111 ლიზინგი და დაქირავების მომსახურება, დაკავშირებული მანქანებთან და მსუბუქ ფურგონებთან, ოპერატორის გარეშე.**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— მანქანების, მსუბუქი ფურგონების ლიზინგს, გაქირავებას ან დაქირავებას, მძღოლის გარეშე.

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— ლიზინგის, გაქირავების ან ქირაობის მომსახურებას დაკავშირებულს კერძო მანქანებთან, მძღოლებით, შდრ 64116

— მანქანების ფინანსურ ლიზინგს, შდრ 71140

## ტურისტული სააგენტოები და სხვა დაჯავშნის მომსახურება

**85511 საჰაერო ტრანსპორტის დაჯავშნის მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— ავიაბილეთების დაჯავშნის ორგანიზებას.

**85512 დაჯავშნის მომსახურება სარკინიგზო ტრანსპორტისთვის**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— სარკინიგზო ადგილების დაჯავშნის ორგანიზებას.

**85513 დაჯავშნის მომსახურება ავტობუსით ტრანსპორტირებისას**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— დაჯავშნის მომსახურებას ავტობუსით ტრანსპორტირებისას.

**85514 დაჯავშნის მომსახურება ავტომობილების გაქირავებისთვის**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— მანქანების დაქირავების დაჯავშნის ორგანიზებას;

**85519 სხვა ტრანსპორტის ორგანიზების და დაჯავშნის მომსახურება, რომელიც არ არის სხვაგან კლასიფიცირებული.**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— დაჯავშნის მომსახურებას საბორნე გადაზიდვებისთვის;

— დაჯავშნის მომსახურეობას აეროპორტის ტრანსფერით ტრანსპორტირებისთვის;

— ყველა სხვა სატრანსპორტო დაჯავშნის მომსახურებას, რომელიც არ არის სხვაგან კლასიფიცირებული.

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— დაჯავშნის მომსახურებას კრუიზებისათვის, შდრ 85523

**85521 დაჯავშნის მომსახურება განთავსებისთვის**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— დაჯავშნის ორგანიზებას განთავსების მომსახურებისთვის:

— საცხოვრებელი საკუთრების, როგორიცაა სახლები, ან აპარტამენტები/ბინები პირდაპირი გაცვლის ორგანიზებას.



**85523 დაჯავშნა მომსახურება კრუიზებისათვის**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— დაჯავშნის ორგანიზებას საკრუიზო შეკვეთებითვის:

**85524 დაჯავშნის მომსახურება ტურისტული პაკეტებისთვის**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— დაჯავშნის ორგანიზებას ტურისტული პაკეტებისთვის

**85539 ღონისძიებების ბილეთების დაჯავშნის მომსახურება, გასართობი და რეკრეაციული მომსახურება და დაჯავშნის სხვა მომსახურებები**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— თეატრალური სპექტაკლების, კონცერტების ან სპორტული ღონისძიებების დაჯავშნის ორგანიზებას.

**85540 ტუროპერატორის მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— ტურისტული პაკეტების მომზადებას, შედგენას და მარკეტინგს:

• ასეთი პაკეტი, როგორც წესი, მოიცავს მგზავრების და ბარგის ტრანსპორტირების, განთვსების, კვების და ღირსშესანიშნაობების დათვალიერების მომსახურების ყიდვას და გადაყიდვას. შედეგად მიღებული ტურისტული პაკეტები შეიძლება გაიყიდოს პირებზე, ტურისტულ სააგენტოებზე ან სხვა ტუროპერატორებზე.

**85550 ტურისტული გიდის მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— ტურისტული გიდის მომსახურებას, ანუ ტურისტული ღირსშესანიშნაობების (როგორც წესი, კულტურული, ისტორიული, არქეოლოგიური და ბუნებრივი) დათვალიერებისთვის მიმართულების მიცემას და კომენტარების გაკეთებას.

ეს ქვეკლასი არ მოიცავს:

— მთის გიდების, ნადირობის გიდების ან თევზჭერის გიდების მომსახურებას, შდრ 96620

**85562 ვიზიტორთა საინფორმაციო მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— ვიზიტორების ან პოტენციური ვიზიტორების ინფორმირებას დანიშნულების ადგილებთან დაკავშირებით, ბროშურების მომზადებას და ა.შ.

## კულტურული მომსახურება

**96220 საშემსრულებლო ხელოვნების ღონისძიების დადგმის და პრეზენტაციის მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— დადგმის და პრეზენტაციის მომსახურებას:

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— დადგმის და პრეზენტაციის მომსახურებას “ხმის და სინათლის” სანახაობებისთვის ან ფეიერვერკებისთვის, შდრ 96990

**96310 შემსრულებელი მსახიობების მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— მსახიობების, მკითხველების, მომღერლების, მუსიკოსების, მოცეკვავეების, დუბლიორების, სატელევიზიო შოუს წამყვანების/სტუმრების და სხვა

შემსრულებლების მომსახურებას;
— დამოუკიდებელი მოდელების მომსახურებას.

**96411 მუზეუმების მომსახურება, გარდა ისტორიული ადგილებისა და ნაგებობებისა**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— ნებისმიერი სახის კოლექციის (ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, ისტორიის ნიმუშები) ჩვენების მომსახურეობას;

— ასეთი კოლექციების მართვისა და შენახვის მომსახურებას;

— ასეთი კოლექციების გამოფენებზე გამგზავრების ორგანიზებას.

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— კომერციული სამხატვრო გალერეების მიერ მოწყობილ გამოფენა-გაყიდვას, შდრ 62299

— ისტორიული ადგილებისა და ნაგებობების მომსახურებას, შდრ 96412

— ბოტანიკური და ზოოლოგიური ბაღების მომსახურებას, შდრ 96421

**96412 ისტორიული ადგილებისა და ნაგებობების შენარჩუნების მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— ისტორიული ადგილების, ძეგლების და შენობების ფუნქციონირებას, მათ შორის, შესვლის და დათვალიერების მომსახურებას;

— ისტორიული ადგილების, ძეგლების და შენობების შენარჩუნების მომსახურებას.

**96421 ბოტანიკური და ზოოლოგიური ბაღების მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— ბოტანიკური და ზოოლოგიური ბაღების ფუნქციონირებას, მათ შორის, შესვლის და დათვალიერების მომსახურებას;

— ბოტანიკურ და ზოოლოგიური ბაღების შენარჩუნებას და ტექნიკურ მომსახურებას.

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— ბუნებრივი ნაკრძალების მომსახურებას. შდრ 96422

**96422 ბუნებრივი ნაკრძალების მომსახურება, მათ შორის, ცოცხალი ბუნების შენარჩუნების მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— ეროვნული პარკების, ბუნებრივი პარკების და ნაკრძალების მომსახურებას, მათ შორის, ზედამხედველობას, ხელმისაწვდომობას და დათვალიერებას;

— ეროვნული პარკების, ბუნებრივი პარკების და ნაკრძალების შენარჩუნებას და ტექნიკურ მომსახურეობას.

## სპორტული და გამაჯანსაღებელი მომსახურება

**96520 სპორტისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— ფუნქციონირებას და ხელმისაწვდომობას შიდა და გარე სპორტული და რეკრეაციული სპორტული ობიექტებისა, როგორიცაა სპორტული მოედნები, არენები, სასრიალო მოედნები, საცურაო აუზები, სპორტული მოედნები, ბილიკები, გოლფის მოედნები, ბოულინგის მოედნები, ჩოგბურთის კორტები, და ა.შ.

— საცხენოსნო სკოლის მომსახურებას.



*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— არასაცხოვრებელი უძრავი ქონების მართვის მომსახურეობას, გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე. შდრ 72212

**96590 სხვა სპორტი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— პარაშუტით ხტომის მომსახურებას;
— „დელტაპლანით“ ფრენის მომსახურებას;
— წყალქვეშ ცურვის მომსახურებას;

**96910 გასართობი პარკი და მსგავსი გასართობებით მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— გასართობი პარკის მომსახურებას;
— ატრაქციონების და სახალისო ბაზრობის მომსახურებას;
— შემორჩენილი რკინიგზის ფუნქციონირებას.

**96929 სხვა აზარტულ თამაშები და ფსონებით მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— ლატარიის, ლოტოს, ცხენების დოღის ორგანიზების და ბილეთების გაყიდვას;
— კაზინოს და აზარტული თამაშების სახლის მომსახურებას;
— აზარტული თამაშების აპარატებით მომსახურებას.

**96930 მონეტებით ფუნქციონირებადი გასართობი აპარატებით მომსახურება**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— მონეტებით ფუნქციონირებადი გასართობი აპარატებით მომსახურებას;
— მონეტებით ფუნქციონირებადი რეკრეაციული თამაშებით და ატრაქციონებით მომსახურებას:

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— ფართის სხვებზე მიქირავებას, ატრაქციონების ან სათამაშო აპარატების განსათავსებლად. შდრ 72112;
— სათამაშო აპარატების გასართობ ცენტრში ან თემატურ პარკში შესასვლელ ბილეთში გასეირნების, თამაშების და ატრაქციონების ჩართვას, შდრ 96910
— აზარტულ თამაშებს ელექტრონულ და მექანიკურ აპარატებში, როგორიცაა აზარტული სათამაშო ავტომატები და ვიდეო ლატარიის ტერმინალები, შდრ 96929

**96990 სხვა დასვენების და გასართობი მომსახურება, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული**

*ეს ქვეკლასი მოიცავს:*

— სამეჯლისო და საცეკვაო დარბაზების და სხვა რეკრეაციული ნაგებობების ფუნქციონირების და ხელმისაწვდომობის მომსახურებას;
— სათხილამურო მთების ფუნქციონირებას;
— რეკრეაციული პარკების და სანაპიროების მომსახურებას;
— დადგმების და პრეზენტაციების მომსახურებას:

*ეს ქვეკლასი არ მოიცავს:*

— არასაცხოვრებელი უძრავი ქონების მართვის მომსახურებას გადასახადის ან ხელშეკრულების საფუძველზე, შდრ 72212
— პირადი თეატრალური ან სამხატვრო სააგენტოს მომსახურებას. შდრ 85999
— კინოფილმების, სატელევიზიო და სხვა თეატრალური კასტინგის მომსახურებას. შდრ 85999
— სპორტული და სპორტულ-გასართობი დაწესებულებების ფუნქციონირების და ხელმისაწვდომობის მომსახურებას. შდრ 96520